საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი

- **სახელმწიფო უსაფრთხოება**
  შინაგანი ასპექტები. გლობალური გამოწვევები
- **ადამიანის უფლებათა დაცვა**
  არსებული და პოტენციური საფრთხეები

თბილისი 2012

UDC (უაკ) 321.7+342.7](479.22) ს - 323

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის შესახებ

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი დაფუძნებულია 2008 წლის 15 ოქტომბერს.

კლუბი აერთიანებს პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციალური სფეროს, უსაფრთხოების, საერთაშორისო ურთიერთობათა, კონფლიქტოლოგიის, დემოკრატიული პროცესებისა და ქვეყნისთვის სხვა აქტუალური საკითხების ანალიზში სისტემატურად ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტების ძალისხმევას.

კლუბის ძირითადი მიზანია აქტიურად ჩაერთოს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასებათა პროცესში, გახადოს იგი საჯარო და მასში თანამონაწილეობის საშუალება შესთავაზოს დაინტერესებულ საზოგადოებას. შეეცადოს არსებული ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაციას ქვეყნის წინაშე წარმოქმნილ გამოწვევათა დასაძლევად, თემატური დიალოგების ინიცირებას სახელისუფლებო და საერთაშორისო სტრუქტურებთან, საზღვარგარეთელ კოლეგებთან.

კლუბის საქმიანობა ეყრდნობა პროფესიონალიზმის, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და პლურალიზმის პრინციპებს.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წესდების თანახმად, კლუბის წევრი ვერ იქნება სახელმწიფო მოხელე ან პოლიტიკოსი, რაც არ გამორიცხავს მათთან ნაყოფიერი პროფესიული თანამშრომლობის შესაძლებლობას.

2012 წლის აპრილისთვის დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები არიან:

ზურაბ აბაშიძე, მამუკა არეშიძე, ნიკოლოზ ბერაძე, ვაჟა ბერიძე, არჩილ გეგეშიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, მერაბ კაკულია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლია მუხაშავრია, უჩა ნანუაშვილი, ვლადიმერ პაპავა, რამაზ საყვარელიძე, ნათელა სახოკია, ლაშა ტუღუში, მინდია უგრეხელიძე, ზაზა ფირალიშვილი, თენგიზ ფხალაძე, ზვიად ქორიძე, მანანა ქოჩლაძე, ზაზა შათირიშვილი, თამარ ჩიქოვანი, სოსო ცისკარიშვილი, გიორგი ხუციშვილი.

სოსო ცისკარიშვილის რედაქციით

კრებული გამოიცა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის “ქართუს” ფინანსური მხარდაჭერით, რაც არ ნიშნავს ფონდის მიერ პუბლიკაციის ავტორთა მოსაზრებების გაზიარებას.

ISBN 978 - 9941 - 0 - 4305 - 5

სარჩევი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის 4

ნაწილი I სახელმწიფო უსაფრთხოება

სოსო ცისკარიშვილი
ქართული დემოკრატია - პოლიტიკურ საფრთხეთა ინკუბატორი 6

გიორგი თარხან-მოურავი
ადამიანის უსაფრთხოება და საქართველო 13

რევაზ გაჩეჩილაძე
საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების გამოწვევები 27

მანანა ქოჩლაძე
გარემოსდაცვითი უსაფრთხოება 36

ნიკოლოზ ბერაძე
სტიქიური უსაფრთხოება 49

რევაზ გაჩეჩილაძე
ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის გამოწვევები 55

მიხეილ თოქმაზიშვილი
საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ორიენტირები 66

ვაჟა ბერიძე
ფინანსურ და საბანკო სისტემათა უსაფრთხოება 76

არჩილ გეგეშიძე
გლობალური პროცესები და საქართველო 82

ნაწილი II ადამიანის უფლებათა დაცვა

შესავალი 95

მანანა კობახიძე
პენიტენციური სისტემა 97

იაკობ კვინიკაძე, ეკა ბესელია
პოლიტიკურად მოტივირებული "სამართალი" და
პოლიტიკური პატიმრები საქართველოში 109

ეკა ბესელია, ლილი გელაშვილი
პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისა და
თვითნებური დაკავების ფაქტები. დაუსჯელობის სინდრომი 115

ალექსანდრე ცქიტიშვილი
მედია და გამოხატვის თავისუფლება - ფაქტები და ტენდენციები 124

ნინო ღვედაშვილი
მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 134

უჩა ნანუაშვილი
ახალი საკანონმდებლო ინიციატივები და
ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ტენდენცია 141

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის

წინამდებარე სტატიათა კრებული გახლავთ **დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის** მიერ ინიცირებული პროექტის **"საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი"**-ს შემადგენელი კომპონენტი. იგი ითვალისწინებს ორიგინალური, კომპლექსური ნაშრომის შექმნას საქართველოში მიმდინარე "დემოკრატიზაციის" პროცესების გავლენათა შესაფასებლად ჩვენი სახელმწიფოს ევროპული და აზიური მაცდური შარაგზებით ერთდროული წინსვლის პერსპექტივაზე.

ამასთანავე, მოხარული ვიქნებით, თუ კრებული საინტერესო ან სასარგებლო აღმოჩნდება მშობლიურ ორღობეებში და ასფალტოდეფიციტურ შარაგზაზე ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობას მიჩვეული ქართული საზოგადოებისთვის. მათ შორის, მისი იმ ნაწილისთვის, რომელიც იმავე საზოგადოების მიერ დროებით დაქირავებულია (არჩეული ან დანიშნულია) ქვეყანაში მმართველობითი ფუნქციის შესასრულებლად.

სტატიის ავტორები, რომლებიც არა მხოლოდ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები, არამედ მოწვეული ექსპერტებიც გახლავთ, არ იყვნენ მკაცრად შეზღუდულნი ნაშრომის სახეობის მიმართ არსებული მოთხოვნებით. ამდენად, მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს როგორც კვლევითი, ასევე აღწერილობითი და შემეცნებითი ხასიათის ექსპერტულ ხედვას.

კრებულში ორი ძირითადი თემაა განხილული: **სახელმწიფო უსაფრთხოება** (საშინაო საფრთხეთა ზოგიერთი ასპექტი, აქტუალური გლობალური გამოწვევები) და **ადამიანის უფლებათა დაცვა** (არსებული და პოტენციური საფრთხეები).

ავტორთა პროფესიული მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს მკითხველს შევთავაზოთ ქვეყანაში სხვადასხვა დარგში შექმნილ პრობლემათა მდიდარი პალიტრა, ისევე, როგორც ამ პრობლემათა დაძლევის ავტორისეული ხედვა ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: ადამიანის არსებობისთვის შექმნილი საფრთხეები, ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოგრაფიული უსაფრთხოება, გარემოსდაცვითი და სტიქიური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსურ და საბანკო სისტემათა უსაფრთხოება, გლობალური პოლიტიკური რისკები და სხვ. (ჯანმრთელობა შერყეულ მკითხველთათვის და 21 წლის პარლამენტარებისთვის ამ მასალის წაკითხვა რეკომენდირებული არ არის).

ვიმედოვნებთ, რომ სხვადასხვა ეპოქის, ეროვნების, სარწმუნოების, პროფესიის ისტორიულ პიროვნებათა და გამოჩენილ ადამიანთა შეხედულებები დემოკრატიაზე, რომელსაც ჭარბად ვთავაზობთ მკითხველს კრებულის ფურცლებზე, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ როგორ დემოკრატიას ასხამს ხოტბას კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გონი.

შესაძლოა, ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობების კიდევ ერთხელ გაცნობიერება და გაზიარება, ჩვენც სანდო გზამკვლევად გამოგვადგეს ყალბი დემოკრატიის ცდუნებისგან განსაშორებლად.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი მადლობით მოიხსენიებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "ქართუ"-ს, წინამდებარე კრებულის შექმნისა და გამოქვეყნებისთვის გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

სოსო ცისკარიშვილი

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი

ნაწილი I

■ სახელმწიფო უსაფრთხოება

შინაგანი ასპექტები. გლობალური გამოწვევები

სოსო ცისკარიშვილი

ქართული დემოკრატია – პოლიტიკურ საფრთხეთა ინკუბატორი

შესავლის მაგიერ

საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა ადეკვატური გაცნობიერებისა და ობიექტურ შეფასებათა მსურველნი სულ უფრო ხშირად ცდილობენ გამოიკვლიონ იმ თანამედროვე ქართული დემოკრატიის ფენომენი, რომლის წარმატებებით მუდმივად იწონებს თავს ქვეყნის ხელისუფლება და რომელიც უკანასკნელ წლებში არაერთ კომპლიმენტს იმსახურებდა კეთილმოსურნე საზღვარგარეთელი პარტნიორებისა თუ გულუბრყვილო თაყვანისმცემელთაგან.

ქართული სიბრძნე გვკარნახობს "დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო". ამ საზომით თუ ვისარგებლებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული დემოკრატია საბჭოთა ანტიდემოკრატიული სისტემის მემკვიდრეა და როგორც არ უნდა გადაირქვას სახელი, მას შეიძლება მხოლოდ მივუსამძიმროთ უმძიმესი გენეტიკური კოდის ფლობის გამო. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კვლავ მოთმინებით უნდა გავაგრძელოთ პასიური ცხოვრება მომავლისგან ნასესხები სიმშვიდის იმედად, პრინციპით – "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია...".

საბედნიეროდ, დაობლებული ქართული დემოკრატიის ნიჭიერი დედინაცვალი – საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, კატეგორიულად უარყოფს თავისი გერის რაიმე კავშირს საბჭოთა სანათესაოსთან, თუმცა არც იმას გვიმხელს, სად ეგულება მისი მამინაცვალი – მოსკოვში თუ ვაშინგტონში.

პასუხი ამ კითხვაზე არც მე მაქვს, მაგრამ ვეცდები, დაინტერესებული მკითხველის დაკვალიანებისთვის, შემოგთავაზოთ ტექსტი/ტესტი, ჩვენი დემოკრატიის გენეტიკური მიდრეკილებების გეოგრაფიული ორიენტაციის გასარკვევად, გამომდინარე მისი საქციელიდან:

- „ცუდია ის რევოლუციონერი, რომელიც მწვავე ბრძოლის მომენტში შეჩერდება კანონის ხელშეუხებლობის წინაშე." – ვლადიმერ ლენინი.
- „დემოკრატია იმდენად მართვის საშუალება არ არის, რამდენადაც მთავრობის შეზღუდვის საშუალებაა, რათა მან ხელი არ შეუშალოს იმ მთავარ ფასეულობათა დამკვიდრებას, რასაც ადამიანს ოჯახი და სარწმუნოება აძლევს". – რონალდ რეიგანი.
- „ჩვენ გვჭირდება რაღაც უფრო მეტი, ვიდრე დემოკრატია – ამხანაგური ურთიერთ ნდობა პარტიის წევრებს შორის" – ვლადიმერ ლენინი.
- „დემოკრატია ღირს იმად, რომ თავი შესწირო, რადგან იგი მმართველობის ყველაზე მეტად პატივსაცემი ფორმაა, რაც კი ოდესმე გამოუგონებია კაცობრიობას". – რონალდ რეიგანი.

თუ გავარკვიეთ, რასაც ვეძიებდით – ნუ შევჩერდებით. გასარკვევი კიდევ ბევრია!

რა შეიცვალა საქართველოში უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესთა ინტენსიფიკაციის კუთხით? ამჯერად, დამაიმედებელ ცვლილებათა მოსაძიებლად, გთავაზობთ ამონარიდს, 2008 წლის დამლევს ჩამოყალიბებულ შეფასებებს, რომელიც დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ნაშრომთა პირველ კრებულში გამოქვეყნდა სათაურით "ყალბი დემოკრატია – სისტემური სახელმწიფო კრიზისის სათავე".

"... როგორც მოსალოდნელი იყო, მეოცე საუკუნეში საბჭოეთში არსებულ ავტორიტარულ ცნობიერებას მყარი გენეტიკური კოდი აღმოაჩნდა და დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება მტკივნეულ პროცესად იქცა.

მოულოდნელი ის გახლდათ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ამ მძიმე მენტალური მემკვიდრეობისგან განთავისუფლება არ გახდა პოლიტიკურ ელიტათა რეალური მიზანი. ისინი დაკმაყოფილდნენ დემოკრატიული ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის

და ზეპირებით, პარალელურად კი გააძლიერეს ავტორიტარული მართვის ინსტრუმენტები.

დღეს უკვე ცხადია, რომ ასეთი მავნე პრაქტიკის მთავარი მსხვერპლი გახდა მრავალ თაობათა ოცნება სამართლიან სახელმწიფოზე, გარანტირებულ ადამიანის უფლებებზე, სიტყვის სრულ თავისუფლებაზე, დემოკრატიულ, გამჭვირვალე არჩევნებზე და სხვ.

საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა განიხილებოდა, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი, დღეს კვლავ აღმოჩნდა სახიფათო გზაჯვარედინზე დასავლურ ცივილიზაციასა და საბჭოურ "ველიკოდერჟავიეს" შორის.

ნანატრი დამოუკიდებლობის აღდგენის 18 წლისთავზე იგივე მიზნების აღიარების აუცილებლობა გაჩნდა, რაც, თითქოს, მეოცე საუკუნის მიწურულს უკვე აღარ საჭიროებდა რაიმე დამატებით არგუმენტაციას. ქვეყნის მოსახლეობას კვლავ საკუთარი სისხლითა და ცრემლით უწევს მსოფლიოს დარწმუნება, რომ მისი გაცნობიერებული არჩევანია პროგრესული დასავლური ღირებულებანი და რეალური დემოკრატია.

ასეთ ჭეშმარიტებაში საერთაშორისო თანამეგობრობის კვლავ დარწმუნების აუცილებლობა, ძირითადად, განპირობებულია ქვეყანაში 1990 -2008 წლებში არჩეული და/ან თავსმოხვეული ხელისუფლებების მართვის სტილის შეუსაბამობით საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებთან და ტრადიციულ ზნეობრივ ფასეულობებთან.

ქართველი ხალხი, როგორც ყველა თავმოყვარე ერი, ძნელად ეგუება იმედგაცრუებას, სიყალბესა და უსამართლობას. ეს ანბანური ჭეშმარიტება რატომღაც ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს სამივე პრეზიდენტისთვის და შედეგიც შესაბამისი აღმოჩნდა. სამივე მათგანი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაემშვიდობა პრეზიდენტის სავარძელს.

პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას არასოდეს გამოუჩენია პოლიტიკური ნება საზოგადოებაში გავრცელებული რაიმე სახის კრიტიკულ მოსაზრებათა გაზიარებისა, ან თუნდაც მათი საჯარო განხილვისა. განსხვავებული აზრის პათოლოგიური სიჯიუტით უარყოფა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი.

ამასთანავე, ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპების დაცვა საფრთხეს უქმნიდა მის სიმყარეს და ცდილობდა

რონალდ რეიგანი (1911-2004)
აშშ-ს მე-40 პრეზიდენტი 1981-1989 წლებში

"დემოკრატია ღირს იმად, რომ თავი შესწირო, რადგან იგი მართველობის ყველაზე მეტად პატივსაცემი ფორმაა, რაც კი ოდესმე გამოუგონია კაცობრიობას"

"დემოკრატია, იმდენად, მართვის საშუალება არ არის, რამდენადაც მთავრობის შეზღუდვის საშუალებაა, რომ მან ხელი არ შეუშალოს ადამიანში იმ მთავარ თვისებათა დამკვიდრებას, რასაც მას აძლევს ოჯახი და საერწმუნოება"

"ღმერთის გარეშე, დემოკრატია დიდხანს ვერ გაძლებს"

ფასადური, მოჩვენებითი დემოკრატიის დამკვიდრებას. რეალობის გამყალბებელი და არარეალური მოლოდინების პროპაგანდისტული კამპანიები გულუხვად ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საზოგადოებისთვის სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტი იყო არა სიღარიბის დაძლევა ან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით, არამედ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერი, თუნდაც დანაშაულებრივი გზით.

დემოკრატიის, როგორც ცხოვრების წესისა და საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობის, უგულებელყოფამ საქართველოს ავტორიტარული ხელისუფლებისთვის დააკნინა ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების მქონე სუბიექტის ფუნქცია. შესაბამისად, ამ სუბიექტის ადგილი აღარ არის სახელისუფლებო ფასეულობების პრიორიტეტთა შორის. ადამიანის, მოქალაქის, თანამემამულის მიმართ ინტერესი და თანაგრძნობა უცხოა ასეთი ხელისუფლებისთვის. მისი ინტერესების სფეროში (ისიც 4-5 წელიწადში ერთხელ), მოიაზრება მხოლოდ "ამომრჩეველი", უპირატესად – ღარიბი და უპოვარი, ვისი ხმაც ბევრად უფრო მარტივი მოსაპოვებელია არჩევნებზე.

ხელისუფლება, რომლისთვისაც სიმართლე, სამართალი და დემოკრატიული განვითარება წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი კეთილდღეობისთვის, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს მუდმივად ილაპარაკოს სწორედ სამართლიანი დემოკრატიის მიღწევებზე და იმავე დროს არაფერს მოერიდოს მისი დასამარებისთვის. ცხადია, ეს პოლიტტექნოლოგია არ გახლავთ ქართული ნოუ-ჰაუ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მარტივად მოერგო პოსტრევოლუციური საქართველოს რეალობას.

ხელისუფლებისთვის საჯარო სიცრუე და ფარისევლობა გახდა საკუთარ ხალხთან და გულუბრყვილო უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის ჩვეული ფორმა. ქართული ყალბი დემოკრატიის შემომქმედნი ჰქმნიდნენ და ალამაზებდნენ კმაყოფილ, ვირტუალურ საქართველოს. იმედგაცრუებული და ღირსებააყრილი რეალური საქართველო კი სულ უფრო შორდებოდა ხელისუფლების მიერ დაპირებულ ევროპულ და ევროატლანტიკურ სამოთხეს, სულ უფრო მკაფიოდ აცნობიერებდა რუსული საფრთხის რეალობას.

აღსანიშნავია, რომ სხვისი შეცდომაში შეყვანის სურვილით გამოგონილ ტყუილს, სხვაზე ადრე თავად ამ სიყალბის ავტორი ხელისუფლება იჯერებს.

სწორედ უკიდეგანო სიყალბე თამაშობს განსაკუთრებულ როლს საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთშორის ურთიერთობებშიც. იგი სათავეს იღებს ამ ორი ქვეყნის მართვის მეთოდების აბსოლუტური იდენტურობიდან..."

თუ გავარკვიეთ, რასაც ვეძიებდით – ნუ შევჩერდებით. გასარკვევი კიდევ ბევრია!

დემოკრატიის განსხვავებული სტანდარტების საფრთხე საქართველოსთვის

კაცობრიობის მეხსიერების საგანძურში დაცული მრავალი ასეული, განსხვავებული შეხედულება დემოკრატიაზე გამორიცხავს, ამ ცნების განმარტებად, რომელიმე მათგანის წარმოჩენას აქსიომად და მის საყოველთაოდ დამკვიდრებას . თუნდაც იმიტომ, რომ თავად ასეთ მცდელობასაც კი აღარაფერი ექნება საერთო დემოკრატიასთან. თუმცა, შეჯერება დემოკრატიის ხარისხის განმსაზღვრელი, საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებლებისა, საშუალებას იძლევა მისი მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასებისა.

ისტორიული გამოცდილება, სამწუხაროდ, გვარწმუნებს, რომ აბსოლუტური დემოკრატია, განსხვავებით აბსოლუტური მონარქიისგან, მხოლოდ თეორიული ცნებაა. თუმცა, მას პრაქტიკული მნიშვნელობის ფუნქციაც ხელეწიფება, რადგან ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი შესაძლოა განისაზღვროს დემოკრატიის არსებული პრაქტიკის თეორიული დემოკრატიისგან დისტანცირების ცვალებადი მიმართულებისა და სისწრაფის კვლევით.

მრავალ საფრთხეთა შორის, რომელიც თან ახლავს ქვეყნის რეალური დემოკრატიზაციის მცდელობას, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ საფრთხე იმ საზომ ინსტრუმენტთა არაადეკვატურობისა, რომლის მაჩვენებლებიც, შემდგომში, გამოიყენება ამ, არცთუ უმტკივნეულო პროცესის გასამხნევებლად ან დასაგმობად.

ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის შეფასების ძირითად კრიტერიუმად მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინება, "რეგიონული დემოკრატიის", როგორც ტერმინის და ცნების ლეგიტიმაციის მცდელობა, მითუმეტეს, შემდგომში მისი თავისუფალი ინტერპრეტაცია, ერთ-ერთ ასეთ საფრთხეს წარმოადგენს.

მითი კავკასიის რეგიონული დემოკრატიის შესახებ

კავკასიონის ქედის ორივე მხარეს მდებარე ოთხივე ქვეყნის – აზერბაიჯანის, რუსეთის, საქართველოს, სომხეთის მთავრობებმა XX საუკუნის 70-80 წელი მოანდომეს საკუთარ, განსხვავებული ისტორიის, კულტურის, რელიგიის, ტრადიციების მქონე ხალხებში საბჭოთა ეპოქის ერთიანი პოლიტიკური კულტურის – ორმაგი მორალის და სიცრუის ხელოვნების დამკვიდრებას (ვაგლახ, არც თუ წარუმატებლად).

ასეთი ხანგრძლივი იდეოლოგიური წნეხი და ბოლშევიკური "სამართლიანობის" სტანდარტებისგან დამუნჯებული საბჭოური "კომატოზური დემოკრატია" პოსტსაბჭოთა საზოგადოებებშიც კი, ჯერ კიდევ იწვევს გარკვეულ გაუკუღმართებულ დამოკიდებულებას ცივილიზაციის ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობების მიმართ, როგორიცაა ლიბერალიზმი და დემოკრატია.

ნიშანდობლივია, რომ განვლილი ოცი წლის მანძილზე, კავკასიის ქვეყნების ახალ ხელისუფალთ, ფაქტიურად, არ უცდიათ პირადი მაგალითით მოეხიბლათ მოსახლეობა და გამოემჟღავნებინათ მათ მიერვე ოფიციალურად დეკლარირებულ ახალ ფასეულობათა გაცნობიერებული გაზიარების სურვილი.

არსებობს საკმარისი არგუმენტები იმის დასტურად, რომ ქართული დემოკრატია ყველაზე წარმატებულია პოსტსაბჭოთა კავკასიურ სამეზობლოში. ისიც ფაქტია, რომ ფორმულა "რადგან მეზობელს ჩემზე უფრო უჭირს, მე თავს მასზე უკეთესად უნდა ვგრძნობდე", საქართველოში არ მუშაობს. მითუმეტეს, როდესაც ხდება იმის გაცნობიერება, რომ ქართული საზოგადოების საწუხარის ძირითადი საფუძველი არა მეზობლის გასაჭირია, არამედ საკუთარი, საზღვარგარეთ განათლება მიღებული, ენერგიული, თავმომწონე, დემოკრატიასთან მწყრალად მყოფი, უსამართლო ხელისუფლების მრავალწლიანი, აღვირახსნილი ლხინის ჟინი..

ასეთ ვითარებაშიც კი, კავკასიის რეგიონის დემოკრატიულ რეფორმათა ლიდერის წოდება, რასაკვირველია, საამყოა საქართველოსთვის. მითუმეტეს, როდესაც ის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შემოქმედთა მიერ ბოძებულია. მაგრამ, საყოველთაო კმაყოფილების განცდის საწინდარი ეს ტიტული ვერ გახდება, რადგან ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის უფრო ბუნებრივია ოცნება რეალურ და არა ვირტუალურ დემოკრატიაზე. მას გააჩნია ამბიცია – სარგებლობდეს ჭეშმარიტი დემოკრატიის სიკეთით და ვერ მოიხიბლება ვერც წარსული და ვერც დღევანდელი ქართული დემოკრატიის თვითნაკეთი სტანდარტებით, სულ უფრო რომ აშორებს ქვეყანას კლასიკური, დასავლური დემოკრატიის მიმზიდველი პერსპექტივისგან.

"დემოკრატიათუხუცესად" აღიარებული ევროპის და მის ფასეულობებთან წილნაყარი აშშ-სთვის, საკუთარ ქვეყნებში დემოკრატიის მიუღებელი მახასიათებლების საქართველოსთვის დემოკრატიის ზეიმად წარმოჩენა, ქართული საზოგადოების თვალში აკნინებს თავად დემოკრატიის ხიბლს.

ამგვარი განწყობა იკვეთებოდა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგაც, როდესაც დასავლელი პარტნიორების მიერ ქვეყნის დიდ წარმატებად ჩაითვალა მხოლოდ თბილისის მერის პირდაპირი არჩევა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური საარჩევნო მოდელი აშშ-ში შეფასდებოდა ამერიკული დემოკრატიის არნახულ კრახად და არვინ შეეგუებოდა ისეთ საარჩევნო კანონს, რომლის მიხედვითაც ვაშინგტონის მოსახლეობა თავად აირჩევდა დედაქალაქის მერს, ხოლო ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოს და სხვა ქალაქების მერს - დანიშნავდა ქვეყნის პრეზიდენტი.

ამა თუ იმ "რეგიონული დემოკრატიისთვის" მისაღები შემგუებლობა "ნაკლული დემოკრატიის" მიმართ, პრაქტიკულად, პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს "დემოკრატოფობიით" შეპყრობილ ხელისუფლებას, რომელიც შეგნებულად ერიდება დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტთა დამკვიდრებას. ამავე დროს, კავკასიურ სამეზობლოში, მხოლოდ ქართული ხელისუფლებაა, რომელიც იჩემებს წარმატებულ დემოკრატობას და ყოველდღიური ტრაბახის რეჟიმში, ერთნაირი პათოსით განადიდებს საკუთარ გაკეთებულს, ჩადენილს თუ აკვიატებას .

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ წინმსწრები საერთაშორისო დივიდენდები, უნებლიედ, კიდევ უფრო უხარისხო დემოკრატიის დამკვიდრების შესაძლებლობის სურვილს უღვივებს თვითკმაყოფილების ნირვანაში მყოფ ხელისუფლებას. პრაქტიკა იმაშიც გვარწმუნებს, რომ თუ არსებობს პეზიდენტის სურვილი, იგი ერთ დღეში უკვე საქართველოს კანონის ძალას შეიძენს.

დემოკრატიის ხელოვნური დეფიციტით გამოწვეული საფრთხეები

საქართველოს პრეზიდენტების ქრონიკული სენი – მაამებელ ყურთამპყრობელთა ზეწოლის შედეგად, ქვეყნის დე-იურე პრეზიდენტობიდან, უმალ, მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური პარტიის და პირად მეხოტბეთა დე-ფაქტო პრეზიდენტად გარდასახვა, უპირველეს ყოვლისა, შეუვალი დემოკრატიული პრინციპების მსხვრევის ხარჯზე ვლინდება.

ზოგადად, საკუთარ უვადო კომფორტზე ორიენტირებული ხელისუფლება, თანდათან, ღიად უპირისპირდება არა მხოლოდ კონკურენტ პოლიტიკურ ოპონენტებს, არამედ, განურჩევლად, ყველა კრიტიკულად განწყობილ ან განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეს და აღიქვამს მათ დესტრუქციულ, ქვეყნის მოღალატე ან ამგვართა მხარდამჭერ ბოროტებად.

ცხადია, ასეთ ვითარებაში, ქვეყანაში აუცილებლად მკვიდრდება სახელმწიფოსა და მისი პირველი პირის სრული იდენტურობის დოქტრინა. შესაბამისად, სიცრუის პროპაგანდისტული მანქანის მიერ ხდება პრეზიდენტის კრიტიკის მონათვლა სახელმწიფოს შეურაცხყოფად.

კავკასიურ სამეზობლოში, ისევე როგორც სსრკ-ს ნოსტალგიის პირმშო დსთ-ს არაერთ ქვეყანაში, დღესაც ზეობენ ლუდოვიკო XIV-ს სულიერი მემკვიდრეები, რომელთაც XXI საუკუნეშიც არ ეთაკილებათ, რომ მიაჩნდეთ - "სახელმწიფო -ეს მე ვარ!" და იოცნებონ, ლუდოვიკოს მსგავსად, 72 წლიან მეფობაზე. დსთ-დან გამოსვლის მიუხედავად, სამწუხაროდ, გამონაკლისი არც საქართველოა.

შესაბამისად, ქვეყანაში წარმოქმნილ პოლიტიკურ საფრთხეთა უმრავლესობა, არსებული ხელისუფლების პოლიტიკური ნებით "დაკოდილი დემოკრატიის" დამკვიდრების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქართული საზოგადოების ერთიანი ცნობიერების გახლეჩის საფრთხე

საკუთარი პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის ჰეგემონიზმის დასამყარებლად, ხელისუფლება არ ერიდება, რომ ქვეყნის მოსახლეობა აცხოვროს მნიშვნელოვნად განსხვავებულ სამართლებრივ და საინფორმაციო სივრცეში, რომლის უდიდესი ნაწილი და ამ სივრცის მართვის თითქმის ყველა ბერკეტი მმართველი პარტიის მიერ არის მიტაცებული.

დღეს უკვე შეიძლება საუბარი რეალურ და ვირტუალურ საქართველოზე, გულგახეთქილ და არხეინ საქართველოზე, მშიერ და მაძღარ საქართველოზე, ფავორიტ და "ჩარეცხილ" საქართველოზე, "ბიძია, დამეხმარე" და "თავში ქვა გიხლია" საქართველოზე და ა.შ.

ასეთი ვითარება წარმოქმნის ერთიანი ეროვნული ფასეულობებისა და სახელმწიფო ინტერესების მიმართ მოსახლეობის განსხვავებული აღქმისა და რეაგირების პოტენციურ საფრთხეს.

ყოველ სოფელში ბუნდოვანი არგუმენტაციით და მიზნებით შექმნილი შეიარაღებული ჯგუფების არსებობა მხოლოდ გაზრდის ასეთი საფრთხის რეალობას და დააჩქარებს მისი ნეგატიური პოტენციალის მახინჯ ფორმებში გამოვლინებას.

ნეიტრალურ სახელმწიფო ორგანოთა პოლიტიზირების საფრთხეები

დემოკრატიაზე ამრეზილი ხელისუფლება აღარ ერიდება საკუთარი ავტორიტარული მადის და ფანტაზიის საჯაროდ წარმოჩენას, მათ შორის, მის არაადეკვატურ, უკანონო მისწრაფებათა კანონიერების საეჭვო საბურველში მოქცევის გზით.

აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ კონსტიტუციური ნორმების და სხვა არსებულ კანონთა გვერდის ავლით და/ან დამახინჯებით, არაერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტუქტურის ფაქტიური საქმიანობა შემოიფარგლა მმართველი პოლიტიკური პარტიის და არა სახელმწიფო ინტერესების ერთგულებით.

ხელისუფლებისთვის სიმშვიდის მომგვრელი ტრადიციული პარტიული ერთგულების სიმბოლოებს - ქართულ პოლიციას და სასჯელაღსრულების სისტემას, უკანასკნელ ხანებში,"უკანონო კანონებით" და მათ გარეშეც, დაემატა თავისი ბუნებით და კანონით ისეთი აპოლიტიკური სტრუქტურები, როგორიცაა ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, საჯარო და სამოქალაქო რეესტრები,"სასწრაფო დახმარება" და სხვ.

პოლიცია. წარმატებულად აღიარებულ პოლიციის რეფორმას, ამ სისტემის რეალურ დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანის გარეშე, დიდი ალბათობით, დევალვაციის საფრთხე ემუქრება. ქართული პოლიციის აშკარა პოლიტიზირების არგუმენტებს ხელისუფლება ყოველწლიურად აძლიერებს. 2011 წლის 26 მაისი ამ "საჯარო საიდუმლოს" კიდევ ერთი კაცთმოძულე დასტური გახლდათ და ამ სახელმწიფო უწყების რეპუტაციას კიდევ ერთხელ შეუქმნა საფრთხე (თუმცა, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართული პოლიციის მესვეურთ აინტერესებს ვინმეს აზრი, გარდა პრეზიდენტისა).

გაუმჭვირვალე ფინანსური წყაროებით ნაგები გაუმჭვირვალე პოლიციის გამჭვირვალე შენობებში წარმოებული საქმიანობის მზარდი ნაწილი, აღარ აღიქმება ამ უწყების მხოლოდ კანონიერ, მოქალაქეთა და სახელმწიფოს (და არა ხელისუფლების) სასიკეთოდ წარმართულ ქმედებად.

ეროვნული ბანკი. საკუთარი საწესდებო ფუნქციების გვერდის ავლით, საბანკო სისტემის მდგრადობისა და დაცულობის უზრუნველმყოფი ზედამხედველობის ნაცვლად, მან არჩია გამხდარიყო მედროშე ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიშნით წარმოებული იმ სადამსჯელო კამპანიისა, რომელიც, ცალსახად, მიმართული იყო საბანკო სისტემის სოლიდარული პასუხისმგებლობის მოშლისკენ, ბანკების კლიენტთა ინტერესების საწინააღმდეგო საკანონმდებლო ცვლილებებისკენ, კონკრეტული საბანკო სტრუქტურის მოსპობისკენ. ნათქვამია, "ზოგი ჭირი მარგებელიაო". საზოგადოებისთვის მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ არც ერთ ბანკის ხელმძღვანელს, გარდა გასანადგურებლად გამეტებულისა, კრინტი არ დაუძრავს არც თავისი და არც საკუთარი კლიენტების ინტერესების დასაცავად. ეს სამარცხვინო დუმილიც თვალსაჩინო მახასიათებელია ქართული დემოკრატიის რეალობისა.

სამოქალაქო და საჯარო რეესტრი. იუსტიციის სამინისტროს პირმშო ეს ორი სტრუქტურა რეალობას იმ ფერებში აღიქვამს, რა ფერებშიც შეაფასებს ამ თუ იმ ფაქტს ან მოვლენას მათი მამა-მარჩენალი მინისტრი. ეს იქნებოდა რეესტრელებისთვის საუკეთესო ვერსია, პირადი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად არსებულ რეალობაში, როდესაც წლების განმავლობაში ვერც ის დაუდგენიათ რამდენი ამომრჩეველია ქვეყანაში და ვერც ის გაურკვევიათ, ცალკეული კერძო ბიზნესი მუდმივად რატომ დაბოდიალობს ერთი პატრონიდან მეორესთან, მესამესთან და ა.შ..

კონტროლის პალატა. ამ, ერთ დროს, მნიშვნელოვანი ორგანოს არსებობის შესახებ ცოტას თუ ახსოვდა ქვეყანაში. მისი მორჩილი

შარლ დე მონტესკიე (1689 -1755)
ფრანგი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი

„დემოკრაციის პრინციპია სათნოება, რადგან მოქალაქეებს წარმართავს სიყვარული გრძნობა სამშობლოსა და თანასწორობის მიმართ. მონარქიის პრინციპია ღირსება; დესპოტიის პრინციპია - შიში"

„თავისუფლება იმის კეთების უფლებას გვაძლევს, რაც კანონითაა დაშვებული"

"არ არსებობს იმაზე უმოწყალო ტირანია, რომელიც ხორციელდება კანონის საფარველქვეშ და სამართლიანობის სახელით"

უმოქმედობა და ხელმძღვანელობის უპრინციპობა, უკანასკნელ წლებში, აღარ იძლეოდა საბაბს მედიის მიერ ამ სტრუქტურის მოხსენიებისა. როდესაც ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის ჩამოერთვა პოლიტიკურ სუბიექტთა ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ფუნქცია და გადაეცა იგი რაიმეს კონტროლს მონატრებული კონტროლის პალატისთვის, ასეთი გადაწყვეტილების მოტივი ხელისუფლებას საჯაროდ არ გაუჟღერებია. მისმა შემდგომმა ნაბიჯებმა კი ნათელი გახადა, რომ ამ ანტიკონსტიტუციური არჩევანის საფუძველი გახდა საარჩევნო კომისიის მრავალპარტიული შემადგენლობის დადუმების გარანტიის არარსებობა. მარტივად კონტროლირებადი კონტროლის პალატის მიერ ხალისიანად დატრიალებულ წინასაარჩევნო უკანონობათა კორიანტელის ბუღი, სწრაფად გასცდა საქართველოს საზღვრებს და პალატის ახალი დროის გმირებიც, რაც დასთესეს, იმის მომკის შიშით გაიტრუნენ.

სასწრაფო დახმარება. ამ ჰუმანური ინსტიტუტის ტრანსფორმაციის შესაფასებლად, საკმარისია ორი კრიტიკული სიტუაციის შედარება: 1.ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი "სასწრაფო" 1989 წლის 9აპრილს, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა ჯარის მიერ დარბეული მშვიდობიანი მომიტინგეების უანგარო, გულისხმიერი გადამრჩენი და ჭირისუფალი 2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოქცეული "სასწრაფო" – 2011 წლის 26 მაისს, იმავე გამზირზე, ქართული პოლიციური ძალების მიერ დარბეული და საავადმყოფოებში გადაყვანილი მშვიდობიანი მომიტინგეების შესახებ ინფორმაციის გაცემის უფლებაწართმეული, ჰიპოკრატეს ფიცის გამტეხი, პოლიციის მიერ ღირსებააყრილი, გამხნევების ნაცვლად გულქვა დუმილით შეიარაღებული თეთრხალათიანი მანქურთები.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი და ამ ჩამონათვალის თითოეული კომპონენტი წარმოადგენს საფრთხეს ქართული სახელმწიფოსთვის, საფრთხეს ხელისუფლებისა და საზოგადოების მოტივირებული, კონსოლიდირებული ქმედებებისთვის, სახელმწიფო ინტერესების ერთობლივი რეალიზაციის აუცილებლობის შემთხვევაში.

უსირცხვილო დემოკრატიის საერთაშორისო სირცხვილი

მრავალჯერ ბევრთაგან ნაქები, მუდმივად საექსპორტო ზიზილ-პიპილოებში შეფუთულმა ქართულმა ხელისუფლებამ მოახერხა ის, რასაც არვინ ელოდა – თავი მოიჭრა იქ და მათთან, ვისი მხარდაჭერის იმედითაც სულდგმულობდა აქამდე. საკუთარ დემოკრატიასთან ბრძოლისას გამორჩათ ან ვერ დაიჯერეს ნათქვამი, რომ ჩვენი ქვეყნის მფარველ სტრატეგიულ პარტნიორებს საკუთარ პარტნიორად მიაჩნია კეთილგანწყობილი ქვეყნის მოსახლეობა და არა მისი მრავალენოვანი ხელისუფლება. გამოეპარათ ის ფაქტიც, რომ პარტნიორი ქვეყნის ელჩი, მისი წინამორბედის მსგავსად, აღარ არის "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი და გააჩნია ობიექტურობის ნებაც და უნარიც.

ჩვენმა ხელისუფლებამ, უნებლიედ, იმდენი ჰქნა თავისი არაადეკვატური, ექსცენტრული ქმედებებითა და განცხადებებით, რომ აქამდე მიუღწეველს მიაღწია: უმალ დავიწყებას მიეცა "რეგიონული დემოკრატიის" მიმართ გაკეთებული კომპლიმენტები და დემოკრატიის ფუძემდებლური ფასეულობის – საარჩევნო გარემოს დაბინძურების უტიფარი მზაობისათვის, ქვეყანას წარუდგინეს რეალური დემოკრატიის სტანდარტების აუცილებელი დაკანონების მოთხოვნა.

ეს გახლავთ მაშველი რგოლი დასახრჩობად განწირული ქართული დემოკრატიისთვის. მისი მესაკუთრე და მის ბედზე პასუხისმგებელი კი ქართული საზოგადოებაა და არა მის მიერ დროებით დაქირავებული ხელისუფლება.

ამ მაშველი რგოლის მიმართ შესაძლო ნიჰილიზმი ან ინდეფერენტულობა, სერიოზულ საფრთხეს შეიცავს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. კერძოდ, საფრთხეს - ქართული დემოკრატიის დღევანდელი სტანდარტებით გავაგრძელოთ სვლა არაერთხელ დეკლარირებული მიმართულებებით: ევროპისკენ, დემოკრატიის სიყვარულით და დემოკრატიამოძულე სინგაპურისკენ, ფულის სიყვარულით.

არც თუ უსაფუძვლოა საფრთხე, რომ ერთდროულად, ორი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი თავგზააბნეული და ჯიბეგამოფხეკილი სუბიექტი, შუა გზაზე, უხერხულ პოზაში გაეჩხიროს და უფრო ნებით, ვიდრე უნებლიეთ, კრემლის ოცნებაში – "ევრაზიული კავშირის" წუმპეში შეტოპოს.

დასკვნები და რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის ცნობილია.

გვეშველება რამე ??? ბოლო კეთილია!!!

გიორგი თარხან-მოურავი

ადამიანის უსაფრთხოება და საქართველო

შესავალი:

ადამიანის უსაფრთხოების ცნება

ბოლო წლების განმავლობაში ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციამ დიდძალი ყურადღება მიიპყრო როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე პოლიტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის. ამგვარ ყურადღებას დასაბამი მისცა გაეროს განვითარების პროგრამის 1994 წელს გამოქვეყნებული „ადამიანის განვითარების ანგარიშმა“, რომელიც სწორედ ადამიანის უსაფრთხოებას მიეძღვნა ამ კონცეფციის მთავარი ინიციატორის, პაკისტანელი მეცნიერის **მაჰბუბ ულ-ჰაქის** თაოსნობით. შემდგომ წლებში, ადამიანის განვითარებასთან ერთად, ადამიანის უსაფრთხოების ცნება, ერთი მხრივ, ერთ-ერთ უმთავრეს კონცეპტუალურ ჩარჩოდ იქცა ადამიანზე ფოკუსირებული განვითარებისა და კეთილდღეობის შეფასებისას ან პოლიტიკის დასაგეგმად; მეორე მხრივ, ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია მრავალგზის იქნა გაკრიტიკებული მისი ბუნდოვანებისა და არაერთმნიშვნელოვანების გამო, განსაკუთრებით ე.წ. „რეალიზმის“ და „ნეო-რეალიზმის“ პოზიციებიდან. პოლიტიკური მეცნიერების ამ სკოლების წარმომადგენლები ხშირად საერთოდაც უარყოფენ „ადამიანის უსაფრთხოების“ ცნების ინტელექტუალურ თუ პრაქტიკულ სარგებლიანობას. მართლაც, არც თუ უსაფუძვლოა მრავალი კრიტიკოსის აზრი, თითქოს „ადამიანის უსაფრთხოება“ მიმზიდველია, როგორც ნორმატიული დისკურსის მაგალითი, რომელსაც არაფერი განსაკუთრებით ახალი არ შემოაქვს პრაქტიკის თვალსაზრისით, თუმცა გადააქვს ყურადღება განვითარებადი სამყაროს პრობლემებზე და მოკლევადიანი თუ პრობლემებზე რეაგირების პოლიტიკის დაგეგმვაზე.

განვიხილოთ ამ კონცეფციის მიმართ არსებული უფრო კონსტრუქციული მიდგომები. გასაგებია, რომ რაკი უსაფრთხოებაზეა საუბარი, ადამიანის უსაფრთხოებაც დაკავშირებულია ყოველგვარი საფრთხისა და მუქარის თავიდან აცილებასთან (აქ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ არსებული მუქარები, ისე სამუშაოს დაკარგვის, გაღატაკებისა თუ პიროვნული თავისუფლების დაკარგვის საფრთხეც); ხოლო პირველი სიტყვა – „ადამიანური“ მიგვანიშნებს, რომ განსხვავებით უსაფრთხოებისადმი ტრადიციული მიდგომებისგან, უსაფრთხოების თემა პირველ რიგში უკავშირდება ადამიანის უსაფრთხოებას, და არა სახელმწიფოს ან რომელიმე ინსტიტუტისა თუ ტერიტორიისას.

ამგვარად, ფართოდ გაგებული ადამიანის უსაფრთხოება გულისხმობს ადამიანის დაცულობას ყოველგვარი შიშისგან, გაჭირვებისგან და ღირსების დაკარგვისგან. 1994 წლის პუბლიკაციებიდან მოყოლებული, გამოიყოფა ადამიანის უსაფრთხოების შვიდი ურთიერთდაკავშირებული განზომილება: 1. პოლიტიკური უსაფრთხოება; 2. ეკონომიკური უსაფრთხოება; 3. პიროვნული უსაფრთხოება; 4. სათემო უსაფრთხოება; 5. ჯანმრთელობითი უსაფრთხოება; 6. გარემოსმიერი უსაფრთხოება; 7. კვებითი უსაფრთხოება.

სწორედ ამგვარ პოზიციაზე დგას მკვლევართა ერთი ნაწილი, რომელთა თვალსაზრისს იზიარებენ ისეთი ოფიციალური სტრუქტურები, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამა თუ იაპონიის მთავრობა. უნდა ითქვას, რომ „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ სწორედ მეტად ფართოდ გაგებულ უსაფრთხოების კონცეფციას

ეფუძნება, სადაც ტრადიციულ თემებს ემატება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: „დემოგრაფიული გამოწვევები“, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება/განადგურება“. ასეთი სიფართოვე კი კონცეფციას ბუნდოვანს ხდის და პრაქტიკულობას უკარგავს.

ალტერნატიული, უფრო ვიწროდ გაგებული „ადამიანის უსაფრთხოების“ ცნება წინ აყენებს უშუალოდ ადამიანთა ფიზიკური უსაფრთხოების თემას, ანუ პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ღირსების დაცულობას ძალადობისგან და მატერიალური მუქარისგან. ამგვარი ინტერპრეტაციის ფარგლებში, თუმცა ყველა ზემორე მოყვანილი განზომილება მნიშვნელოვანია, როგორც მაგალითად – სიღარიბე თუ კულტურული თვითმყოფადობა, მათი როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, ანუ ‘შიშისგან დაცულობაზე’ – ზემოქმედებენ. ამგვარ პოზიციას იზიარებს მკვლევართა მეორე დიდი ნაწილი, და ასევე ზოგიერთი ქვეყნის მთავრობაც (მაგალითად, კანადის).

წინამდებარე ტექსტი სწორედ ამ, მეორე კონცეპტუალურ ჩარჩოს ეყრდნობა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გაგებული ადამიანის უსაფრთხოების ცნება უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, არამედ იმიტომაც, რომ ფართოდ გაგებული ადამიანის უსაფრთხოება, გარდა მისი კონცეპტუალური ბუნდოვანებისა, ბევრად უფრო დიდი მოცულობის კვლევას და ტექსტს მოითხოვს. უსაფრთხოების ასე გაგებული ცნება მოიცავს როგორც ტრადიციული უსაფრთხოების მუქარებს, ოღონდ აქცენტის სახელმწიფოდან ადამიანზე გადატანით, ისე პიროვნული უსაფრთხოების ისეთ ასპექტებს, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოს ან სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ განხორციელებულ ძალადობას (პოლიტიკური უსაფრთხოება), ან ამა თუ იმ რეგიონული თუ ეთნიკური თემის უსაფრთხოებას (სათემო უსაფრთხოება).

ადამიანის უსაფრთხოება ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და დემოკრატიულ თავისუფლებებთან ერთად, და მასზე ზრუნვა საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალის ამოცანა უნდა იყოს.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით. „საფრთხე“ გულისხმობს მოვლენათა შესაძლო მსვლელობას, რასაც სავარაუდოდ მოჰყვება მნიშვნელოვანი არასასურველი შედეგი; „მუქარა“ არის თვით ის მოვლენა ან ფაქტორი, რომელიც საფრთხეს ქმნის; „რისკი“ კი არის ამა თუ იმ საფრთხის განხორციელების შეფასებადი ალბათობა (აქედან ისეთი მეორადი ტერმინები, როგორც მაღალი რისკის ჯგუფი, რისკფაქტორი და ა.შ.).

საქართველოს დღევანდელი რეალობა და ადამიანის უსაფრთხოების უმთავრესი მუქარები

საქართველომ ბოლო ათწლეულებში მრავალი უბედურება და კრიზისი გადაიტანა. ეს, პირველ რიგში, 1990-იანი წლების კონფლიქტები და სამოქალაქო ომია, რასაც მოჰყვა ასობით ათასი დევნილის მასობრივი გადაადგილება; ამასთან ერთად, აღსანიშნავია სტიქიური უბედურებებიც (1987 წლიდან დღემდე მათ 600-ზე მეტი სიცოცხლე შეეწირა) – მიწისძვრები, წყალდიდობები, ღვარცოფები და მეწყერები, ზვავები და ტყის ხანძრები, გვალვა, ან ადამიანთა და ცხოველთა ეპიდემიები. სტიქიურ უბედურებებსაც მოჰყვა ადამიანთა მასობრივი მიგრაცია, და ეკოლოგიურ მიგრანტთა რიცხვმა, განსაკუთრებით აჭარიდან და სვანეთიდან, დაახლოებით 150,000 ადამიანს მიაღწია, რამაც ასევე მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა შექმნა.

ბოლო დროს უკვე არსებულ პრობლემებს დაემატა 2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომი, რომელსაც კვლავ მოჰყვა მასობრივი უბედურება და იძულებითი გადაადგილება და, შესაბამისად, დიდმასშტაბიანი ჰუმანიტარული რეაგირების აუცილებლობა. დღესაც კონფლიქტის მოსაზღვრე ზონებში შემორჩენილია აუფეთქებელი ნაღმები და ჭურვები, ომის სხვა ფეთქებადი ნარჩენები, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, იწვევს ადამიანთა სიკვდილსა და დასახიჩრებას.

სამხედრო მოქმედების განახლების საფრთხე დღესაც არ არის მოხსნილი. ევროკავშირის დამკვირვებელთა და დიპლომატიური მექანიზმების გარდა, დღეს არ არსებობს

საკმარისად საიმედო ინსტრუმენტები, რომლებიც დაიცავდა საქართველოს ახალი ინტერვენციის საშიშროებისგან, რომლის შესაძლო მასშტაბის პროგნოზირება დღეს შეუძლებელია.

მოსაზღვრეობა რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის არასტაბილურ რეგიონთან, ავღანეთისა და ერაყის სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების და ენერგორესურსების ტრანზიტის მნიშვნელობა (რაც ტექნოგენური კატასტროფების რისკსაც ზრდის), საქართველოს ტერორიზმის საშიშროების წინაშეც აყენებს.

ბოლო წლებმა მოიტანა მრავალი წყალდიდობა და მეწყერი, კიდევ ერთი მიმანიშნებელი იმისა, რომ გლობალური კლიმატის შეცვლის პირობებში შესაბამისი სტიქიური უბედურებები მხოლოდ გახშირდება. მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა, გარდა დიდი საფრთხისა ადამიანების სიცოცხლის მიმართ, დიდი ეკონომიკური ზარალიც მოიტანა, დაინგრა ინფრასტრუქტურა, განადგურდა საცხოვრებელი და ქონება; ამავდროულად ამან კვლავ დაძაბა ქვეყნის ჰუმანიტარული რეაგირების შესაძლებლობები.

უფრო ტრადიციული საფრთხეების გარდა, დამატებით არსებობს ტექნოგენური (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური, ა.შ.) საფრთხეები, რაც გამოწვეულია ინდუსტრიული უსაფრთხოების სტანდარტების დაბალი დონით; მშენებლობის, შრომის, სამომხმარებლო და სხვა მარეგულირებელი ნორმების არაადეკვატურობით (დასტურად, აღსანიშნავია ის, რომ კვების უსაფრთხოების სფეროში აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროკავშირთან ამგვარი ნორმების აღდგენისა და გაძლიერების თაობაზე). ამავდროულად, დღეს გაზრდილია ეპიდემიებისა და პანდემიების რისკიც, რასაც ემატება გახშირებული ეპიზოოტიებიც.

ბუნებრივია, რომ ამგვარი კრიზისისა თუ საგანგებო სიტუაციის მაღალი რისკის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების და სახელმწიფოს მზადყოფნა გაუმკლავდეს კრიზისს, შეეძლოს კრიზისისა თუ განსაკუთრებული სიტუაციის მართვა და მისი სავალალო შედეგების მაქსიმალურად შერბილება, როგორიც არ უნდა იყოს განსაკუთრებული სიტუაციის ბუნება ან მასშტაბი. და თუკი ამგვარი მზადყოფნა არ არის დამაკმაყოფილებელი, აუცილებელია ძიება იმ ხარვეზებისა და მიზეზების, რამაც გამოიწვია არაეფექტური, არაადეკვატური რეაგირება, რათა სამომავლო გამოწვევებს ქვეყანა და საზოგადოება უკეთ მომზადებული დახვდეს.

მაჰათმა განდი (1869-1948)
ინდოეთის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი

"დემოკრატიის სული მექანიკური საგანი არ გახლავთ, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ფორმების შეცვლით მომართოთ, იგი გულის შეცვლას მოითხოვს"

ფიზიკური უსაფრთხოება, მიზანდასახული ხელქმნილი ზიანისგან, დამცირებისგან და ძალადობისგან დაცულობა

გარე ძალის სამხედრო თავდასხმა

მართალია, ადამიანის უსაფრთხოების თეორეტიკოსები ცდილობენ განაცალკევონ სახელმწიფო უსაფრთხოება და ადამიანის უსაფრთხოება, საქართველოს დღევანდელ პირობებში უდიდესი მუქარა სწორედ სახელმწიფოს უსაფრთხოებაზეა მიმართული და უკავშირდება რუსეთის ფედერაციის შესაძლო სამხედრო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ. შესაბამისი საფრთხე, რომელიც თითქოს და შეანელა აშშ-სა და რუსეთს შორის „გადატვირთვის" პოლიტიკის ამოქმედებამ, დღეს კვლავ იზრდება, ერთი მხრივ, აშშ-რუსეთის ურთიერთობის საგრძნობი გაუარესების გამო, და მეორე მხრივ, – პრეზიდენტის თანამდებობაზე ვლადიმერ პუტინის დაბრუნების გამო, რომლის რადიკალურმა პოზიციამ დასავლეთის მიმართ უკვე ჰპოვა გამოვლინება მისი უკანასკნელი დროის განცხადებებსა და სტატიებში.

როგორც ეს უკვე ცხადად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოში და შემდგომ პერიოდში, ამგვარ სამხედრო ქმედებას მოჰყვება დიდძალი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობის მხრიდან, მისი აყრა და იძულებითი გადაადგილება, ღირსების შელახვა, საცხოვრებლის და ქონების დაკარგვა და ზოგჯერ ხანგრძლივი პატიმრობა ან გადაადგილების შეზღუდვა. მაგალითად, ტალიავინის მოხსენების თანახმად, ყველა მხრიდან დაღუპულთა რიცხვმა 850-ს გადააჭარბა, რასაც დაემატა მრავალი დაჭრილი, ტყვეობაში აყვანილი, და 150,000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთაგან 22,000-მდე დღესაც ვერ ბრუნდება თავის სახლში (რაც დაემატა 220,000-მდე „ძველ" დევნილს 1990-იანი წლებიდან).

საზღვრის მიღმა დესტაბილიზაცია და კონფლიქტის გადმოღვრა

უსაფრთხოების მეორე მნიშვნელოვანი მუქარა უკავშირდება საზღვრის მიღმა, პირველ რიგში ჩრდილო კავკასიაში, დესტაბილიზაციას და კონფლიქტის "გადმოღვრას". ამგვარი გამოცდილება საქართველოს უკვე გააჩნია ჩეჩნეთსა და პანკისის ხეობასთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს მოსალოდნელი კონფლიქტის გეოგრაფია ბევრად უფრო ფართოა და, პირველ რიგში, დაღესტანს უკავშირდება, თუმცა მთელი ჩრდილო კავკასია დესტაბილიზაციის მაღალი რისკის ზონას წარმოადგენს. „კონფლიქტის გადმოღვრა" ზოგადი ცნებაა და მას სხვადასხვა კონკრეტული საფრთხე უკავშირდება – ლტოლვილების ნაკადის შემოსვლა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ჰუმანიტარული კატასტროფა, ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება, კრიმინოგენული სიტუაციის გამძაფრება, ადამიანების გატაცებები და ტერორიზმის კერების შექმნა. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ზრდის რუსეთთან დაპირისპირების რისკებსაც.

ერთ-ერთი სერიოზული დესტაბილიზაციის ფაქტორი შეიძლება გახდეს ირანში განვითარებული მოვლენები, კონკრეტულად თუკი ისრაელის ან აშშ საჰაერო ძალები დაბომბავენ ირანის ბირთვულ ცენტრებს და სხვა სტრატეგიულ ობიექტებს (უახლესი შეფასებებით, ეს სავარაუდოა მოხდეს 2012 წლის ბოლომდე) – ამას, ერთი მხრივ, შესაძლოა მოჰყვეს ასობით ათასი ლტოლვილის გადასვლა აზერბაიჯანში და შესაძლოა ნაწილის – საქართველოშიც; მეორე მხრივ, ირანი იმუქრება, რომ შეტევას მიიტანს ისრაელისა და აშშ-ს ინტერესებსა და ობიექტებზე ყველგან მსოფლიოში. საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა, ისრაელთან მეგობრული დამოკიდებულება და გეოგრაფიული სიახლოვე გარკვეულ დამატებით საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობას (რაზეც მიუთითებს ისრაელის საელჩოს თანამშრომლების წინააღმდეგ მოწყობილი, ექსპერტთა ვარაუდით ირანული წარმომავლობის ტერორისტული, ასევე 2012 წლის მარტში მეზობელ აზერბაიჯანში დაკავებული ტერორისტული ჯგუფი).

არსებული ტერიტორიული კონფლიქტები და ადამიანის უსაფრთხოება

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობა დამატებით მუქარებს ქმნის. ერთი მხრივ, ეს მუქარები უკავშირდება ამ რეგიონებში მოქმედ რუსეთის სამხედრო ბაზებს, რომლებიც რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში სამხედრო შეტევისთვის მზა პლაცდარმებს წარმოადგენს. არ არის გამორიცხული არც ის, რომ ამ რეგიონებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები და, განსაკუთრებით, დესტაბილიზაცია (რასაც გარკვეულწილად უკვე აქვს ადგილი სამხრეთ ოსეთში) ან გახდება მიზეზი ამ დესტაბილიზაციის გადმოღვრისა (ზემოთ აღწერილი სცენარით), ან გამოიწვევს საქართველოს მხრიდან გარკვეული ზომების მიღების საჭიროებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამო (განსაკუთრებით, გალის რაიონის შემთხვევაში), ან დევნილთა ახალი ნაკადის გადმოსვლის საშიშროებას. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის კეთილდღეობა, გარკვეულწილად, საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა და მათი უსაფრთხოებაც ანგარიშგასაწევია.

გარდა საფრთხეებისა, რომელსაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები განიცდიან, არსებობს ადამიანის უსაფრთხოების კიდევ ორი დამატებითი კომპონენტი. ერთი უკავშირდება ადმინისტრაციული საზღვრის გადამკვეთებს ორივე მხრიდან, რაც ხშირად უნებლიედაც ხდება ამ საზღვრის გაურკვეველი მდებარეობის გამო. ასეთ ადამიანებს ხშირად ემუქრებათ დაპატიმრება თუ სხვა ღირსების შემლახველი ქმედება, ან ზოგჯერ ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მნიშვნელოვანი თანხის გაღება. მეორე კომპონენტი უკავშირდება ადმინისტრაციული საზღვრების მეორე მხრიდან სნაიპერების სროლას, რასაც 2008 წლის შემდგომ პერიოდში მრავალი ადამიანი შეეწირა, ძირითადად პატრულის პოლიციელები. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს სროლის ინციდენტებმა იკლო, რაც მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ევროკავშირის დამკვირვებლების სასარგებლო საქმიანობას. თუმცა, 4 მარტს, აფხაზეთიდან გადმოსულმა დაახლოებით ექვსმა შეიარაღებულმა პირმა ქართული პოლიციის საგუშაგოს მიმართულებით სოფელ განმუხურთან ცეცხლი გახსნა. იმის მიუხედავად, რომ სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, ეს ფაქტი, შესაძლოა, ხელახალი მოსალოდნელი გამწვავების ნიშანიც იყოს. ასევე გრძელდება ადამიანთა უკანონო დაკავებები საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში, სადაც მხოლოდ 2011 წელს ასამდე ადამიანი აღმოჩნდა დაპატიმრებული.

შიდა დესტაბილიზაციის საფრთხე

საქართველო, ისევე როგორც ყველა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, არ არის სრულად დაცული შიდა დესტაბილიზაციის საფრთხეებისგანაც, თუმცა მათი გამომწვევი მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. ამგვარ მიზეზებს, შესაძლოა, მიეკუთვნებოდეს არჩევნების შედეგების გაყალბების მცდელობა (როგორც ეს 2003 წლის ნოემბერში მოხდა), სამხედრო მარცხი, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა (ანალოგი – 1991-92 წლის ზამთარი), ფართომასშტაბიანი პოლიტიკური პროტესტების წინააღმდეგ გამოყენებული არაადეკვატური ძალა (მაგალითები – 2007 წლის ნოემბერი, ან 2011 წლის მაისი), თუ ეკონომიკური კრიზისით ან სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული სოციალური აფეთქება. უახლოეს დროს ყველაზე დიდი შედარებითი ალბათობის მქონე რისკფაქტორები უკავშირდება 2012-2013 წლების არჩევნებს. ასევე, ვერ გამოირიცხება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთის ქმედებებით გამოწვეული დესტაბილიზაცია. მოვლენების ამგვარი განვითარების შესაძლებლობა ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას, რადგან მას მოჰყვება, ერთი მხრივ, უშუალო ძალადობის (დემონსტრაციების დარბევის, მასობრივი დაპატიმრებების და ადამიანის უფლებების დარღვევის, თუ სამხედრო დაპირისპირების) საფრთხე, და ასევე ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის და გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობის მიმართ სავარაუდო საფრთხე.

ტერორიზმი

ტერორისტული აქტები საქართველოსთვის შედარებით იშვიათი მოვლენაა, და თითქმის ყოველთვის გარე ძალებით ინსპირირებულ მოვლენის შთაბეჭდილებას ქმნის, იქნება ეს ისრაელისა თუ აშშ დიპლომატიური მისიების მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტების მცდელობა, თუ სხვა ამგვარი მოვლენები საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში (თბილისი, გორი, ხობი და ა.შ.). ხშირ შემთხვევაში, ამგვარ ქმედებებში სხვადასხვა წყარო ადანაშაულებს ან რუსეთის სპეცსამსახურებს, ან, განსაკუთრებით ბოლო ტერორისტული აქტის მცდელობის შემთხვევაში, ირანის სპეცსამსახურებს და „ჰეზბოლას“ ერთობლიობაში, რაც ნაწილობრივ მაინც შეიძლება აიხსნას ირანთან შემოღებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმითა და ირანის დასავლეთთან გამწვავებული ურთიერთობით. ზოგ შემთხვევაში ტერორისტულ აქტებს აქვს ადგილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც საქართველოს მთავრობის ფაქტობრივი იურისდიქცია ვერ ვრცელდება, მაგრამ ესეც მუქარაა საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოების მიმართ.

გეოპოლიტიკური დაძაბულობების შემდგომი გამძაფრების შემთხვევაში (განსაკუთრებით, ირანისა თუ ჩრდილო კავკასიის ირგვლივ, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური ბრძოლის გამძაფრება, ასევე შესაძლოა რუსეთის სპეცსამსახურების აქტივიზაციის შედეგად პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდგომ) არ არის გამორიცხული ტერორისტული აქტების გახშირება როგორც საქართველოში ზოგადად, ისევე კონფლიქტიურ რეგიონებში. იმის მიუხედავად, რომ დღემდე მომხდარ ტერორისტულ აქტებს დიდძალი მსხვერპლი არ მოჰყოლია, არ არის გამორიცხული შემდგომში ადამიანის უსაფრთხოების მიმართ რისკების გაზრდის შესაძლებლობა. ამას ემატება ტერორისტული აქტების მიერ ხშირად გამოწვეული დესტაბილიზაციის არასასურველი შესაძლებლობაც.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ძალადობა

ადამიანის პიროვნულ უსაფრთხოებას ზოგჯერ თვით სახელმწიფოც ემუქრება, რაც გამოიხატება ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევებით, ჭარბი ძალადობით, ზედმეტად მკაცრი მართლმსაჯულებითა თუ პენიტენციალური სისტემის არაადეკვატური სიმკაცრით. ყოველივე ამას შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური უსაფრთხოების ელემენტები. ამ მხრივ, განსაკუთრებით საშიშია დანაშაულის ჩამდენ ოფიციალურ პირთა ხშირი დაუსჯელობა ან მათი მხოლოდ ფორმალური დასჯა, როგორც ეს მოხდა სანდრო გვირგვილიანის 2006 წლის გახმაურებული მკვლელობის შემთხვევაში პოლიციის მაღალჩინოსანი თანამშრომლების მიმართ.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა საქართველოში პატიმართა ჭარბი რიცხვი – ესექსის უნივერსიტეტის მიერ წარმოებული აღრიცხვის საფუძველზე, ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა უმაღლესია ევროპაში, ხოლო რუანდასთან და რუსეთთან ერთად მსოფლიოს მასშტაბით ხუთეულში შედის (539 პატიმარი 100,000 მოსახლეზე მაშინ, როცა ვთქვათ, მაღალი კრიმინალობით ცნობილ საბერძნეთში ეს რიცხვი 101-ს უტოლდება, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ქვეყნებზე, როგორიც ლიხტენშტაინია – იქ ეს რიცხვი სულ 19-ია). ამგვარი მდგომარეობა ეჭვქვეშ აყენებს როგორც მოქმედი კანონმდებლობის ჰუმანურობას, ისე სასამართლოების განაჩენების სამართლიანობასაც, რადგან ცნობილია, თუ რა იშვიათია ბრალდებულის გამართლება სასამართლოს მიერ. თავად პატიმრობის ფაქტის გარდა, რაც ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს, ილახება მისი ღირსებაც და ხშირად მის ჯანმრთელობასაც სერიოზულად ემუქრება (მაგ. ტუბერკულოზით დაავადების განსაკუთრებით მაღალი რისკის გამო). ადამიანის უფლებების დამცველები ხშირად საუბრობენ პატიმართა მიმართ დაუშვებელი სისასტიკის ფაქტებზეც (იხილეთ სახალხო დამცველის 2011 წლის ივნისის მოხსენება). ხშირია ასევე გამოძიების ეტაპზე ადამიანთა სიკვდილიანობა გაურკვეველ გარემოებებში, რისი უკანასკნელი მაგალითიც იყო ხაშურში

ეჭვმიტანილი მოქალაქე ქიმერიძის სიკვდილი 2012 წლის თებერვლის ბოლოს.

მრავალმა საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ, მათ შორის „საერთაშორისო ამნისტიამ“ (Amnesty International) და Human Rights Watch-მა, დაგმეს განსაკუთრებით სასტიკი მეთოდების გამოყენება მოქალაქეთა მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევისას (როგორც ეს, მაგალითად, მოხდა 2011 წლის 26 მაისს), ასევე დევნილთა დროებითი საცხოვრებლებიდან გაძევებისას (მაგ. 2011 წლის იანვარში, 2010 წლის ივნის-აგვისტოში), თბილისში გმირთა მოედანზე ვეტერანთა შიმშილობის აქციის აღკვეთისას (2011 წლის 3 იანვარი). მოსალოდნელია, რომ პოლიტიკური დაძაბულობის მატება, რაც 2012-2013 წლის არჩევნებს უკავშირდება, გაზრდის დარღვევების მასშტაბსა და სიხშირეს, რაც ადამიანის უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევაა.

კრიმინალური სიტუაცია და ქმედება

ადამიანის უსაფრთხოებას შესაძლოა კრიმინალური ქმედება ემუქრებოდეს, რომლის მსხვერპლნი შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ სამოქალაქო პირები, არამედ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ან შეძლებულ ბიზნესმენთა თუ მოხელეთა ოჯახები. ორგანიზებული და წვრილი დანაშაულის წინააღმდეგ წარმოებულმა ბრძოლამ, ერთი მხრივ, გაზარდა პატიმართა და უცხოეთში გადახვეწილ დამნაშავეთა რიცხვი, მაგრამ, მეორე მხრივ, თვალსაჩინოდ შეამცირა ყოფითი და ორგანიზებული დანაშაული და გაზარდა ადამიანის უსაფრთხოების ხარისხი (თუმცა, ზოგიერთი ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობა ჯერ კიდევ შეინიშნება, განსაკუთრებით რაც ეხება ნარკოტრაფიკს და ტრეფიკინგს). ასე მაგალითად, საქართველოში მკვლელობები 100,000 მოსახლეზე შეადგენს 4.1 შემთხვევას, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და დაახლოებით სამჯერ ნაკლებია, ვიდრე რუსეთში. მართალია, დადებითი ძვრები შედარებით ნაკლებად ეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს, სადაც კრიმინალური სიტუაცია, მართალია, ბოლო დროს რამდენადმე გამოსწორდა, მაგრამ მაინც არ არის სახარბიელო. მიუხედავად სიტუაციის აღნიშნული გაუმჯობესებისა, არსებობს იმის ალბათობა, რომ ზემოაღწერილ დესტაბილიზაციისა თუ კონფლიქტის საფრთხეს კრიმინალური სიტუაციის გაუარესება მოჰყვეს, რაც კვლავ დაემუქრება ადამიანის უსაფრთხოებას, და ამ მხრივ დამატებით ნეგატიურ ფაქტორს შემოიტანს.

ალექსანდრე სმიტი (1830- 1867)
შოტლანდიელი პოეტი

“დემოკრატიის ყველა სენი შეიძლება განიკურნოს უფრო მეტი დემოკრატიით”

ფიზიკური უსაფრთხოება და კატასტროფები

ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, როდესაც ადამიანის უსაფრთხოებას ემუქრება მიზანდასახული ძალადობრივი ქმედება, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მუქარებიც, რასაც ქმნის ბუნებრივი გარემო, ყოველგვარი ბუნებრივი თუ ხელქმნილი კატასტროფები, ეპიდემიები, ადამიანის სამეურნეო საქმიანობა თუ დაუდევრობა. მართლაც, ადამიანის უსაფრთხოებას არა მარტო ბუნებრივი კატასტროფები ემუქრება, არამედ ხელქმნილიც, ასევე ტექნოლოგიური რისკები, და უბედური შემთხვევები (ომის ნარჩენები და ნაღმები; გარემოს რადიაქტიური, ქიმიური და ბაქტერიული დაბინძურება და მასობრივი მოწამვლა/დაავადება; საგზაო ავარიები; ფიზიკური ინფრასტრუქტურის ნგრევა; აფეთქება და ხანძარი; საწარმოო უბედურებები...). მხოლოდ 2011 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, ხელქმნილმა და ტექნოგენურმა უბედურმა შემთხვევებმა შეიწირა 90 ადამიანი, რაც ბევრად მეტია, ვიდრე ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული მსხვერპლი.

მართალია, საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებობს განსაკუთრებული სიტუაციების მართვის სამსახური, მაგრამ არც საზოგადოებაა საკმარისად მზად განსაკუთრებულ სიტუაციაში სამოქმედოდ, და არც შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების რესურსები და მზადყოფნაა საკმარისი მასშტაბური ბუნებრივი თუ ხელქმნილი კატასტროფების პრევენციისთვის, მათზე რეაგირების და მათი შედეგების ლიკვიდაციისთვის.

ბუნებრივი კატასტროფები

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული და გეოლოგიური თავისებურებები, ბევრ დადებით მხარესთან ერთად, ბუნებრივი კატასტროფების მაღალ რისკს მოიცავს. როგორც უკვე აღინიშნა, აქ ხშირია მიწისძვრები, წყალდიდობები, ღვარცოფები და მეწყერები, ზვავები და ტყის ხანძრები, გვალვა, რამაც ბოლო ათწლეულებში ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ეკოლოგიური მიგრაციის დიდძალი ნაკადებიც გამოიწვია. საქართველოს სხვადასხვა რეგიონს ბუნებრივი კატასტროფების სხვადასხვა პროფილი ახასიათებს. მაგალითად, რაჭასა და სამცხე-ჯავახეთში უფრო მოსალოდნელია მიწისძვრა, მთიან აჭარაში და კახეთის ყვარლის რაიონში – მეწყერები და ღვარცოფები, სვანეთში და აჭარაში – ზვავები, კახეთში, იმერეთში და სამეგრელოში – წყალდიდობები, ბორჯომის რაიონში – ტყის ხანძრები. 2008 წელს აგვისტოში ტყის ხანძრების გამომწვევი მიზეზი სამხედრო მოქმედებები იყო, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთკავშირს. ყოველი ტიპის ბუნებრივი კატასტროფის საფრთხე სპეციფიურია, სხვადასხვა მასშტაბითა თუ სიხშირით ხასიათდება. ასე, ძლიერი მიწისძვრები შედარებით იშვიათია, მაგრამ შეიძლება მათ კატასტროფული შედეგები მოჰყვეს, როგორც ეს მოხდა მეზობელ სომხეთში სპიტაკის მიწისძვრის შედეგად, სადაც ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა სახლების მშენებლობისას ხარისხისა და სამშენებლო ნორმების უგულვებელყოფამ. ზოგ შემთხვევაში მეზობელი ქვეყნის ფარგლებში მომხდარი მძლავრი მიწისძვრა შეიძლება საქართველოს მოსახლეობისთვისაც იქცეს საფრთხედ, თუკი ამას მოჰყვება მეძამორის ბირთვული ელექტროსადგურის დაზიანება და შედეგად ფართომასშტაბიანი რადიაქტიური დაბინძურება. არანაკლებ სავალალო შეიძლება იყოს მასშტაბური მეწყერისა თუ ღვარცოფის შედეგებიც, რაც განსაკუთრებით მაღალი რისკის შემქმნელია, მაგალითად, ყვარლის მიმდებარე მდინარე დურუჯის ხეობის შემთხვევაში, რაც მის ზედა წელში ე.წ. სტრუქტურული ღვარცოფის მუქარას უკავშირდება. ანალოგიური მდგომარეობაა ზემო აჭარაშიც და ზოგიერთ სხვა მაღალმთიან რაიონში.

ხელქმნილი და ტექნოგენური კატასტროფები

ადამიანის სამეურნეო თუ სხვა საქმიანობა ხშირად საკმაოდ დიდ პრობლემებს ქმნის ადამიანის უსაფრთხოების მიმართ, ზოგჯერ უშუალოდ, და სხვა დროს კი ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის შედეგად (მაგ. ტყის

უკონტროლო გაჩეხვას მოჰყვება მეწყერი და ღვარცოფი, ხოლო სახლების აშენებას მეწყერ თუ ზვავსაშიშ ადგილას ადამიანის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება მოჰყვება (აჭარა, სვანეთი). ასევე, უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე მდინარეების რიყიდან ქვა-ხრეშის უკონტროლო ამოღება, რადგან საქართველოში (განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისგან) ეს საქმიანობა არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ხელქმნილ კატასტროფებს შეიძლება მიეკუთვნოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის (მაგ. კაშხლის, ნაგებობის, მაღაროს, ხიდის ანდა გზის) ნგრევა ტექნოლოგიური თუ ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, ასევე აფეთქება (მაგ. ასაფეთქებელი ნივთიერების, გაზის, ან ბენზინის საცავის), მასობრივი მოწამვლა/დაავადება ქიმიური/საწამლავი, თუ რადიაქტიური ნივთიერების, ან ბაქტერიული მასალის გაჟონვის შედეგად. მართალია, ჯერჯერობით წარსულში ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეული მასშტაბური კრიზისი ნაკლებად წარმოადგენდა პრობლემას, მაგრამ სამშენებლო სტანდარტების მოშლასა და ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის შესუსტებას მოსდევს შესაბამისი რისკების ზრდა. უსაფრთხოების ექსპერტების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ქალაქებში, და განსაკუთრებით თბილისში, უკონტროლო მიშენებები, რასაც თუნდაც საშუალო მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს.

ომის ფეთქებადი ნარჩენები

ომის ფეთქებადი ნარჩენები, განსაკუთრებით ნაღმები, საკმაოდ დიდ საშიშროებას უქმნის საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით მათ, ვინც კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობს. განსაკუთრებით ბევრი აუფეთქებელი ომის ნარჩენები გამოვლინდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, რადგან ნაღმებისა და აუფეთქებელი ჭურვების პარალელურად იქ დადგინდა კასეტური ყუმბარების გამოყენებაც, რაც ტოვებს მრავალ აუფეთქებელ მიკრო-ჭურვს (მხოლოდ 2008 წელს ამგვარ აფეთქებებს 35 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა). გარდა შემთხვევით ნაღმებსა და ჭურვებზე აფეთქების მაგალითებისა, რაც ხშირად მომხდარა მწყემსებსა და სხვა მომთაბარე ადამიანებთან მიმართებაში, არაერთგზის აღინიშნა აფეთქებები, რომელთა მსხვერპლიც ლითონის ჯართის შემგროვებელი ბავშვები გახდნენ (2009 წელს – გონიოში, 2010 წელს – კუკიის სასაფლაოზე თბილისში). აღსანიშნავია, რომ ხშირად აფეთქებებს, მათ შორის სამხედრო სწავლების მსვლელობაშიც დაშვებული შეცდომების შედეგად, სამხედრო პირებიც ეწირებიან, როგორც ეს, მაგალითად, 2011 წლის 11 იანვარს მოხდა კრწანისის პოლიგონზე.

მართალია, ომის ფეთქებადი ნარჩენების მოსპობაზე რამდენიმე სახელისუფლო უწყება და საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს (2010 წლის თებერვლიდან მოყოლებული 4000-მდე ომის ფეთქებადი ნარჩენი იქნა აღმოჩენილი და განადგურებული), რამაც შესამჩნევად შეამცირა უბედური შემთხვევების რიცხვი (2010 წელს სულ დაფიქსირდა 25 ხუთი აფეთქების შემთხვევა, ხოლო 2011-ში – 23), ნებისმიერ სამხედრო დაპირისპირებას შესაბამისი რისკების ზრდა მოჰყვება.

ჯანმრთელობითი უსაფრთხოება, ეპიდემიები

ადამიანთა ჯანმრთელობის საკითხი საკმაოდ ფართოა, მაგრამ ადამიანის უსაფრთხოების აქ გამოყენებული ინტერპრეტაციის ფარგლებში ძირითადად შევეხებით იმ სპეციფიურ საფრთხეებს, რაც ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით მაღალ რისკს შეიცავს – პირველ რიგში, ეს არის ეპიდემიები და პანდემიები (განსაკუთრებით ვირუსული), ან სწრაფად გავრცელებადი დაავადებები (ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, შიდსი). მართალია, ჯერჯერობით პანდემიების საფრთხესთან დაკავშირებული რამოდენიმე განგაში შედარებით იოლად დასრულდა საქართველოსთვის (მაგ., 2009 წლის H1N1 ე.წ. ღორის გრიპის პანდემია, ან 2003 წლიდან გავრცელებული H5N1 - ე.წ. ფრინველის გრიპის ეპიდემია). მაგრამ ეს არ გამორიცხავს მომავალში ახალი ეპიდემიების/პანდემიების საფრთხეს, ვირუსების სწრაფი მუტაციის უნარის, ასევე

ზოგიერთი ბაქტერიის რეზისტენტულობის განვითარების შედეგად (მაგ. ტუბერკულოზი).

უკვე აღინიშნა ზოგიერთი დაავადების სწრაფი გავრცელება, განსაკუთრებით საპატიმროებში – ეს არის პირველ რიგში ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტი, ასევე შიდსი. თუ ტუბერკულოზი განსაკუთრებით გავრცელებულია პატიმრებს შორის, შიდსის მაღალი ავადობა შეინიშნება დევნილების პოპულაციაში, სადაც ის დაახლოებით ორჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. 2012 წლის 15 თებერვლის მონაცემებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 3163 შემთხვევა. ბოლო წლის განმავლობაში შიდსი განუვითარდა 385 პაციენტს, 105 გარდაიცვალა. გამორჩეულად მაღალია ავადობა თბილისში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში, თუმცა ზოგადადად სტატისტიკა არც ისე ცუდია მსოფლიო მასშტაბით. ასევე, შიდსის ცენტრის 2008 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, საქართველოში C ჰეპატიტი გამოკვლეულთა 6.7%-ს დაუდგინდა (ეს მსოფლიოში ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება), ხოლო ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების 68%-ს ჰეპატიტი აქვს.

განსაკუთრებით საგანგაშოა მსოფლიოში პრაქტიკულად უკურნებელი ტუბერკულოზის ჩხირის გაჩენის შემთხვევები (2007 წლიდან დაფიქსირდა იტალიაში, ირანსა და ინდოეთში), რაც გავრცელების შემთხვევაში სიკვდილიანობის სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის დაავადებულებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბაქტერიების რეზისტენტულობა ძირითადად არასწორი მკურნალობის შედეგია. ამდენად, რისკს განსაკუთრებით ზრდის, ერთი მხრივ, სანიტარული ნორმების დარღვევა და მეორე მხრივ, ჯანდაცვის სისტემის ხარვეზები, პირველ რიგში, ექიმთა არასაკმარისი კვალიფიკაცია.

საწარმოო ტრავმა და სიკვდილიანობა

ადამიანის უსაფრთხოების მიმართ მეტად მნიშვნელოვან მუქარას წარმოადგენს საწარმოო ტრავმა თუ ჯანმრთელობის სხვა დაზიანება, ზოგჯერ კი სიკვდილი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ რისკი გარდუვალია და სამსახურებრივი მოვალეობის ნაწილს შეადგენს, ხშირია შემთხვევა, როცა მუშაკი უსაფრთხოების მოთხოვნებსა და უფლებებს უგულვებელყოფს. ამის ერთ-ერთი ამსახველი ტენდენციაა საწარმოო ტრავმების მომრავლება, რაც ხშირად პერსონალის უსაფრთხოების სტანდარტებით გათვალისწინებული ტექნიკური დამცავების გარეშე მუშაობით, სამუშაო საათების სტანდარტულზე მეტად გაზრდით და უსაფრთხოების საკითხებისადმი ადმინისტრაციის უყურადღებობით არის გამოწვეული. ასე მაგალითად, ხშირია საწარმოო ტრავმა და სიკვდილიანობა მაღაროელთა შორის. ასე, ტყიბულის მხოლოდ ერთ, მინდელის სახელობის მაღაროში, 2011 წლის შემოდგომით ორი უბედური შემთხვევა მოხდა – 9 სექტემბერს დაიღუპა ერთი მაღაროელი, ხოლო 6 ნოემბერს კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა, რომელმაც ორი მაღაროელი იმსხვერპლა. ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების (მაგ. ადამიანის უფლებათა ცენტრი) და პროფკავშირების ცნობით, ხშირია საწარმოო ტრავმა და მოწამლვა რუსთავის ორ დიდ საწარმოში – „ჯეოსტილში“ და „აზოტში“, ასევე ჭიათურისა და ზესტაფონის საწარმოებში, თუმცა შესაბამისი ინფორმაცია ძნელად მოსაპოვებელია. შესაბამისად, საწარმოო ტრავმისა და სიკვდილიანობის ამსახველი ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ხშირია ფაქტების დამალვის შემთხვევები. მოვლენის მასშტაბზე მიგვანიშნებს საქართველოს პროფესიული კავშირებიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯგუფური სასიკვდილო უბედური შემთხვევების რაოდენობა 2009 წელს 2 ერთეულს შეადგენდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 21-მდე გაიზარდა. 2010 წელს სამსახურებრივი ტრავმების შედეგად 81 ადამიანი გარდაიცვალა, მძიმედ დაშავდა – 168.

ქართული კანონმდებლობით, კერძოდ, შრომის კოდექსის 35-ე მუხლით (უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება), დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო, ასევე მისაღებ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს

სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯამრთელობაზე საზიანოდ მოქმედი ყველა გარემოების შესახებ. ამავდროულად, ქვეყანაში არ არსებობს ეფექტური სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურა, რომელიც საწარმოებში აღნიშნული კუთხით არსებულ სიტუაციას შეისწავლის და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სანქციებს დააწესებს, ხოლო არსებული შრომითი კანონმდებლობა ძირითადად დამქირავებლის უფლებებს იცავს. სხვა ინსტიტუციური დამცავი მექანიზმები (მაგ. პროფკავშირები) სუსტია და შრომის დაცვის ფუნქციას ვერ ახორციელებს. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის და რე-ინდუსტრიალიზაციის შემთხვევაში საწარმოო ტრავმის სიხშირე მრავალგზის გაიზრდება, თუკი არ ამოქმედდა ეფექტური დამცავი მექანიზმები.

სატრანსპორტო ავარიები

საგზაო და სატრანსპორტო ავარიები სიკვდილიანობის, ასევე ინვალიდობისა და ქრონიკული დაავადების ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზია. ოფიციალური სტატისტიკით, 2009 წელს სულ საქართველოში აღრიცხული იყო 5482 ავტოსაგზაო შემთხვევა. ავარიის დროს გარდაიცვალა 741 ადამიანი, ხოლო 8324-მა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო. 2010 წლიდან ძალაში შევიდა გამკაცრებული ჯარიმები, მათ შორის ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევებზე. ამის მიუხედავად, სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი კვლავ ძალიან მაღალია: მხოლოდ 2011 წლის იანვარ-სექტემბრში 3,277 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა იქნა რეგისტრირებული, რომლის დროსაც დაიღუპა – 391, დაშავდა – 4,917 ადამიანი. საგზაო და სატრანსპორტო ავარიების მიზეზების აღწერისას, ექსპერტები რამდენიმე ფაქტორს გამოყოფენ: ალკოჰოლური სასმელის ეფექტი, ფეხით მოსიარულეთა მხრიდან ქუჩის გადაკვეთის წესების დარღვევა და გზების მდგომარეობა, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში.

სასურსათო უსაფრთხოება

ადამიანის უსაფრთხოებაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს, რაც უკავშირდება ხარისხიანი საკვების უკმარისობას და საკვებით მოწამვლის საფრთხეს. ჩვეულებრივ,

ჯონ კენედი (1917-1963)
აშშ-ს 35-ე პრეზიდენტი 1961-1963 წლებში

"დემოკრატიაში ერთი ამომრჩევლის იგნორირებაც კი დაასუსტებს ყველა სხვა ამომრჩევლის უსაფრთხოებას"

სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ სწორედ საკვების უკმარისობა იგულისხმება. უკიდურესი სიღარიბის მაღალი დონისა და, შესაბამისად, ბევრისთვის უხარისხო საკვებით თავის გატანის მიუხედავად, საქართველოში მასობრივი შიმშილი ნაკლებად სავარაუდოა. სამაგიეროდ, საკვების ხარისხის სტანდარტების შესუსტებისა თუ გაუქმების შედეგად, გახშირებულია საკვებით ქიმიური თუ ბაქტერიული მოწამლვა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სტატისტიკა არცთუ ადვილი მოსაპოვებელია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რომელიც საკვების უსაფრთხოების ამაღლების პროექტს ახორციელებს საქართველოში, ასაბუთებს საკვების სტანდარტების დანერგვის საჭიროებას მრავალგზის გაზრდილი კვებითი მოწამლვის სიხშირით: მისი მონაცემებით, თუ 2004 წელს საკვებით ბაქტერიული მოწამლვის 408 შემთხვევა დაფიქსირდა, 2007 წელს ის უკვე 2035 შემთხვევას ითვლის, და ტენდენცია მზარდია. სულ ახლახანს, თებერვლის ბოლოს, 11 კაცი მოიწამლა შაურმით, რომელიც მიირთვეს ქ. თბილისის ლესელიძის ქუჩაზე მდებარე კვების წერტილში. ამერიკელი ექსპერტის ელისაბედ დანის 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში ბოტულიზმით მოწამლვის სიხშირე მსოფლიოში ყველაზე მაღალია, და 90-ჯერ ჭარბობს აშშ-ის მონაცემებს. გასაგებია, რომ საკვების უსაფრთხოების საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების შემოღება არა არის ადვილი ღარიბი ქვეყნისთვის, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სიტუაცია კონტროლს და რეგულირებას მოითხოვს.

წამყვანი რისკფაქტორები და მაღალი რისკის ჯგუფები

საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა უსაფრთხოებაზე მრავალი მეორადი ფაქტორი მოქმედებს, რაც ამძაფრებს ან ამცირებს შესაბამის რისკებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამგვარი ფაქტორი არის საქართველოს გეოპოლიტიკური გარემოცვა და მისი ცვლილებები, რაც პირველ რიგში უკავშირდება რუსეთსა და ირანში მიმდინარე მოვლენებს და ამ ქვეყნების ურთიერთობას დანარჩენ სამყაროსთან. ამასთან ახლოს არის სასაზღვრო პრობლემებიც, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია რუსეთის ჩრდილო კავკასიის მზარდ დესტაბილიზაციასთან, და რაღა თქმა უნდა, კონფლიქტების მოუგვარებლობა;

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის თვით საქართველოში ფუნქციონირებადი ზოგი სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტის განუვითარებლობა და სისუსტე, განსაკუთრებით – სამოქალაო უსაფრთხოების და სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების სფეროში, სამოქალაქო კონტროლის სისუსტე სამართალდამცავ და სამხედრო უწყებებზე, ასევე პენიტენციურ სისტემის მიმართ, და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების არასაკმარისი განვითარება;

განსაკუთრებული შეშფოთების საგანია საქართველოში ფართოდ გავრცელებული სიღარიბე და მაღალი უმუშევრობა, ასევე მდიდრებსა და ღარიბებს შორის მზარდი შემოსავლების ღრეჭო, რასაც თავის მხრივ მრავალი ნეგატიური მოვლენა თანსდევს – არაჯანსაღი ცხოვრების წესი, ადიქციები (ალკოჰოლი, ნარკომანია), ემიგრაცია, და ბევრი სხვა. თავის მხრივ, სიღარიბე დაკავშირებულია ეკონომიკური სისტემის და წარმოების არაეფექტურობასთან, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, სადაც მოსახლეობის ნახევარია ჩართული, რაც ბევრია თანამედროვე სახელმწიფოსთვის და საბაზრო ეკონომიკისთვის. ეკონომიკის მოსალოდნელი და უაღრესად საჭირო მოდერნიზაცია კი, თავის მხრივ გამოიწვევს მრავალ სოციალურ პრობლემას, თუ ეს წინასწარ სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული – სწრაფ ურბანიზაციას, მოსახლეობის ნაწილის ლუმპენიზაციას, კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას და საშიშ სოციალურ დაძაბულობებს;

ეკონომიკური არაეფექტურობა და მრავალი წარმოებისა თუ მთელი დარგის დახურვა, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების დაუბალანსებელი და არაეფექტური სტრუქტურა, იწვევს ასევე შრომითი რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის დეგრადაციას და ეროზიას (ინჟინრების, ექიმების, და ა.შ.),

კვალიფიციური კადრების ქვეყნიდან გადინებას, ან უმუშევრობას;

ადამიანთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე მეტად უარყოფითად მოქმედებს ჯანდაცვის სისტემის არსებული ნაკლოვანებები, არაადეკვატურად მაღალი ფასები ფარმაცევტულ პროდუქციაზე, გარემოსდაცვითი, სანიტარული, სამშენებლო, საწარმოო და კვებითი ნორმების არაადეკვატურობა ან უკონტროლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის არაეფექტურობა.

ამგვარ სიტუაციაში მრავალი ადამიანის ცხოვრების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად გულისხმობს ადამიანის უსაფრთხოების დაუცველობასაც. შეიძლება გამოიყოს მაღალი რისკის ჯგუფები:

- კონფლიქტური რეგიონების მაცხოვრებლები;
- სასაზღვრო და „ბუფერული ზონების“ მაცხოვრებლები;
- სამხედრო და სამართალდამცავი ნაწილების თანამშრომლები;
- შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები და ქრონიკულად დაავადებულნი;
- უკიდურესად ღარიბები, უსახლკარონი;
- დევნილები და ლტოლვილები;
- ბავშვთა დაწესებულებებიდან განთავისუფლებული მოზარდები;
- ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, უპირველესად – ბოშები;
- მრავალშვილიანი მარტოხელა დედები;
- არალეგალური მიგრანტები და ტრეფიკინგის მსხვერპლნი, მათ შორის სხვა ქვეყნებიდან საქართველოში მოხვედრილნი, ან საქართველოს მოქალაქეები სხვა ქვეყნებში;
- ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების მაღალი რისკის ზონების მაცხოვრებელნი.

პირველი რიგის ამოცანები – რეკომენდაციები

ადამიანის უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი მეტად რთული და მრავალგანზომილებიანი თემაა. ეს განსაკუთრებით რთულია ქვეყანაში, სადაც ამდენი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემა არსებობს გარე და შიდა მუქარებთან ერთად. ქვემოთ მოკლედ ჩამოთვლილია რამდენიმე პირველი რიგის ამოცანა (პოლიტიკური ამოცანების გარდა, რაც ამ დოკუმენტის ფორმატს სცილდება), რომელთა მიღწევა, მართალია, არ იქნება საკმარისი ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაგრამ მნიშვნელოვანწილად შეამცირებს შესაბამის რისკებს.

- საჭიროა შემუშავდეს რისკების შეფასების და ადრეული შეტყობინების ეფექტური სისტემის შექმნა/ ამოქმედება, მათ შორის სამხედრო ინტერვენციის რისკის შეფასება და პრევენციის ზომების მიღება. შემუშავების პროცესში მყოფი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ზედმეტად ფართოა და კონკრეტიკა აკლია, ან მოითხოვს დეტალური და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შექმნას და პრიორიტეტების იერარქიზაციას;
- შემდგომ განვითარებას საჭიროებს საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა, რომელიც აჯობებს, რომ დამოუკიდებელი უწყების სტატუსით არსებობდეს; ასევე შესაქმნელია ეფექტური სამოქალაქო თავდაცვის სისტემა, რისთვისაც შესაძლოა გამოყენებული იქნას ალტერნატიული სამსახურისა და ეროვნული გვარდიის განახლებული კონცეფცია;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების

ინფორმირებულობას კატასტროფების მართვის სფეროში, განათლების სისტემაში და კურიკულუმებში შესაბამისი ინფორმაციის და უნარების განვითარების ჩართვას;

- საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი და რეგულარულად განახლებადი სტრატეგიის შემუშავება, სადაც მკაფიოდ და დასაბუთებულად განისაზღვრება განვითარების პრიორიტეტები და ქმედებათა თანამიმდევრობა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდება ადამიანის უსაფრთხოების შესაძლო რისკების სრულფასოვნად შეფასება;

- აუცილებელია სასამართლო რეფორმა, სასამართლოების დამოუკიდებლობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ასევე აუცილებელია პენიტენციური რეფორმა, პატიმართა რიცხვის მკვეთრი შემცირება, სამხედრო და სამართალდამცავ უწყებებზე სამოქალაქო ზედამხედველობის დაწესება;

- საჭიროა გარემოსდაცვითი, სანიტარული, სამშენებლო, საწარმოო და კვებითი ნორმების გადახედვა/სრულყოფა და დანერგვა/გაკონტროლება, ასევე შრომის დაცვის კანონმდებლობისა და მექანიზმების სრულყოფა და ჰუმანიზაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- საჭიროა უკიდურესად ღარიბი, უსახლკარო, შეზღუდული შესაძლებლობების პირებისა და სხვა მოწყვლადი ადამიანების მხარდაჭერის სამსახურის შემდგომი განვითარება, რომლის ფუნქციები უნდა გასცდეს არსებულ დახმარების ფორმებს, პირველ რიგში სრულფასოვანი სოციალური მუშაკების ინსტიტუტის ჩამოყალიბების მეშვეობით; ასევე აუცილებელია ქმედითი დასაქმების სამსახურის და შრომითი უსაფრთხოების დაცვის სისტემის შექმნა.

რევაზ გაჩეჩილაძე

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების გამოწვევები

გამოკვლევის მიზანია გამოიკვეთოს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ის ტენდენციები და მოვლენები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოსთვის პოტენციურ საფრთხეებს წარმოადგენენ.

ისტორიული ექსკურსი: დამოუკიდებლობისწინა საქართველოს მოსახლეობა

საუკუნეების მანძილზე საქართველოს მოსახლეობა პერიოდულად კლებულობდა შიმშილის, ეპიდემიების, შემოსევების შედეგად. შუა საუკუნეებში მოსახლეობა სიღატაკის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის გამუდმებული საფრთხის პირობებში ცხოვრობდა. მაგრამ, იმის გამო, რომ შობადობა მაღალი იყო, მოსახლეობის აღდგენა შედარებით სწრაფად ხერხდებოდა.

საქართველოში, ისევე, როგორც შუა საუკუნეების მსოფლიოში, ქალებს მაღალი ნაყოფიერება ახასიათებდათ. მაგრამ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალიან დაბალი იყო: ანტისანიტარია და მოუვლელობა მშობიარობისას ქალის სიცოცხლეს უდიდეს რისკს უქმნიდა; ქალის შრომითი დატვირთვა არაადეკვატურად მძიმე იყო; მათ უარესი კვება ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. ხალხურ ზღაპრებში (არა მარტო ქართულში) ხშირად ნახსენები დედინაცვლები რეალობას ასახავდნენ: მამაკაცს დაქვრივების ბევრად მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე ქალს.

XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობას ზრდის მყარი ტენდენცია გაუჩნდა და ის, ხანმოკლე ჩავარდნების გარეშე (მსოფლიო ომებისა და ომისშემდგომ პერიოდებში), სულ ცოტა საუკუნენახევრის განმავლობაში გაგრძელდა, 1990-იანი წლების დამდეგამდე.

აკად. ვახტანგ ჯაოშვილის გამოთვლით, საქართველოს (1991 წლის საზღვრებში) მოსახლეობის რიცხოვნობა 1800-1865 წლებში წლიურად 0,91 პროცენტით მატულობდა, ხოლო 1865-1921 წლებში 1,23 პროცენტით. 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, ამ საზღვრებში 2,1 მილიონი ადამიანი აღირიცხა.

საბჭოთა პერიოდში, 1921 წლიდან 1960-იანი წლების ბოლომდე მოსახლეობის მატების ტემპი კიდევ უფრო მაღალი იყო - საშუალონწლიურად 1,4 პროცენტი, რაც გამოწვეული იყო სიკვდილიანობის სწრაფი დაცემით შობადობის თანდათანობითი შემცირების ფონზე. მომდევნო ათწლეულებში მოსახლეობის მატების ტემპმა დაიკლო, მაგრამ მოსახლეობის დინამიკის ტენდენცია მაინც აღმავალი იყო.

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მონაცემები

საქართველოს მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ასეთი იყო (ათასებში; ფრჩხილებში მითითებულია ეთნიკურად ქართული მოსახლეობის რიცხოვნობა): 1926 წელს - 2644 (1788), 1939 წელს - 3540 (2174), 1959 წელს - 4044 (2601), 1970 წელს - 4686 (3131), 1979 წელს - 4993 (3433).

მიუხედავად ეკონომიკური არაეფექტიანობისა, პირადი ინიციატივის, ეკონომიკური ნიჭისა და გაქანების უხეში შეზღუდვისა, სოციალიზმი გარკვეულ სოციალურ გარანტიას აძლევდა რიგით ადამიანს. საბჭოთა ხელისუფლებამ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ქართულ მოსახლეობას რაოდენობრივი ზრდისათვის. მოიმატა მისმა კულტურულ-საგანმანათლებლო დონემ. იგივე ითქმის თითქმის ყველა სხვა ერზე საბჭოთა კავშირში.

ქართული მოსახლეობის ზრდაზე ძალიან მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც ზემოქმედებდა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე ეთნიკური უმცირესობების ქართველებთან შერწყმის (ასიმილაციის) ბუნებრივი პროცესი. ასეთი რამ უფრო მეტად დამახასიათებელი იყო ოსებისა და სომხებისათვის, განსაკუთრებით თუ ისინი

ქართულ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდნენ, შედარებით ნაკლებად - სლავებისათვის. ასიმილაციურ პროცესებზე გავლენას ახდენდა კულტურულ-ცივილიზაციური სიახლოვე (კერძოდ, კულტურულ-რელიგიური იდენტობა ან რელიგიური კულტურების მსგავსება, თუნდაც საბჭოთა პერიოდში რელიგია დათრგუნულ მდგომარეობაში ყოფილიყო). რელიგიურად განსხვავებული აზერბაიჯანელებისა და ქურთების ქართველებთან შერწყმა პრაქტიკულად არ ხდებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ასიმილაციური პროცესები პრაქტიკულად შეწყდა.

ნაკლებად ხდებოდა ქართველების ასიმილაცია სხვა ეთნოსების მიერ: ეს ერთგვარი, თუმცა რაოდენობრივად უმნიშვნელო ტენდენცია იყო მხოლოდ აფხაზეთის ასსრ-ში. ორი-სამი თაობის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი რუსებთან ენობრივად ასიმილირდებოდა, მაგრამ ასეთი ქართველების რაოდენობაც მცირე იყო.

ქართული მოსახლეობის გადინება საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარეთ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, უმნიშვნელო რაოდენობით ხორციელდებოდა, ხოლო კავშირის გარეთ („საზღვარგარეთ") ემიგრაცია საერთოდ არ ხდებოდა. 1989 წელს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ძირითადად რსფსრ-ში, ცხოვრობდა ყველა ქართველის 5 პროცენტზე ნაკლები (ჯამში 200 ათასამდე). ქართველებს ლიტველებთან ერთად საბჭოთა ხალხებს შორის ყველაზე მაღალი „შინაყუდობის ინდექსი" («индекс домоседства») ჰქონდათ - 96-96 პროცენტი, რისი მიზეზიც ხელსაყრელი ეკონომიკური ვითარება იყო. დახურული საბჭოთა ბაზრისათვის საქართველოს სოფელი კონკურენციის გარეშე აწარმოებდა იმ დროს ძვირად ღირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (ჩაი, ციტრუსები, კონტინენტური ხილი, ბოსტნეული, ყურძენი). საქართველოს ქალაქებში არსებობდა სტაბილური ინდუსტრიული დასაქმებისა და სხვა რესპუბლიკებთან შედარებით კომფორტული ცხოვრების პირობები.

საქართველოს სსრ-ში ნელა, მაგრამ მატულობდა ქართველების ხვედრითი წილი: 1939 წელს ის შეადგენდა 61,4 პროცენტს, 1989 წელს კი 70,1 პროცენტს (29,9 პროცენტს ეთნიკური უმცირესობები შეადგენდნენ). 1950-იანი წლების შუაგულიდან სტაბილურად კლებულობდა სლავური მოსახლეობის ხვედრითი წონა და მათი აბსოლუტური რაოდენობაც. ანალოგიური ტენდენცია იყო სამხრეთ კავკასიის მეზობელ რესპუბლიკებში.

1989 წლის იანვარში, როდესაც ჩატარდა საბჭოთა პერიოდის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა, საქართველოში აღირიცხა 5,4 მილიონი ადამიანი (მათგან ქართველი - 3,787 მლნ). 1989 წელი იყო დემოგრაფიული სტაბილურობის უკანასკნელი წელი საქართველოში, მაშინ როცა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში - სომხეთსა და აზერბაიჯანში, უკვე დაწყებული იყო ტერიტორიულ დავასთან დაკავშირებული დემოგრაფიული ძვრები. 1989 წლის დასაწყისისათვის სომხეთის სსრ-ის მთელი აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელიც იქამდე 160 ათასს ითვლიდა, განიდევნა აზერბაიჯანის სსრ-ში და ჩვენმა მეზობელმა სომხეთმა „ეთნიკურ სიწმინდეს" მიაღწია. მომდევნო ორი წლის განმავლობაში უკვე აზერბაიჯანიდან გაიდევნა მთელი სომხური მოსახლეობა, რომელიც ძირითადად რუსეთის ფედერაციაში წავიდა.

მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები დამოუკიდებელ საქართველოში

მიმდინარე სტატისტიკა გვაწვდის მონაცემს, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1989 წლის შემდეგ კიდევ ერთხანს აგრძელებდა ზრდას და 1992 წლის დამდეგს მიაღწია **5,467 მილიონს.** როგორც ჩანს, ეს არის მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ერთდროულად ყოფილა, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ „ტერიტორიის ტევადობის" მაქსიმუმია მიღწეული: არის ქვეყნები, სადაც უფრო ნაკლებ ფართობზეც კი სამ-ოთხჯერ მეტი მოსახლეობა ცხოვრობს.

1992 წლიდან მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა შეჩერდა და იგი კლებამ შეცვალა.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში თითქოს მიღწეულია სტაბილიზაცია (როგორც ჩანს, დროებითი) 4,4 მილიონის ირგვლივ.

დამოუკიდებელ საქართველოში მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2002 წლის 17 იანვარს.

1989 წელთან შედარებით 2002 წლისათვის **საქართველოს მოსახლეობა 5,401 მილიონიდან 4,371 მილიონამდე შემცირებული აღმოჩნდა.** ეს მონაცემები **მუდმივ მოსახლეობას** ასახავს, ანუ რაც არის ადამიანთა

ის ერთობლიობა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს (რეგისტრირებულია) მოცემულ ადგილზე. მისი ნაწილი, შესაძლოა, საქართველოში დიდხანს არ იმყოფებოდეს. **ფაქტობრივი** (ადგილზე მყოფი) მოსახლეობის რიცხოვნობა იმავე პერიოდში 5,443 მილიონიდან 4,356 მილიონამდე შემცირებულა. პროფ გ.წულაძისა და ნ. მაღლაფერიძის ექსპერტული შეფასებით, 2001 წლის დასაწყისისთვის საქართველოს ფაქტობრივი მოსახლეობა სულ 4,034 მილიონს შეადგენდა. იმის მიუხედავად, რომ 2002 წლის მონაცემებმა ეს მაჩვენებელი ოფიციალურად არ დაადასტურეს, რეალური სიტუაცია, სავარაუდოდ, უფრო ახლოსაა დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებასთან.

გასათვალისწინებელია, რომ აღწერების მონაცემები არ ეხება ერთსა და იმავე ტერიტორიას. რეალური ვითარებიდან გამომდინარე, 2002 წლის აღწერა ვერ ჩატარდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლგარეშე დარჩენილ ტერიტორიებზე: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღწერამ მოიცვა მხოლოდ კოდორის ხეობა 1956 მცხოვრებით; ყოფილი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიის მეტ ნაწილზე აღიწერა მხოლოდ ცხინვალისა და ზნაურის ყოფილი რაიონების ქართული ან შერეული სოფლები (ისინი, შესაბამისად, გორისა და ქარელის რაიონებში ითვლებოდნენ), და ახალგორის რაიონის მოსახლეობა - 7650 მცხოვრები. როგორც ცნობილია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლების მოსახლეობა ოსების სამხედრო შენაერთებმა, რუსული არმიის წაყრუებით, განდევნეს და მათი ნასოფლარები მიწასთან გაასწორეს.

სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ყველა ტერიტორიაზე XXI საუკუნის დამდეგს შეფასებით ცხოვრობდა 230 ათასამდე ადამიანი. საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ("1991 წლის") საზღვრებში 2002 წელს 4,6 მილიონი ადამიანი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რაც 1,2 მილიონით ნაკლებია 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით.

საქართველომ 1989-2002 წლებში დაკარგა (ან ვერ მიიღო) 1,5 მილიონამდე ადამიანი, უპირველესად **უარყოფითი მიგრაციული ბალანსის** და, აგრეთვე, ბუნებრივი მატების შემცირების გამო (XX საუკუნის ბოლო დეკადის ცალკეულ წლებში აბსოლუტური კლებაც კი გვქონდა).

1989-2002 წლებში მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე ემიგრაციასთან ერთად იმოქმედა **პოტენციური ბუნებრივი ნამატის დიდი ნაწილის დაკარგვამ**.

ბუნებრივ ნამატს 1990-1999 წლებში დაახლოებით 400 ათასი ადამიანი შეეძლო შეედგინა, რეალურად კი ის 128 ათასი იყო. შედარებისათვის: 1979-1989 წლებში მოსახლეობის ჯამური ბუნებრივი ნამატი იყო 433 ათასი.

ვაცლავ ჰაველი (1936-2011)
ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
1993-2003 წლებში

"დემოკრატია თითქმის გადაუჭყვეტელ პრობლემებს აყენებს იმათ წინაშე, ვინც მას სერიოზულად ეპყრობა, ხოლო თითქმის უსაზღვრო შესაძლებლობებს უხსნის მათ, ვინც მას ვერ იცანს"

თბილისში 1989 წელს 1,263 მილიონი ადამიანი აღირიცხა, 13 წლის შემდეგ კი სულ 1,084 მილიონი. თბილისიდან წასული მოსახლეობის ადგილი შეავსეს აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალმა პირებმა (ლტოლვილებმა), აგრეთვე მიგრანტებმა საქართველოს მცირე ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც დასაქმება ძალიან გაჭირდა. ამან მკვეთრად შეცვალა დედაქალაქის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული სტრუქტურა. ლტოლვილების საგრძნობი ნაწილი იძულებული გახდა წვრილ ვაჭრობაში ჩაბმულიყო და ისინი ქალაქის ქუჩების ყველაზე თვალსაჩინო ელემენტს წარმოადგენდნენ 2010 წლის აგვისტომდე, როცა გარევაჭრობა აიკრძალა.

გარე მიგრაციების შედეგები

მოსახლეობის კლების ძირითადი მიზეზი გახდა XX საუკუნის ბოლო დეკადაში საქართველოდან **მასობრივი ემიგრაცია**, რაც უპირველესად გამოიწვია მკვეთრად გაუარესებულმა ეკონომიკურმა პირობებმა და, აგრეთვე, 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ: იგულისხმება როგორც საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მიერ აღქმული საფრთხე, ისე სამოქალაქო ომები, მათ შორის აფხაზეთში, რის გამოც იქიდან მრავალი ლტოლვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდა (მაგალითად, 2002 წელს რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერამ იქ 11366 ეთნიკური აფხაზი დააფიქსირა, თითქმის ყველა ქალაქში მცხოვრები, ანუ, სავარაუდოდ - ლტოლვილი, მაშინ, როცა საბჭოთა პერიოდში რსფსრ-ში თითო-ოროლა აფხაზი იყო. აფხაზეთიდან ბევრად მეტი ქართველი გავიდა, მაგრამ მათ შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს).

1990 წელს საქართველოს ხელმძღვანელობაში მოსული ეროვნული ძალებისა და მათი ლიდერის ზეპატრიოტული რიტორიკა და პრაქტიკული ქმედება შიშის გრძნობას ბადებდა ეთნიკურ უმცირესობათა შორის. მართალია, მათი უფრო დიდი რაოდენობა საქართველოდან გავიდა 1992 წელს და არა 1991-ში, მაგრამ ემიგრაციული განწყობის შექმნასა და საკუთრივ ემიგრაციას შორის (თუ ეს დაუყოვნებელი გაქცევა არაა, რაც ეთნიკურ წმენდას მოსდევს ხოლმე თან) საკმაო დრო გადის ხოლმე: საჭირო ხდება ქონების გაყიდვა, სხვაგან საცხოვრებლის შოვნა, დასაქმების გარანტიის მოპოვება და ა.შ.

განსაკუთრებული ინტენსიობით **ეთნიკური უმცირესობების ემიგრაცია** ხასიათდებოდა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. ებრაელები ისრაელში წავიდნენ; ბერძნები - საბერძნეთში; სლავები (რუსები, უკრაინელები და ბელორუსები), აგრეთვე სომხებისა და ქურთების ნაწილი - ძირითადად რუსეთის ფედერაციაში; აზერბაიჯანელების მცირე ნაწილი - აზერბაიჯანში გადასახლდა.

1990-იანი წლებიდან მკვეთრად იმატა **ქართველების გაფანტულობამ** (ბერძნულად - დიასპორამ), რისი მიზეზიცაა ეთნიკური ქართული მოსახლეობის ძალიან ინტენსიური ემიგრაცია.

2002 წელს რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ იქ ცხოვრობდა 199 ათასი ქართველი. 2010 წლის რუსეთის მოსახლეობის აღწერის მასალები გამოქვეყნდება მხოლოდ 2012 წლის 30 ივნისს. უკვე ცნობილია, რომ 2010 წელს რუსეთში აღირიცხა 12 ათასი საქართველოს მოქალაქე, ანუ იქ მცხოვრებმა დანარჩენმა ქართველებმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს. რუსეთში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები დიდ ეჭვს ბადებს: **აღწერა ვერ გვიჩვენებს ქართველების რეალურ რიცხოვნობას რუსეთში.** როგორც ჩანს, 2002 წლის აღწერის დროს ბევრმა ქართველმა დაფარა თავისი ეროვნება ანტიქართული პოლიტიკის შიშით, ნაწილმა - საერთოდ აარიდა თავი აღწერას, რადგან რუსეთში არალეგალურად ცხოვრობდა. 500-600 ათასი ეთნიკური ქართველის რუსეთში ყოფნა სტატისტიკურად დასაშვები ვარაუდია.

სანამ 2000 წელს რუსეთი სავიზო რეჟიმს შემოიღებდა საქართველოსთან, ის ემიგრაციის ძირითადი მიმართულება იყო. უვიზო ურთიერთობის პირობებში რუსეთში ემიგრაცია შედარებით მარტივი იყო და იქ წასული ქართველები ძირითადად **დროებით შრომით მიგრანტებად** მიიჩნევდნენ თავს. ბევრი მათგანი, ასე ვთქვათ, ორ სახელმწიფოში ცხოვრობდა: ხან საქართველოში იყო, ხან რუსეთში. სავიზო რეჟიმმა ასეთი შესაძლებლობა, პრაქტიკულად, მოსპო. ამიტომაც რუსეთში მყოფი ქართველობა ძირითადად ჩარჩა იქ და მათი მეორე-მესამე თაობის ასიმილაცია სავსებით მოსალოდნელი პროცესია.

ქართველების ემიგრაცია ხდებოდა აგრეთვე უკრაინაში, საბერძნეთში, გერმანიაში, თურქეთში, ესპანეთში, შეერთებულ შტატებში და სხვაგან, სადაც ისინი დასაქმებასა და ნორმალურ შემოსავალს ეძებდნენ. სამწუხაროდ, მათ რიცხვშია არცთუ მცირე რაოდენობის კრიმინალური ელემენტიც, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქართველობის იმიჯზე საზღვარგარეთ.

სულ **საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, მილიონამდე ქართველია წასული**. ზუსტი რიცხვის განსაზღვრა ძნელია. მხოლოდ მიახლოებითი შეფასებით ადგენენ, თუ რა რაოდენობისაა ქართული დიასპორა სხვადასხვა ქვეყანაში. წასულთა საგრძნობი ნაწილი მიიჩნევს, რომ დროებით იმყოფება საზღვარგარეთ და უკან დაბრუნებას გეგმავს, მაგრამ რეალურად ვერ ახერხებს ამას.

საზღვარგარეთ ჯერაც მიდის ყველაზე განათლებული, ჯანმრთელი, ფერტილურ (ნაყოფიერ) ასაკში მყოფი მოსახლეობა, რომელიც თავის ქვეყანაში ვერ ნახულობს შესაფერის სამუშაოს და ადეკვატურ ანაზღაურებას. ემიგრაციის პროცესი ავტომატურად ამცირებს შობადობას, ზრდის დაბერებული მოსახლეობის პროცენტს.

ვიდრე ემიგრანტს ოჯახი საქართველოში ჰყავს სარჩენი, ის სამშობლოსთან ეკონომიკურ კავშირს მაინც ინარჩუნებს. მაგრამ საზღვარგარეთ დაბადებულ მის შვილებს, თუნდაც ორივე მშობელი ქართველი ჰყავდეთ და მითუმეტეს, თუ ისინი ეთნიკურად შერეულ ოჯახში აღიზარდნენ, საქართველოსთან კავშირი უსუსტდებათ. **ემიგრანტების მომდევნო თაობები ქართველობისათვის შეიძლება დაიკარგონ**.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში **იმიგრაცია** ჯამში ნაკლები იყო, ვიდრე **ემიგრაცია** საქართველოდან.

თუ არ ჩავთვლით რეპატრიანტებს (ანუ უკან დაბრუნებულ საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს), იმ უცხოელთა შორის, რომლებიც საქართველოში მკვიდრდებიან, შეფასების თანახმად, გამოირჩევიან სომხები (ზღვისპირა აჭარაში, აფხაზეთში) და თურქები (თბილისში, აჭარაში). ყვითელი პრესის მიერ გავრცელებული ჭორი, რომ "საქართველო ჩინელებით და/ან ზანგებით აივსო", სიმართლეს არ შეეფერება.

არსებული დემოგრაფიული ვითარება

თანამედროვე ვითარებასთან შესადარებლად ზუსტ მონაცემებს მოგვცემდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც დაგეგმილი იყო 2010 წლისათვის, მაგრამ მისი ჩატარება გადაიდო გაურკვეველი მიზეზებით. ფინანსების სიმცირის საბაბი არადამაჯერებელი ჩანს. უფრო მოსალოდნელია, რომ აღწერის გადადება განაპირობა შიდაპოლიტიკურმა ფაქტორმა: არჩევნების დროს "ადმინისტრაციული რესურსის" გამოყენება უფრო ადვილია ისეთ პირობებში, როდესაც პოლიტიკური პარტიებისა და დამკვირვებლებისათვის უცნობია მოსახლეობისა და ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა.

მოსახლეობის აღწერა საქართველოში არ ჩატარდება არც 2012 წელს, მაშინ როცა ყველა მეზობელ ქვეყანაში აღწერა 2010-2011 წლებში უკვე ჩატარდა.

ბოლო წლების მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ, მხოლოდ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ყოველწლიური შეფასება.

ამ მონაცემებით 2005 წელს საქართველოს მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 4322 ათასს, 2011 წელს კი – 4469 ათას ადამიანს (ზრდა 113 ათასია).

საქსტატის მონაცემებით, 2005-2010 წლებში **საქართველოს მოსახლეობა** ძალიან მცირედ, მაგრამ **მატულობდა** - წლიურად 1,3-3,8 პრომილეთი (ანუ 0,13-0,38 პროცენტით). ფორმალურად ქვეყანაში დეპოპულაცია არ ხდებოდა. შობადობა მერყეობდა 10,7-14,4 პრომილეს შორის, ხოლო სიკვდილიანობა - 9,3-10,7 პრომილეს შორის, ანუ შობადობა სიკვდილიანობას აჭარბებდა.

ყველაზე დიდი **აბსოლუტური ბუნებრივი ნამატი** - 16752 ადამიანი - აღინიშნა 2009 წელს, რაც გარკვეულად შეიძლება დავუკავშიროთ 2008 წლის ომს: ცნობილია, რომ ყველა ომს ჩვეულებრივ მოჰყვება ხოლმე გაზრდილი შობადობა (1940-იანი წლების მეორე ნახევრის აშშ-ში ამას "baby boom" უწოდეს). 2010 წელს იმავე მაჩვენებელმა 14721 ადამიანი შეადგინა.

შესაძლოა, ბოლო წლებში ქართული მოსახლეობის შობადობის მაჩვენებელზე პოზიტიურად იმოქმედა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდებებმა და მისმა კეთილმა ნებამ, მონათლოს მართლმადიდებელთა ოჯახის მესამე და მომდევნო შვილები. ეს დემოგრაფიული პოლიტიკის ნაირსახეობაა. მის შორსმიმავალ შედეგებზე შეგვეძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გვექნება უფრო ხანგრძლივი დინამიკის მაჩვენებლები.

ამავე დროს, ბუნებრივ ნამატსა და კლებას დიდი გეოგრაფიული განსხვავებულობა ახასიათებთ. პროფ. ანზორ თოთაძის გამოთვლით, 2000-2009 წლებში **აბსოლუ-**

ტურმა ბუნებრივმა კლებამ შეადგინა: კახეთში - 9752 ადამიანი, იმერეთში - 8282, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 4154, გურიაში - 3448, მცხეთა-მთიანეთში - 1735. განსაკუთრებით საგანგაშოა ეს მაჩვენებლები მთიან, ისედაც ხალხმცირე რეგიონებში.

კლება იმავე პერიოდში გადაიფარა **აბსოლუტური ბუნებრივი მატებით** თბილისში (+29057), აჭარაში (+21296), ქვემო ქართლში (+18426), შიდა ქართლში (+5543), სამცხე-ჯავახეთსა (+5456) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (+1177). მართალია, დედაქალაქსა და ხუთ სხვა რეგიონში XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მოსახლეობამ იმატა, მაგრამ ეს ნამატი მკვეთრად ნაკლები იყო 1980-1989 წლების მონაცემებთან შედარებით: ასე მაგალითად, სამეგრელოში 1980-89 წლებში ჯამურმა ბუნებრივმა ნამატმა 30 ათასი ადამიანი შეადგინა, ანუ ის თითქმის 30-ჯერ მეტი იყო XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ნამატთან (1200-მდე ადამიანი) შედარებით.

ბოლო წლების სტატისტიკური მაჩვენებლების რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, **მოსახლეობის კლების საფრთხე არ გამქრალა**.

ჩვენი პრობლემები უფრო მკაფიოდ ჩანს მეზობელ სახელმწიფოებთან რამდენიმე მაჩვენებლის შედარებისას.

ცხრილში მონაცემები მოტანილია 2011 წლის ივლისის მდგომარეობით.

ცხრილი ეყრდნობა აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს (CIA World Factbook, 2011). მათ ერთნაირი მეთოდიკით ამუშავებენ და ასწორებენ ეროვნული სტატისტიკური სამსახურების შეცდომებს ან შეგნებულ გადახრებს. საქართველოს მოსახლეობა სეპარატისტულ რეგიონებთან ერთადაა გამოთვლილი.

ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ **საქართველოს თავის მეზობლებთან შედარებით ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვს.** განსხვავებით საქსტატის მონაცემებისაგან, CIA მოსახლეობის კლებას უთითებს. მაგრამ საქსტატის მიერ მოცემული ზრდის მაჩვენებელიც კი ნაკლები იქნებოდა მეზობელ ქვეყნებისაზე. ჩვენთან მცირეა ახალგაზრდა ასაკის ადამიანების წილი და ძალიან მაღალია ხნიერი ხალხის წილი. ეს **დაბერების ტენდენციაზე მიუთითებს.** ამას მედიანური ასაკიც აჩვენებს. მოსახლეობის მარტივი აღწარმოება უზრუნველყოფილია, თუ ფერტილურობის კოეფიციენტი 2,1-ს შეადგენს. მაგრამ საქართველოსა და სომხეთში ის ბევრად დაბალია.

ცხრილში არ შეგვიტანია რუსეთის მაჩვენებლები: ეს ქვეყანა მეტისმეტად მრავალფეროვანია და მასთან შედარება არაფრისმომტანია. მაშინ, როცა რუსეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობა მცირდება, საქართველოს მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, მოსახლეობის მატების ტემპი მაღალია - დაახლოებით 1,5 პროცენტი წლიურად, რაც საქართველოს მაჩვენებელს ერთიათად აღემატება.

ცხრილი

სახელმწიფო	მოსახლეობის რიცხოვნობა (მლნ)	წლიური მატება (%)	ფერტილურობის კოეფიც. (დაბადება/ქალზე)	მედიანური ასაკი	0-14 წლის მოსახლეობა (%)	65 წელზე უხნესი მოსახლ. (%)
საქართველო	4,586	-0,326	1,45	39,1	15,6	16,0
სომხეთი	2,967	0,063	1,37	32,2	17,6	10,1
აზერბაიჯანი	8,372	0,850	2,02	23,2	23,2	6,4
თურქეთი	78,785	1,235	2,15	28,5	26,6	6,3

დემოგრაფიული საფრთხეები

საქართველოს დემოგრაფიულმა საფრთხემ განვითარების რამდენიმე ფაზა განვლო:

I - ადრეულ ეტაპზე, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში, ქართულ მოსახლეობაში შობადობის მაჩვენებლის შემცირება საფრთხის შემცველი იყო, თუმცა იმ დროს ის რეალურ საფრთხედ არ აღიქმებოდა. მაშინ ის უფრო **პოტენციური საფრთხე** იყო, ვინაიდან მოსახლეობის რიცხოვნობა, ასე თუ ისე, მატულობდა.

II - დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე (ასეთად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ პირველი ათი წელი) პოტენციურმა დემოგრაფიულმა საფრთხემ მოიმატა და საქართველოს რეგიონების დეპოპულაცია, ისევე როგორც მოსახლეობის დაბერება **რეალური საფრთხის** შემცველ მოვლენად განვითარდა. დემოგრაფიული საფრთხე სავსებით პროგნოზირებადი გახდა.

III - რამდენადაც დღემდე ვერ მოხერხდა სათანადო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება (თუ არ ჩავთვლით მართლმადიდებლური ეკლესიის გარკვეულ ნაბიჯებს), საქართველოს მოსახლეობის კლება და მისი ასაკობრივი სტრუქტურის უარესობისაკენ შეცვლა უკვე ყალიბდება **სერიოზულ საფრთხედ.**

საქართველოს დემოგრაფიული საფრთხეები ასე შეიძლება დაჯგუფდეს:

- **ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა მცირდება.** ახალგაზრდებს თანდათან უქვეითდებათ ოჯახის შექმნის მოტივაცია, ამან იმოქმედა შობადობის მაჩვენებლის კლებაზე და ა.შ. ამ საფრთხის აღმოფხვრაც მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივმოქმედი დემოგრაფიული პოლიტიკით შეიძლება;

- თუ შენარჩუნდება შობადობისა და სიკვდილიანობის არსებული ტენდენციები და არ შეჩერდება ემიგრაცია, მაშინ 2050 წლისათვის, გაეროს პროგნოზით, **საქართველოს მოსახლეობა შემცირდება 3 მილიონამდე** (ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით - 3,2 მილიონამდე). მათ შორის ქართველების რაოდენობა ორ მილიონის ირგვლივ ან ნაკლები იქნება. კლების ეს ტენდენცია არ დამთავრდება საუკუნის შუაგულში: თუ არსებული ტენდენციის ექსტრაპოლირებას მოვახდენთ, მომავალში ქართველების რაოდენობა შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ახლავე არ დაიწყება ქმედითი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება;

- საგანგაშოა ის, რომ **შობადობა მკვეთრადაა შემცირებული სოფლებში**, საიდანაც ქალაქში ან საზღვარგარეთ მიდის შრომისუნარიანი და ფერტილურ ასაკში მყოფი მოსახლეობა,



ვუდროუ ვილსონი (1856-1924)
აშშ-ს 28-ე პრეზიდენტი 1913-1921 წლებში

"დემოკრატია იმდენად მართველობის თორმა არ არის, რამდენადაც პრინციპების ერთობლიობაა"

უპირველესად ახალგაზრდობა. ამას თან ერთვის სოფლად ნარკომანიისა და ლოთობის ფართო გავრცელება, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც ადამიანის ნაყოფიერებაზე, ისე ოჯახის სიმტკიცესა და მომავალი თაობის ნორმალურ აღზრდაზე. სოფელი ყოველთვის იყო ერის აღწარმოების რეზერვუარი, ახლა კი ამ ფუნქციას კარგავს;

- თუმცა **დეპოპულაცია,** ანუ დაბადებულთა რაოდენობასთან შედარებით გარდაცვლილ პირთა რაოდენობის სიჭარბე, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჯერჯერობით არ შეიმჩნევა, ის **მკაფიოდაა გამოვლენილი რეგიონულ ჭრილში** და ეხება უპირატესად ქართული მოსახლეობის მქონე მხარეებს;

- ხდება **მოსახლეობის დაბერება**: 1989 წელს 65 წლისა და უხნესი ასაკის ადამიანები მთელი მოსახლეობის 8,8 პროცენტს შეადგენდნენ, 2002 წლის მონაცემებით მათი წილი 12,7 პროცენტს შეადგენს. 13 წლის განმავლობაში მომხდარი ასეთი ცვლილება მეტისმეტად დიდია. დემოგრაფიული ტენდენცია კი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ ათწლეულში დაბერების მაჩვენებელმა კიდევ უფრო მოიმატა: CIA-ს მონაცემებით 2011 წელს ის 16 პროცენტს უდრიდა, ანუ გადააჭარბა 15 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრით წილს, მაშინ როცა, მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანსა და თურქეთში იმავე ასაკის ბავშვები 4-ჯერ (sic!) მეტია ხნიერი ასაკის მოსახლეობასთან შედარებით. სომხეთშიც საქართველოზე უკეთესი მდგომარეობაა;

- სერიოზულ პრობლემად იქცა მოსახლეობის **პაუპერიზაცია** (გაღატაკება), რის შედეგადაც თბილისის ქუჩები სავსეა ხნიერი და ბავშვი მათხოვრებით. სიღარიბე ერთ-ერთი ფაქტორია ლამის ნორმად ქცეული გვიანი ქორწინებისა ან საერთოდ ოჯახის გარეშე დარჩენისათვის. ამან მკვეთრად შეამცირა შობადობა, განსაკუთრებით სოფლებსა და პატარა ქალაქებში, საიდანაც მოსახლეობა დიდ ქალაქში მიისწრაფვის;

- **შიდა მიგრაციები** ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესია: სოფლიდან ქალაქში და მთიანი რეგიონებიდან ბარში მოსახლეობის გადაადგილებას ან პირიქით მოძრაობას განსაზღვრავს ეკონომიკური მიზანშეწონილობა: ხალხი მიდის იქ, სადაც უკეთესი პირობები ექნება დასაქმების, განათლების, პროფესიული წინსვლისათვის. ასეთი მიგრაციის ძალით და მოწოდებებით შეჩერება შეუძლებელია. მაგრამ **საქართველოსათვის მთიანი რეგიონების გაშიშვლება სერიოზულ დემოგრაფიულ და პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს,** რომელსაც შეაჩერებდა მხოლოდ გააზრებული რეგიონული პოლიტიკა (რომლის შემადგენელი ნაწილი იქნებოდა კონკრეტული რეგიონისათვის მისადაგებული დემოგრაფიული პოლიტიკა);

- სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს **მოსახლეობის ემიგრაცია**, განსაკუთრებით ყველაზე განათლებული და მომზადებული ახალგაზრდებისა, რომლებიც ვერ ნახულობენ სათანადო დასაქმების საშუალებას საქართველოში. ნელმოქმედი საფრთხეა „**ტვინის გადინება**“, რომელიც, შესაძლოა, ამ ეტაპზე არ არის ფართომასშტაბიანი პრობლემა, მაგრამ თანდათან ის სერიოზულ საფრთხედ შეიძლება იქცეს, მაგალითად, იმის გამო, რომ აღარ გვეყოლება კარგი სპეციალისტები ცალკეულ დარგებში;

- **ამჟამად საქართველოსათვის დემოგრაფიულ საფრთხეს წარმოადგენს არა იმდენად იმიგრაცია, რამდენადაც ემიგრაცია.** მაგრამ **პერსპექტივაში ვითარება შეიძლება შეიცვალოს**: იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობის კლება გაგრძელდება, საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნება გარკვეული „ვაკუუმი“, რომელსაც შეავსებს გარედან მოსული ძირითადად უცხო მოსახლეობა. თუ საქართველოში მართლაც დაიწყება ეკონომიკური აღმასვლა და გაჩნდება ჭარბი სამუშაო ადგილები, ეს მოიზიდავს შრომით მიგრანტებს ყველა მეზობელი და უფრო შორეული (ვთქვათ, აფრიკული და ისლამური) ქვეყნებიდანაც კი. მოსახლეობის დაბალი შობადობის, მისი დაბერებისა და შრომითი რესურსების კლების პირობებში სავსებით **შესაძლებელია საქართველო გახდეს იმიგრაციის ქვეყანა**, რაც მკვეთრად შეცვლის ეთნიკურ სტრუქტურას, დაემუქრება ჩვენს კულტურულ ფასეულობებს და, ზოგადად, ეროვნულ თვითმყოფადობას;

- თუკი განხორციელდება ისეთი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე შრომატევადი დარგების განვითარებას შეუწყობს ხელს, თუკი რეალობად იქცევა გიგანტური მშენებლობები, **საქართველოს შეიძლება არ აღმოაჩნდეს საკმარისი შრომითი რესურსები**. მაგალითად, უცნობია, საიდან უნდა მოხდეს მოსახლეობის მოზიდვა ფართოდ რეკლამირებულ

ქალაქ ლაზიკაში. ამავე თვალსაზრისით, დემოგრაფიულ დასაბუთებას მოითხოვს ბათუმის, თურქეთთან ახლოს მდებარე ქალაქის სწრაფი განვითარების სტრატეგია. ამ ქალაქის ზრდა გარშემო მდებარე ტერიტორიების მოსახლეობის ხარჯზე შეზღუდულია და მზარდი ქალაქი ბუნებრივად მოიზიდავს მოსახლეობას ახლომდებარე საზღვარგარეთიდან, რამაც სავსებით შეიძლება მკვეთრად შეცვალოს ეთნო-დემოგრაფიული ბალანსი როგორც ბათუმში, ისე მთელ აჭარაში.

რეკომენდაციები:

- ზემოაღწერილ ვითარებაში აუცილებელია გააზრებული **სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და გატარება**. ის უნდა ეხებოდეს არა მარტო შობადობის ხელშეწყობას კრიტიკულ (ნეგატიური დემოგრაფიული ტენდენციების მქონე) რეგიონებში, რაც თავისთავად აუცილებელია, და მესამე და მომდევნო ბავშვის დაბადებისათვის მატერიალურ დახმარებას, არამედ უნდა იყოს დაკავშირებული საერთო ეკონომიკურ სტრატეგიასთან. რეალური და კარგად ანაზღაურებული დასაქმება შეამცირებდა ახალგაზრდა, ფერტილური ასაკის მოსახლეობის გასვლას ქვეყნიდან. ამჟამად კი ისიც უცნობია - ხდება თუ არა დემოგრაფიული მდგომარეობის, როგორც ფაქტორის, გათვალისწინება დიდი ეკონომიკური პროექტების წამოწყებისას;

- თუ სახელმწიფო დაინტერესებულია მეტნაკლებად თანაბრად ათვისებული ტერიტორია ჰქონდეს, ის შესაბამის **რეგიონულ პოლიტიკას** უნდა ატარებდეს, მაგალითად, პოტენციურად გასავითარებელ რეგიონებში დამსაქმებლების მოსაზიდად. ასეთი რამ ამჟამად მხოლოდ ფრაგმენტული სახით ტარდება, კამპანიური ხასიათი აქვს და არ გააჩნია მეცნიერულად შემუშავებული, დროში გაწერილი, ფინანსურად დასაბუთებული სტრატეგია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის იქნებოდა ცნობილი და მის მიერ მოწონებული;

- **უნდა შემუშავდეს მკაფიო მიგრაციული პოლიტიკა, მათ შორის იმიგრაციის მიმართ ზედმეტად ლიბერალური მიდგომის დროულად შესაზღუდად, რადგან არც თუ შორეულ მომავალში იმიგრაციამ და საქართველოში უცხო ელემენტის ფართოდ განსახლებამ, შესაძლოა, დიდი პრობლემა შეუქმნას ჩვენს სახელმწიფოებრიობას**;

- „ტვინის გადინების“ თავიდან ასაცილებლად ყველა პროექტში **პრიორიტეტი უნდა ეძლეოდეს ადგილობრივ კვალიფიციურ კადრებს** და არა უცხოელ სპეციალისტებსა და კონსულტანტებს.

უინსტონ ჩერჩილი (1874 - 1965)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1940-45 და 1951-55 წლებში

. “როგორც კი წამოვიწყებთ კამათს აწმყოსა და წარსულს შორის, აღმოჩნდება, რომ ჩვენ დავკარგეთ მომავალი”

“……ძალაუფლება ადამიანს ისევე ექცევა, როგორც კიბო. ის ზრდის მასში საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნებას და აკნინებს სხვა, უკეთეს თვისებებს, რომელიც მას აქამდე ჰქონდა”

მანანა ქოჩლაძე

გარემოსდაცვითი უსაფრთხოება

შესავალი

მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან, რომელიც მნიშვნელოვნად ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გარემოს დეგრადაცია და მისი თანამდევი პრობლემები წარმოადგენს. 2004 წელს, გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „უფრო უსაფრთხო მსოფლიო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“ ხაზი გაესვა პრობლემათა გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავების აუცილებლობას.

თანამედროვე მსოფლიოში გარემოსდაცვითი უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის და საზოგადოების უნარს გადაიტანოს და/ან წინ აღუდგეს გარემოსდაცვითი რესურსების სიმწირეს, შეუქცევად გარემოსდაცვით ცვლილებებს ან ბუნებრივი რესურსების გამო წარმოშობილ დაძაბულობასა და კონფლიქტებს. შესაბამისად, ხდება გარემოსდაცვითი საფრთხეების და რისკების ასახვა უსაფრთხოების კონცეფციებში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული ინტერესების განუყოფელ ნაწილად განიხილავს „საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას“, რაც პროგრესული ნაბიჯია. დოკუმენტის თანახმად, ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზანია „ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების“ პრევენცია. სამწუხაროდ, არსებულ გამოწვევებზე საუბრისას, ხაზგასმულია მხოლოდ ის ზიანი, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აყენებს აფხაზეთს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პროცესში (შავი ზღვის ეროზია, ტყეების გამეჩხერიანება და სხვ). და განხილულია მთავარ პრობლემად, რომელიც „მთელ ქვეყანას უქმნის საფრთხეს“. მაგრამ ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მოსახლეობას.

სამხრეთ კავკასიაში გარემოსდაცვა და უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც გამოწვეულია როგორც აქ არსებული კონფლიქტებით, ასევე გაზრდილი მოთხოვნილებით ბუნებრივ რესურებზე. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური პროცესების კატალიზირებამ შესაძლოა გაზარდოს დაძაბულობა ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის გამო, როგორიცაა სუფთა წყალი, ნიადაგი და სასიცოცხლო სივრცე, გაიზარდოს სოციალური პოლარიზაცია და გაამწვავოს შიდა პოლიტიკური ბრძოლა.

გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC[1])-ს საქართველოში რამდენიმე ტიპის რისკს გამოყოფს: ტერიტორიულ პრინციპთან მიმართებაში პრიორიტეტულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე ქვემო ქართლის რეგიონის, მტკვრისა და ხრამი-დებედას აუზი (სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვართან). სამხრეთ კავკასიის დამახასიათებელ გარემოსდაცვით რისკებს მიეკუთვნება ტრანსასაზღვრო წყლის რესურსების, ბუნებრივი კატასტროფების და საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სამხედრო მემკვიდრეობის მართვა, აგრეთვე დედაქალაქის და სხვა მთავარი ქალაქების სწრაფი განვითარება და მოსახლეობის ზრდა.

ამასთან ერთად, საქართველოსთვის დამახასიათებელ რისკებს მიეკუთვნება ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება,

1 წარმოადგენს ეუთოს, გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამის, გარემოსდაცვითი პროგრამისა და ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს (ნატოს) ერთობლივ ინიციატივას.

მინერალების ღია კარიერული წესით მოპოვება, წყლის და კანალიზაციის გაუმართავი სისტემების არსებობა. პრობლემურ საკითხებს შორისაა ჰესების მშენებლობა, საძოვრების დეგრადაციის და ტყეების გამეჩხერიანების პრობლემა.

გარემოს მდგომარეობის ხარისხი

საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს გარემოს მდგომარეობის ხარისხის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არ არსებობა.

გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ყველა ტიპის გარემოსდაცვითი მონიტორინგის წარმოებაზე, ასევე ისეთი რისკების აღკვეთაზე, როგორიცაა გაუდაბნოება და მიწის დეგრადაცია, სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არეალების განსაზღვრა და შეფასება.

მთელი რიგი კვლევების თანახმად, სააგენტო წარმატებით ვერ ართმევს თავს ამ ფუნქციებს, რაც გამოწვეულია როგორც არასაკმარისი დაფინანსებით, აგრეთვე არადეკვატური საკანონმდებლო ბაზის არსებობით[2]. შესაბამისად, სააგენტო ვერ აწარმოებს გარემოს მდგომარეობის ხარისხის სრულყოფილ მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა უზრუნველყოს „სისტემატურ, მიზანზე ორიენტირებულ გარემოზე დაკვირვება, რომელიც იქნება ნაწილი გარემოსდაცვითი მოსაზრებების ინტეგრირებისა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში“.

შედეგად, პრინციპულად შეუძლებელი ხდება ზუსტად გაითვალოს, თუ რა ზეგავლენა ექნება ახალ გადაწყვეტილებებს უკვე არსებულ სურათზე. თუ გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით ვიმსჯელებთ,სახელმწიფოსთვის გარემოს მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება არ წარმოადგენს პრიორიტეტს. თუმცა ამ ინფორმაციის აუცილებლობა სულ უფრო და უფრო მეტად იჩენს თავს ბიზნესის სხვადასხვა სექტორებში (მაგ. ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა).

ატმოსფერული ჰაერი და ადამიანის ჯანმრთელობა

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ქვეყანაში მიჩნეულია ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული დაბინძურება. განსაკუთრებით პრობლემატურია ჰაერის დაბინძურება ქალაქ თბილისისთვის.

აღსანიშნავია, ჰაერის ხარისხი საქართველოში მხოლოდ 5 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ზესტაფონი) იზომება, რაც არ იძლევა ქვეყნის მასშტაბით ჰაერის ხარისხის სრულ სურათს. არსებული მონაცემებით წლების განმავლობაში ჰაერის ხარისხი არ შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს. ამასთან, ჰაერის შემთხვევაში ოფიციალურად მიღებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები განსხვავდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და ევროკავშირის სტანდარტებისგან.

საქართველოში არ ტარდება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ჰაერის ხარისხის ზემოქმედების გრძელვადიანი დაკვირვება და ეპიდემიოლოგიური ანალიზი. თუმცა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხვი, რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს დაბინძურებულ ჰაერთან - ფილტვისა და ხორხის კიბო, სასუნთქი გზებისა და სისხლძარღვოვანი დაავადებები საქართველოში და განსაკუთრებით მის დედაქალაქში, სულ უფრო იზრდება. საყურადღებოა, რომ აღრიცხულ დაავადებათა რიცხვი თბილისში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს საშუალო მაჩვენებელი.

2 UN ECE second environmental performance review, 2010, www.unece.org

2001-2002 წელს კვლევებმა აჩვენა, რომ თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 14 პროცენტი ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის იმაზე მაღალი დონის ზემოქმედების ქვეშაა, ვიდრე ნებადართულია ევროკავშირის სტანდარტით (0.04 მგმ/ლ), რამაც შესაძლოა ყოველწლიურად ნაადრევი გარდაცვალების 150 შემთხვევა გამოიწვიოს. ამასთან, სხვა დამაბინძურებელთა გავლენით მოსალოდნელია ინიცირებული სასუნთქი გზების დაავადებების მნიშვნელოვანი ზრდა. ჰაერის დაბინძურება წვრილი ნაწილაკებითა და ოზონით განსაკუთრებულ ზეგავლენას იწვევს ბავშვებში, და ყოველწლიურად ასთმური შეტევის დაახლოებით 12000 და ბრონქიტის 13000 შემთხვევას გამოიწვევს[3].

1999 წლიდან ქვეყანაში აიკრძალა ტყვიის შემცველი ბენზინის გაყიდვა, მაგრამ არ არსებობს სამსახური, რომელიც გააკონტროლებდა, თუ რამდენად სრულდება ეს მოთხოვნა. 2007 წელს თბილისში აღებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ნიადაგში ტყვიის შემცველობა 2-3-ჯერ აღემატება დაშვებულ სტანდარტს. ვინაიდან არ ხდება შესაბამისი კონტროლი და მონიტორინგი, შესაბამისად, სტატისტიკურად სანდო ინფორმაცია საქართველოში გამოყენებული ბენზინის ტყვიის შემცველობისა და ამის შედეგად ავტოტრანსპორტის მიერ ჰაერში გაფრქვეული ტყვიის დონეების შესახებ ხელმისაწვდომი არ არის.

პრობლემურია ვითარება ქ.ზესტაფონშიც, სადაც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ჰაერის დაბინძურება დაკავშირებულია მანგანუმის ორჟანგის გაფრქვევასთან, შესაბამისად, აუცილებელია ფეროშენადნობთა ქარხნის მტვერდამჭერი მოწყობილობების რეაბილიტაცია და განახლება.

მთელ რიგ ინდუსტრიულ ცენტრებში, მაგალითად კასპში და ფოთში, არ მიმდინარეობს ჰაერის ხარისხის მონიტორინგი გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლს და ზედამხედველობას სტაციონარული წყაროებიდან კანონის თანახმად ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო. მაგრამ ფაქტობრივად ის ვერ ახდენს არსებული საწარმოების დაბინძურების კონტროლს. 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა კიდევ უფრო შეასუსტა გარემოს დაცვის სამინისტროს, როგორც ნებართვის გამცემის, ასევე კანონაღსრულებისა და ინსპექტირების პოტენციალი[4].

მაგალითად, კასპის მოსახლეობა რამდენიმე წელია ჩივის ცემენტის ქარხნის მიერ დაბინძურებულ ჰაერისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების გამო[5]. მაგრამ კომპანია ჰაიდელბერგ ცემენტის მტკიცებით, მან მილიონობით დოლარი დახარჯა ფილტრების დამონტაჟებისთვის და დამტვერიანების პრობლემა გადაიჭრა[6]. დამოუკიდებელი მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის არ არსებობის შედეგად, რთულია გავარკვიოთ თუ რა საფუძველი უდევს მოსახლეობის ჩივილებს და გავრცელებულ დაავადებებს ქ. კასპში, რა წარმოადგენს ისტორიულ დაბინძურებას და რა ღონისძიებებია გასატარებელი დაბინძურების აღსაკვეთად.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ყველა დიდ ქალაქში, ასევე პოტენციურად დამაბინძურებელი წარმოებების ირგვლივ, გაფართოებული სადამკვირვებლო ქსელის საშუალებით ზუსტად აღრიცხოს დაბინძურების ტიპი, რათა დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები;

- ტრანსპორტით გამოწვეული დაბინძურების შემცირებისთვის უნდა აღდგეს ავტომობილებიდან გაფრქვევების კონტროლი, შემუშავდეს ეკონომიკური ინიციატივები, რომელიც წაახალისებს არსებული ავტოპარკის სტრუქტურის გადახალისებას, აგრეთვე უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი როგორც თბილისში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

3 http://www.thepep.org/en/workplan/urban/documents/Tbilisi/Georgia_%20backgroundreport_en.pdf

4 http://www.osgf.ge/files/publications/2011/EU.pdf
5 http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=6747&lang=eng
6 http://www.ptpress.ge/index.php?option=com_content&view=article&id=2281%3Acementi&catid=3%3A0103sazogadoeba&Itemid=3

წყალი და ადამიანის ჯანმრთელობა

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, განსაკუთრებით მტკნარი წყლის რესურსებით, თუმცა წყლის ხარისხი და მისი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე კვლავაც პრობლემატურია. 2003 წლიდან გარემოს ეროვნული სააგენტო იძულებული იყო შეემცირებინა დაკვირვების სადგურების რაოდენობა და ამჟამად წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ 24 წყლის ობიექტზე.

მძიმე მეტალებით დაბინძურება

ძლიერ პრობლემატურია მდინარეების მძიმე მეტალის იონებით დაბინძურება სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის ზეგავლენის გამო. დაბინძურების მსხვილ წყაროს წარმოადგენს ჭიათურაში მანგანუმის მომპოვებელი საწარმოები (”ჯორჯიან მანგანეზი”, მდ.ყვირილას აუზი) და ბოლნისში ოქროს მოპოვება (სს მადნეული, მდ. მაშავერას აუზი).

შ.პ.ს. „ჯორჯიანმანგანეზი“-ს ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკას არ გააჩნია მოქმედი გამწმენდი ნაგებობა, ხოლო ადრე არსებული შლამსადინარები მწყობრიდანაა გამოსული. შედეგად, გამამდიდრებელი ფაბრიკების ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ყვირილაში. 2008 წლის 9 თვის განმავლობაში მდ. ყვირილაში და მის შენაკადებში ჩაშვებულ იქნა 375 961 ტონა შლამი (მშრალ წონაზე გადაანგარიშებით), რაც დაახლოებით შეადგენს 501 281,3 ტონას წელიწადში[7].

ბოლნისის რაიონში, მდინარე კაზრეთულაში 3-2000 ჯერ მეტია მძიმე მეტალების (Cu, Zn, Pb, Ni, Mn, Cr, Cd and Hg) კონცენტრაცია დადგენილ ზღვრულ კონცენტრაციებზე[8]. მდინარე კაზრეთულას მონაკვეთში (კარიერის ნაჟური წყლების ჩადინებიდან მდ. მაშავერას შესართავამდე) მდინარე არსებითად მკვდარია და მასში ცოცხალი ორგანიზმები არ არსებობენ. მოსახლეობა ამ მდინარეებს იყენებს საირიგაციოდაც და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისთვისაც (ტანსაცმლის გასარეცხად, პირუტყვისთვის და ა.შ.) და შესაბამისად გაზრდილია საკვებ ჯაჭვში მძიმე მეტალების მოხვედრის ალბათობა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

7 http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Guide_Manganese.pdf
8 http://adsabs.harvard.edu/abs/2003EAEJA....14256T



რომის პაპი იოანე პავლე II
(1920 - 2005)

“თანამედროვე საზოგადოება ვერ დააღწევს თავს ეკოლოგიურ პრობლემებს იქამდე, ვიდრე უფრო სერიოზულად არ შეხედავს საკუთარ ცხოვრების წესს”

2000 წლის მონაცემებით, მიხედვით, ბოლნისის რაიონში, მის მეზობლად არსებული და მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობის დმანისის რაიონთან შედარებით, შეინიშნებოდა მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლების მკვეთრი სხვაობა ზოგიერთი დაავადებისთვის (მათ შორის შარდ-სასქესო სისტემის, სასუნთქი ორგანოების, ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების, თანდაყოლილი ანომალიები). მკვლევართა დასკვნით „მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებში გამოვლენილი ცვლილებები ცხადყოფენ გამოკვლეული ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული დარღვევების შესაძლებლობას, რაც აუცილებელს ხდის რეგიონში პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას“.[9]

პრობლემურია, რაჭაში და ქვემო სვანეთში, საბჭოთა კავშირის დროს არსებული და ამჟამად გაჩერებული დარიშხანის საბადოები, რის შედეგადაც დაბინძურებულია სოფელ ურავში დაახლოებით 20ჰა და სოფელ ცანაში 4.5 ჰა. წლების მანძილზე მოგროვდა ასობით ტონა დარიშხანის შემცველი ნარჩენი, რომელიც საწარმოების მიმდინარე ტერიტორიაზე აკუმულირდებოდა. დღეს დაბინძურება 20-30-ჯერ უფრო მეტია ფონურ დონეზე. ამასთან, ადგილი აქვს მდინარეების ლუხუნისწყლისა და ცხენისწყლის დარიშხანით დაბინძურებას.

აკად. გრ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია დარიშხანის ზემოქმედებისა რაჭაში მცხოვრები ბავშვების ჯანმრთელობაზე. კვლევებით დადგინდა, რომ დარიშხანის ქრონიკული ზემოქმედება აისახება გენეტიკურ აპარატზე და ამავე დროს აქვეითებს ბავშვის ადაპტაციურ უნარს, რაც სხვადასხვა დაავადების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. ამასთან, გამოვლენილია კიბოს დაავადებების ზრდა მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლეობასა და შინაურ საქონელში[10].

რეკომენდაციები:

- სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს დაბინძურების შემცირებას საწარმოებიდან, მათ შორის ისტორიული დაბინძურების შემცირებას და გაუვნებელყოფას;
- დაზარალებული მოსახლეობისთვის პროფილაქტიკური კვლევების ჩატარება;
- არსებული მონიტორინგის სისტემის გაფართოება, უპირველეს ყოვლისა ყველაზე სენსიტიურ და ანტროპოგენულ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე;
- წყლის კანონმდებლობის შემუშავება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სისტემის სრულყოფა წყლის რესურსების დაბინძურების აღსაკვეთად. ეკონომიკური ინსტრუმენტების შემოტანა წყალაღებისა და წყალჩაშვების შემთხვევაში, ფინანსური სტიმულირების გზით საწარმოების გამწმენდი ნაგებობების შესაბამისობა ევროკავშირში არსებულ სტანდარტებთან.

სასმელი წყლის უსაფრთხოება

სასმელი წყლის უსაფრთხოების პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის. წყალარინების სისტემა ფუნქციონირებს 41 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, მხოლოდ 30 მათგანს გააჩნია საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობები. თუმცა ამ დროისთვის ფუნქციონირებს მხოლოდ ორი გამწმენდი ნაგებობა (თბილისი-რუსთავის და საჩხერის). მდინარეების ინტენსიური დაბინძურება ხდება საკანალიზაციო წყლებით და ნაჟური წყლებით ნაგავსაყრელებიდან, რომელთა დიდი ნაწილი მდინარეთა ნაპირებზეა განლაგებული. დასახლებული პუნქტების უმრავლესობა სასმელ წყალს არარეგულარულად იღებს. მდგომარეობა

9 http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/madneuli_guide.pdf
10 A Method of Sodium Dithioarsenate (V) Production from Hydrometaliurgical Industrial Wastes of Non-ferrous and Noble Metals, Proc. Georgian Acad. Sci. 2004, 30, 205,

მძიმდება იმითაც, რომ წყლის ხარისხზე ლაბორატორიული კონტროლი არ ტარდება სრული მოცულობით[11].

საქართველოს რეგიონებში 2006 წლიდან დაიწყო წყლის სისტემების რეაბილიტაცია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური დახმარებით. ვინაიდან სამუშაოთა მოცულობა საკმაოდ დიდია, წყლის ობიექტების დაბინძურების წყაროების აღმოფხვრას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. უსაფრთხო 24 საათიანი წყლის მიწოდების პრობლემა კვლავ არსებობს, როგორც თბილისში[12] , ასევე ქვეყნის იმ ქალაქებშიც, სადაც განხორციელდა რეაბილიტაცია (მაგალითად, ქ.ქუთაისი, ქ.ფოთი). მთელ რიგ შემთხვევებში, რეაბილიტაცია არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა და მოსახლეობა კვლავ განიცდის სასმელ წყალთან ხელმისაწვდომობის პრობლემას[13].

უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა პირდაპირ არის დაკავშირებული წყლით გადამდები დაავადებების დინამიკასთან. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2010 წელს საქართველოში აღრიცხული სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების ოდენობა ორჯერ მეტია 2009 წლის მაჩვენებლებთან. ინფექციური დიარეეების 60-66 პროცენტი ბავშვებზე მოდის.

რეკომენდაციები:

- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს რეგიონებში განხორციელებული სასმელი წყლის პროექტების განხორციელება საზოგადოების მაღალი თანამონაწილეობით;

- ვინაიდან უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდება და სასმელი წყლის დაცვა ერთ-ერთი უმაღლესი პრიორიტეტია, აუცილებელია სანიტარული სისტემის განვითარება და ჩამდინარე წყლების უცილობელი გაწმენდა;

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან გაძლიერდეს სასმელი წყლის მონიტორინგი და კონტროლი და ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას.

რადიაქტიური ნივთიერებები და მაიონიერებელი გამოსხივება

საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უკონტროლო რადიაქტიური ნივთიერებების აღმოჩენა და გაუვნებელყოფაა. ძირითადად ეს წყაროები დაკარგულია და გაბნეულია ყოფილი საბჭოთა არმიის ბაზებიდან. 1997 წლიდან, როდესაც ლილოს ტრენინგ ცენტრში თერთმეტი ჯარისკაცი სერიოზულად დაავადდა რადიაციული სინდრომით, დაახლოებით 300-მდე ასეთი წყარო იქნა ნაპოვნი და გაუვნებელყოფილი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის მიერ.

ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებების გამოყენების ან ტრანზიტის აღკვეთა და პრევენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა. 2008-2009 წლებში დასრულდა საქართველოს სასაზღვრო-გამტარი პუნქტების აღჭურვა პორტატული დეტექტორებით, რაც შესაძლებელს ხდის ლეგალური ტვირთნაკადის კონტროლს. მაგალითად, 2011 წელს ბათუმის პორტში ჯართით დატვირთულ რკინიგზის ვაგონში აღმოჩნდა რადიაქტიური ნივთიერება ცეზიუმ 137.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების (2007-2009 წლები) თანახმად, საქართველოში ბუნებრივი რადიონუკლიდებით განსაკუთრებულად დაბინძურებული ტერიტორიები არ ვლინდება და მაიონებელი გამოსხივების ბუნებრივი წყაროების ნიადაგებში შემცველობა მოსალოდნელ ფარგლებში მერყეობს. თუმცა არსებობს ტერიტორიები, სადაც ნიადაგის მაიონებელი გამოსხივების ფონი გაზრდილია (დასაშვები ნორმის ფარგლებში), რაც განპირობებულია ურანის არასაწარმოო მნიშვნელობის მადნის არსებობით, რეგიონის

11 http://www.greenalt.org/webmill/data/file/wylis_seqtoris_mimoxilva.pdf
12 http:// geonews.ge/category/10/society/news/12286/sasmeli-wyali-raionebi.html
13 http://www.regions.ge/2&newsid=4102&year=2010&position=news_category

გეომორფოლოგიური თავისებურებებითა და ხელოვნური რადიონუკლიდებით დაბინძურებით (ჩერნობილის შედეგები), თუმცა გამოსხივების დოზის სიმძლავრე ყველა შემთხვევაში ნორმის ფარგლებშია.

აღსანიშნავია, რომ იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ღია ადგილების რადიაციული ფონი განპირობებული რეალურად მოქმედი წლიური ეფექტური დოზა 0,17მზვ/წ-ია. ეს მაჩვენებლი აღემატება ევროპის ქვეყნებში დაფიქსირებულ მონაცემებს, სადაც მოსახლეობა ღია ადგილების ხარჯზე ყოველწლიურად 0,05 - 0,1 მზვ/წ ტოლი დოზით სხივდება. მკვლევარების აზრით „მომატებული რადიაციული ფონი და შესაბამისად, მომატებული მოსახლეობის დასხივების დოზები, ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების ფონზე, სხვა მავნე ფაქტორებთან ერთობლიობაში უარყოფითად მოქმედებს ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ხელს უწყობს სხვადასხვა პათოლოგიების განვითარებას[14]“

2012 წლის 20 მარტს მიღებული კანონმდებლობით კანონმდებელი აღარ კრძალავს ბირთვული ობიექტების, მათ შორის ატომური ელექტროსადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციას; რადიაქტიური ნარჩენების შემთხვევაში დაშვებულია მისი რეექსპორტი. შესაძლებელი გახდა ლიცენზიის მიღება ბირთვული ტექნოლოგიების ტრანზიტსა და ექსპორტ-იმპორტზე; ყოველივე ეს პრინციპულად აკრძალული იყო 1998 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს არც უცდია აეხსნა საზოგადოებისთვის, თუ რატომ განხორციელდა მსგავსი ცვლილებები. შესაბამისად, საზოგადოებას საკმაოდ დიდი საფიქრალი გაუჩნდა თუ რა კონკრეტული შედეგები შეიძლება მოჰყვეს განხორციელებულ ცვლილებებს და რა საფრთხეები შეიძლება წარმოიშვას.

14 ი.ცხოვრებაძე, საქართველოს ზოგიერთი რაიონის ატმოსფეროს ჰაერისა და რადიაციული ფონის მდგომარეობა და ახალშობილთა ჯანმრთელობა, 2006 წელის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რეკომენდაციები:

- გაგრძელდეს ქვეყნის ტერიტორიაზე უკონტროლო და ექსპლუატაციიდან გამოსული წყაროების მოძიება, გაუვნებელყოფა და მათი უხიფათო შენახვა;
- დაინერგოს მოსახლეობის დასხივების მონიტორინგი პრიორიტეტული მიმართულებით.

აუცილებელია სრულად შესწავლილ იქნას თუ რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ახალმა კანონმდებლობამ და დაიგეგმოს გზები მისი აღმოფხვრისათვის.

კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ბოლო წლებში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე და მასშტაბი მკვეთრად გაიზარდა. 1995-2008 წლებში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საქართველომ 1.3 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი იზარალა, სტიქიის შედეგად დაზარალდა 700000-მდე ადამიანი, ხოლო მსხვერპლთა რაოდენობამ კი 1000-ს მიაღწია. 1968 წლიდან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საქართველოში დაახლოებით 60000-მდე ოჯახს მიენიჭა ეკომიგრანტის სტატუსი. სტიქიური გეოლოგიური პროცესების შედეგად მიწის სავარგულების დაახლოებით 1.5 მლნ ჰა ამოვარდნილია სასარგებლო ფონდიდან (რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, აჭარის მთიანეთი, ჭიათურის, დუშეთის რაიონი).

გეოლოგიური ხასიათის სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე ხშირია წყლისმიერი ეროზიული პროცესები, მეწყრულ - გრავიტაციული და ღვარცოფული მოვლენები, რომელთა რაოდენობა იზრდება. 2009 წელს დაფიქსირდა მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენებით დაზარალებული ან მოსალოდნელი გააქტიურების ქვეშ მყოფი 53 ათასი უბანი, რაც 2000 დასახლებულ პუნქტსა და სატრანსპორტო ინფრატრუქტურის 25-30 პროცენტს იკავებს. ღვარცოფებისგან მიყენებული ეკონომიკური ზარალი წელიწადში 100 მლნ აშშ დოლარამდეა.

უკანასკნელ წლებში მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირის ზრდა განპირობებულია სეისმური აქტივობის გაძლიერებით, ადამიანის ანთროპოგენული ზემოქმედების ზეგავლენით (დასახლებების და მიწების უსისტემო ათვისება, სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა, ტყეების გაჩეხვა და გამეჩხერიანება) და კლიმატის გლობალური ცვლილებებით.

გაეროს კლიმატის ცვლილების კონვენციის მეორე ეროვნული შეტყობინების (2010) თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად 2050 წლისთვის საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება ნავარაუდევია 0.9-1.9 გრადუსით, ხოლო 2100 წლისთვის 4.1-5.5 გრადუსით. ამასთან ნავარაუდევია, სითბური ტალღების სიხშირისა და ოდენობის ზრდა. იდენტიფიცირებულია ყველაზე მოწყვლადი ადგილები: შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ქვემო სვანეთი (ლენტეხი) და დედოფლისწყარო (ალაზნის აუზი) .

შავი ზღვის სანაპიროს წარეცხვა

სანაპირო ზონა წარმოადგენს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად სისტემას საქართველოში. მისი წარეცხვა, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და პრობლემები შეუქმნა გაგრის, ახალი ათონის, ოჩამჩირის, ანაკლიის, ფოთის, ქობულეთის და ადლიის მონაკვეთებს. 1992 წლამდე ხელოვნურად შეჰქონდათ ნატანი პლიაჟის ფორმირებისთვის. პრობლემას დაემატა აფხაზეთის მხარეს მდინარეებიდან სამშენებლო მასალის უკონტროლო ამოღება.

განსაკუთრებით მოწყვლადია მდ. რიონისა და მდ. ჭოროხის დელტები, სადაც ანთროპოგენული ზემოქმედება ერწყმის ზღვის დონის აწევის პროცესებს.

ჭოროხის დელტა

2005-2007 წლებში ზღვამ მიიტაცა ადლიის შიდა საავტომობილო ტრასა და უშუალო საფრთხე შეუქმნა ბათუმის აეროპორტის ასაფრენ ზოლს. 2007 წლის თებერვალში ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების კომისიის მიერ რეკომენდირებულ იქნა მდ.ჭოროხიდან ამოღებული მასალის განლაგება ეროზირებული სანაპიროს ტერიტორიაზე და გარემოსდაცვითი

რიჩარდ ფეინმანი (1918 -1988) ამერიკელი ფიზიკოსი; ნობელის პრემიის ლაურეატი

"მუნიმის გამრიყვემა შეუძლემელია"



დეივიდ ჰიუმი (1711 -1776) შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი

"მუნიმა ყოველთვის პრინციპემზე ძლიერია"

შეფასებისა და წინასწარი კვლევების ჩატარება, სანაპირო ზოლის მდგარდი ხანგრძლივვადიანი აღდგენის გეგმის შესამუშავებლად[15]. თუმცა, მსგავსი გეგმა არ შემუშავებულა.

2015 წლისთვის, თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების ამოქმედებით 83%-ით შემცირდება მდ. ჭოროხით ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში. პლაჟშემქმნელი ნატანის ბუნებრივად არსებული მდგომარეობის 20 პროცენტს მდ. მაჭახელა და მდ. აჭარისწყალი ქმნის. ამასთან საქართველოში მდ. ჭოროხზე და მდ. აჭარისწყალზე. ჰიდროელექტროსადგურების დაგეგმილი მშენებლობის შემთხვევაში პრაქტიკულად აღარც არსებული ნატანის ჩატანა მოხდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების მაჩვენებლებს შავი ზღვის სანაპიროზე.

მდ. რიონის დელტა

მდ. რიონის დელტაში მდებარეობს საქართველოს საპორტო ქალაქი ფოთი, თავისი ნავსადგურით. 1925 წლიდან წყლის დონემ სანაპიროსთან შედარებით 0,7 მ-ით აიწია. შესაბამისად, წყალმოვარდნებმა შეიძლება მნიშვნელოვნად აზარალოს ქ.ფოთი, რომელიც მდებარეობს რიონის დონის დაბლა 1.5-2მ-ით. 1920 წლიდან შტორმებისა და ანთროპოგენური ჩარევის შედეგად ზღვამ მიიტაცა 3,5 კმ სიგანის სანაპირო, რომლის დიდი ნაწილი იპოდრომს, საცხოვრებელ სახლებს და აგროსავარგულებს ეკავა. ნავარაუდევია, რომ უახლოეს მომავალში (2030-2050 წწ.) შტორმების მოსალოდნელი გახშირებისა და ზღვის დონის კიდევ 0,2-0,3 მ-ით გაზრდის შემთხვევაში, შტორმული მოდენები კატასტროფული შედეგების მომტანი გახდება.

ამავე უბანში მკვეთრია სედიმენტაციის გააქტიურება (მდ.რიონი იკვებება მყინვარული ჩამონადენით), რის შედეგადაც გაძლიერდა მდინარის ორივე კალაპოტის (ფოთის არხი, ნაბადა) მოსილვა, რამაც უფრო შეასუსტა მათი გამტარუნარიანობა. შესაბამისად, რიონის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალა, ძირითადად ჩრდილოეთ სანაპიროზე ილექება და ხმელეთი ზღვაში იჭრება მაშინ, როდესაც ფოთის სამხრეთით ზღვამ უკვე დაახლოებით 600 ჰა მიიტაცა.

რეკომენდაციები:

- სასწრაფოდ დაიწყოს კვლევები და შემუშავდეს ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს შავი ზღვის სანაპირო ზოლის შენარჩუნებას ბათუმი-ქობულეთის ზოლში;
- აუცილებელია ფოთის წყალდიდობებისგან დაცვის პოლიტიკის შემუშავება და კლიმატის ცვლილების შედეგების აღსაკვეთად დაგეგმილი საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;
- საადაპტაციო ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია აღდგეს სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის მექანიზმები, რაც გულისხმობს სანაპირო ზოლის მომავალი განვითარების და/ან არსებული პრობლემების გადაჭრას მდგარდი განვითარების პრინციპების საფუძველზე.

მიწების გაუდაბნოება და გვალვები

წყლის რესურსების კლება და გვალვები განსაკუთრებულად პრობლემატურია აღმოსავლეთ საქართველოსთვის. 2000-2001 წლების გვალვების შედეგად საქართველოს ეკონომიკურმა ზარალმა 350–460 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 5.6 % შეადგენდა. ამ ზარალის ანაზღაურებისთვის სულ გამოყოფილი იყო 40 მლნ აშშ დოლარი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ.

მეორე ეროვნული შეტყობინების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში გაიზრდება გვალვების ხანგრძლივობა და ინტენსივობა და შესაბამისად გაიზრდება მოთხოვნილება წყალზე. ამასთან, დასავლეთ საქართველოს გარდა მთელ სამხრეთ კავკასიაში

15 www.eia.nl

ნავარაუდევია სულ მცირე 10-40% დინების კლება ძირითად მდინარეებზე.

1986 - 2006 წლებში, დედოფლისწყაროს რაიონში, ქარისმიერი ეროზიის შედეგად ჰუმუსის შემცველობამ დაიკლო 7.5-დან 3.2 პროცენტამდე, თითქმის 2-ჯერ დაეცა ნიადაგის ნაყოფიერება, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურა დედოფლისწყაროში გაიზარდა 0,6 გრადუსით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სარწყავი წყლების გამოყენება. პროგნოზის თანახმად, რეგიონში ნალექების მნიშვნელოვანი შემცირება უახლოეს პერიოდში გაზრდის ადგილობრივი კლიმატის არიდულობას და გადააქცევს აქაურ ნახევრადარიდულ ლანდშაფტებს ნახევარუდაბნოსა და უდაბნოს ლანდშაფტებად. შესაბამისად, ირიგაციული მოთხოვნა დედოფლისწყაროს რაიონში 2100 წლისთვის გაიზრდება ზამთრის ხორბალზე 114%, საძოვრებზე - 82%-ით, მზესუმზირაზე - 50%ით.[16]

წყლის რესურსების კლებამ, აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტური სიტუაციების ზრდა თემებსა და სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით ისეთ ტრანსსასაზღვრო მდინარეების შემთხვევაში, როგორიცაა ალაზანი, ხრამი-დებედა და მტკვარი. პროგნოზის თანახმად, ალაზანში წყლის დონის კლება ნავარაუდევია სულ მცირე 26-35 პროცენტით, ხოლო ხრამი-დებედაში 45-65%-ით[17].

რეკომენდაციები:

- ადაპტაციური ღონისძიებებიდან აუცილებელია წყლის მოხმარების ეფექტურობის ზრდა, მათ შორის: მიკროირიგაციული ტექნოლოგიების დანერგვა, წყლის კონსერვაცია, ინვესტიციები გვალვაგამძლე ჯიშებში, მიწის ნაყოფიერების ზრდა, ეროზიების შემცირება, ლანდშაფტის, მოსავლის და შემოსავლების დივერსიფიკაცია;

- ადაპტაციური ღონისძიებათა განხორციელება მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად შეამცირებს გაზრდილ მოთხოვნას წყლის რესურსებზე და ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობას და კონფლიქტების პრევენციას;

- მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ჩადება კლიმატის ცვლილებასთან ადაპატაციის თვალთახედვით, როგორც კვლევების, ასევე ინოვაციების დანერგვის კუთხით.

სითბური ტალღები და ურბანული სითბური სტრესი

გვალვების გაძლიერებასთან ერთად მოსალოდნელია სითბური ტალღების სიხშირისა და რაოდენობის ზრდა. მაგალითად, 2050 წლისთვის, თბილისში სამჯერ გაიზრდება სითბური ტალღების დღეების რაოდენობა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მოხუცებულთა და დაავადებულთა სიკვდიალიანობის ზრდა. ტემპერატურის ზრდასთან ერთად მოსალოდნელია მალარიისა და ლეიშმანიოზის შემთხვევების ზრდა კახეთის რეგიონში.

რეკომენდაცია

უცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნა სითბური ტალღების საპასუხოდ (დაკვირვება და ადრეული შეტყობინების სისტემა), შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება (ენერგოეფექტური შენობები), ურბანულ გარემოში მწვანე ნარგავების და ფართობების ზრდა, და სხვ.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები

- აუცილებელია ქვეყნისთვის ერთიანი საადაპტაციო გეგმის შემუშავება, რომელიც ინტეგრირებული იქნება საქართველოს განვითარების გეგმაში, დროში გაწერილი ღონისძიებებით,

16 http://envsec.org/publications/cc_report.pdf
17 http://envsec.org/publications/cc_report.pdf

შესაბამისი ფინასური, ტექნიკური თუ ადამიანური რესურსებით;

- მიმდინარეობს მზადება ეროვნულ საადაპტაციო ქმედებების პროგრამის (NAPA - ational daptation Programme of ctivities) შესამუშავებლად. მაგრამ გეგმის შემუშავებას აზრი დაეკარგება, თუ სახელმწიფო გააგრძელებს არსებულ პოლიტიკას გარემოსდაცვის სექტორში. ერთი მხრივ, მიმდინარეობს საბიუჯეტო თანხების ხარჯვა გარკვეული აღდგენითი თუ საადაპტაციო ქმედებების განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, მიიღება მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ამწვავებენ არსებულ გარემოსდაცვით რისკებს;

- საჭიროა შემუშავდეს კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. ქვეყანამ უნდა მოიზიდოს მეტი ფინანსური რესურსი, უზრუნველყოს ადამიანური და ტექნიკური რესურსების ზრდა, გაიზარდოს საზოგადოების მონაწილეობა ამ სფეროში[18].

ბუნებრივი კატასტროფების მართვა

არსებული ბუნებრივი კატასტროფების და კლიმატის ცვლილების ფონზე მნიშვნელოვანია ქვეყანას ჰქონდეს ბუნებრივი კატასტროფების მართვის ჩამოყალიბებული სისტემა. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, ღარიბი მოსახლეობის მაღალი მაჩვენებლით ძლიერ მოწყვლადია ბუნებრივი კატასტროფების შედეგების მიმართ, როგორც სიცოცხლის, ისე საარსებო გარემოს თვალსაზრისით.

ქვეყანაში არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შერბილებასა და კატასტროფების რისკის შემცირებას (ჰიოგოს მოქმედებათა გეგმა). 1993-2009 წლებში მიღებული კანონმდებლობა, მათ შორის კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საფრთხეებისგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ ძირითადად არეგულირებს კატასტროფის შემდგომ ქმედებებს და არ არის საკმარისი კატასტროფების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვისთვის ქვეყანაში[19].

არასრულყოფილ საკანონმდებლო ბაზას ემატება სხვა სტრატეგიული დოკუმენტების ნაკლებობა. 2008 წლის 26 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის 415 ბრძანებულებით დამტკიცდა „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს უწყებათა შორის ფუნქციების გადანაწილებას და კოორდინაციის მექანიზმებს. გეგმა არ არის სრულყოფილი და გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებები, არ განიხილავს მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობისა თუ სამოქალაქო განათლების საკითხებს და სხვ[20].

გარემოსდაცვის სამინისტროს ევალება ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების მონიტორინგი, პროგნოზირება, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია; დღეისთვის არსებული გარემოს მონიტორინგის ქსელითა და ფინანსური თუ ადამიანური რესურსებით, გარემოს ეროვნული სააგენტო ვერ ახორციელებს სრულმაშტაბიან კვლევებს და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს ადრეული შეტყობინების გამართული სისტემის ჩამოყალიბება.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც მუშაობენ საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების მართვის სისტემის დანერგვაზე (ევროკავშირი, UNDP, შვეიცარიის განვითარების სააგენტო, წითელი ჯვარი, და სხვ). მაგრამ, აუცილებელია საქართველოს მთავრობის მხრიდან რეალური და ქმედითი ნაბიჯების გატარება, რათა რეალურად მოხდეს ბუნებრივი კატასტროფების რისკის

18 ttp://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/ENP_2011_geo.pdf

19 საქართველოს გარემოსდაცვის მოქმედებათა ეროვნული გეგმა, 2012

20 http://www.bspn.gfsis.org/docs/BSPN_Bulletin_4.pdf

შემცირება და მართვა. მთავრობის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების 2009-2012 წლების დოკუმენტში ერთ-ერთ პრიორიტეტად ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება შევიდა, მაგრამ 2010 წელს პრევენციაზე წინა წელთან შედარებით 6-ჯერ ნაკლები თანხა დაიხარჯა.

რეკომენდაციები:

- დაინერგოს ადრეული შეტყობინების სისტემა;
- აუცილებელია საზოგადოების თანამონაწილეობით შემუშავდეს ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის პოლიტიკა და ეროვნული სტრატეგია, აგრეთვე ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი გეგმები და მოხდეს მათი პრიორიტეტიზაცია საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში.

გარემოსდაცვითი მმართველობის პრობლემა

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უშლის ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას. გაუთავებელი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად მათ შორის ბუნებრივი რესურსების უფრო მეტად ათვისების გზით, სრულიად დაინგრა გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემა.

2004-2006 წლებში გაუქმდა სხვადასხვა ტიპის ლიცენზიების და ნებართვების გაცემის მარეგულირებელი კანონების დაახლოებით 85%, მათ შორის, გარემოს დაცვის, სურსათის უსაფრთხოების, მრეწველობისა და ავტომანქანების კონტროლის სფეროში. ხოლო 2011 წლის მთავრობის რეფორმირების შედეგად ჩამოყალიბდა უფუნქციო და ურესურსო გარემოს დაცვის სამინისტრო. ამავდროულად, მთავრობის ინიციატივებით დაიშვა საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებზე ნადირობა, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე და მათ უშუალო სიახლოვეს განვითარების პროექტების, აგრეთვე დიდი ენერგეტიკული და ტრანსპორტის პროექტების განხორციელება გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური რისკების გათვალისწინების გარეშე.

ფრენსის ბეკონი (1561 - 1626)
ინგლისელი ფილოსოფოსი

"მუნიმა ყველაზე ადვილია დაიძვემდეგმარო მის მიმართ მორჩილებით"

"უსამართლობის სამი წყარო არსებობს: ბალადობა, კანონს ამოთვარებული მზაკვრობა და თავად კანონის სიმკაცრე"

2012 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა, ყველა დაინტერესებულ პირს მისცა საშუალება დადოს შეთანხმება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, რომლითაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედება (მათ შორის მაგ. ტერიტორიის დაბინძურება საწარმოო ნარჩენებით, მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, და ა.შ.) ჩაითვლება კანონიერად.

კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კანონმდებლობას, და პრინციპულად შეუთავსებელია საერთაშორისო გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებთან (როგორიცაა რისკების შემცირების პრინციპი, მდგრადობის პრინციპი და სხვა) რომლებიც მიღებული იქნა გაეროს 1992 წლის რიო-დე ჟანეიროს დედამიწის სამიტზე.

რეკომენდაცია

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საერთაშორისო გარემოსდაცვით კანონმდებლობასა და აღიარებულ გარემოსდაცვით პრინციპებთან.

დასკვნა

გარემოსდაცვითი დეგრადაცია და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება შეიცავს მნიშვნელოვან საფრთხეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით, ხელს უწყობს სიღარიბის გამწვავებას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

საბედნიეროდ, საქართველო გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვალსაზრისით ამჟამად არ შედის ყველაზე მოწყვლად ქვეყანათა რიგში. თუმცა, გამომდინარე მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ეთნო-კონფლიქტებიდან, გეოგრაფიული ლანდშაფტიდან და კლიმატის ცვლილების არსებული და პოტენციური ზეგავლენისგან, აუცილებელია რეალურად შევაფასოთ მოსალოდნელი საფრთხეები და გადავდგათ ზემოთ შემოთავაზებული შესაბამისი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ისეთი გარემოსდაცვითი მმართველობა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც მდგრად განვითარებას, ასევე სამშვიდობო პროცესების გაძლიერებას რეგიონში.

ნიკოლოზ ბერაძე

სტიქიური უსაფრთხოება

მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შეფასება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა (გაერო) და მსოფლიოს როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის სტიქიური უსაფრთხოება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და წარმოადგენს XXI საუკუნის უსაფრთხო მსოფლიოს მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. აქვე შევნიშნავთ, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში სტიქიური უსაფრთხოების ცნება გაიგივებულია ეკოლოგიური უსაფრთხოების ცნებასთან.

სტიქიური უბედურებები ხელს უშლიან და მნიშვნელოვნად ამცირებენ ქვეყნების განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების ეფექტურობასა და, რაც ყველაზე საყურადღებოა, აფერხებენ სიღარიბის აღმოფხვრის პროცესებს. სტიქიური უბედურებების მოწყვლადობის ხარისხი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მათთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობები. პრობლემას უფრო აქტუალურს ხდის ბირთვულ უსაფრთხოებასა და მრავალრიცხოვან ტექნოგენურ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხები.

გაეროს მონაცემებით სტიქიური მოვლენებისგან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის მიყენებული ზარალი ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა 250 ათასს აღემატება. სტიქიისგან დაზარალებული ადამიანების რიცხვი წელიწადში 200 მილიონზე მეტია, რაც დაახლოებით 7-ჯერ აღემატება სხვადასხვა კონფლიქტებში დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობას.

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეული მსხვერპლის, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალის შემცირების მიზნით, გაერომ გასული საუკუნეების ბოლო ათწლეული, სტიქიური მოვლენებისაგან მოსალოდნელი ზარალის შემცირების ათწლეულად გამოაცხადა. მთავარი მიზანი იყო სტიქიური უბედურებებით გამოწვეული მსხვერპლის რაოდენობისა და მატერიალური ზარალის, ასევე ეკონომიკური და სოციალური დეგრადაციის მინიმუმამდე დაყვანა. ათწლეულის მიზნების რეალიზაციამ გამოიწვია მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილება სტიქიურ უბედურებებზე რეაგირებიდან სტიქიური საშიშროების შემცირების (პრევენციის) ზომებზე გადასვლა. სტიქიურ კატასტროფებზე რეაგირება, რომელსაც წარსულში ცენტრალური ადგილი ეკავა, ნთქავდა მნიშნელოვან რესურსებს და ვერ უზრუნველყოფდა ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობისა და ეკონომიკური ზარალის მნიშვნელოვან შემცირებას.

ადამიანების, ეკონომიკური და სოციალური დანაკარგების შემცირების მიზნით, ბუნებრივი კატასტროფების ზემოქმედების მიმართ საზოგადოების მდგრადობის შენარჩუნებისათვის და სტიქიური უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოორდინაციის მიზნით გაერომ 2001 წელს დააარსა სტიქიური უბედურებების საშიშროების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის განმსაზღვრელი ორგანიზაცია (ISDR). სტრატეგიის განხორციელება მოიაზრებს საზოგადოებრივ, გაეროს ორგანიზაციებს, სამეცნიერო წრეებსა და მასობრივი ინფორმაციების საშუალებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. 2005 წელს ამ ორგანიზაციის თაოსნობით იაპონიაში ჩატარდა მსოფლიო კონფერენცია კატასტროფების შემცირების საკითხებზე, სადაც მიღებული იქნა ჰიოგოს დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა “2005-2015 წლებში კატასტროფების მიმართ გამძლეობისა და მდგრადობის დამკვიდრება ქვეყნებსა და თემებში.” პროგრამაში გაწერილია ის ძირითადი საქმიანობა რომელიც უნდა აწარმოონ ქვეყნებმა და საერთაშორისო

ორგანიზაციებმა. კონფერენციამ დასახა ხუთი პრიორიტეტული სამოქმედო მიმართულება:

- მყარი ინსტიტუციონალური ბაზის პირობებში კატასტროფების რიცხვის შემცირება უნდა გახდეს ეროვნული და ადგილობრივი პრიორიტეტი;
- ადრეული შეტყობინებების სისტემის გაუმჯობესება, კატასტროფების იდენტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი;
- გამოცდილების, ნოვატორული გადაწყვეტილებებისა და განათლების გამოყენება ყველა დონეზე, უსაფრთხო პირობებისა და გამძლეობის პოტენციალის შექმნის მიზნით;
- რისკფაქტორების საფუძველის შემცირება;
- ეფექტური რეაგირების მიზნით, კატასტროფების მიმართ მზაობის გაზრდა ყველა დონეზე.

კონფერენციაზე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ პრევენციის ხელშეწყობა, მათ შორის კატასტროფების რისკის შემცირებისათვის ადეკვატური რესურსების მობილიზაცია, წარმოადგენს ინვესტიციას, რომელიც მომავალში სერიოზულ უკუგებას იძლევა.

რისკის შეფასება და ადრეული გაფრთხილების სისტემები სასიცოცხლო ინვესტიციას წარმოადგენს, რაც ხელს შეუწყობს ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენას, მდგრად განვითარებას და გაცილებით უფრო ხელსაყრელია ფინანსურადაც კატასტროფებთან ბრძოლის მექანიზმების კუთხით, ვიდრე ის სცენარები, რომლებიც რეაგირების ზომებზე ძირითადად ყურადღების გამახვილებასა და კატასტროფების შემდგომ აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებს.

სტიქიურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კლიმატის ცვლილების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაშიც.

კლიმატის ცვლილების უდიდესი აქტუალობიდან გამომდინარე მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამამ 1988 წელს ჩამოაყალიბეს კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი (IPCC), რომელშიც გაერთიანდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებიც. ჯგუფის მიზანია კლიმატის ცვლილების რისკების, მათი შერბილებისა და მათდამი ადაპტაციის გზების შეფასება.

კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის პროგნოზების თანახმად XXI საუკუნის ბოლოსათვის მოსალოდნელია:

- გლობალური ტემპერატურის 1,4 – 5,8°C -ით მომატება 1990 წელთან შედარებით;
- ზღვებსა და ოკეანეებში წყლის დონის მატება 9-დან 88 სანტიმეტრამდე, რაც გამოიწვევს ზოგიერთი კუნძულის წყლით დაფარვას, ხოლო სანაპირო ზოლში მცხოვრები მოსახლეობისთვის გარკვეული საფრთხეების შექმნას;
- წყლის რესურსების გადანაწილება;
- მყინვარების დნობის პროცესის გაძლიერება;
- ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების შემცირება;
- გაუდაბნოების პროცესების გააქტიურება;
- ეკოსისტემების გადაგვარება და ა.შ.

ბოლო წლებში კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სტიქიური უსაფრთხოების საკითხებს. მეცნიერების მოსაზრებებით გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან გლობალური დათბობის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი სტიქიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა გახდა.

2011 წლის ბოლოს გამართულ კონფერენციაზე ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს მოსაზრება და აღინიშნა, რომ სათბური გაზების კონცენტრაციის მომატება ზემოქმედებას ახდენს სტიქიური მოვლენების გააქტიურებაზე. ასევე დაფიქსირდა ცხელი დღეების რიცხვის ზრდის ტენდენცია. უახლოესი 30-40 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ცხელი დღეების რიცხვის 4-ჯერ, ხოლო საუკუნის ბოლოსათვის-10-ჯერ გაზრდა.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ხელმოწერილ იქნა გაეროს კლიმატის ჩარჩო-კონვენცია (UNFCCC) რომელიც აერთიანებს 192 ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც კონვენციას 1994 წელს მიუერთდა.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ბოლო წლებში გამართულ მხარეთა კონფერენციებზე (სამიტებზე) ყურადღება გამახვილდა კლიმატური (სტიქიური) უსაფრთხოების საკითხებზე. 2011 წლის დეკემბერში სამხრეთ აფრიკის ქ. დურბანში გამართულ მხარეთა კონფერენციაზე გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ჩვენი პლანეტის მომავალს საფრთხე ემუქრება. საუბარია ადამიანების სიცოცხლის შენარჩუნებაზე, გლობალური ეკონომიკის მდგომარეობაზე და ზოგიერთი ერების გადარჩენაზეც კი. გენერალური მდივანი გამოვიდა მოწოდებით, 2050 წლისათვის განხორციელდეს სათბური გაზების გამონაბოლქვების 2-ჯერ შემცირება, რათა შენარჩუნებული იქნას ტემპერატურის მატება ორი გრადუსის ფარგლებში. მის მიერვე იქნა აღნიშნული, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემების, პოლიტიკური და კლიმატის ცვლილების რეაგირების სტრატეგიაზე აზრთა სხვადასხვაობის გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი და სავალდებულო ხელშეკრულების მიღება.

საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასება

საქართველო ხასიათდება კლიმატის მრავალფეროვნებით. დედამიწაზე არსებული 14 კლიმატური ზონიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ფიქსირდება 11. სტიქიური მოვლენების გავრცელების არეალი პრაქტიკულად ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი (მიწისზედა, საზღვაო, საჰაერო), წყალთა მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა, მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, დაზღვევა და სხვ. მუდმივად განიცდიან სტიქიური მოვლენების ზემოქმედებას. ასევე მეტად მნიშვნელოვანია სტიქიური უსაფრთხოების საკითხები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში.

მრავალფეროვანია სტიქიური მოვლენების რიცხვიც: წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ღვარცოფული მოვლენები, მიწისძვრები, მეწყერები, ეროზიული პროცესები, თოვლის ზვავები, გვალვები, სეტყვიანობა, ქარიშხლები, მდინარეთა და ზღვის ნაპირების პერეფორმირება და ა.შ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მთიან რეგიონებში. სტიქიური მოვლენები იწვევს



ალბერტ შვეიცერი (1875 - 1965) გერმანელი თეოლოგი, მუსიკოსი, ფილოსოფოსი, ექიმი; ნობელის პრემიის ლაურეატი

"თუ ადამიანმა დაკარგა წინასწარხედვის და მოვლენათა წინსწრების უნარი, იგი დედამიწის განადგურებით დაამთავრებს".

მოსახლეობის აყრას და სოფლების დაცარიელებას. ბოლო 35 წლის განმავლობაში სტიქიისგან დაღუპულია 1000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო უსაფრთხო ადგილებზე გადაყვანილია 50 ათასამდე ოჯახი. იმ წლებშიც კი რომლებიც არ ხასიათდებიან სტიქიური მოვლენების დიდი ინტენსივობით, ზარალი რამდენიმე ათეული მილიონი ლარით განისაზღვრება, ხოლო იმ წლებში როდესაც სტიქია აქტიურდება ზარალი ასეულობით მილიონ ლარს შეადგენს. 1987-1989 წლებში სტიქიისაგან მიყენებულმა ზარალმა კი მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ქართველი მეცნიერების კვლევები კლიმატის ცვლილების საკითხებზე წარმოდგენილია ნაშრომში: "საქართველოს II ეროვნული ანგარიში გაეროს კლიმატის კონვენციისადმი."

მასში ნათქვამია, რომ საქართველოში აღინიშნება ტემპერატურისა და ნალექების რაოდენობრივი ცვლილებები. ასევე აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილებებისადმი განსაკუთრებული მგრძნობიარობით ხასიათდება და საჭიროებს ადაპტაციური ღონისძიებების გატარებას:

- შავი ზღვის სანაპირო ზოლი, სადაც ადგილი აქვს ზღვის დონის აწევას და შტორმული მოვლენების სიმძლავრისა და სიხშირის მატებას, რასაც (განსაკუთრებით ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე) ემატება მდ. რიონის ადიდებებით გამოწვეული პრობლემები;

- ქვემო სვანეთის რეგიონი (განსაკუთრებით ლენტეხის რაიონი), სადაც ადგილი აქვს ნიადაგის ეროზიას და სტიქიური მოვლენების (წყალმოვარდნები, მეწყერები, ზვავები, დიდთოვლობა, წყალდიდობა) სიხშირის ზრდას;

- დედოფლისწყაროს რეგიონი, სადაც მიმდინარეობს გაუდაბნოების პროცესი.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად შემცირდა ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების რიცხვი, რამაც განაპირობა მიღებული შედეგების სანდოობის შემცირება.

ჰიოგოს 2005-2015 წლების სამოქმედო ჩარჩო პროგრამიდან გამომდინარე ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, ვალდებულია მდგრადი განვითარების, მოსახლეობის, ინფრასტრუქტურის და სხვა ეროვნული ფასეულობების დაცვის მიზნით გაატაროს სტიქიური კატასტროფებისაგან მოსალოდნელი ზარალის შემცირების ეფექტური ზომები.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროს შესაბამისი ყურადღება არ ეთმობა. დღემდე არ არის შემუშავებული ქვეყნის სტიქიური უსაფრთხოების ერთიანი კონცეფცია (სტრატეგია) და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, რის გამოც არ არის შეფასებული, თუ რა სამუშაოებია ამ სფეროში პრიორიტეტული და რა მიმდევრობით უნდა შესრულდეს ისინი. სტიქიური უსაფრთხოების საკითხები არც საქართველოს უშიშროების კონცეფციაშია სათანადოდ ასახული. გასაუმჯობესებელია საკანონმდებლო ბაზაც. დაწესებულებები, რომლებიც ამ პრობლემატიკაზე მუშაობენ, მიმოფანტულია სამთავრობო სტრუქტურებში და სხვადასხვა უნივერსიტეტებში, არასაკმარისია მათი დაფინანსებაც.

ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა გარემოზე მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, ოკეანოლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, რადიაციული და ა.შ. დაკვირვებები.

მინიმუმამდეა დაყვანილი დაკვირვებები გარემოს დაბინძურებაზე. ეპიზოდურ ხასიათს ატარებს მყინვარებზე დაკვირვებებიც და ეს იმ დროს, როდესაც დაწყებულია მათი დნობის პროცესი. უკვე 20 წელზე მეტია შეწყვეტილია სასოფლო სამეურნეო კულტურების სეტყვისაგან დაცვის, საქართველოს სამხედრო გზის ზვავსაშიშ ზონებში თოვლის ზვავების ხელოვნურად ჩამოყვანისა და ნალექების რეგულირებების სამუშაოები, რომლებიც თავის დროზე საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ეფექტით ხასიათდებოდნენ. ზამთრის პერიოდში სამხედრო გზის ხშირ და საკმაოდ დიდი ხნით ფუნქციონირების შეფერხებას, გარდა ეკონომიკურისა, პოლიტიკური და დემოგრაფიული დატვირთვაც გააჩნია. ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო - ექსპერიმენტული სამუშაოების შეწყვეტა თავის დროზე გასული საუკუნის 80-90 იანი წლების მიჯნაზე ქვეყანაში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა გამოიწვია. არ არის ჩატარებული რისკების კომპლექსური შეფასება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ჭრილში და შესაბამისად, არ არის შედგენილი ჩასატარებელი პრევენციული და ადაპტაციური ღონისძიებების გეგმები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს სტიქიური მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემა.

მთლიანად მოშლილია სპეციალისტების მომზადების სისტემაც, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. გაუქმებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი კათედრები და აღარ წარმოებს სპეციალისტების მომზადება.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ არასაკმარისია საზოგადოების ჩართულობა ზემოთ აღნიშნულ პრობლემატიკაში, რისკენაც ასე დაბეჯითებით მოგვიწოდებს გაერო. სტიქიური უსაფრთხოების თემატიკით ნაკლებათ არიან დაკავებულები არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

შესაძლებელია სხვა მრავალი პრობლემის ჩამოთვლაც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება თუ რა უნდა გაკეთდეს დღეს, ახლო მომავალში და პერსპექტივაში, რათა სტიქიურმა მოვლენებმა ნაკლები ზიანი მიაყენოს ჩვენს ქვეყანას. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, გლობალური დათბობის გამო მოსალოდნელია ამ პროცესების კიდევ უფრო გააქტიურება. ასევე გასათვალისწინებელია სტიქიური მოვლენების ფაქტიური და პროგნოსტიკული ინფორმაციების ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მართვის პროცესში ჩართვის აუცილებლობაც.

საქართველოში გასატარებელი ღონისძიებები

ქვეყანაში სტიქიური უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- სტიქიური უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგიისა (კონცეფციის) და სახელმწიფო პროგრამის შედგენა;
- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სტიქიური უბედურებების გამომწვევი რისკების დეტალური შეფასება;
- გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის ორგანიზება. მეტეოროლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, სეისმოლოგიური, ოკეანოლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, რადიაციული და სხვა დაკვირვებების აღდგენა და მოდერნიზაცია;
- დისტანციური მეთოდებით დაკვირვების (მეტეოროლოგიური რადარები და თანამგზავრები) სისტემის ორგანიზება;
- მყინვარებზე სისტემატიური დაკვირვების სისტემის ორგანიზება;
- გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვების სრულყოფილი სისტემის შექმნა;
- ზღვის, მდინარეების ნაპირების, ქალაქებისა და სოფლების სტიქიური მოვლენებისაგან დაცვის დეტალური ღონისძიებების შემუშავება;საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება;
- კლიმატური რესურსების შეფასება და მართვა;
- სტიქიური მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა;
- სტიქიური მოვლენებისაგან მოსალოდნელი ზარალის შემცირების მიზნით შესაბამისი ადაპტაციური და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
- ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე (ზვავები, სეტყვიანობა, ნალექების გადანაწილება) აქტიური ზემოქმედების სამუშაოების აღდგენა;
- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორის, ნავთობ და გაზსადენების უსაფრთხო და ეფექტური ფუნქციონირების სისტემის შექმნა;
- სტიქიური უსაფრთხოების მიზნით ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგების შეფასება (ხელოვნური წყალსაცავები, მშენებლობები, ახალი ტერიტორიების ურბანიზაცია);
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მომზადება. ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების გადამზადების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების (ინსტიტუტი, ცენტრი) ჩამოყალიბება;

- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან სტიქიური უსაფრთხოების თემატიკის დაფინანსების საკითხებზე მუშაობის გააქტიურება;

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციული უზრუნველყოფა მათი აქტიური ჩართულობის მიზნით;

ზემოთ აღნიშნული შრომატევადი, ფინანსურად საკმაოდ ძვირადღირებული სამუშაოების განხორციელების მიზნით აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მისი ჰარმონიზაცია საერთაშორისო კანონმდებლობასთან. ამასთანავე, აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა შეიქმნას შესაბამისი უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი სამთავრობო სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანდება ამ საქმიანობით დაკავებული ყველა სამსახური და სამეცნიერო დაწესებულება.

სტიქიური უსაფრთხოების სფეროს ამდაგვარი დარეგულირება ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

რევაზ გაჩეჩილაძე

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გამოწვევები

ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ტენდენციები და მოვლენები, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოს პოტენციური საფრთხე შეიძლება შეუქმნან.

ეთნიკურ უმცირესობათა დინამიკა დამოუკიდებლობისწინა საქართველოში

ბოლო ათასი წლის განმავლობაში ისტორიული განვითარების თავისებურებამ განაპირობა ის, რომ საქართველო იზიდავდა არაქართულ ელემენტს საკუთარ ტერიტორიაზე. თბილისი ყოველთვის ასრულებდა პოლიტიკურად ორგანიზებული რომელიმე ტერიტორიის ცენტრის როლს: XII საუკუნიდან ის იყო საქართველოს სამეფოს, ქართლის სამეფოს და ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქი; XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თბილისი იყო მთელი კავკასიის ცენტრი -კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია. ეკონომიკურ ფუნქციასთან ერთად ეს ადმინისტრაციული ფუნქციაც თბილისის მრავალეთნიკურობის ფაქტორი იყო.

რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შემდეგ ქართლ-კახეთში, რომელიც თბილისის გუბერნიად იქცა, **"მოსახლეობის აჭრელება" შეგნებულ იმპერიულ პოლიტიკად იქცა**. თუმცა პეტერბურგმა ვერ მოახერხა ისეთი მასობრივი რუსული კოლონიზაციის მოწყობა იმგვარად, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ თბილისის გუბერნიაში 1810-1830-იან წლებში მაინც მოხდა სლავური (ნაწილობრივ - მართლმადიდებელი, უფრო მეტად კი სექტანტური) მოსახლეობის, გერმანელი კოლონისტების, ერზურუმის ეიალეთის (ოსმალეთის იმპერია) სომხური და ბერძნული მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება. სტიქიური პროცესი იყო 1860-იანი წლებიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსებისა და ქისტების (ჩეჩნების) გადმოსახლება. ასეთი მიგრაციების შედეგად XIX საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველო მხოლოდ სანახევროდ იყო დასახლებული ქართველებით.

დასავლეთ საქართველოში მიგრაციების მიმართულება ცვალებადი იყო. მართალია, ქუთაისის გუბერნია (სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის გარეშე) თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ მის პერიფერიაზე ეთნიკური ცვლილებები ხდებოდა. აფხაზების თითქმის ნახევარი (30 ათასამდე) 1866-1867 და 1877-1878 წლებში იძულებული გახდა აფხაზეთიდან ოსმალეთში გადასახლებულიყო. 1878-1879 წლებში მოსახლეობის დიდი ემიგრაცია იყო აჭარიდან, საიდანაც მუსლიმი ქართველები გადასახლდნენ ოსმალეთში (სხვადასხვა მკვლევარის შეფასება ემიგრანტთა რაოდენობის შესახებ მერყეობს 8-30 ათასის დიაპაზონში). ბათუმში დასახლდნენ სომხები, რუსები, ბერძნები. იმპერიულმა მთავრობამ 1880-იანი წლებიდან კურსი აიღო აფხაზეთის რუსულ კოლონიზაციაზე, მაგრამ სლავებთან ერთად იქ ჩაასახლა მრავალი სხვა ეთნიკური წარმოშობის კოლონისტი იმპერიის ევროპული ნაწილიდან და საკუთრივ ევროპიდან. ქართული მოსახლეობა ოფიციალური ნებართვის გარეშე სახლდებოდა სოხუმის ოკრუგში (აფხაზეთში).

აკად. ვახტანგ ჯაოშვილის გამოთვლით, XIX საუკუნეში და 1921 წლამდე სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის იმიგრანტების საქართველოში შემოსვლის შედეგად **მიგრაციის სუფთა სალდომ** (ანუ ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ემიგრანტების გამოკლებით) **შეადგინა 300-325 ათასი ადამიანი**.

ყოველივე ამის გამო **საქართველოს მოსახლეობა ეთნიკურად ჭრელი აღმოჩნდა**, რამაც საბაბი მისცა საბჭოთა ხელისუფლებას 1920-იანი წლების დასაწყისში შეექმნა საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ორი ეთნოტერიტორიული ავტონომია (მესამე, აჭარის ავტონომიის შექმნა თურქეთ-რუსეთის საგარეოპოლიტიკური გარიგების შედეგი იყო).

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, რომელიც 1926 წელს ჩატარდა, საქართველოს სსრ-ში ქართველები შეადგენდნენ 67,7 პროცენტს, სომხები - 11,6, რუსები (და უკრაინელები) - 4,1, ოსები - 4,3, აზერბაიჯანელები - 3,1, აფხაზები - 2,1, ბერძნები - 2,1, ებრაელები 1,2, სხვები - 3,9 პროცენტს.

მომდევნო, 1939 წლის აღწერის დროს კი აღმოჩნდა, რომ ქართველების წილი 61,4-პროცენტამდე, ხოლო აფხაზებისა 1,6 პროცენტამდე შემცირდა. სამაგიეროდ, 10 პროცენტამდე გაიზარდა აღმოსავლეთ სლავების (რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების), 11,7-მდე - სომხების, 2,4-მდე - ბერძნების ხვედრითი წილი. აბსოლუტური მაჩვენებლებით ეს ცვლილებები კიდევ უფრო მთამბეჭდავია: სლავების ჯამური რაოდენობა ცამეტ წელიწადში (1926-1939) გაიზარდა 126,5 ათასიდან 350,5 ათასამდე, სომხებისა - 307 ათასიდან 414,2 ათასამდე.

II მსოფლიო ომის პერიოდში ფართო მასშტაბი ჰქონდა მოსახლეობის იძულებით მიგრაციებს: საქართველოდან ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში მთლიანად გადაასახლეს გერმანელები და მესხეთელი მუსლიმები; საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან საქართველოში მოხდა სლავური და ებრაული მოსახლეობის დიდი მასის ევაკუაცია, რომლის ნაწილი ომის შემდეგაც დარჩა აქ.

1990 წლამდე ეთნიკური სტრუქტურის დინამიკა მდორე ხასიათს ატარებდა, არ იყო მკვეთრი ძვრები. თანდათან მატულობდა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომლის ეროვნულ კონსოლიდაციას შეუქცევადი ხასიათი მიეცა. ნელა კლებულობდა სლავური და სომხური მოსახლეობის ხვედრითი წილი.

რუსების რიცხოვნობა 1959-1989 წლებში აბსოლუტურადაც შემცირდა (408 ათასიდან 341 ათასამდე). ეს ძირითადად აიხსნება იმ პერიოდში საქართველოს სსრ-ის ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაცემით (რამაც შეამცირა მოთხოვნილება რუსულ მუშახელზე), საბჭოთა არმიის ნაწილების სხვა რესპუბლიკებში გადაყვანით, დაბალი შობადობით რუსულ მოსახლეობაში. სომხების ნაწილი სომხეთის სსრ-ში გადასახლდა.

ეთნიკური სტრუქტურის ცვლილება დამოუკიდებელ საქართველოში

1990-იანი წლების დამდეგს საქართველოში დიდი ეთნიკური ძვრები დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გავიდა საბჭოთა არმიის საგრძნობი ნაწილი (დარჩა რამდენიმე ბაზა), რომლის ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები უპირატესად სლავები იყვნენ: ისინი ძირითადად რუსეთის ფედერაციაში წავიდნენ; მაშინვე მოხდა სომხებისა და ქურთების ნაწილის ემიგრაცია. წავიდნენ სხვა ეთნოსების წარმომადგენლებიც, მათ შორის ბერძნული წარმოშობის ადამიანები - საბერძნეთში, სადაც მათ წინაპრებს არასოდეს უცხოვრიათ - ეს ანატოლიელი და პონტოელი (შავიზღვისპირელი) ბერძნები იყვნენ. ქართველი ებრაელების ემიგრაციის პირველი ტალღა ("დიდი ალია") ისრაელში უკვე 1969-1972 წლებში მოხდა, 1990-1992 წლებში წავიდა დარჩენილ ებრაელთა დიდი ნაწილიც.

ცხრილი 1 წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მოსახლეობის **ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებაზე** 1989 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემების მიხედვით (ათასებში).

ცხრილი 1

	1989	2002	ცვლილება 1989-2002 წწ.		წილი მთელ მოსახლეობაში (%)	
			ათასები	%	1989	2002
სულ	5 401	4 372	-1 029	-19,1	100,0	100,0
ქართველი	3 787	3 661	-126	-3,3	70,1	83,8
აზერბაიჯანელი	308	285	- 23	-7,4	5,7	6,5
სომეხი	437	249	-188	-43,1	8,1	5,7
რუსი	341	68	- 274	-80,2	6,3	1,5
ოსი	164	38	-126	-76,8	3,0	0,9
ბერძენი	100	15	- 85	-85.0	1,9	0,3
უკრაინელი	52	7	- 45	-86,5	1,0	0,2
ქურთი/იეზიდი	33	21	-12	-26,4	0,6	0,5
სხვა	178	27	-163	-84,8	3,3	0,6

2002 წლის აღწერის ცხრილში მოყვანილი მონაცემები მუდმივ მოსახლეობას ასახავს და ისინი საგრძნობლად მეტია იმაზე, რასაც მოგვცემდა მონაცემები ფაქტობრივი მოსახლეობის შესახებ. 1989 წელს მუდმივი და ფაქტობრივი მოსახლეობის რიცხოვნობა რეალურად ახლოს იყო ერთმანეთთან, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში საქართველოდან შრომით მიგრაციას ადგილი პრაქტიკულად არ ჰქონდა. 2002 წელს კი სტატისტიკური სამსახური გვიჩვენებდა თითქოს ქვეყნის მთელი ფაქტობრივი მოსახლეობა სულ 15,8 ათასი (sic!) ადამიანით ნაკლები იყო მუდმივ მოსახლეობაზე. ეს დაუჯერებელია: იმ დროს საზღვარგარეთ ასობით ათასი ადამიანი იმყოფებოდა!

ამ ორი აღწერის შედეგების შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ 2002 წლის აღწერას არ მოუცავს სეპარატისტების კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიები, რის გამოც, როგორც ჩანს, რეალურზე ნაკლები აღმოჩნდა მთელ საქართველოში აფხაზების (მათი მონაცემები ცხრილში არც შეგვიტანია), ოსების, სომხებისა და რუსების რიცხოვნობა.

მიუხედავად 2002 წლის მონაცემების გარკვეული ხარვეზებისა, სარწმუნოა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების მაჩვენებელი ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის უარყოფითია. შედარებით ნაკლებად შემცირდა ქართველებისა და აზერბაიჯანელების რიცხოვნობა (ამ უკანასკნელთა ნაწილი აზერბაიჯანში გადასახლდა). სხვა ეთნიკური ჯგუფების რიცხოვნობამ კიდევ უფრო იკლო.

გარკვეულ **ირიბ მასალას ეთნიკური სტრუქტურის დინამიკის დასაზუსტებლად გვაწვდის** ცხრილ 2-ში მოყვანილი 1990/91-2009/10 სასწავლო წლების საქსტატის მონაცემები **საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სწავლების ენის მიხედვით განაწილების შესახებ**.



არისტოტელე, ბერძენი ფილოსოფოსი (384-322 ძვ. წ)

“დემოკრატია აღმოცენდება ცნობიდან: ყველა, ვინც თანასწორია რაიმეს მიმართ, თანასწორია ასევე ყველათერის მიმართ; რადგან ადამიანები თანაბრად თავისუფალნი არიან, მათ გააჩნიათ პრეტენზია იყვნენ ამსოლუტურად თანასწორნი”

ცხრილი 2

მოსწავლეები,	1990/91	1995/96	2000/01	2004/05	2009/10
ათასებში	886,4	701,4	697,4	620,6	624,5
(პროცენტი)	(100,0)	(100,0)	(100,0)	(100,0)	(100,0)
ქართულ ენაზე	595,5	582,1	591,1	530,8	552,3
	(68,7)	(83,0)	(85,3)	(85,5)	(88,4)
რუსულ ენაზე	180,3	51,8	38,1	34,1	25,4
	(20,8)	(7,4)	(5,5)	(5,5)	(4,1)
აზერბაიჯანულ ენაზე	48,9	40,0	38,2	33,5	29,3
	(5,6)	(5,7)	(5,5)	(5,4)	(4,7)
სომხურ ენაზე	33,2	27,3	25,8	21,6	17,1
	(3,8)	(3,9)	(3,7)	(3,5)	(2,7)
აფხაზურ ენაზე	5,4	...	...	...	...
	(0,6)				
ოსურ ენაზე	2,8	0,2	0,2	0,2	0,2
	(0,3)	(0,03)	(0,03)	(0,03)	(0,03)

ცხრილი 2-დან ვხედავთ, რომ 19 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობა 29,5 პროცენტით შემცირდა, რაც აღემატება საქართველოს მთელი მოსახლეობის შემცირების შესახებ ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც თითქმის იმავე პერიოდში დაახლოებით 20 პროცენტიან კლებაზე მიუთითებენ.

1990/91-2009/10 წლებში ქართულ სკოლებში მოსწავლე ბავშვების რაოდენობამ 7 პროცენტით დაიკლო (რაც მეტია, ვიდრე მთელი ქართული მოსახლეობის კლების ოფიციალური მაჩვენებელი - 3,3 პროცენტი). ქართული სკოლების მოსწავლეთა ხვედრითი წილი კი გაიზარდა 68,7 პროცენტიდან 88,4 პროცენტამდე. ემპირიული დაკვირვებითაც ქართულ სკოლებში ახლა საკმაოდ ბევრი არაქართველი სწავლობს, რაც ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საფუძველია.
მკვეთრად დაეცა რუსულ სკოლებში მოსწავლეთა წილი (20,8 პროცენტიდან 4,1 პროცენტამდე; აბსოლუტური მაჩვენებლებით შემცირებამ 180 ათასიდან 25 ათასამდე შეადგინა). რუსულ სკოლებში მოსწავლეთა უმეტესობა არაა რუსი: ტრადიციულად, იქ ძირითადად სომხები სწავლობენ, განსაკუთრებით თბილისში.

სომხურ სკოლებში მოსწავლეთა რიცხოვნობა თითქმის განახევრდა - 33,2 ათასიდან 17,1 ათასამდე. ეს ირიბად მიუთითებს სასკოლო ასაკის სომეხი ბავშვების რაოდენობის ერთგვარ შემცირებაზეც (თუმცა მათი საკმაო ნაწილი, როგორც ითქვა, რუსულ სკოლაში სწავლობს). სომხური სკოლები უპირატესად ჯავახეთში, სამცხისა და წალკის მუნიციპალიტეტებშია გახსნილი.

19 წლის მანძილზე აზერბაიჯანულ სკოლებში მოსწავლეთა რიცხოვნობის 40 პროცენტით შემცირება (49 ათასიდან 29 ათასამდე) მიუთითებს აზერბაიჯანელთა შორის შობადობის კლებაზეც. ისახება მათი ბავშვების ქართულ სკოლებში მიბარების სუსტად გამოხატული ტენდენციაც, განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შორის.

სომხური და აზერბაიჯანული სკოლები გათვლილია ეთნიკური უმცირესობების საჭიროებაზე: მათში სხვა ეთნოსის წარმომადგენელს იშვიათად თუ ვნახავთ. არაქართველი ბავშვების ჯერჯერობით მცირე რაოდენობა სწავლობს ქართულ სკოლაში. მრავალეთნიკურ გარემოში სწავლა კი გაამარტივებდა მათ ადაპტაციას დემოგრაფიული ქცევის თანამედროვე მოდელთან, გაზრდიდა მათ ლოიალობას საქართველოს სახელმწიფოს მიმართ.

საერთო ჯამში, თუ ზემომოყვანილ სტატისტიკას დავეყრდნობით, საქართველოს პოლიტიკური მომავლისათვის და მისი ეროვნული ინტერესებისათვის ეთნიკური მრავალფეროვნება საგანგაშო არ არის. მაგრამ პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობა ამ აზრს არ გაიზიარებს.

ეთნიკური უმცირესობების გეოგრაფია, როგორც პოლიტიკური ფაქტორი

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს არსებობის დროს მისი მრავალეთნიკურობა **პოტენციური საფრთხე** იყო. მაგრამ დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზევე მან **რეალურ საფრთხეში გადაზრდა დაიწყო**. ამის მიზეზი მისი **ეთნიკური უმცირესობების განსახლების თავისებურებები** გახდა.

ეთნიკურ გეოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი მრავალეროვანი ქვეყნისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ერის ნაწილი მეზობელ სახელმწიფოშიც ცხოვრობს, ეს გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემას ქმნის ამ სახელმწიფოების ურთიერთობაში. მაგალითად, ის, რომ XIX საუკუნეში იტალიელთა ნაწილი ავსტრიის იმპერიაში იტალიის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა, პოლიტიკური კრიზისების საბაბი ხდებოდა. იტალიური ტერმინიდან irredenta [terra] ("გაუნთავისუფლებელი [მიწა]") გამოვიდა ირედენტიზმი, რაც ნიშნავს სწრაფვას ირედენტის შემოსაერთებლად. საერთაშორისო სამართალი ირედენტიზმს უარყოფითად უნდა აფასებდეს, რადგან ის საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილ წონასწორობას და სტაბილურობას არღვევს. ძლიერი ქვეყნები კი უხეშად იყენებენ ხოლმე ირედენტიზმს პოლიტიკის იარაღად (მაგალითად, ჰიტლერულმა გერმანიამ ამ საბაბით შეიერთა ჩეხოსლოვაკიის სუდეტების ოლქი 1938 წელს, ხოლო საბჭოთა კავშირმა - აღმოსავლეთ პოლონეთი - 1939 წელს).

საქართველოს შემთხვევაში სხვადასხვა ეთნოსის განსახლება განსხვავებულ ეფექტს იძლევა. მაგალითად, არავითარი ირედენტიზმის საფრთხეს არ ქმნიდნენ ქვეყნის შუაგულში, წალკის რაიონში, კომპაქტურად მცხოვრები ბერძნები: ისინი საბერძნეთისაგან შორს ცხოვრობდნენ. იგივე ითქმის ებრაელებზე. ძირითადად საქართველოს ქალაქებში მცხოვრები სლავური მოსახლეობის შემორჩენილი ნაწილი შერეული, უპირატესად ქართული ოჯახების წევრია. საქართველოს ქალაქებში, უპირველესად თბილისში 1915 წლიდან ცხოვრობენ ოსმალეთის იმპერიიდან გამოქცეული ქურთები, რომელთა უმრავლესობა (2002 წელს - 88 პროცენტი) თავს "იეზიდად" აცხადებს (რელიგიურად ისინი მართლაც განსხვავდებიან დანარჩენი, მუსლიმი, ქურთებისაგან, თუმცა ენობრივად ეს ერთიანი ჯგუფია). ქალაქში განსახლების გამო მათი ტერიტორიული სეპარატიზმი გამორიცხულია.

მეორე მხრივ, ის, რომ აფხაზები და ოსები საქართველოს პერიფერიაზე სახლობენ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები რუსეთის ფედერაციის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიქმნა, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მათში სეპარატისტული მოძრაობის გასაღვივებლად. მოსკოვი ყველანაირად აქეზებდა ამას, რადგან საქართველოს დასუსტებისა და მისი ხელახალი დამორჩილების ფაქტორად მოიაზრებდა. 2008 წლის 26 აგვისტოს შემდეგ **ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პოტენციურ, არამედ რეალიზებულ საფრთხესთან** - უცხო სახელმწიფოს მიერ რეალურად შექმნილ პრობლემასთან, რომლის განხილვა ამ კვლევის ფარგლებს სცდება.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის დიდ კომპაქტურ ჯგუფებს - **ეთნოტერიტორიულ თემებს -** ქმნიან მხოლოდ აზერბაიჯანელები და სომხები. მცირე კომპაქტურ ეთნოტერიტორიულ თემებს ქმნიან ჩეჩნები ("ქისტები") პანკისის ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) და ავარლები - ყვარლის მუნიციპალიტეტში, მაგრამ მათზე აქ ყურადღებას არ გავამახვილებ.

საგულისხმოა **საქართველოს სომხური და აზერბაიჯანული ეთნოტერიტორიული თემების განსახლების გეოგრაფია - მათი საგრძნობი ნაწილი ცხოვრობს სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმდებარე ტერიტორიაზე**. აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი ქვემო ქართლში სახლობს, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკას ემეზობლება; სომხების ნაწილი - სამცხე-ჯავახეთში, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის მეზობლად მდებარეობს. თეორიულად ეს გარემოება თბილისზე გარკვეული ზემოქმედების ბერკეტს აძლევს ბაქოსა და ერევანს: პოტენციურად შეიძლება გამოყენებული იქნეს ირედენტიზმის გაცხოველების მუქარა. თბილისს კი სიმეტრიული ბერკეტები არ

გააჩნია: აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში (საინგილოში) მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართველობა სათვალავში მისაღები თითქმის არაა. სომხეთში ქართული დიასპორა კი რეალურად არც არსებობს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დამდეგიდან საქართველოს ეთნიკური უმცირესობების განსახლების თავისებურებებს განიხილავდნენ, მოსკოველი გეოპოლიტიკოსები საქართველოში არსებულ "კონფლიქტურ ზონების" ჩამონათვალში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად, ევროპულ მედიაში ასახელებდნენ "ჯავახკს" (ჯავახეთს). ნათელია, რომ მეცნიერები ახმოვანებდნენ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთმა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაკნინებლად, უკვე წარმატებით გამოიყენა მისი ორი "კონფლიქტური ზონა", ნუთუ უნდა ველოდოთ, რომ ნეოიმპერიული შესაძლო შეტევის ობიექტი მესამე "კონფლიქტური ზონაც" შეიძლება გახდეს?

ირედენტიზმის პოტენციური საფრთხეები საქართველოსათვის არსებობს. რეალურია, რომ გარეშე ძალები იყენებენ მათ საქართველოს საწინააღმდეგო გეოპოლიტიკურ იარაღად. მაგრამ ამ საფრთხეების ნეიტრალიზაცია შეუძლებელი არ არის.

ქვემოთ განხილულია სამი ეთნიკური ჯგუფის პრობლემები საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის პოტენციური საფრთხის პოზიციიდან.

სომხები საქართველოში

საქართველოში **სომხების** რაოდენობა შემცირდა, მაგრამ რეალურად არა იმდენად, როგორც ცხრილ 1-ში ჩანს: თუ აფხაზეთში მცხოვრებ სომხებსაც მივათვლით, მათი რიცხოვნობა 2002 წელს, შესაძლოა, 300 ათასზე მეტიც ყოფილიყო. XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის განვლილ წლებში საქართველოს სომხების ნაწილი ემიგრაციაში წავიდა (სომხეთის რესპუბლიკიდან მათი ემიგრაცია კიდევ უფრო ინტენსიური იყო, ნაწილი საქართველოშიც კი გადმოსახლდა, უპირველესად - ბათუმში). სამცხე-ჯავახეთის მთელ მოსახლეობაში სომხების წილი მატულობდა კიდეც, თუმცა იქიდანაც იყო სომხური ემიგრაცია. თბილისელი და გაფანტულად მცხოვრები სომხები ლოიალურად არიან განწყობილი საქართველოს მიმართ და არ უქმნიან საფრთხეს მის სახელმწიფოებრიობისათვის.

ჯავახეთში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები; 2002 წელს იქ ჯამში 95,3 ათასი მცხოვრები აღირიცხა) სომხები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ (94,8 პროცენტს). XX საუკუნის დასაწყისში სომხური ელემენტის ასეთი დომინაცია არ აღინიშნებოდა: 1926 წლის აღწერის მიხედვით ჯავახეთში სომხები მოსახლეობის 74 პროცენტს შეადგენდნენ, დანარჩენი კი იყვნენ მართლმადიდებელი ან კათოლიკე ქართველები, სექტანტი რუსები, მუსლიმები (ქურთები, თურქები, ჰემშინები: ისინი 1944 წელს გადაასახლეს). 1979 წლის აღწერით სომხებმა ჯავახეთში 90,4 პროცენტი შეადგინეს. ბოლო ათწლეულებში კი იქიდან 6 ათასამდე რუსი სექტანტის (დუხობორების) თითქმის სრული ემიგრაციის გამო, ეს მაღალმთიანი და ბუნებრივი რესურსებით შედარებით ღარიბი რეგიონი პრაქტიკულად მონოეთნიკური გახდა (ქართული სოფლები იქ სულ რამდენიმეა).

საქართველოს სახელმწიფო არავითარ შეზღუდვას სომხურ ენას ჯავახეთში არ უქმნის: მოქმედებს სომხური საჯარო სკოლები, გამოდის გაზეთები ამავე ენაზე, ადგილობრივი ტელევიზია სომხურად გადასცემს ინფორმაციას, ანუ პრაქტიკულად სომხური გამოიყენება, როგორც რეგიონული ენა, თუმცა ეს იურიდიულად გაფორმებული არაა. ჯავახეთის სომხებს პრაქტიკულად უსასყიდლოდ სამუდამო მფლობელობაში გადაეცათ მიწის დიდი ფართობები.

ჯავახეთის სომხობა არ ფლობს ქართულ ენას, რაც საბჭოთა პერიოდში აიხსნებოდა იმით, რომ ერთაშორისი ურთიერთობის ენა ყველგან რუსული იყო. ადგილობრივ მეზობლებად, რომლებთანაც ურთიერთობა დასჭირდებოდათ, იქაურ სომხურ ოჯახებს ისევ სომხები ჰყავდათ და არა ქართველები. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ და, განსაკუთრებით 2007 წელს ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გატანის შემდეგ, ვითარება შეიცვალა. სახელმწიფო ენაზე კომუნიკაცია აუცილებლობად იქცა. საქართველოს სომხობის გონიერ ნაწილს კარგად ესმის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა ხელს შეუწყობს მათ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც სულაც არ გულისხმობს ასიმილაციას.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს და შემდგომაც ჯავახეთიდან, სადაც უმუშევრობის დიდი მაჩვენებელი იყო, მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებლად გადადიოდა სომხეთის რესპუბ-ლიკაში ან რუსეთში. ჯავახეთის სომეხთა სამშენებლო არტელები ყოველ ზაფხულს დადიო-დნენ სეზონურ სამუშაოზე რუსეთში, რაც მათ საგრძნობ შემოსავალს აძლევდა. 2000 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ გაართულა ასეთი სეზონური მიგრაცია, ხოლო 2008 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ სე-რიოზული დაბრკოლება შეუქმნა მათ. ჯავახელ სომეხთა ნაწილი რუსეთში მუდმივად დარჩა.

სეზონური მიგრაციის საშუალების შესანარჩუნებლად კი ერთმა ნაწილმა არჩია რუსეთის ან სომხეთის მოქალაქეობის მიღება (ხშირად, ქართული პასპორტის შენარჩუნებით): სომხეთის პასპორტით რუსეთში შესვლა უვიზოდ ხდება. სომხეთის რესპუბლიკამ 2008 წლიდან კანონით დაუშვა ორმაგი მოქალაქეობა; რუსეთის კანონმდებლობა არ ცნობს ორმაგ მოქალაქეობას და უგულვებელყოფს მისი მოქალაქის მიერ რომელიმე სხვა ქვეყნის პასპორტის ქონას; საქარ-თველოს კანონმდებლობა, წესით, ასეთ პრაქტიკას უნდა აღკვეთდეს - ანუ მოქალაქეობას უუქმებდეს იმ პირს, ვინც სომხეთის ან რუსეთის მოქალაქე გახდა, და არ აძლევდეს მას საქართველოს არ-ჩევნებში მონაწილეობის უფლებას. უცნობია, რამდენად მკაცრად იცავენ რეგიონში ამ კანონს.

ჯავახეთის მიმდებარე წალკის რაიონში იქ 1829 წელს ჩასახლებული ბერძნების შთამომავ-ლობამ 1990-იან წლებში საბერძნეთში ემიგრაცია გადაწყვიტა. მათი სახლების ნაწილი სახელმწიფომ გამოისყიდა და გადასცა ეკოლოგიურ მიგრანტებს სვანეთიდან, მაგრამ სახლების საგრძნობი ნაწილი დაიკავეს სომხებმა. 1979 წელს წალკის რაიონის მოსახლეობაში ბერძნები შეადგენდნენ 62,4 პროცენტს, 2002 წელს ისინი მხოლოდ 22 პროცენტი იყვნენ; სომხების წილმა კი იმავე წლებში 28,4-დან 55 პროცენტამდე მოიმატა.

სამცხის ისტორიული ოლქის ახალციხის მუნიციპალიტეტში 2002 წელს სომხები მოსახლეობის 37 პროცენტს შეადგენდნენ.

შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია საბაბს აძლევს სომხურ ნაციონალისტურ ძალებს როგორც სომხე-თის რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთის სომხურ დიასპორაში ილაპარაკონ "სამცხე-ჯავახეთ-წალკის ერთიან სომხურ რეგიონზე" საქართველოს შემადგენლობაში, რომელიც არც ფორმალურად და არც ფაქტობრივად არ არსებობს.

უძველეს (დაარსებულია 1890 წელს) და სომხურ დიასპორაში მეტად გავლენიან პარტიას - "სომეხთა რევოლუციურ ფედერაციას" ("დაშნაკცუთიუნი")

ალბერ კამიუ (1913-1960)
ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი; ნობელის პრემიის ლაურეატი

"დემოკრატია არის არა უმრავლესობის ძალაუფლება, არამედ უმცირესობის დაცვა".

პარტიულ პროგრამაში ჩაწერილი აქვს, რომ "სომხეთად განიხილავს სომხეთის რესპუბლიკას, დასავლეთ სომხეთს, მთიან ყარაბაღსა და ჯავახქს [ჯავახეთს]". ამრიგად, **პარტიას პრაქტიკულად ირედენტისტული პოლიტიკა აქვს საქართველოს ნაწილის მიმართ,** თუმცა, ჯერჯერობით მაინც, ამ პოლიტიკის განხორციელებაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობს.

უფრო ხმაურიანია სომხეთის სხვა, როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური პარტიების ცალკეული წევრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების "პატრიოტული განგაში" საქართველოში სომხური თემის "კულტურული შევიწროების", "ქართველების მიერ ჯავახეთში დემოგრაფიული ცვლილებების" მოხდენის მცდელობის შესახებ (ამას ისინი უწოდებენ ბუნებრივი სტიქიით დაზარალებული ქართველების სუბეთნიკური ჯგუფების, აჭარლებისა და სვანების, მცირე ჯგუფების ჩასახლებას, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შეზღუდულ სამონასტრო საქმიანობას). ისინი მოითხოვენ ზემოხსენებულ "სამცხე-ჯავახეთ-წალკის რეგიონში" სომხური ენის რეგიონულ ოფიციალურ ენად გამოცხადებას, არც თუ იშვიათად - ავტონომიას "რეგიონისათვის".

ასეთ მოთხოვნებს სომხეთის ოფიციალური პირები ადრე გარეგნულად ემიჯნებოდნენ. 2007 წელს იმდროინდელმა პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოს სომხებმა აუცილებელად უნდა ისწავლონ სახელმწიფო ენა (ქართული). მაგრამ 2009 წლის 1 სექტემბერს სომხურის "რეგიონულ ენად" გამოცხადების მოთხოვნა ოფიციალურ დონეზე პირველად გაახმოვანა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა. სომხეთში იმ დროს გადაჭარბებული იმედი გაჩნდა, რომ მალე გაიხსნებოდა თურქეთ-სომხეთის საზღვარი, საქართველოზე სომხეთის სატრანსპორტო დამოკიდებულება შემცირდებოდა და ამიტომაც ალაპარაკდა პრეზიდენტი "ჯავახეთის რეგიონულ ენაზე" - ადგილობრივი ნაციონალისტების საამებლად, ანუ უფრო "შიდა მოხმარებისათვის", თუმცა ნათელია, რომ მის გამოსვლებს თბილისშიც ეცნობიან და ადგილობრივი პრესა ხალისით გადმობეჭდავს ასეთ "გულწრფელ გამონათქვამს". სარგსიანი, ალბათ, მალე მიხვდა, რომ იჩქარა, რადგან შემდგომში ასეთი რამ აღარ გაუმეორებია.

რაც შეეხება ჯავახეთში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ყველაზე ნაკლებ სასურველია, რომ ეს ხორციელდებოდეს სომხური დიასპორის მიერ, რომელიც უფრო ნაციონალისტურად და რადიკალურადაა განწყობილი, ვიდრე სომხეთის პოლიტიკური პარტიები. მაგალითად, შემაშფოთებელია, რომ ANCA-ს (ამერიკის სომეხთა ნაციონალური კომიტეტი) ლიდერები აქტიურობენ ჯავახეთში ინვესტიციების განხორციელებაში: ეს ორგანიზაცია მჭიდროდ უკავშირდება "დაშნაკცუთიუნს". სომხური პრესა კმაყოფილებით წერდა, რომ 2012 წლის იანვარში საქართველოს ელჩი ვაშინგტონში შეხვდა ANCA-ს პრეზიდენტს კენ ხაჩიკიანს. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ თავაზიანობის ვიზიტი იყო!

ჯავახეთში ეკონომიკური ვითარების გამოსწორებას მართლაც ემსახურება ქართული სახელმწიფოს მიერ ჩატარებული მუშაობა ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ელექტრო- გაზმომარაგება, გზების მშენებლობა).

აზერბაიჯანელები საქართველოში

საქართველოში მცხოვრებ **აზერბაიჯანელთა** ოთხი მეხუთედი თავმოყრილია ქვემო ქართლის რაიონებში. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, მარნეულში ისინი მთელი მოსახლეობის 83 პროცენტს შეადგენდნენ, დმანისში - 67 პროცენტს, ბოლნისში - 66 პროცენტს, გარდაბანში - 44 პროცენტს. საგრძნობი იყო მათი წილი კახეთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში: საგარეჯოში - 32 პროცენტი, ლაგოდეხში - 22 პროცენტი.

აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად, სადაც ძლიერია პატრიარქალური ტრადიციები, რაც ზემოქმედებს ქალის ადრეული გათხოვების წესზე და ქალების განათლების შედარებით დაბალ დონეზე: ეს, თავის მხრივ, მრავალშვილიანობის საწინდარია. 1990-იანი წლებიდან სწრაფად აღორძინდა ისლამური ტრადიციები, გაიხსნა მრავალი მეჩეთი, რომელთა მშენებლობა საზღვარგარეთიდან (აზერბაიჯანიდან, ირანიდან) დაფინანსდა.

საქართველოს აზერბაიჯანელთა უმეტესობა არ ფლობს ქართულ ენას და არც რუსული ენა იცის. უმაღლესი განათლების მისაღებად ისინი ბაქოსა ან განჯაში მიემგზავრებიან, სადაც ფაქტობრივად ხდება ქვემო ქართლის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერების მომზადება. მარნეულელები თუ ბოლნისელები უყურებენ ტელეგადაცემებს მხოლოდ ბაქოდან და უკეთ იციან რა ხდება იქ, ვიდრე თბილისში. მათი ინტეგრაცია საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძნელად ხორციელდება. ეს,

როგორც ჩანს, ზემოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ლოიალობის გრძნობის სისუსტეზე. თუ არ ჩავთვლით პერიოდულ წინასაარჩევნო აქტივობას, სახელმწიფოს ყურადღება ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ არასაკმარისია.

აზერბაიჯანელებს შორის ბევრია ახალგაზრდა ასაკის ადამიანი: 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 20 წლამდე ასაკისა იყო 43,3 პროცენტი (შედარებისათვის: ქართველებში იმავე ასაკის მოსახლეობა სულ 28,3 პროცენტი იყო). აზერბაიჯანელების საშუალო ასაკი საქართველოში იყო 30,7 წელი, ქართველებისა კი - 36,1 წელი.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს მოასწავებს იმას, რომ მომდევნო ათწლეულებში აზერბაიჯანელთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში მოიმატებს. არსებული ტენდენციით, ეს მართლაც ასე იქნება. მაგრამ მეტისმეტმა განგაშმა საერთაშორისო ურთიერთობებზე რომ არ იმოქმედოს, ყურადღება მივაქციოთ ცხრილ 2-ის მონაცემებს: საქართველოს აზერბაიჯანულ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა თანდათანობით მცირდება. 1989 წელს 183 ასეთ სკოლაში 49,8 ათასი მოსწავლე იყო, ხოლო 2009 წელს 124 სკოლაში - 29,3 ათასი. როგორც ჩანს, **აზერბაიჯანელების დემოგრაფიული ქცევა ნელა, მაგრამ იცვლება - შობადობა მცირდება.**

ამიტომაც გაზვიადებული ჩანს შიში იმის შესახებ, რომ "აზერბაიჯანულმა ეთნოსმა შეიძლება საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შეადგინოს". აზერბაიჯანელთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის თანდათანობითი ამაღლება (სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ უმაღლესი განათლება მათ საქართველოში მიიღონ) და გარდაუვალი ურბანიზაციის პროცესი ერთ-ორ თაობაში გაათანაბრებს მათი და ქართველების დემოგრაფიულ ქცევის პარამეტრებს და საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში მკვეთრი ცვლილება შეიძლება არც მოხდეს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კარგად ესმის საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მნიშვნელობა. ოფიციალურ დონეზე ირედენტისტული განცხადება არ გაჟღერებულა (არაოფიციალურ დონეზე - არაერთხელ!). ბუნებრივია, ბაქო იჩენს ყურადღებას თავისი დიასპორის მიმართ. **სასურველია, არანაკლები ყურადღება აზერბაიჯანელების მიმართ გამოიჩინოს თბილისმაც.**

მესხეთელი მუსლიმების განსახლების საკითხი

თუ საქართველოში უკვე არსებული ეთნოტერიტორიული თემების რაობა და პოტენციური საფრთხე შედარებით ადვილი განსაჭვრეტია, უფრო რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე **მესხეთელი მუსლიმების პოტენციური რეპატრიაციისა და მათი განსახლების** შემთხვევაში.

ამ ეთნიკურ კონგლომერატს, რომელსაც არასწორად უწოდებენ "თურქ-მესხებს", ხოლო თურქეთში - "ახალციხელ თურქებს" (Ahıska Türkler), რეალურად შეადგენდნენ ბილინგვური, თურქულ-ქართულენოვანი მესხები, სხვადასხვა თურქული ტომები, მუსლიმი ქურთები და ჰემშინები, ანუ ისლამზე მოქცეული სომხები. უფრო სწორია მათ ერთად ვუწოდოთ "**მესხეთელი მუსლიმები**".

1944 წელს საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც კრემლი განასახიერებდა, მართლაც უსამართლოდ მოექცა სამცხე-ჯავახეთში (ნაწილობრივ, აჭარასა და ჩრდილოეთ სომხეთში) მცხოვრებ ამ მოსახლეობას, როდესაც გადაასახლა ის სასაზღვრო ზონიდან, რადგან გეგმავდა იქიდან თურქეთში შეჭრას (სტალინის ეს გეგმა ვერ განხორციელდა).

მაგრამ "დანაშაულის გამოსყიდვა" დაეკისრა საქართველოს, რომელიც სულაც არაა საბჭოთა კავშირის აქტივებისა და ვალების სამართალმემკვიდრე. 1999 წელს ევროპის საბჭოში საქართველოს მიღებისას მას მოუხდა დათანხმება პირობაზე, რომ 12 წლის განმავლობაში მოახდენს გადასახლებულთა რეპატრიაციას საქართველოში. სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოს ჰყავს საკუთარი მრავალრიცხოვანი იძულებით ადგილნაცვალი პირი აფხაზეთიდან და "სამხრეთ ოსეთიდან", რომელთა საცხოვრებელი პირობების მოგვარება მისგან მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და სახსრებს.

მესხეთიდან გადასახლებულების მეორე-მესამე და მომდევნო თაობებმა მეტნაკლებად მოახერხეს ადაპტაცია თავიანთი ახალი განსახლების ადგილებზე საქართველოს გარეთ. ქართველობასთან მათი სოციალურ-კულტურული კავშირი 1944 წლამდეც მცირე იყო, რაშიც ბრალი იმდროინდელ კომუნისტურ ხელისუფლებას მიუძღვის, ხოლო 60 წელზე მეტხანს სხვაგან ყოფნისას კულტურული კავშირი საერთოდ გაწყდა. საბჭოთა პერიოდში, როდესაც განსახლებას კონტროლს უწევდა და აფინანსებდა სახელმწიფო, მათი მცირე ნაწილის რეპატრიაცია

საქართველოში და სამცხის რაიონებს გარეთ დასახლება თითქმის წარუმატებული გამოდგა: მცირე რაოდენობა დამკვიდრდა, მაგრამ უფრო მეტმა საკუთარი ნებით ხელახლა დატოვა საქართველო.

უცხო ქვეყნების გადაწყვეტილების მიმღებნი (უპირატესად თურქეთში, აგრეთვე რუსეთში და, შესაძლოა, აზერბაიჯანში) ცდილობენ ან შეეცდებიან გამოიყენონ მესხეთელი მუსლიმები საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისათვის და ამიტომ მოუწოდებენ ამ ელემენტს იმავე ადგილებზე დასახლდნენ, სადაც მათი წინაპრები 1944 წლამდე ცხოვრობდნენ.

რეალურად, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მესხეთელ მუსლიმებს შეეძლებათ დასახლება იქ, სადაც უნდათ: გადამწყვეტი იქნება მათ ხელში ფინანსური სახსრების მოხვედრა, რომლითაც მათ არ გაუჭირდებათ სახლის შეძენა ნებისმიერ ადგილას, მათ შორის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში. ასე რომ, კანონდებლობა რეპატრიაციის შესახებ ნაკლებად იმოქმედებს მესხეთელი მუსლიმების განსახლებაზე. უკვე 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის მხარეში 5859 პირმა თავი "მაჰმადიანად" გამოაცხადა მაშინ, როცა საბჭოთა პერიოდში (1944 წლის შემდეგ) იქ მუსლიმი არ ცხოვრობდა. მომდევნო ეთნორელიგიური დინამიკა ამ რეგიონში ჩვენთვის უცნობია.

არ არის გამორიცხული, რომ თურქეთის გარკვეული წრეები შეგნებულად შეუწყობენ ხელს (დააფინანსებენ) "ახალციხელი თურქების" ხელახალ განსახლებას საქართველოს საზღვრისპირა ზოლში. ანგარიშგასაწევია ეჭვი, რომ მათი რელიგიური კონსოლიდაციის მიზნით ხდება ქ. ახალციხეში აჰმედიეს მეჩეთის აღდგენა (ერთდროულად, ქ. ბათუმში თურქეთის მხარე ააშენებს აზიზიეს მეჩეთს). რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ძნელია ბრძნულ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მივიჩნიოთ საქართველოს მთავრობის დათანხმება ასეთ რესტავრაციამშენებლობაზე, თუნდაც თურქეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების მართლმადიდებლური ეკლესიების რესტავრაციის სანაცვლოდ.

"მესხეთელი მუსლიმების" დაბრუნება და მათი განსახლება სამცხის მუნიციპალიტეტებში ჯერჯერობით პოტენციური საფრთხეა, რომელიც უფრო მალე გადაიზრდება რეალურ საფრთხეში, ვიდრე ეს პოლიტიკოსებს ჰგონიათ.

ამ ელემენტის ინტეგრაცია საქართველოს სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში უფრო ძნელიც კი იქნება, ვიდრე ამჟამად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა.

რეკომენდაციები:

- დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ ზეპარტიული უნდა იყოს. ქართველებმა უნდა აღიქვან ისინი, როგორც აბსოლუტურად თანასწორები, მათ კი უნდა იგრძნონ თავი უპირველესად საქართველოს მოქალაქეებად და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოშობით სომხებად თუ აზერბაიჯანელებად. მხოლოდ არჩევნების წინ ყურადღების გამოჩენა კომპაქტური ეთნოტერიტორიული თემების მიმართ მიუღებელი პოლიტიკაა;

- აუცილებელია სწრაფი და ენერგიული ნაბიჯების გადადგმა ეთნიკური უმცირესობების, უპირველესად ეთნოტერიტორიული თემების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის. ქართული ენის შესწავლაში ჯავახეთის სომხებსა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებს ქმედითად უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო;

- ეთნიკურ უმცირესობებს უნდა მიეცეთ გამარტივებული საშუალება ისწავლონ ქართულ უნივერსიტეტებში (სპეციალური კვოტების, გაზრდილი სტიპენდიების გამოყოფის გზით);

- ლატენტური ეთნიკური კონფლიქტი და პოტენციური საფრთხე საქართველოსათვის ჯავახეთში და ქვემო ქართლში არსებობს, მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ სომხეთის ან აზერბაიჯანის ნებისმიერი ხელმძღვანელობა წავიდეს ღია კონფლიქტზე საქართველოსთან, ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე მათ მოუგვარებელი აქვთ კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო. ამიტომ "ჯავახეთის საფრთხის" ან "ქვემო ქართლის საფრთხის" გაზვიადება არაკონსტრუქციულად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა მასზე თვალის დახუჭვაც საზიანო იქნებოდა;

- მართალია, ”რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის” რატიფიკაციის ვალდებულება საქართველომ 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აიღო, მაგრამ, ქარტიის რატიფიკაცია შეიძლება არასწორად იქნეს ინტერპრეტირებული და ქვეყანაში გარკვეული დაძაბულობის გამომწვევი მიზეზი გახდეს. ეს, პირველ რიგში, ეხება ჯავახეთს. ამიტომაც, თუნდაც პოტენციური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, ამ ქარტიის რატიფიკაციამდე, ამ რეგიონში კიდევ უფრო გააქტიურდეს საქმიანობა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის სრულფასოვანი დამკვიდრებისთვის.

ჩეზარე ბეკარია (1738 -1794)
იტალიელი იურისტი, ფილოსოფოსი

“გსურთ, საზოგადოებას აცილოთ დანაშაული? მაშინ იზრუნეთ, რომ თავისუფლებას თან სდევდეს განათლება”

მიხეილ თოქმაზიშვილი

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ორიენტირები

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება იმ სპეციფიკით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ახასიათებს. იგი მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების უნარს, შიდა და გარე შოკებისადმი მდგრადობას, ეკონომიკური და სოციალური ზრდის სტაბილურობის მახასიათებლებს.

2011 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო „საქართველოს სტრატეგიული განვითარების ათ პუნქტიანი გეგმა მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის". ეს დოკუმენტი ასახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს და მიზნებს 2011-2015 წლებისათვის. ამ ათ პუნქტს შორის ძირითად პრიორიტეტებს შეადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება, საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის განვითარება და სოციალური პოლიტიკის დახვეწა. 2012 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში წლიური ანგარიშის წარდგენისას საქართველოს 2015 წლამდე გეგმის დამატებით პუნქტებზე ისაუბრა. ძირითადად, დასაქმებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ჯანდაცვასა და სამედიცინო დაზღვევაზე.

ხელისუფლების ეს ოფიციალური გეგმები, გარდა იმისა, რომ განსხვავებულ პრიორიტეტებს აღიარებენ, და არ არიან ერთმანეთთან შეთანხმებულნი, მხოლოდ განვითარების ორიენტირებს გულისხმობენ, თუმცა მასში არ არის გაწერილი ამ მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებები, რესურსები და რისკები. თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობა და საქართველოს პრეზიდენტი სხვადასხვა აქცენტს აკეთებენ ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, უკვე მეტყველებს ოფიციალური ხედვების განსხვავებაზე და, შესაბამისად, მათი რეალიზაციის საფრთხეებზე.

დღეს საქართველოს არ გააჩნია ეკონომიკური საფრთხეებისადმი მდგრადობის სისტემური ხედვა. შესაბამისად, არც მისი ძირითადი კრიტერიუმებია განსაზღვრული და არ არის შემუშავებული ის პოლიტიკა, რომელიც რეაგირებას მოახდენს ეკონომიკაში არსებულ საფრთხეებზე. ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის მსვლელობაში კი ბაზრის რეგულირების ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხარისხზე.

საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებულია მის კონკურენტუნარიანობაზე, რესურსების ხელმისაწვდომობასა და მართვის ეფექტიანობაზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავენ მისი ზრდის ტემპებს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას განვიხილავთ იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალები და მისი რეგულირება ქვეყნის ეფექტურ გავითარებას. შესაბამისად, გამოვყოფთ რამდენიმე ასპექტს: 1. ეკონომიკური ზრდისა და დარგობრივი განვითარების საფრთხეებს; 2. ბიზნეს გარემოსათვის დამახასიათებელ რისკებს; 3 .საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდის ბარიერებს; 4. შრომის ბაზრის სოციალურ რისკებს.

ეკონომიკური ზრდისა და დარგობრივი განვითარების საფრთხეები

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის დარგების სწრაფი განვითრება 2004-2008 წლებში, იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. თუ 2004 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 37 დოლარს, შემდგომ წლებში იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა და კულმინაციას მიაღწია 2007 წელს (360 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე). შემდგომ პერიოდში იგი შემცირდა მნიშვნელოვნად და 2010-2011 წლებში საშუალოდ შეადგინა 190-200 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე. ასეთი დაბალი საინვესტიციო მაჩვენებელი ქვეყანას 2005 წლის შემდეგ არ ჰქონია. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2010 წელს 814.5 მლნ დოლარი შეადგინა, 2009 წელს - 659.1 მილიონი აშშ დოლარი; 2008 წელს - 1.56 მილიარდი დოლარი; 2007 წელს - 2.014 მილიარდი დოლარი; 2006 წელს - 1.19 მილიარდი, ხოლო 2005 წელს კი მხოლოდ 449.8 მილიონი დოლარი.

2003-2010 წლებში საქართველოში დაბანდებული ინვესტიციების 40.2 პროცენტი მოდიოდა ევროკავშირის ქვეყნებზე, 13.2 პროცენტი დსთ-ის ქვეყნებზე (ძირითადად აზერბაიჯანსა და რუსეთზე), ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან ყველაზე მსხვილი ინვესტორები იყვნენ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო - 11,5 პროცენტი, აშშ - 9.6 პროცენტი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები - 8.7 პროცენტი, თურქეთი - 8.6 პროცენტი, ნიდერლანდები -7.4 პროცენტი და ვირჯინიის კუნძულები - 6.5 პროცენტი. 2007-2010 წლებში განსაკუთრებით გაიზარდა გაერთიანებული ემირატებიდან ინვესტიციები, თუმცა 2010 წელს ამ ქვეყნიდან ინვესტიციების შემოსვლა თითქმის 3-ჯერ შემცირდა. ამასთანავე, 2011 წლის პირველ სამ კვარტალში ამ ქვეყანაში საქართველოდან კაპიტალის გატანამ 4.5-ჯერ გადააჭარბა შემოტანილ თანხას. კაპიტალდაბანდებების მოცულობა შემცირდა ასევე ვირჯინიის კუნძულებიდან 4.7-ჯერ და ევროკავშირის ქვეყნებიდან 4.5-ჯერ.

შედარებით სტაბილური დარჩა ინვესტიციები აზერბაიჯანიდან და აშშ-დან. როგორც ბოლო 8 წლის დინამიკა მეტყველებს, ეს ქვეყნები საქართველოს ძირითადი პარტნიორები იყვნენ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაბანდების სფეროში.



პლატონი (424- 348 ძვ.წ)
ბერძენი ფილოსოფოსი

"უსამართლობის ჩამდენი ყოველთვის უფრო უმეტესია, ვიდრე მისგან ცანჯული"

"უკიდურესი უსამართლობაა თავი მოაჩვენო სამართლიანად, როდესაც არ ხარ ასეთი"

მსოფლიოს სხვა ქვეყნები მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოხატავდნენ საქართველოსადმი ინტერესს. უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებული სტატუს ქუო-ს შენარჩუნების პირობებში, ასევე არაბულ სამყაროში განვითარებული დაძაბული პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, საქართველოს არ ექნება ამ რეგიონის იმედად ყოფნის საშუალება, რომ არაფერი ვთქვათ ევროკავშირის ქვეყნებზე, სადაც ფინანსურმა კრიზისმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო.

შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების ტენდენცია კვლავ გაგრძელდება, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ განვითარებას. რისკის ქვეშ დგება ქვეყნის ტერიტორიული განვითარებაც (მაგალითად, ფოთის ინდუსტრიული ზონის შექმნაც, რომელსაც ათიათასობით ადამიანი უნდა დაესაქმებინა და ამ რეგიონის განვითარებისათვის შეეწყო ხელი).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად ხელისუფლების მიერ აღიარებულია **ენერგეტიკა**. ამ დარგში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2010 წელს 2007 წელთან შედარებით 16.6-ჯერ შემცირდა. ეს ტენდენცია 2011 წელსაც გაგრძელდა. შესაბამისად, საქართველო დგას თავისი პრიორიტეტული დარგების განვითარების საფრთხის წინაშე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ენერგეტიკული რესურსების წარმოებითა და განაწილებით საქართველოს რეიტინგი არცთუ სახარბიელოა (89-ე ადგილი მსოფლიოს ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგის მიხედვით),[1] მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დარგის განვითარებაში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი რადიკალური ცვლილებები ვერ მოხდება, ანუ ენერგეტიკულ რესურსებზე ფასები კვლავ გაიზრდება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე, ხოლო მისი საექსპორტო დარგად გადაქცევა ხანგრძლივი პერიოდით გაჭიანურდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მეორე პრიორიტეტია **ტურიზმის** განვითარება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კატასტროფულად შემცირდა პირდაპირი ინვესტიციები სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში. 2010 წელს 2007 წელთან შედარებით 14.1-ჯერ ნაკლები ინვესტიციების დაბანდება მოხდა ამ სფეროში, ხოლო მშენებლობაში კი 36.5-ჯერ შემცირდა კაპიტალდაბანდებები. ეს ტენდენცია საეჭვოს ხდის ხელისუფლების მოლოდინს, რომ საქართველო უახლოეს წლებში 4 მლიონამდე ტურისტის მიღებას შეძლებს.

ეროვნული საფრთხის ერთ-ერთი მატარებელია საქართველოს **სოფლის მეუნეობის** დღევანდელი მდგომარეობა და მისი პერსპექტივები. სოფლის მეუნეობა არის საკვანძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს სოფლად და ფერმერები შეადგენენ მთლიანი სამუშაო ძალის თითქმის ნახევარს. ეს სექტორი განიცდის მრავალ სტრუქტურულ სირთულეს.

1990-2009 წლებში საშუალო წლიური მოსავალი ცვალებადი იყო და დაღმასვლის ტენდენცია ჰქონდა. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში თანდათანობით მცირდებოდა და 2010 წელს მიაღწია 8 პროცენტს მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 1996 წელს შეადგენდა 34.1 პროცენტს. 2003-2010 წლებში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 6.6 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობაში შემცირდა 1.3 პროცენტით. 1990 წლიდან სოფლის მეურნეობის სექტორი შრომის უცვლელი მწარმოებლურობის შედეგად ძალიან ნელა ვითარდებოდა. პრაქტიკულად, ყოველ მეორე წელს სოფლის მეურნეობის სექტორში შეინიშნებოდა შემცირების ტენდენცია წინა წელთან შედარებით. თუ 1990 წელს მუშავდებოდა 700 ათასი ჰა მიწა, 2006-2010 წლებში საშუალოდ 300 ჰა მიწა იქნა დამუშავებული. ამან კი მკვეთრი გავლენა მოახდინა კვების პროდუქტების წარმოებაზე საოჯახო მეურნეობებში.

სოფლის მეურნეობა საქართველოში დამყარებულია მცირე ფერმერებზე, რომელთათვისაც დამახასიათებელია წარმოების დაბალი ეფექტიანობა. ერთ ფერმერს საშუალოდ 0.8 ჰა სახნავი მიწა აქვს. მცირე ფერმერები აწარმოებენ მთლიანი პროდუქციის 80 პროცენტზე მეტს და ბაზარზე გააქვთ ამ პროდუქციის მხოლოდ 10 პროცენტი. სასოფლო-

1 http://doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia

სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6-7 პროცენტს შეადგენს.[2]

ჯერ კიდევ არსებობენ სოფლად მცხოვრები ოჯახები, რომლებიც არასდროს გასულან ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის მიზნით. მცირე ფერმერები ძირითადად ორიენტირებულნი არიან შიდა მოხმარებაზე და მოიხმარენ საკუთარი პროდუქციის დაახლოებით 75 პროცენტს. მსხვილი ფერმერები აწარმოებენ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით 10 პროცენტს. მათი მთელი წარმოებული პროდუქცია განკუთვნილია რეალიზაციისათვის.

ამჟამად უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში ძალიან მცირეა. 2007 წელს ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში შეადგენდა 0.8 პროცენტს, 2008 წელს - 0.5 პროცენტს, 2009 წელს 1.2 პროცენტს, ხოლო 2010 წელს კი - 1.1 პროცენტს. მისი წილი საბანკო სესხებში 1-დან 2 პროცენტამდე მერყეობს. ასეთი დაბალი მაჩვენებელი მეტყველებს ამ სექტორის მაღალ რისკზე და დაბალ მომგებიანობაზე.

ყოველივე ამის შედეგად **სასურსათო უზრუნველყოფა** ხდება ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკი, რომლიც თავის ზეგალენას ახდენს სიღარიბის დონეზე. საქართველო კვლავ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე. სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული კვების პროდუქტი ორ-მესამედზე მეტია, რის შედეგადაც ქვეყანაში კვების პროდუქტებით თვითდაკმაყოფილების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის (კვების) პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში უფრო სწრაფად შემცირდა, ვიდრე მისი წილი ექსპორტში, საქართველოს სასურსათო დამოკიდებულება იმდენად დიდია, რომ იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი კრიტიკული წერტილი ხდება. მაგალითად, 2003-2010 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ხორცეულის პროდუქცია თითქმის ორჯერ შემცირდა 0.025 კგ-დან 0.013 კგ-მდე, ხოლო რძის წარმოება კი შემცირდა 0.17 კგ-დან 0.13 კგ-მდე მაშინ, როცა 1990 წელს ხორცის წარმოება ერთ სულზე შეადგენდა 5.7 კგ-ს, ხოლო რძის კი 4.5 კგ-ს.

დღეს ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პროდუქციით შიდა ბაზრის მხოლოდ 12-15 პროცენტი კმაყოფილდება. ხორცით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენს 48 პროცენტს, ბოსტნეულით - 77 პროცენტს, ხოლო ხორბლით თვითზრუნველყოფის მაჩვენებელი მხოლოდ 6 პროცენტია. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს მიღებული რეზოლუციის თანახმად კი, ქვეყანაში კვების უსაფრთხოების მინიმალური დონე 80-85 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

სასურსათო დამოკიდებულების გაძლიერებას ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავებამ. რუსეთის ფედერაციის მიერ სხვადასხვა ქართულ პროდუქციაზე ექსპორტის შეზღუდვის შედეგად შემცირდა ვაჭრობა რუსეთთან. 2005 წელს, რუსეთის მიერ დაწესებულ ემბარგომდე, რუსეთში იყიდებოდა ღვინის მთელი ექსპორტის 77.5 პროცენტი, მინერალური წყლის 72 პროცენტი და ხილისა და სუბტროპიკული კულტურის 21 პროცენტი.[3] პრობლემა ის არის, რომ საქართველომ დაკარგა ღვინის, მინერალური წყლის, ხილისა და სუბტროპიკული კულტურის ბაზრის წილი რუსეთში და ვერ შეძლო სწრაფი რეორიენტირება მოეხდინა სხვა ბაზრებზე (მაგალითად, ევროპულ ბაზრებზე) მაღალი კონკურენციის და ქართველი მეწარმეების არასაკმარისი გამოცდილების გამო თანამედროვე მარკეტინგულ პოლიტიკაში.

საქართველოში მოსახლეობის 60-70 პროცენტის საარსებო პირობები სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. სოფლად არსებული დაბალი მწარმოებლურობა, გაძვირებული საწვავი, ფიზიკური და რუტინული შრომა განაპირობებს საოჯახო მეურნეობების დაბალ შემოსავლებს და წარმოშობს მასობრივ სიღარიბეს. ამის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ სოფლის მეურნეობაში გამომუშავება სხვა სექტორებთან შედარებით ძალიან ნელა იზრდებოდა. ამჟამად სოფლის მეურნეობაში საშუალო თვიური გამომუშავება

2 საქართველოსსოფლის მეურნეობა. 2010. გვ.19. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2010%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf

3 COMTRADE monacemTa baza

მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულების ანაზღაურების ნახევარსაც კი ვერ აღწევს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მთავარ პირობადაა მიჩნეული და საქართველოს ვალდებულებები გაეროს მიერ შემუშავებული მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის მიმართ მოითხოვს, ქვეყანამ თვითონ უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასურსათო პროდუქტებზე. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გაზარდოს სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციის - მარცვეულის წარმოება და გააუმჯობესოს სოფლის სოციალური მდგომარეობა.

ქვეყანა ვერ იქნება დამოუკიდებელი, თუ არ უზრუნველყო სასურსათო უსაფრთხოება. ამიტომაც, ქვეყნის ეროვნული უშიშროების კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სასურსათო უსაფრთხოებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი სასურსათო და ეკონომიკური კრიზისებისაგან თავის დაცვა შეუძლებელი იქნება. საქართველოს აგროსექტორის განვითარება, როგორც სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი, მოითხოვს ამ სფეროს კომპლექსური განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. სასურსათო უსაფრთხოებას უდიდესი სოციალური მნიშვნელობა აქვს. იგი აძლიერებს ეროვნულ სიმტკიცეს და აქტიურობას და ეფუძნება იმპორტული პროდუქტის ადგილობრივი პროდუქტით ჩანაცვლების ღონისძიებებს.

საქართველოს ბიზნესგარემოსათვის დამახასიათებელი რისკები

2003 წლის ნოემბრის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. ამ რეფორმებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ბიზნესრეფორმების განვითარებაში მიღწეულ პროგრესს გამოხატავს მსოფლიო ბანკის/საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) მაღალი შეფასება. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, 2007 წელს საქართველომ 178 ქვეყანას შორის 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე, ხოლო 2011 წელს კი მე-12 ადგილზე გადაინაცვლა და მსოფლიოში ყველაზე რეფორმატორი ქვეყნის სტატუსი მიიღო.[4]

მიუხედავად პროგრესული რეფორმებისა, საქართველოს ბიზნესგარემო არასახარბიელო დარჩა კონკურენციის განვითარებისათვის. ამის მაგალითია, 2003-2010 წლებში **მცირე და საშუალო ბიზნესის** რეცესიული მდგომარეობა. 2003 წელს ამ საწარმოებში დასაქმებული იყო მომუშავეთა 50,6 პროცენტი და მთლიან გამოშვებაში მათი ერთობლივი წილი შეადგენდა 20,6 პროცენტს. შემდგომ პერიოდში იგი შემცირდა და 2010 წელს მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებული აღმოჩნდა მომუშავეთა 43.6 პროცენტი, ხოლო მათი ერთობლივი წილი მთლიან გამოშვებაში შემცირდა 18.4 პროცენტამდე.[5] ზემოთაღნიშნულ ტენდენციას დაემატა 2006-2010 წლებში ინვესტიციების შემცირებაც მცირე და საშუალო ბიზნესში. თუ 2006 წელს ამ სექტორში ინვესტიციების წილი შეადგენდა 13.3 პროცენტს, 2010 წელს მან მხოლოდ 9.8 პროცენტი შეადგინა.

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ფორმირებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები ქმედით როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში. ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ახდენენ ახალი პროდუქციის ათვისებას და ძირითადად ორიენტირებულნი არიან ადგილობრივ ბაზრებზე. ეკონომიკის ამ სეგმენტის რეცესიული მდგომარეობა და მისი შემცირების ტენდენციები ნეგატიურად მოქმედებს არა მარტო სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე, არამედ ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესგარემოს სრულყოფაზე, რის შედეგადაც უმუშევრობა და სიღარიბე კვლავინდებურად ქვეყნის ძირითად პრობლემად რჩება.

4 Doing Business.Measuring Business Regulations http://www.doingbusiness.org/ExploreEconomies/?economyid=74#Starting Business

5 შედარებისათვის ეს მაჩვენებელი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 60 პროცენტზე მეტია. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ეკონომიკა ეფექტიანია, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოების წილი მშპ-ში არანაკლებ 40 პროცენტია.

დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძირითადად მსხვილი საწარმოების წილად მოდის. მას ზრდადი ტენდენცია აქვს, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა და ეფექტიანობა დაბალია და კიდევ უფრო მცირდება. საქართველოში ეკონომიკის სტრუქტურის სუსტი მხარეა ის, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ვერ ასრულებენ ეკონომიკის ქმედითი მამოძრავებელი ძალის როლს და მათი წილი მშპ-ში სულ უფრო მცირდება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება დაითრგუნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებით, რის შედეგადაც წარმოიშვა მონოპოლიური და ოლიგოპოლიური გაერთიანებები.

განსაკუთრებით მტკივნეული გახდა საკუთრების უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვის საკითხიც. როგორც გამოკლევებიდან ჩანს, საქართველოში საგადასახადო ორგანოებს გადაჭარბებული უფლებები მიენიჭა.[6] საგადასახადო ორგანოებთან და ხელისუფლებასთან დავაში მცირე და საშუალო ბიზნესის მარცხი ადვილად პროგნოზირებადია. შედეგად, მეწარმეების დასაბეგრი შემოსავალი ხელოვნურად იზრდება, რასაც ხშირად თან ემატება არალეგალური გადასახადები და გაზრდილი ჯარიმები.[7] ყოველივე ეს კი ანეიტრალებს იმ პოზიტიურ რეფორმებს, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა ბიზნესის დაწყების გამარტივების მიზნით.

საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდის ბარიერები

განვლილმა პერიოდმა აჩვენა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად დაზარალდა რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადით და საგარეო ვაჭრობაში წარმოქმნილი პრობლემებით. რუსეთის ცდამ, მოეხდინა ქართული ეკონომიკის დესტაბილიზაცია სხვადასხვა ეკონომიკური სანქციით და საჰაერო ბლოკადებით, გააძლიერა საქართველოს მისწრაფება, რეფორმებით უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ქვეყანამ ორიენტაცია აიღო დასავლეთის ქვეყნების ბაზრებზე. ამან კი მოითხოვა მისი კონკურენტუნარიანობის

6 მაგალითად, მათ უფლება მიეცათ ნებისმიერ დროს შევიდნენ კომპანიის ტერიტორიაზე და, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, განახორციელონ ფულადი სახსრების კონფისკაცია

7 როგორც გამოკვლევები ადასტურებენ, საქართველოში გაცილებით მაღალია ჯარიმების განაკვეთი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. http://www.ifc.org/ifcext/home.nsf/AttachmentsByTitle/Georgia_SME_Report_F/$FILE/Georgia+SME+Report.pdf

თეოდორ რუზველტი (1858 -1919) აშშ-ს 26-ე პრეზიდენტი 1901-1909 წლებში, ნობელის პრემიის ლაურეატი

"არც ერთი ადამიანი არ არის კანონზე ზემდგომი ან ქვემდგომი"

გაძლიერება. თუმცა აღმოჩნდა, რომ კერძო კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნდა საკმარისი შესაძლებლობები, რომ გაეფართოებინა ექსპორტი, კონკურენცია გაეწია დასავლეთის ფირმებისათვის და შეექმნა დამატებითი სამუშაო ადგილები. ყოველივე ამის შედეგად, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს ეკონომიკის განვითარების სერიოზული დაბრკოლება გახდა.

მართალია, 2000-2011 წლებში მთლიანობაში გაიზარდა საგარეო ვაჭრობა, მაგრამ იმპორტის მაჩვენებელი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ექსპორტი. 2006-2010 წლებში სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 1.4-ჯერ, ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა 3.5-ჯერ. შემოსავლის მიღებისა და დეფიციტის დაფარვის მთავარი წყარო იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საზღვარგარეთიდან შემოსული ტრანსფერები. იმის გამო, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა შემცირდა და ეს ტენდენცია მომავალშიც შეიძლება გაგრძელდეს, უარყოფითი ბალანსის დაფარვის ძირითადი წყარო კვლავ უცხოეთიდან ტრანსფერები რჩება, ხოლო სახელმწიფო კი იძულებული იქნება, გაზარდოს თავისი ვალი.

ამჟამად სავაჭრო ბრუნვის გაფართოების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს იმპორტის ზრდა. ქართველი მეწარმეების კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო შესაძლებლობანი კვლავ დაბალ დონეზე რჩება. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობს ის პროდუქცია, რომელსაც საქართველო არ აწარმოებს. ავტომობილები და ჯართი საქართველოს მთავარი საექსპორტო პროდუქციაა, რომლებიც რეექსპორტით გაედინება საზღვარგარეთ.

საქართველოში საიმპორტო საქონელზე ტარიფების შემცირება და შიდა ბაზრის გახსნილობა ზრდიდა კონკურენციას. ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი წარმოშობდა უთანასწორო სავაჭრო ურთიერთობებს, როდესაც პარტნიორი ქვეყნები მიმართავენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. მაგალითად, თურქეთი უზრუნველყოფს სუბსიდიებით ადგილობრივი მარცვლეულის წარმოებას, რომელიც განკუთვნილია უცხოურ ბაზარზე ექსპორტისათვის. ეს საქართველოში ამ პროდუქციის კონკურენტუნარიან ფასში გაყიდვის საშუალებას იძლეოდა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საქართველოს მეწარმეების კონკურენტუნარიანობას. 2000-2010 წლებში მარცვლეულის იმპორტი გაიზარდა თითქმის 6-ჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მარცვლეული ხუთ ძირითად საიმპორტო პროდუქციის ჯგუფში შედის.

გარდა ამისა, **საქართველოში არ არსებობს ანტიდემპინგური პოლიტიკის მარეგულირებელი ინსტიტუტი. თვით ის ფაქტი, რომ 2010 წელს სურსათის იმპორტმა 5.7 ჯერ გადააჭარბა ექსპორტს, გამოხატავს ადგილობრივი ბაზრის დაცვის აუცილებლობას ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდებას.**

ცხადია, რომ საქართველოს ადგილობრივი საწარმოები მნიშვნელოვნად აგებენ კონკურენციას უცხო საწარმოებთან, რის შედეგადაც იმპორტის ზრდის შედეგად საქართველოში წარმოებული შემოსავლები გაედინება საზღვარგარეთ. ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ქართული საწარმოების დაბალ კონკურენტულობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს, სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP+) გათვალისწინებული 3400 პროდუქტიდან, ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ 37 მილიონი დოლარის ღირებულების 9 სახის პროდუქცია გააქვს აშშ-ში, რაც მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 3 პროცენტია (2009). ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მეწარმეების მიერ სავაჭრო შესაძლებლობები არასაკმარისად არის გამოყენებული. იგივე შეიძლება ითქვას ვაჭრობაზე ევროკავშირთან. ეს არის აშშ-სა და ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოს მიერ გამოუყენებელი შესაძლებლობა.

საქართველოს ექსპორტიორთა მთავარი პრობლემებია უცხოურ ბაზრებზე მუშაობის მწირი გამოცდილება, ცუდი მარკეტინგი, გაყიდვების არხებზე დაბალი კონტროლი, ბაზრის კვლევების ნაკლებობა, საზღვარგარეთ გაყიდვების არხებისა და მომხმარებელთა და უცხოეთის ქვეყნებში საბაჟო და საგადასახადო წესების შესახებ,

ხარისხისა და სტანდარტების მოთხოვნებზე არასაკმარისი ცოდნა.

ამავე დროს, კონკურენტუნარიანობის ზრდის ბარიერებს შეადგენს ცხოვრების დაბალი დონე, მცირე დანაზოგები, გაცვეთილი ტექნოლოგიები, მაღალი ენერგოტევადობა,[8] არაკვალიფიციური სამუშაო ძალის სიჭარბე, ინოვაციური წარმოების განითარებისათვის არასაკმარისი სტიმულები და არასაკმარისი ინვესტიციები მეცნიერებასა და განათლებაში.

დღეს სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის მთავარი ბენეფიციარები უცხოური კომპანიები არიან. ადგილობრივი კერძო კომპანიები ამ პრივილეგიებით მცირედით სარგებლობენ. საქართველოს არ გააჩნია დივერსიფიცირებულ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა და მომავალში თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადება აშშ-თან და ევროკავშირთან მცირე სარგებლის მომტანი იქნება, თუ პარალელურად არ განხორციელდა ქართული საწარმოების სისტემური ცვლილებები.

შრომის ბაზრის სოციალური რისკები

ეკონომიკური უსაფრთხოება ემყარება სტაბილური შემოსავლების და სხვა რესურსების გამოყენების აუცილებლობის პირობას. ინდივიდების ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება შემოსავლების დონით და დასაქმებით, ხოლო 50-წელზე ზევით ადამიანების ეკონომიკური უსაფრთხოება დაფუძნებულია სოციალური უზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, მათ შორის დაზღვევაზე, პენსიებსა და დანაზოგებზე.

უმუშევრობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა, რომელიც განპირობებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობით და დაქირავებით დასაქმებულთა დაბალი წილით დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. ოფიციალურად, უმუშევრობის დონე გაიზარდა 2003 წელს 12,6 პროცენტიდან 2010 წელს 16.3 პროცენტამდე. ამ მაჩვენებელში არ შედის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა, რომელსაც აქვს არანაკლებ 1 ჰა მიწა საკუთრებაში. მარტო თბილისში ოფიციალურად უმუშევრობის დონე 30 პროცენტია. ბოლო 6 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი რეალურად არ შემცირებულა.

აქ ისიც უნდა გავითავალისწინოთ, რომ ბოლო წლებში ინვესტიციების დიდი ნაწილი კვლავინდებურად ინვესტირებული იქნა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, მოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობაში (შესაბამისად, 2007-2010 წლებში შეადგინა საშუალოდ 22.2 პროცენტი და 20.6 პროცენტი). ამან, მართალია, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, მაგრამ რამდენადაც ეს დარგები შეზღუდულნი არიან **ახალი სამუშაო ადგილების** შექმნის შესაძლებლობებით, ამიტომ ისინი ვერ უზრუნველყოფენ სოციალური ფონის გაუმჯობესებას და დასაქმების ზრდას. შესაბამისად, თუ არ განხორციელდა შედეგზე ორიენტირებული კომპლექსური მიზნობრივი პროგრამები, საქართველოს შრომის ბაზრის განვითარებაში უახლოეს მომავალში რადიკალური ცვლილებები არ არის მოსალოდნელი, ხოლო უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ ქვეყნის ცენტრალური პრობლემა იქნება.

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულები ვერ გახდა ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. მათი წილი 41,9 პროცენტიდან 1998 წელს შემცირდა 37.9 პროცენტამდე 2010 წელს, ხოლო თვითდასაქმებულების წილი გაიზარდა 61,8 პროცენტამდე დასაქმებულების საერთო რაოდენობაში. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ შრომის ბაზრის სტრუქტურა წლების განმავლობაში ვერ გაუმჯობესდა, რის გამოც მოსახლეობის სოციალური რისკები ქვეყნის ეროვნულ განვითარებაში კვლავ დიდ საფრთხეს შეადგენს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსი გვიჩვენებს, რომ **სიღარიბის** საფრთხე ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ ადამიანებს ემუქრებათ და ბოლო პერიოდში სოციალურ სფეროში გატარებული რეფორმების მიუხედავად, მისი რაოდენობა არ მცირდება. დღეს საქართველოში სიღარიბის ზღვარი გვიჩვენებს, რომ ათიდან

8 საქართველოში ენერგო რესურსების წილი წარმოებაში (ენ-ერგოტევადობა) არის 2-ჯერ უფრო მაღალი და ელექტროტე-ვადობა კი - 3-ჯერ მაღალი, ვიდრე ევროპაში. (IEA, Department of Statistics. 2009).

ყოველი ოთხი ადამიანი ეკონომიკურად საფრთხის ქვეშაა.[9] ეს გარემოება ადასტურებს, რომ უკანასკნელ წლებში სიღარიბე კვლავ დრამატულ პრობლემას წარმოადგენს.

სიღარიბე სოფლად 20-25 პროცენტით აღემატება ქალაქად სიღარიბეს და ეს სხვაობა ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება. ზოგადად, სიღარიბე სოფლად უფრო გავრცელებულია, მაგრამ ქალაქად იგი უფრო მკაცრია, ვიდრე სოფლად. ქალაქი-სოფლის ჭრილში სიღარიბეში სხვაობა ღრმავდება და დასაქმების სტრუქტურებში განსხვავების შედეგად იზრდება როგორც უთანასწორობა მცირე და დიდ ქალაქებს შორის, ასევე სხვაობა მოსახლეობის შემოსავლებს შორის დეცილური ჯგუფების მიხედვით.

შრომის ბაზრის დაძაბულობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია დემოგრაფიული ტენდენციები. შობადობის მკვეთრი შემცირების შედეგად, შეფერხდა მოსახლეობის ზრდა. 1990-2010 წლებში საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 19 პროცენტით.[10] პარალელურად, გაძლიერდა მოსახლეობის დაბერების პროცესი და თაობების განახლებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. იმ პირების რაოდენობა, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ დასაქმების ასაკამდე, მკვეთრად მცირდება, ხოლო საპენსიო ასაკს მიღწეული პირების რიცხვი კი მატულობს. 16 წელს ქვემოთ მყოფი ბავშვების რიცხვი მცირდება მაშინ, როდესაც საპენსიო ასაკს მიტანებული მოსახლეობის წილი მკვეთრად მატულობს.

მოსახლეობის დემოგრაფიულმა დაბერებამ გამოიწვია ის, რომ ეკონომიკური და დემოგრაფიული ტვირთი შრომისუნარიან ადამიანებს დააწვა, განსაკუთრებით დასაქმებულებს. საქართველოში სხვის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო მოსახლეობის თანაფარდობა ყოველ ათას შრომისუნარიან ადამიანზე გაიზარდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი პერმანენტულია, მაშინ კიდე უფრო მწვავე ხდება დემოგრაფიული ტვირთის პრობლემის სიმძიმე.

დაბერების ფაქტი მტკივნეულია განსაკუთრებით სოციალური დაცვის სისტემისათვის, რადგან სოციალური დანახარჯები იზრდება. ეს კი ზრდის დასაქმებული მოსახლეობის ტვირთს. **დღეს ყოველ 100 პენსიონერზე მოდის 75 დასაქმებული, როდესაც ოპტიმალური თანაფარდობა არის 350-400 დასაქმებული 100 პენსიონერზე**. ყოველივე ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის სოციალურ უსაფრთხოებას. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და მიგრაცია კი მწვავედ მოქმედებს სოლიდარობის საპენსიო სიტემაზე და მოითხოვს მთავრობის ხარჯების პერმანენტულ ზრდას სოციალურ სფეროზე. მართალია, ხელისუფლება თავის საპროგრამო დოკუმენტში გეგმავს პენსიების კიდევ გაზრდას 100 დოლარამდე, მაგრამ პენსიების ზრდა ვერ მოხდება დასაქმებული ადამიანების რიცხვის გაზრდის ხარჯზე, რაც მომავალში სერიოზულ საფრთხეებს შეუქმნის სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სიტემას.

მშპ-ს და ხელფასების ზრდის დისპროპორცია, შესაძლოა, აგრეთვე პოტენციურ საფრთხედ წარმოჩინდეს შრომის ბაზრის სტაბილური განვითარებისთვის.

საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა ხელფასებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროპორციებს შორის მაკროეკონომიკურად არასახარბიელო ტენდენცია. 2003-2010 წლებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 4.7 ჯერ, მთლიანად საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები კი 3.8 ჯერ, ხოლო მშპ მიმდინარე საბაზრო ფასებში - მხოლოდ 1.5 ჯერ, რაც, ჯამში ნიშნავს საბოლოო მოხმარებაზე გაწეული დანახარჯების ზრდის უპირატესობას ახლადშექმნილი დამატებული ღირებულების ზრდასთან მიმართებაში. შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკა გახდა მოხმარებაზე ორიენტირებული, რასაც ხელს უწყობდა ამავე პერიოდში მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის საკმაოდ მაღალი 3.5 პროცენტიანი ზრდა. ეს კი წლების განმავლობაში მაღალი ინფლაციის ერთ-ერთი წარმომშობი მიზეზთაგანია.

9 სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტო იძლევა. მის ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის წილმა 2010 წელს შეადგინა 40.2 პროცენტი. (http://www.moh.gov.ge/files/2010/socialuri_statistika/STATISTIKA.pdf).

10 Doing Business.Measuring Business Regulations http://www.doingbusiness.org/ExploreEconomies/?economyid=74#StartingBusiness ჩგაეროს პროგნოზით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 3 მლნ ადამიანამდე შემცირდება. http://www.un.org/esa/population/

დასკვნა

- ამჟამად ქვეყნის ხელისუფლება დროებით ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს პრობლემების გასანეიტრალებლად. იგი მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული და მიმართულია ერთი დარგიდან მეორეში ეკონომიკური სარგებლის გადანაწილებისაკენ;

- ქვეყანაში არ არის შექმნილი ხანგრძლივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ასევე, კომპლექსური პროგრამები დარგების გაძლიერებისა და მეწარმეობის დასაცავად, რის შედეგადაც მოკლე პერიოდში განხორციელებული რეფორმები კარგავენ მნიშვნელობას. მათგან მიღებული სარგებელი კი უმნიშვნელო ხდება ეკონომიკის გაფართოებისათვის;

- საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მიშვნელოვანია ეკონომიკისა და შრომის ბაზრის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაუმჯობესება;

- ამ სფეროებში წარმოშობილი რისკები მოითხოვს მათ რეალურ შეფასებასა და საფრთხეების გამომწვევი მიზეზების კვლევას, რაც გახდება ქვეყნის პრიორიტეტების და მისი უზრუნველყოფისთვის აუცილებელი რესურსების სწორად განსაზღვრის საფუძველი.

- ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, თვით ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებითა და იმ დამცავი ღონისძიებების გატარებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მწარმოებლურობის ამაღლებას;

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფამ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი სასურსათო და ეკონომიკური კრიზისებისაგან თავის დაცვა შეუძლებელი იქნება;

- ინფლაციის შესამცირებლად აუცილებელია ხელისუფლებამ იზრუნოს სახელმწიფო საგარეო ვალების შემცირებასა და ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ხოლო ეროვნულმა ბანკმა კი მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ზრდის ტემპების ოპტიმიზაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაღალი ინფლაცია ყოველთვის მოახდენს ეკონომიკის ნომინალური ზრდით მიღებული შედეგების ლოკალიზაციას.



ლორანს პიტერი (1919 -1990)
ამერიკელი განმანათლებელი

"ეკონომიკა არის შეზღუდული რესურსებით უსაზღვრო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხელოვნება"

ვაჟა ბერიძე

ფინანსურ და საბანკო სისტემათა უსაფრთხოება

ფინანსური უსაფრთხოება და ეკონომიკური სტაბილურობა

ფინანსური უსაფრთხოების და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოში, შეუიარაღებელი თვალითაც კი, უამრავი ხარვეზი მოჩანს. ამჟამად მოქმედი „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ ეკონომიკურ უსაფრთხოებას ზედაპირულად, სისტემურობის გარეშე განიხილავს. მისი დახასიათებისას იგი ზოგადი დეკლარაციული ხასიათის ფრაზებით შემოიფარგლება. ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, სასურსათო და დემოგრაფიული უსაფრთხოებისადმი არასათანადო მიდგომამ არაერთგზის იჩინა თავი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან (1991 წ.) დღემდე. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოჩნდა ეს პრობლემები, როგორც ქვეყნის ტერიტორიული დეზინტეგრაციის ეტაპზე (90-იანი წლების დასაწყისი), ისე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის, მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკური კრიზისისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების ფონზე. ამდენად, აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების მყარი სისტემის შექმნა და საფინანსო და საბანკო სისტემათა უსაფრთხოების ქმედუნარიანი, დაბალანსებული, ერთობლიობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი გააზრება, კონკრეტული სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი პარამეტრების გამოკვეთის გზით.

ფინანსური უსაფრთხოება წარმოადგენს ღონისძიებების, მეთოდების და საშუალებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვას ემსახურება. აქ იგულისხმება ინტერესები როგორც მაკროდონეზე, ისე მიკროდონეზე, ანუ კორპორაციული სტრუქტურების და საოჯახო მეურნეობების დონეზე.

ფინანსური უსაფრთხოება მიიღწევა კომპლექსური ნაბიჯების გადადგმით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკური სფეროს, საერთაშორისო ფინანსების და საბანკო სისტემის მიმართულებით. ფინანსური უსაფრთხოება და საფინანსო სისტემის მდგრადობა მოიცავს ბიუჯეტის დეფიციტის საკითხს, ფასების სტაბილურობას, ფინანსური ნაკადების მართვას, ოქროს და სავალუტო რეზერვების ადეკვატურობის უზრუნველყოფას, საშინაო და საგარეო ვალის საკითხს.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და ეკონომიკური ზრდის ბევრ პრობლემას ზემოაღნიშნულ მიმართულებათა მიმართ არასათანადო ყურადღება, ზოგჯერ კი მათი სრული იგნორირება წარმოადგენს. ჩამოთვლილი ფაქტორები უნდა გახდეს იმ ჩარჩო პირობების განმსაზღვრელი მდგენელები, რომლებმაც ფინანსური სისტემის გაჯანსაღებას, მდგრადობას და საიმედოობას უნდა შეუწყონ ხელი. თითოეული მათგანი, პირდაპირ ან ირიბად, გავლენას ახდენს კერძო სექტორზე, კერძო ინიციატივებზე, ზოგადად, ბიზნესზე, რომლის მდგრადი განვითარება მყარი ფინანსური სისტემის გარეშე შეუძლებელია.

ბიუჯეტის დეფიციტი და მისგან გამომდინარე რისკები

ბიუჯეტის დეფიციტი პირდაპირ წარმოადგენს ტვირთს ბიზნესისთვის და ზედმეტად დიდი სახელმწიფო ხარჯები სერიოზული საფრთხეა კერძო სექტორისთვის. 2003 წლიდან ბიუჯეტის დეფიციტის მიმართება მთლიან შიდა პროდუქტთან იზრდებოდა. 2003 წელს დეფიციტი იყო მშპ-ს 1.8%, 2004 წელს - 0.3%, 2009 წლის ჩათვლით, დეფიციტის მაჩვენებელი იზრდებოდა და 9.2%-ის მიაღწია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 2010 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი 6.6%-ია. მაღალი დეფიციტის

ნეგატიურ მხარეებს ნათლად ადასტურებს ევროპული კრიზისის რამდენიმე სერიოზული კერის, მათ შორის, საბერძნეთის და ისლანდიის მაგალითები, სადაც ფინანსური სისტემის ფაქტობრივად განადგურება საბიუჯეტო დეფიციტის მაღალი მაჩვენებლებიდან დაიწყო, საბერძნეთში დეფიციტი მშპ-ს მიმართ 10.2%-მდე იყო გაზრდილი, ისლანდიაში კი 32%-ს მიაღწია. მაგალითად შეიძლება აგრეთვე პორტუგალიის მოყვანა, სადაც დეფიციტმა მშპ-ს 10%-ს მიაღწია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ **ბიუჯეტის დეფიციტი ინფლაციის ზრდის და, შესაბამისად, პროდუქციაზე ფასების აწევის ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელია, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სოციალურ ფონს ამძიმებს და სოციალურ უთანასწორობას აღრმავებს. საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური სისტემა აღნიშნული პრობლემების მიჩქმალვის სტრატეგიიდან უნდა გადავიდეს პრობლემების გამომზეურებისა და მათ აღმოსაფხვრელად მიზანდასახულ მუშაობაზე.**

ამ მხრივ, ჩვენთვის ნიშანდობლივია საბერძნეთის მაგალითი, სადაც 2010 წლამდე არსებული სურათის დაფარვისა და სტატისტიკური მონაცემების გაყალბების ხარჯზე რეალური ვითარება იმალებოდა, ხოლო როცა ქვეყანა იძულებული გახდა გაემჟღავნებინა სინამდვილე, დაიწყო ხანგრძლივი და უმძიმესი კრიზისი.

ვალუტის არასტაბილურობის რისკი

სტაბილური ვალუტა მთლიანად ეკონომიკის სტაბილურობის საფუძველია. მითუმეტეს, საქართველოსთვის, რადგან ქვეყანა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმპორტზე და ვალუტის კურსის ცვლილება დიდწილად განაპირობებს იმპორტის ღირებულებას.

სტაბილური ვალუტის არსებობის შემთხვევაში, საფინანსო სისტემა უფრო გამართულად მუშაობს. აქ იგულისხმება არა მარტო გაცვლითი კურსის სტაბილურობა, არამედ ინფლაციური პროცესების სტაბილური ხასიათიც. მყარი ვალუტა გადამწყვეტი ფაქტორია გრძელვადიანი დაგეგმვისთვის. ეს ეხება როგორც საინვესტიციო პოლიტიკას, ისე სხვა ეკონომიკურ მიმართულებებსაც. ინვესტიციების შემოსვლა ფინანსურ სტაბილურობაზე დიდად არის დამოკიდებული, რასაც, თავის მხრივ, მყარი ვალუტა უზრუნველყოფს. ვალუტის სტაბილურობაში ძირითადად იგულისხმება ფინანსური მდგრადობა და საინვესტიციო რისკების დაბალი დონე.

ვალუტის სტაბილურობა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კურსების ცვალებადობამ საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ეკონომიკურ სუბიექტებს. იგულისხმება კურსების მერყეობის გამო ვალუტების გაცვლით გამოწვეული დანაკარგები. ინვესტორის შემოსვლისთვის საჭიროა მყარი ეროვნული ვალუტა, რადგან ადგილობრივ ბაზარზე იგი სწორედ ადგილობრივი ვალუტით ოპერირებს. ამიტომ, დანაკარგების თავიდან აცილების კუთხით, ინვესტორი ყურადღებას სწორედ მყარ ვალუტაზე ამახვილებს.

ბოლო წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, სავალუტო ბაზარზე არაერთხელ დაფიქსირდა მნიშვნელოვანი რყევები. საქართველოს ეროვნული ვალუტა 2010 წელს ზუსტად ერთ კვირაში 3-დან 10 ივნისამდე, ყველა ვალუტის მიმართ საშუალოდ 5%-ით გაუფასურდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ეროვნული ბანკი სავალუტო აუქციონზე არ ჩაერია და კურსი „არ დაიჭირა“. 2010-2011 წლების მანძილზე ანალოგიური ფაქტი არაერთხელ მოხდა. 2012 წლის 14 თებერვლიდან ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 21 თებერვლამდე 1.67-დან 1.61-მდე გამყარდა (დაახლოებით 4%-ით), ერთკვირიანი მონაკვეთისთვის საკმაოდ დიდი მერყეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია სავალუტო აუქციონზე ვაჭრობის შესახებ დაიხურა და საჯარო აღარაა. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რეალურად რა ხდება აუქციონზე. კურსის განსაზღვრის პროცედურა გახდა აბსოლუტურად გაუმჭვირვალე.

ინფლაციური რისკები

ფინანსური სისტემის ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ფასების სტაბილურობა. ფასების სტაბილურობა ფულის ღირებულებას პირდაპირ უკავშირდება, რაც, ზოგადად, ფინანსების ფუძემდებლური პრინციპია და ამ პრინციპზეა აგებული ფინანსური სისტემა. ფასების სტაბილურობა, მისი ლოგიკურობა,

ეკონომიკური საფუძვლიანობა, ფასების პროგნოზირების საშუალება ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვის აუცილებელი წინაპირობაა. დღევანდელი საქართველოს „ეკონომიკის მამების“ მიერ ეს ჭეშმარიტებაც მნიშვნელოვანწილად იგნორირებულია, რაც, რა თქმა უნდა, უეჭველად გამოსასწორებელია. გარდა ამისა, ყველა ხსენებული ფაქტორი კავშირშია ინვესტიციების შემოდინებასთან და ვალუტის სტაბილურობასთან.

ინფლაცია ფინანსური სისტემის სტაბილურობისთვის სერიოზული საფრთხეა და ზიანის მომტანია, როგორც ფინანსური რესურსის მფლობელებისთვის, ისე მისი მოპოვების მსურველებისთვის, რადგან აძვირებს ფულს. ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. მაგრამ, 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის პირველ ნახევარში ეროვნულმა ბანკმა აბსოლუტური უსუსურობა გამოავლინა და ინფლაციის მაჩვენებელი 2011 წლის მაისში წლიურ 14.3%-მდე გაიზარდა. ინფლაციის მაღალი დონის საგარეო ფაქტორებზე გადაბრალება უსაფუძვლოა, რადგან მსგავსი ინფლაცია მსოფლიოს მხოლოდ ერთეულ ქვეყნებში იყო, რეგიონში კი ფასების დონე 8%-ზე მეტად არ გაზრდილა. ინფლაცია რომ შიდა ფაქტორებით იყო გამოწვეული, ამას ფულადი მასის აგრეგატების ტენდენციაც მოწმობს. თუ გადავხედავთ 2010 წლის ფულის აგრეგატების მაჩვენებლების ცვლილებას, დავინახავთ, რომ ყველა აგრეგატის ოდენობა გაზრდილი იყო. მაგალითისთვის: M0 (ნაღდი ფული მიმოქცევაში) - 11,6%-ით; M1 (სარეზერვო ფული) - 25%-ით; M2 (ფართო ფული უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გარეშე) 28%-ით; M3 (მიმოქცევაში არსებული ეროვნულ ვალუტა და კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების საერთო თანხა) 4,6 მლრდ.-დან 6,2 მლრდ. ლარამდე - 35,4%-ით. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მასშტაბურად აკრედიტებდა კომერციულ ბანკებს.

ინფლაციური პროცესების გამო, 2011 წელს ლარის მყიდველობითი უნარი 13%-ით დაეცა, რაც მოსახლეობას სერიოზულ ტვირთად დააწვა. ეროვნულ ბანკს ინფლაციის მოსათოკად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება მოუხდა: კერძოდ, გაზარდა სავალდებულო რეზერვების ნორმა და რეფინანსირების განაკვეთი 8%-მდე აწია. შედეგად, ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების ტემპი შემცირდა და მშპ-ს ზრდის ტემპი დაეცა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან შეიცვალა ინფლაციის გამოსათვლელი სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა და სასურსათო პროდუქციის წილი 40%-დან 30%-მდე შემცირდა. საარსებო მინიმუმის მაჩვენებელში სასურსათო პროდუქციის წილი 70%-ია, გარდა ამისა, საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობის მოხმარების სტრუქტურაში სასურსათო პროდუქცია 70-80 პროცენტია, აქედან გამომდინარე, **სამომხმარებლო ფასების ინდექსის დასათვლელ კალათაში სასურსათო საქონლის წილის შემცირება ინფლაციის რეალური მაჩვენებლის შემცირებას იწვევს და ნიღბავს სინამდვილეს.**

საფინანსო-საბანკო სტაბილურობა

საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის, ვინაიდან იგი ასრულებს ყველაზე ეფექტიანი შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. მაგალითად, კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისგან, ახორციელებენ მათ შემდეგ გადასესხებას სხვა შინამეურნეობებსა და საწარმოებზე. ამავე დროს, კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღდო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც, ჩვეულებრივი კომპანიებისგან განსხვავებით, კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. 2006 წელს ბანკებმა ეკონომიკის დაკრედიტება 1 მილიარდი ლარით გაზარდეს (1.6 მილიარდი ლარიდან 2.6 მილიარდ ლარამდე), ეკონომიკური ზრდა 2006 წელს 9.6% იყო. 2007 წელს დაკრედიტება 1.7 მილიარდი ლარით გაიზარდა, ეკონომიკური ზრდა კი 12.3% იყო, 2009 წელს ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები 1 მილიარდი ლარით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ეკონომიკის ვარდნამ კი 3.8% შეადგინა. 2009 წლიდან დაკრედიტების მოცულობა იზრდება და ეკონომიკის ზრდა შეინიშნება. მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე, კავშირი საბანკო სისტემის მიერ გაცემულ კრედიტებს და ეკონომიკის ზრდას შორის საკმაოდ მჭიდროა. ამიტომ, აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე მთლიანად სექტორის დონეზე.

აუცილებელია ოპტიმალური მაჩვენებლების და თანაფარდობების დადგენა შემდეგი პარამეტრების მიხედვით: საბანკო სისტემის ჯამური აქტივების მიმართება მშპ-სთან; საშუალებების მოზიდვის და განთავსების ვადა (კრედიტები და დეპოზიტები); კრედიტების და დეპოზიტების სტრუქტურა; საბანკო სექტორის აქტივების მშპ-სთან მიმართების დინამიკა; საკრედიტო პორტფელის წილი აქტივებში; საბანკო სისტემის კონცენტრაციის დონე.

საგარეო ვალი და მასთან დაკავშირებული რისკები

საგარეო ვალი მთლიანი სახელმწიფო ვალის ნაწილია, რომელიც უცხოური კონვერტირებადი ვალუტით არის გამოსახული. იგი წარმოადგენს იმ ძირითადი თანხების ერთობლიობას, რომელიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით ეროვნული ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით. საგარეო ვალი არის ვალდებულებები უცხოელი კრედიტორების მიმართ.

მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით, არსებობს სხვადასხვა მაჩვენებელი, რომელთა მიხედვით შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის საგარეო ვალის მოცულობა ერთმანეთს შევადაროთ. ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგომარეობის შესაფასებლად ჩვენ ყველაზე ეფექტურ მეთოდოლოგიას გამოვიყენებთ.

საგარეო ვალის მთლიანი მოცულობის მიმართება საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან - EDIT/XGS. ეს მაჩვენებელი ერთი თავისებურებით ხასიათდება - როდესაც საგარეო ვალის მიმართება ექსპორტთან კრიტიკულ ზღვარს, 200-250%-ს გადასცდება, ხდება საგარეო ვალის ნაწილობრივი ან სრული ჩამოწერა ანუ, ფაქტობრივად, სახეზეა დეფოლტი. ამგვარ სიტუაციაში მოექცა 1990-იან წლებში პოლონეთი და ბულგარეთი. საქართველოში ეს მაჩვენებელი 260-270%-ის დონეზეა.

საგარეო ვალის მოცულობის მიმართება მთლიან შიდა პროდუქტთან - EDIT/GDP. ეს მაჩვენებელი უფრო გავრცელებულია. იგი განსაზღვრავს ქვეყნის შესაძლებლობას, მოემსახუროს საგარეო ვალს. ამ მაჩვენებლის კრიტიკულ ზღვრად მიჩნეულია მშპ-ს მიმართ 50%. თუ მსოფლიოს სამ ნაწილად დავყოფთ, ეს ზღვარი ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში შესაბამისად მსოფლიო მშპ-ს 35%, 25% და 25%-ს შეადგენს. საქართველოში საგარეო ვალი მშპ-ს 28%-ის დონეზეა.



ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961)
ამერიკელი მწერალი; ნობელის პრემიის ლაურეატი

"ცუდად მართული ქვეყნისთვის პირველი პანაცეა საგალუცო ინფლაციაა, მეორე - ომი; ორთავეს მოაქვს ქვეყნისთვის დრეღმითი აყვავება და ორთავეს - სამღლოღ დაღუპვა. თუმცა, ორთავე თავშესაფარია პოლიტიკური და ეკონომიკური ოპორტუნისტებისთვის"

საგარეო ვალის დანახარჯების მიმართება ექსპორტთან - TDS/XGS. აქ იგულისხმება ყველა ხარჯი, რომელიც ვალის მომსახურებაში შედის: ვალის ძირითადი თანხა, პროცენტები და საკომისიო. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ვალის დანახარჯები/ექსპორტის საშუალო მაჩვენებელი 8-9%-ს შეადგენს. საგარეო ვალის დანახარჯები საქართველოში ექსპორტის ღირებულების 16%-ია.

საგარეო ვალის დანახარჯების მიმართება მთლიან შიდა პროდუქტთან - INT/GDP. საშუალო მაჩვენებელი 1.0%, საქართველოში - 2.5%.

ოფიციალური რეზერვების საერთო მოცულობის მიმართება საგარეო ვალთან - RES/EDT. ეს მონაცემი გვიჩვენებს, შეუძლია თუ არა ქვეყანას თავისი სავალუტო რეზერვებით ვალის მომსახურება. ამ მხრივ, საუკეთესო მაჩვენებელი 2012 წლისთვის გააჩნიათ ბოსტვანას (700%), ესტონეთს (250%) და ლატვიას (176.5%), მსოფლიოში საშუალო მაჩვენებელი 250-300%-ია, საქართველოში კი - 65%.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში ფართოდ ინერგება პრაქტიკა და ურიგო არ იქნება გამოვიყენოთ იგი: საგარეო ვალის მოცულობას ანგარიშობენ არა მშპ-ს, არამედ ექსპორტის ღირებულების მიმართ.

ასეთი მიდგომების, მახასიათებლების და პარამეტრების გამოყენება საფინანსო და საბანკო სისტემებთან მიმართებაში უნდა გახდეს ზოგადად ეროვნული უსაფრთხოების და, კონკრეტულად, ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ნაწილი და ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებას საგარეო ვალის აღებისა, თუ ბიუჯეტის დეფიციტის განსაზღვრისას ჰქონდეს გარკვეული შეზღუდვები, რადგან არ შეიძლება ერთი რომელიმე მთავრობის უნიათობას ქვეყნის ეკონომიკა გადაყვეს (როგორც ეს საბერძნეთში, ისლანდიასა და სხვა ქვეყნებში მოხდა). ერთგვარ დადებით ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელს „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ მიღება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის არასრულყოფილების გამო, ის ვერ უზრუნველყოფს მთავრობის რაციონალურ ჩარჩოებში მოქცევას.

რეკომენდაციები:

- ეკონომიკის და საფინანსო სისტემის მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, უნდა მოხდეს ვალუტის გაცვლითი კურსის პროგნოზირება. აქ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის ზუსტ პროგნოზზე, რაც დღევანდელ მსოფლიოში პრაქტიკულად შეუძლებელია: საუბარია კურსის შესაძლო მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლის დადგენასა და წლის განმავლობაში ამ ჩარჩოებში მის მოქცევაზე. გაცვლითი კურსის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნება იქნება საფუძველი ბიზნესისთვის ოპტიმალური დაგეგმვის განსახორციელებლად, განსაკუთრებით, ფინანსური შუამავლებისთვის და ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ფინანსურ სისტემას ქმნიან და რომლებიც ვალუტის და ფასების სტაბილურობის მიმართ ყველაზე მგრძნობიარენი არიან;

- აუცილებელია, ქვეყანაში გატარდეს ისეთი ფულადი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომლის შედეგადაც ქართველ თუ უცხოელ მეწარმეს საშუალება ექნება, საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის გრძელვადიანი სტრატეგია შეიმუშაოს და არ იყოს მოკლევადიან პერიოდში შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული. ბოლო წლებში სავალუტო ბაზარზე არსებული არასტაბილური მდგომარეობის გამო, მეწარმეები იძულებულნი არიან, უარი თქვან ბიზნესის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე და შესაძლო მოსალოდნელი რისკები წინასწარ გაითვალისწინონ პროდუქციის ფასის განსაზღვრისას, რის გამოც, მსოფლიო ფასებთან შედარებით, ქვეყანაში არსებული პროდუქტების ფასებს არაადეკვატურად მაღალ ნიშნულზე აფიქსირებენ;

- შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი ხარჯვითი ნაწილიდან არაეფექტიანი მუხლების ამოღების ხარჯზე. ამით კერძო სექტორზე ზეწოლა შემცირდება და ინიციატივა სახელმწიფოდან კერძო სექტორში გადაინაცვლებს;

- დაიხვეწოს სტატისტიკის სისტემა, განსაკუთრებით ფინანსური სტატისტიკა, რათა გვქოდეს რეალური და არა შენიღბული სურათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. არასწორი, დამახინჯებული ინფორმაციის შედეგები

შეიძლება დამღუპველი იყოს ქვეყნისთვის, რადგან პრობლემების დამალვა დიდხანს ვერ გაგრძელდება და საბოლოოდ ნეგატიური ზემოქმედების მოცულობა გაცილებით მძიმე იქნება;

- საჭიროა ფულადი მასის ცვლილების ეკონომიკურ ზრდასთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა არ დაირღვეს ბალანსი ფულად და სასაქონლო მასებს შორის;

- ინფლაციის რეალური მაჩვენებლის მისაღებად მისი დასათვლელი კალათის სტრუქტურა უნდა დაეფუძნოს საშუალო სტატისტიკური მოქალაქის მოხმარების სტრუქტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი იქნება არაადეკვატური;

- შემცირდეს საგარეო ვალის ზრდის ტემპი და მისი მოცულობა გაანალიზდეს კომპლექსურად, არა ერთი მაჩვენებლის, არამედ რამდენიმე ინდიკატორის - მშპ-ს, ექსპორტის სხვა მაჩვენებლების მიმართ. აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს სახელმწიფოს საკრედიტო რეიტინგი;

- სავალუტო აუქციონების შესახებ ინფორმაცია გახდეს საჯარო, რათა შესაძლებელი იყოს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად საფუძვლიანად იცვლება ან არ იცვლება ვალუტის გაცვლითი კურსი. სავალუტო კურსის ფორმირების პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე და არ უნდა იწვევდეს ეჭვებს სპეკულაციური გარიგებების არსებობაზე.



სენეკა (I საუკუნე, ჩვ.წ)
რომაელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე

"უსამართლობაზე დაფუძნებული სამეფო ვერასოდეს იარსებებს დიდხანს"

არჩილ გეგეშიძე

გლობალური პროცესები და საქართველო

საქართველო რთულად იკაფავს გზას თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მიმართულებით. დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, პლურალისტური დემოკრატიის დამკვიდრება და სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიზება მრავალ წინააღმდეგობას აწყდება. დაბრკოლებათა ნაწილი ქვეყნის განვითარების შიგა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებს უკავშირდება, რომელთა განხილვა წინამდებარე ანალიტიკური ბარათის მიზანს არ წარმოადგენს. ქვემოთ მოყვანილი ანალიზი შეეხება გლობალურ და რეგიონულ დონეზე მიმდინარე მხოლოდ იმ პროცესებს და მოვლენებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვთ საქართველოს უსაფრთხოებაზე. აქვე დავაზუსტებთ, რომ მოვლენათა შესაძლო განვითარების განჭვრეტისას ახლოვადიანი პერიოდით (3-5 წელი) შემოვიფარგლებით, ვინაიდან უაღრესად დინამიურად ცვალებად გარემოში შეუძლებელია უფრო შორეულ მომავალზე დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით მსჯელობა. შესაბამისად, ნაშრომს არ გააჩნია პრეტენზია გლობალური პოლიტიკის ყოვლისმომცველ და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილ ანალიზზე.

21-ე საუკუნის პირველ დეკადაში საფუძველი ჩაეყარა რამდენიმე მნიშვნელოვან ტენდენციას, რომელმაც ერთობლიობაში სერიოზული ცვლილებები გამოიწვია საერთაშორისო პოლიტიკაში. სახეზეა ახალი, მორიგი გეოპოლიტიკური ძვრა, რომელიც ჯერაც არ არის დასრულებული. თუკი გლობალური პოლიტიკის მთავარი აქტორებისთვის გეოპოლიტიკური ძვრა პრესტიჟის, ძლიერებისა და გავლენის სფეროების კონფიგურაციის ცვლილებას მოასწავებს, საქართველოსთვის იგი ეგზისტენციალური მნიშვნელობის მოვლენაა, რამეთუ პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის გადარჩენასა და განვითარების პერსპექტივას. ხსენებული ტენდენციები, პირველ რიგში, უკავშირდება დასავლეთის დასუსტებას, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა დასავლეთსა და რუსეთს შორის ცივი ომის შემდგომი ძალთა ბალანსის ცვლილება, ხოლო, მეორე მხრივ, - სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ სამეზობლოში მასობრივი განადგურების ტექნოლოგიების, ძირითადად ბირთვული, გავრცელების პერსპექტივის ზრდა. დასავლეთის ფაქტორის დასუსტება, ასევე, ახდენს გავლენას საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობაზე.

დასავლეთის დასუსტება საქართველოს უსაფრთხოებაზე მეტად ტრაგიკულად აისახა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო ერთ-ერთი, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება დასავლეთსა და რუსეთს შორის ძალთა ბალანსში მომხდარი ცვლილებისა. იმის მიუხედავად, რომ ამ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის სამხედრო დაპირისპირების ალბათობა მაღალი არ არის, მომავალში მისი განმეორების გამორიცხვა სწორი არ იქნება. ამავდროულად, ზედმეტი დასაბუთების გარეშე შეიძლება აღინიშნოს, რომ რუსეთთან დღეს არსებული ურთიერთობების ხასიათი უკვე ქმნის სერიოზულ დაბრკოლებას საქართველოს მშვიდი და სტაბილური განვითარებისთვის.

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთსა და დასავლეთში შიგა პროცესების დინამიკა მნიშვნელოვნად იმოქმედებს მათ შორის ძალთა ბალანსის შემდგომ ცვლილებაზე ისევე, როგორც საქართველოს უსაფრთხოებაზე პირდაპირ თუ ირიბად მოქმედ სხვა ფაქტორთა ბუნებაზე. ქვემოთ მოყვანილია თითოეული მათგანის (ფაქტორის) მოკლე ანალიზი და სავარაუდო გავლენა ქვეყნის განვითარებაზე.

რუსეთის ფაქტორი

რუსეთის ფაქტორი,[1] რომელიც დღეს საქართველოს არსებობისთვის და განვითარებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, სამომავლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს, კერძოდ, თუკი: 1. რუსეთის სახელმწიფო დასუსტდა (ან დაიშალა) ქვეყნის შიგნით არსებული სისტემური პრობლემების[2] დაძლევის შეუძლებლობის გამო; 2. მოხერხდა ლიბერალური რეფორმების გატარება და ავტორიტარული მართველობის სისტემის დემოკრატიულით ჩანაცვლება (ერთგვარი "პერესტროიკა-2"), რასაც, სხვასთან ერთად, სავარაუდოდ, ევროატლანტიკური სივრცისადმი მტრული დამოკიდებულების შეცვლა უნდა მოჰყვეს.

საერთო შეფასებით, პირველი სცენარით მოვლენების განვითარება ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივაში ნაკლებსავარაუდოა. ყველა ის სისტემური პრობლემა, რომელიც იგულისხმება ხსენებული სცენარის ფაქტორებად, ნელმოქმედების საფრთხეს შეიცავს და, ყველაზე ადრე, 8-10 წლის შემდეგ თუ დაიწყებს უარყოფითი შედეგების გამოღებას. როგორც ჩანს, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტით მიღებული შემოსავლები საკმარისი აღმოჩნდება უახლოეს პერიოდში მმართველი ელიტის "გამოსაკვებად" ისევე, როგორც სოციალური პროგრამების გასაფართოვებლად. თუმცა, ამ რესურსების სიმცირე დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად შეიგრძნობა და, შესაბამისად, სოციალური უკმაყოფილებაც გაიზრდება. საკუთარი მომხრეების მობილიზებისთვის პუტინის ადმინისტრაცია ვეღარ შეძლებს იმგვარი ლოზუნგების გამოყენებას, როგორიც იყო: "წესრიგი და სტაბილურობა 90-იანების ქაოსის სანაცვლოდ", "რუსეთი - ენერგო ზესახელმწიფოა" და "აღორძინებადი რუსეთი ფეხზე დგება". ამის ნაცვლად, მას მოუწევს განმარტოს, რატომ ვერ მოხერხდა დასავლეთის ქვეყნების მსგავსი კეთილდღეობის დონის მიღწევა, ან რატომ აგრძელებს კრემლი "ამბოხებული ჩრდილო კავკასიის კვებას". მიუხედავად ამისა, რუსეთი შეინარჩუნებს პოლიტიკური სისტემის მდგრადობას, ასევე დსთ-ს სივრცეში ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს და, შესაბამისად, გრავიტაციის ცენტრადაც დარჩება.

რაც შეეხება მეორე სცენარს, მისი განხორციელებაც სათუოა ახლო მომავალში, თუმცა ალბათობა მეტია. საქმე იმაშია, რომ გარეგანი სახელმწიფო ატრიბუტების პარალელურად არსებული "სახელმწიფო სახელმწიფოში" იმ ერთპარტიული სისტემისა და მკაცრი სახელისუფლო ვერტიკალის სახით, რომელიც პუტინის მმართველობის დროს მტკიცედ ჩამოყალიბდა, თვითგარდაქმნას არ ექვემდებარება. შეუძლებელია ახლო მომავალში მმართველი ელიტის შიგნით გაჩნდეს იმგვარი რეფორმატორი ან იდეალისტი (მსგავსად პეტრე პირველის ან გორბაჩოვის), რომელიც შეძლებს დაუპირისპირდეს შიგაელიტურ ინტერესებს და ბიუროკრატიულ ინერციას. მეორე მხრივ, ჯერ-ჯერობით არ არსებობს მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი ოპოზიციური ძალა. 2011 წლის სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების გაყალბების საპროტესტო ტალღაზე აღმოცენებული ოპოზიცია მეტად ჭრელი და არაერთსულოვანია. არ ჩანს ერთიანი, მკაფიო და მთელი საპროტესტო ელექტორატისთვის მისაღები იდეოლოგიური პლატფორმა. ჯერ კიდევ მიმდინარეობს "ინტერნეტ-ლიდერების" "სახალხო ლიდერებად" ტრანსფორმაცია და უცნობია, რითი დამთავრდება ეს პროცესი. 2012 წლის 6 მაისს დანიშნული პუტინის ინაუგურაციისადმი მისადაგებული დაანონსებული "მილიონიანი მარში", როგორც ჩანს, საეტაპო იქნება. თუკი ვერ მოხერხდა რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა დედაქალაქში და მსოფლიოს დასანახად მართლაც "მილიონიანი" აქციის გამართვა, რაიმე შემდგომ პერსპექტივაზე საუბარი დიდი ხნით გადაიდება. მაგრამ, თუკი მართლაც შედგა მასობრივი აქცია, მაშინ პუტინის ადმინისტრაციას მოუწევს "ჭანჭიკების მოშვება" და არაორდინარული შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრემლს ხელში შემოეფშვნება ის, რისთვისაც ბოლო

1 იგულისხმება არა საქართველოს მიმართ გამიზნული პოლიტიკა, არამედ ობიექტურ ფაქტორთა კომპლექსი, რომელიც ხშირად ამ პოლიტიკისგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ მასზე გავლენას ახდენს. ამგვარ ფაქტორთა შორის შეიძლება აღინიშნოს: პოლიტიკური კლასის მიერ საქართველოს პროდასავლური კურსის მიუღებლობა; პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის კონსოლიდაციისკენ სწრაფვა;საქართველოსმოსაზღვრეობაჩრდილოკავკასიასთან; საქართველოში განსათავსებელი საინვესტიციო რესურსის არსებობა; რუსეთში მცხოვრები და მომუშავე მილიონამდე ქართველი; აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების არსებობა და ადგილობრივი რეჟიმების კრემლისადმი პოლიტიკური ლოიალობა; კასპიისპირეთიდან დასავლეთის მიმართულებით რუსეთის ტერიტორიის გვერდის ამვლელი ენერგოდერეფნის საკუთარ ინტერესებთან შეუთავსებლობა, და სხვ.

2 ამგვარი სცენარის მომხრეები ხშირად საუბრობენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა მმართველობითი სფეროს კორუმპირებულობა, მოსახლეობის (შესაბამისად, მუშახელის) რიცხოვნობის განუხრელი კლება, დასავლეთთან ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ადრე თუ გვიან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ალტერნატიული ენერგორესურსებით ჩანაცვლებით შემოსავლების გარდუვალი მკვეთრი შემცირება, ჩრდილო კავკასიაში ცენტრიდანული ტენდენციების ზრდა და სხვ.

პერიოდში თავად იბრძოდა - პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა. კერძოდ, მოსალოდნელია გაიზარდოს ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა, ფართო მასებზე გათვლილი სოციალური პროგრამები, რათა არ მოხდეს დღევანდელი "საშუალო ფენის" პროტესტის სოციალურ პროტესტად გადაქცევა. ეს უკანასკნელი რევოლუციურ მუხტს შეიცავს და, შესაბამისად, რეჟიმისთვის უფრო სახიფათოა. თუკი გავითვალსინწინებთ ენერგომატარებლების საერთაშორისო ბაზარზე კონიუქტურის დინამიკას, ამგვარი სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად საჭირო რესურსები რუსეთს ახლო მომავალში არ მოაკლდება. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი პოპულისტური გადაწყვეტილებები არ იქნება სისტემური ცვლილებებისკენ გადადგმული ნაბიჯები.

ასეა თუ ისე, პუტინი და მისი რეჟიმი საკუთარი ლეგიტიმურობის პრობლემის წინაშე დგას. უახლოესი პერიოდის ამოცანაც სწორედ ამ შელახული ლეგიტიმურობის კომპენსირება იქნება. მაგრამ, ვინაიდან სისტემური ცვლილებების გარეშე ეს ქვეყნის შიგნით ძნელად მისაღწევი ამოცანაა, პუტინი ისევ და ისევ ნაცად ხერხს მიმართავს - ელიტაში და იმავე მოსახლეობის საშუალო ფენებში არსებულ ნაციონალისტურ და "ველიკოდერჟავულ" განწყობებზე გათვლით შეეცდება საგარეო ასპარეზზე აქტიური და, საჭიროებისამებრ, აგრესიული პოლიტიკის გატარებას. პირველ რიგში, ეს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელობის მქონე სამი მიმართულებით განხორციელდება:

დასავლეთთან ურთიერთობებში "საკუთარი ინტერესების დაცვით და პრაგმატული პოლიტიკის" გატარებით პუტინი ეცდება ორი უმთავრესი ამოცანის შესრულებას - ა) ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსების საკითხის იმგვარ გადაწყვეტას, რომლის მიხედვითაც რუსეთი ან მიიღებს საკუთარი უსაფრთხოების იურიდიულად გამყარებულ გარანტიებს, ან მიიღებს ამ სისტემის რაიმე ფორმით გაკონტროლების შესაძლებლობას; ბ) ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეკავებას. რუსეთში არსებული საზოგადოებრივი განწყობების ფონზე ხსენებული ორივე ამოცანა მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს და, წარმატების შემთხვევაში, პუტინის ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვნად ამაღლდება. შესაბამისად, დასავლეთთან ურთიერთობებში ეს ორი საკითხი იქნება ყველაზე პრიორიტეტული. აი, რომელიმე მათგანის მიუღწევლობის შემთხვევაში[3] კი, პუტინი აუცილებლად გამოიყენებს თავის ბერკეტებს "ირანისა" და "სირიის" საკითხებში დასავლეთის საწინააღმდეგოდ, რითაც ფაქტობრივად დასრულდება ისედაც უკვე რესურსგამოცლილი "გადატვირთვის" პოლიტიკა. ამგვარი დასკვნის საფუძველს მნიშვნელოვნად ამყარებს რუსეთის ობსტრუქციის ხელშეწყობით ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის პერსპექტივით გამოწვეული აშშ/ისრაელის მხრიდან სამხედრო აქციის გაზრდილი ალბათობა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების გააქტიურების კონტექსტში პუტინი საკუთარი ახალი პირმშოს - ევრაზიული კავშირის იდეის განხორციელებას შეუდგება. რუსეთის სახელმწიფოს არსებულ საზღვრებში შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა, გარდა ავტორიტარული მართველობისა, პოსტსაბჭოთა სივრცის საიმედოდ შემომტკიცებაა, რასაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუდმივად ცდილობს კრემლი. პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ერთი მხრივ, დსთ-ის იდეის ზოგადი წარუმატებლობისა და, მეორე მხრივ, ევროატლანტიკური ინსტიტუტებისა და ჩინეთის გააქტიურების ფონზე ახალი რუსოცენტრისტული ინტეგრაციული პროექტი უპირობო პრიორიტეტად წარმოჩინდება. ჯერ კიდევ 2011 წლის ოქტომბრის დასაწყისში პუტინის მიერ გაჟღერებული ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა სწორედ ზემოხსენებულ მიზანს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ევრაზიული კავშირის იდეა გულისხმობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მრავალდონიან და მრავალსიჩქარიან ინტეგრაციას, რომლის საბოლოო შედეგიც ევროკავშირის ტიპის ზენაციონალური მმართველი სტრუქტურების და ერთიანი საგარეო, ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის მქონე გაერთიანება იქნება. მიუხედავად იმისა, რომ იდეის ავტორს სურს ევრაზიული კავშირის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით იგი ევროკავშირს შეადაროს, ბევრი ეჭვობს, რომ ახალი გაერთიანება ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი იქნება. მეტიც, ზოგი ვარაუდობს, რომ რუსეთს ამ ტიპის გაერთიანების შექმნის არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური რესურსი არ გააჩნია.

3 თუკი ნატოს აღმოსავლეთით, პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართულებით გაფართოების პერსპექტივა რეალურად შეზღუდულია უკრაინაში არსებული არახელსაყრელი საზოგადოებრივი აზრისა და საქართველოსა და რუსეთს შორის ტერიტორიული დისპუტის გამო, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის ირგვლივ უთანხმოება იმდენად პრინციპულია, რომ, დიდი ალბათობით, კრემლის "სახის შენარჩუნებისთვის" საკმარისი კომპრომისის მიღწევა ნაკლებსავარაუდოა.

თუმცა, კრემლში იმედოვნებენ, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას ხელი 2015 წლის 1 იანვრამდე მოეწერება.

საყოველთაო აღიარებით, ევრაზიული კავშირის სიცოცხლისუნარიანობა მასში უკრაინის გაწევრიანებაზე იქნება დამოკიდებული. სწორედ უკრაინის დათანხმებისთვის იღწვის ამჟამად კრემლი. გარკვეული წარმატებები ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია - 2011 წლის 18 ოქტომბერს უკრაინამ და მოლდოვამ - ევროკავშირში სრული ინსტიტუციონალური ინტეგრაციის მოსურნე ქვეყნებმა - ხელი მოაწერეს თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ ხელშეკრულებას, სადაც კიდევ 6 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ერთიანდება. შემდეგი ეტაპი საბაჟო კავშირში და ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებაა, სადაც რუსეთი, ყაზახეთი და ბელორუსი უკვე იმყოფებიან. დღეს უკრაინა ლავირებს ევროკავშირსა და რუსეთს შორის, ცდილობს ამგვარი ბალანსირებით მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. ამიტომ, ევრაზიული კავშირის იდეით ზოგადი დაინტერესების გარდა, მის მიმართ მკაფიო დამოკიდებულება არ გამოუთქვამს. როგორც ჩანს, უახლოესი თვეები და წლები ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი იქნება. არ არის გამორიცხული, რომ უკრაინის არჩევანზე გარკვეული გავლენა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის წარმატებამ ან წარუმატებლობამაც იქონიოს. ეს, თავის მხრივ, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ დამოკიდებულებაზე შესაბამისად აისახება.

საქართველოს საკითხს დიდი ხანია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობის საგარეო-პოლიტიკურ დღის წესრიგში. ამას საფუძვლად უდევს როგორც პიროვნული, ისე გეოპოლიტიკური მიზეზები. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია ხუთი: ა) საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები; ბ) საქართველოს განვითარების (არარუსული, არაპოსტსაბჭოთა) მოდელი, რომელიც სახიფათო პრეცედენტს ქმნის რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცის შემომტკიცების მიზნის მიღწევის კონტექსტში; გ) საქართველოს აშშ-სთან გამოკვეთილი სტრატეგიული პარტნიორობა პოსტსაბჭოთა სივრცეში; დ) საქართველოს მეზობლობა ჩრდილო კავკასიასთან; ე) საქართველოზე გამავალი რუსეთისთვის კონკურენტული სატრანზიტო ენერგოდერეფანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს "დამცირება", "ჭკუის სწავლება", ზოგადად დემონიზება სწორედ ზემოხსენებული ნაციონალისტური და "ველიკოდერჟავული" ძალების გულის მოსაგებად საუკეთესო საშუალებაა. საქართველო, ასევე, მოხერხებული სამიზნეა რუსეთის მიერ დასავლეთისთვის



ალბერტ აინშტაინი (1879-1955) გერმანელი ფიზიკოსი; ნობელის პრემიის ლაურეატი

"საერთაშორისო კანონები მხოლოდ საერთაშორისო კანონების კრებულებში არსებობენ"

"სამაგიეროს გადახდის" თვალსაზრისით.[4] რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოში "განტევების ვაცის" ძიებით, ან მისი "დაჩაგვრით" და "დამუქრებით" პუტინი საკუთარი ლეგიტიმურობის აღდგენას შეეცდება ქვეყნის შიგნით. ამ მიზანს ემსახურება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის გავლენის განუხრელი ზრდა, მათ შორის იქ პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა; 2012 წლის სექტემბერში დაგეგმილი უპრეცედენტო მასშტაბის და ფორმატის სამხედრო სწავლება "კავკაზ - 2012"[5] და სხვ.

დასავლეთის ფაქტორი

ცივი ომის დასრულების შემდეგ დასადგურებული ეიფორიის ფონზე დასავლეთი,[6] უპირველესად კი აშშ, ფსიქოლოგიურად და ინსტიტუციონალურად მოუმზადებელი შეხვდა საბჭოთა კავშირისგან "გასუფთავებულ" გეოპოლიტიკურ გარემოს. მიუხედავად ამისა, მისი გავლენა გასული საუკუნის 90-იანი წლებში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვანი იყო. იმის გამო, რომ დასავლური, უპირატესად კი, ამერიკული ინსტიტუტები ცივი ომის დროინდელი ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა, ახალ ვითარებაში მათი "მშვიდობიან რელსებზე" გადაწყობა ადვილი არ აღმოჩნდა. ამის გამო იყო, რომ ინერციით აშშ დროდადრო საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არცთუ ყოველთვის გამართლებულ სამხედრო ინტერვენციებს ახორციელებდა, მათ შორის პანამაში, სომალიში, ჰაიტიზე და სერბიაში. ხსენებული ინტერვენციების გამართლების მიზნით გაჩნდა "ჰუმანიტარული ინტერვენციის" ცნება, რომელიც ვერა და ვერ დამკვიდრდა საერთაშორისო სამართალში.

2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შედეგად საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-ყაედას" სახით კვლავ გაჩნდა სტრატეგიული მოწინააღმდეგე, თუმცა ამჯერად არატრადიციული ბუნების. ახალ მტერთან ბრძოლის საბაბით 2001 წლიდან აშშ-მ მუსლიმურ სამყაროში ტრადიციული ომების წარმოება დაიწყო. ამ ომების შედეგიანობა ორგვარია: ერთი მხრივ, შედეგი დადებითია, ვინაიდან მოხერხდა 11 სექტემბრის მსგავსი ტერაქტის თავიდან აცილება (თუმცა, რამდენიმე რეზონანსური ტერაქტი მაინც იქნა განხორციელებული ევროპულ დედაქალაქებში); მეორე მხრივ, შედეგი უარყოფითია, ვინაიდან ვერ მოხერხდა რეგიონში პრო-ამერიკული სტაბილური რეჟიმების ჩამოყალიბება. პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება მიიღო, დაესრულებინა ომები ერაყსა და ავღანეთში და ამ მიზნით ერაყიდან უკვე გამოიყვანა კიდეც სამხედრო კონტინგენტი. 2014 წლიდან იგივე პროცესი დაიწყება ავღანეთშიც. ერაყის შემთხვევაში ვერ მოხერხდა საკუთარი თავის დაცვის უნარის მქონე და, ამავდროულად, აშშ-სადმი არამტრული რეჟიმის დატოვება. ექსპერტები იგივეს მოელიან ავღანეთის შემთხვევაშიც. ამ ომებმა მნიშვნელოვანი ფინანსური და დიპლომატიური რესურსი შთანთქა, რამაც საბოლოოდ ქვეყნის მორალური და პოლიტიკური ავტორიტეტის შელახვა გამოიწვია.

ამასობაში სწრაფად გაიზარდა ევროპის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე, რამაც 2003 წელს ერაყის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ სამხედრო კამპანიის დაწყების ირგვლივ უთანხმოებასთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრანსატლანტიკური კავშირების შესუსტებაში. მაგრამ ყველაზე სერიოზული საფრთხე, რაც მთელს დასავლეთს დაემუქრა, 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისია, რომელსაც დასასრული ჯერაც არ უჩანს. ჯერ კიდევ უცნობია მისი სამომავლო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის შედეგები, რასაც, უდავოდ, საქართველოზეც ექნება გავლენა. თუმცა, უკვე სახეზეა ზოგიერთი უარყოფითი ტენდენცია, რასაც საქართველოს უსაფრთხოებისთვის პირდაპირი ან ირიბი მნიშვნელობა აქვს:

- განსაკუთრებით მტკივნეული ეს კრიზისი ევროზონის ქვეყნებისთვის აღმოჩნდა, თუმცა მან მთელი ევროკავშირი მოიცვა. გამოიკვეთა ერთგვარი "ორძრავიანი ევროპის" მოდელი, სადაც ფრანკო-გერმანული ალიანსი და ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფო

4 2012 წლის 18 იანვარს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა განაცხადა, რომ, თუკი საქართველოს ტერიტორიაზე მოხდება ამერიკული სარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსება, რუსეთი იძულებული იქნება საკუთარი შეტევითი სისტემები საქართველოს ტერიტორიას დაუმიზნოს.

5 სამხედრო სწავლების ოფიციალურად გაცხადებული მიზანი სომხეთში განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზის უსაფრთხოების დაცვაა, თუკი ამის საჭიროება შეიქმნა ირანის წინააღმდეგ აშშ/ისრაელის მიერ განხორციელებული სამხედრო აქციის შემთხვევაში. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ ხსენებული სამხედრო სწავლების მიზანი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაცვისთვის მზადებაა, თუკი საქართველო გადაწყვეტს ისარგებლოს სპარსეთის ყურეში შექმნილი აჟიოტაჟით და ძალისმიერი გზით ეცდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

6 დასავლეთის ქვეშ იგულისხმება როგორც აშშ და ევროპა, ისე ევროატლანტიკური ინსტიტუტები - ნატო და ევროკავშირი.

უფრო ადვილად უმკლავდება ფინანსურ კრიზისს და ევროზონის სამხრეთ ქვეყნებს კრიზისიდან გამოსვლაში ეხმარება. მაგრამ ჩრდილოელთა ამგვარ "მზრუნველობას" თან ახლავს ევროსკეპტიკოსებისა და ნაციონალისტური ძალების გაძლიერება. ჩამოყალიბდა სტერეოტიპი "დისციპლინირებული და მომჭირნე" ჩრდილოეთ ევროპისა და "არხეინი და მფლანგველი" სამხრეთ ევროპის შესახებ. ყოველივე ამან გაზარდა შიდაევროპული ინტეგრაციის გაღრმავების მოწინააღმდეგეთა რიცხვი. ასეთ ფონზე იქმნება ნოყიერი ნიადაგი ულტრამემარჯვენე რადიკალური და ექსტრემისტული ძალების გააქტიურებისთვისაც. მათი იდეოლოგია "სუფთა" ევროპაა, მათ შორის იმიგრანტებისგან თავისუფალი. იგი კარდინალურად ემიჯნება ერთიანი ევროპის მოდელს, რომელიც ევროპის ძლიერებას ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებაში ხედავს. ამგვარი იდეოლოგიის მომძლავრების ტრაგიკული გამოვლინება გახლდათ 2011 წლის 22 ივნისის ტრაგედია ნორვეგიაში. მაგრამ აქ მთავარი არა იმდენად ულტრამემარჯვენეთა მომძლავრებაა, რამდენადაც კონტრზომების არაადეკვატურობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზომიერი პარტიები ურიგდებიან ევროპულ საზოგადოებაში შეუწყნარებლობასა და ქსენოფობიას;

- ევროკავშირში ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები ასუსტებს მის გავლენას მიმდებარე რეგიონებზე: ა) ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში განელდა ევროინტეგრაციული მისწრაფებები. კლასიკური მაგალითია თურქეთი, სადაც, შეიძლება ითქვას, ფინანსური კრიზისი დაძლეულია და აღდგენილია კრიზისამდელი ეკონომიკური განვითარების ტემპები. თუკი ორი-სამი წლის წინ ევროკავშირში ინტეგრირება თურქეთისთვის უპირობო პრიორიტეტი იყო, დღეს ეს ასე აღარ არის. დაახლოებით იგივე ვითარებაა უკრაინაშიც, თუმცა თურქეთისგან განსხვავებით, მას რუსეთის სახით ალტერნატიული მიზიდულობის ცენტრი ჰყავს, რაც ასევე ასუსტებს მის ევროინტეგრაციულ პოტენციალს; ბ) რესურსების სიმწირის გამო ევროკავშირი იძულებულია შეამციროს საგარეო, ჰუმანიტარული და განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური დახმარების მოცულობა. რამდენიმე წლის წინ ევროკავშირი მსოფლიოში უდიდესი დონორი იყო, დღეს იგი აშკარად თმობს პოზიციებს; გ) ყოველივე ზემოაღნიშნული ამცირებს ევროკავშირის მიმზიდველობას იმ ქვეყნებისთვის, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ევროოპტიმიზმი და ინტეგრაციის გაღრმავების სურვილი. ევროკავშირის კლებადი "რბილი ძალა", თავის მხრივ, ამცირებს "აღმოსავლეთის პარტნიორობის" სივრცეში მის გარდამქმნელ ძალას (transformative power). სუსტდება მისი ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი - დახმარების პირობადებულობა (conditionality), რაც ჯერ კიდევ ნახევრად ავტორიტარულ რეჟიმებში აქრობს რეფორმების გატარების ენთუზიაზმს. საბედნიეროდ, ამ ტენდენციას კრიტიკული წერტილისთვის ჯერ არ მიუღწევია. ამის მაგალითია სერბეთი, რომელიც დაჟინებით ცდილობს "ოქროს შუალედის" მოძებნას ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის პერსპექტივას შორის არჩევანის გაკეთებისას;[7]

- კიდევ მეტად შესუსტდა ტრანსატლანტიკური სოლიდარობა. აშშ და ევროკავშირი საკუთარი ძალებით ცდილობენ კრიზისის შედეგების დაძლევას და ერთმანეთისთვის დახმარების ხელის გაწვდომის რესურსი და, შესაბამისად, სურვილიც არ გააჩნიათ. ორივე მხარე უფრო ინტროვერტული გახდა. თუმცა აცნობიერებენ, რომ დღევანდელი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მაღალი ხარისხის პირობებში რომელიმე ერთი მხარის წარუმატებლობა აუცილებლად აისახება მეორე მხარის კეთილდღეობაზე;

- აშშ-ს თავდაცვის ახალ სტრატეგიაში, რომელიც 2012 წლის იანვარში გამოქვეყნდა, ნატოს მნიშვნელობა შემცირებულია. ფინანსური კრიზისით გამოწვეულ რესურსების სიმწირის გარდა, შესაძლოა, ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში ალიანსის ზოგიერთი წევრის მხრიდან გამოვლენილი არასათანადო სოლიდარობაც იყოს იმის მიზეზი, რომ ხსენებული სტრატეგიის თანახმად, აშშ ნაკლები რესურსების გაღებას აპირებს ევროპის უსაფრთხოებისათვის და ე.წ. "ჭკვიანური თავდაცვის" განხორციელებით მოკავშირეთა თავდაცვის ეროვნული რესურსების

7 დილემა, რომლის წინაშეც სერბული ელიტა დგას, შესაძლოა, პრეცედენტად იქცეს საქართველოსთვის. დაწვრილებით იხ. დასკვნა

უფრო ეფექტიან გამოყენებას ვარაუდობს. ხსენებული აჩენს ეჭვებს ნატოს, როგორც მტკიცე და ქმედითუნარიანი სამხედრო ალიანსის მომავლის შესახებ. ეს ეჭვები, სავარაუდოდ, გაძლიერდება ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ;

- სახეზეა დასავლეთის ფაქტორის აშკარა ცვლილება, რაც, პირველ რიგში, საერთაშორისო არენაზე მისი გეოპოლიტიკური წონის შემცირებით არის გამოწვეული. მოცემული ვითარება თავისი არსით გეოპოლიტიკური ძვრაა, რომლის შედეგადაც ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი პოლიცენტრულ სისტემად იწყებს გარდაქმნას. საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობების გადატვირთვის ფარგლებში წამყვანი დასავლური სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობები შეზღუდულია რუსეთის, როგორც ახალი (რეგიონალური) გეოპოლიტიკური ცენტრის არამართლზომიერ ქმედებებზე რეაგირებისას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ "გადატვირთვის პოლიტიკა" ობიექტურად აუცილებელი მოვლენა იყო. პირველ რიგში, ამით აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ისარგებლეს და დრო მოიგეს. საქმე იმაშია, რომ დასავლეთის დასუსტება ობიექტური რეალობა გახდა, ხოლო რუსეთის დასუსტება უფრო მოგვიანებით არის მოსალოდნელი. შესაბამისად, სახეზე იყო (და არის) ამ ორი ტენდენციის ფაზების აცდენა, რომლის დროსაც ძალთა ბალანსის შემდგომ რღვევას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. საქართველოსთვის აკი მოჰყვა კიდეც. მაგრამ "გადატვირთვა" დროებითი მოვლენა აღმოჩნდა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აშშ-ის განზრახვით "გადატვირთვას" უნდა დაებრუნებინა ის ვითარება, როდესაც საერთაშორისო სისტემა სტაბილური, ძირითადად პრო-ამერიკული იყო და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა. ასეთი მდგომარეობა მსოფლიოს გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ახასიათებდა. რუსეთს კი ამგვარი ვითარება არ აწყობდა, მაშინ იგი განუზომლად სუსტი და მოწყვლადი იყო. შესაბამისად, "გადატვირთვამ" ამოწურა თავისი რესურსი.

ირანის ბირთვული პროგრამა და მისი გავლენა რეგიონზე

ახლო და შუა აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის ძირეული ცვლილება ხდება. ეს ცვლილება განპირობებულია არა 2008 წლის საფინანსო კრიზისით, არამედ აშშ-ის მიერ რეგიონში წარმოებული ომებითა და მათი დასრულების პერსპექტივით. აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის შემდეგ, ირანის გავლენა ერაყში არსებითად გაიზარდა, ისევე როგორც მთელს სპარსეთის ყურეში. სირიაში მისდამი ლოიალური რეჟიმის შენარჩუნების შემთხვევაში, ირანს ეძლევა შესაძლებლობა გავლენის სფერო ავღანეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე გააფართოვოს. რეგიონზე პოლიტიკური გავლენის ჰინტერლანდის გაფართოების გეოპოლიტიკური კოდი ირანს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოუყალიბდა, რომელიც ჯერ 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლამ გააძლიერა, შემდგომ კი - საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობაში რწმენამ. ბირთვული ტექნოლოგიით შეიარაღებული ირანი ხომ რეგიონის უპირობო ჰეგემონი იქნებოდა. ამავე დროს, გლობალიზაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ირანის კლერიკალური რეჟიმის ლეგიტიმაციის ხარისხი ქვეყნის შიგნით სულ უფრო მცირდება. ასეთ შემთხვევაში, რეჟიმისთვის ერთადერთ საპირწონედ და სოციალური მხარდაჭერის აღდგენა/შენარჩუნების მთავარ რესურსად აშშ-სა და ისრაელის სახით "მტრის ხატის" მუსირებაა, ხოლო ირანის მიმართ მათი "ავი ზრახვების" შესაკავებლად ისევ და ისევ ბირთვული იარაღია საჭირო. ამდენად, სამხედრო დანიშნულების ბირთვული ტექნოლოგიის შექმნა ირანისთვის, როგორც რეგიონული ჰეგემონიისკენ გზის გაკაფვას ნიშნავს, ისე რეჟიმის უსაფრთხოებისთვისაც არის აუცილებელი. შესაბამისად, ამგვარი იარაღის შექმნაზე უარის თქმა ირანის ამჟამინდელი რეჟიმის პირობებში გამორიცხულია.

ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ ქცევას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან აშშ და ევროკავშირი. მას არც რეგიონში მიესალმებიან. მოსალოდნელია, რომ ირანის სავარაუდო ბირთვული სახელმწიფოს სტატუსი ბიძგს მისცემს საუდის არაბეთში, თურქეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში ანალოგიური ბირთვული პროგრამების დაწყებას. მაგრამ "ბირთვული ირანის" ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგე ისრაელია, რომლისთვისაც ეს ყოფნა-არყოფნის საკითხია.

დღეს, როდესაც ირანის წინააღმდეგ მოქმედი სანქციები ვერ აჩერებს მის ბირთვულ პროგრამას, სულ უფრო ხშირად გაისმის აშშ/ისრაელის მხრიდან სამხედრო ოპერაციის განხორციელების თემა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ თემაზე საუბრები სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს, ძნელია დამაჯერებლად ითქვას, როდის და რა ფორმით შეიძლება ეს განხორციელდეს. აქ მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი, მათ შორის აშშ-ში მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნები. ასევე ის, თუ როგორ აფასებს ისრაელი საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებს, თუკი დამოუკიდებლად მოუწია მოქმედება და სხვ. ნებისმიერ შემთხვევაში, კონფლიქტი, დროის რა მონაკვეთში და რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს იგი, გავლენას იქონიებს საქართველოზე. ეს გავლენა შეიძლება იყოს უარყოფითიც და დადებითიც:

- როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი, საკუთარი ინტერესების დაცვის მოტივით, სავარაუდოდ, შეეცდება საქართველოს წინააღმდეგ რაიმე ფორმით ძალისმიერი ნაბიჯების გადადგმას და სასურველი ტაქტიკური თუ სტრატეგიული დივიდენდების მიღებას;

- თუკი აღმოჩნდება, რომ საქართველოს ტერიტორია ან სხვა სახელმწიფო რესურსები (დიპლომატია, დაზვერვა და სხვ.) ირანის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნა გამოყენებული, თეირანი აუცილებლად მიიღებს ღია ან ფარულ საპასუხო ზომებს (მაგ. აღიარებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ან განახორციელებს ტერორისტულ აქტებს);

- ირანთან სამხედრო დაპირისპირების ესკალაციის კვალდაკვალ, შესაძლოა, გაიზარდოს ისრაელისა და აშშ-სთვის საქართველოსთან (ფარული) თანამშრომლობის ინტერესი, რაც, თავის მხრივ, გააფართოვებს ჩვენი ქვეყნისთვის სამხედრო მხარდაჭერის შესაძლებლობებს.

აშკარაა, რომ ისრაელ/აშშ-ს სამხედრო დაპირისპირება ირანთან საქართველოსთვის ბევრად მეტ რისკს შეიცავს, ვიდრე შესაძლებლობებს.

საქართველოზე გამავალი სატრანზიტო ენერგოდერეფანი

აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების ენერგოდერეფანი, რომლის ნაწილიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის უსაფრთხოებაში. ამ



სტეფან ცვეიგი (1881-1942)
ავსტრიელი მწერალი

"ჭეშმარიტი პოლიტიკური სიმრძნის უპირველესი ნიშანია მიუღწეველზე უარის თქმის უნარი"

თვალსაზრისით, მას ყოველთვის ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა. დადებითი, რადგან დასავლეთის და ინვესტორების ყურადღებას ზრდიდა რეგიონის მიმართ. უარყოფითი იმიტომ, რომ რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობა ხვდებოდა და, შესაბამისად, ყოველთვის იყო საბოტაჟის საფრთხე. მაგრამ, რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მდებარეობის გარდა, ეს ენერგოდერეფანი მკაცრ კონკურენტულ გარემოშიც იმყოფება, ვინაიდან რუსეთის მიერ ინიცირებული საექსპორტო მილსადენის პროექტები ენერგომატარებლების მთავარი მომხმარებლის - ევროპის ბაზრის აქტიურად ათვისებისთვის არის მოწოდებული. მართლაც, ამ კონკურენციის გამოა, რომ საქართველოზე გამავალი მილსადენები ნაწილობრივ არის დატვირთული და, შესაბამისად, საქართველოსაც აქედან შემოსავალები უმცირდება. მაგალითად, ბაქო-სუფსის მილსადენი, რომლის გამტარუნარიანობა უდრის 8 მლნ ტ/წ, მხოლოდ 2,5 მლნ ტ/წ ატარებს; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გამტარუნარიანობა 50-60 მლნ ტ/წ-ია, ხოლო ფაქტობრივად 30 მლნ ტ/წ-ს ატარებს. იგივე შეიძლება ითქვას სამხრეთ-კავკასიურ გაზსადენზეც - მისი საშუალებით 8-16 მლრდ კუბ.მ-ის ნაცვლად 4,5 მლრდ კუბ.მ გადის.

ნავთობსადენების დაუტვირთაობა, მნიშვნელოვანწილად, ყაზახეთის საექსპორტო პრიორიტეტებით არის გამოწვეული, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების შედეგად ჩვენთვის არახელსაყრელი მიმართულებით შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთი ფლობს ბათუმის ტერმინალს, რუსეთის "ხათრით" საკუთარი ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტს ნოვოროსიისკისკენ მიმავალი "კასპიის მილსადენი კონსორციუმის" საშუალებით ახორციელებს. აქვე გასათვალისწინებელია ჩინეთის ფაქტორიც, რომელიც სულ უფრო ანგარიშგასაწევი ხდება როგორც კონკურენტი ცენტრალური აზიის ბაზარზე, მათ შორის ბუნებრივი აირის თვალსაზრისითაც. როგორც ჩანს, სანამ ყაზახეთის დამოკიდებულება სამხრეთკავკასიური დერეფნის მიმართ არ შეიცვლება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ნაწილობრივ დაუტვირთავი დარჩება.

რაც შეეხება გაზსადენს, აქ ვითარება უფრო რთულად არის. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ ვერ ჩამოყალიბებულა ე.წ. "სამხრეთის კორიდორის" სტრუქტურა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა განაცხადა კასპიისპირეთში წარმოებული ბუნებრივი აირის დიდი რაოდენობით შესყიდვის სურვილი, არსებულ საპროექტო წინადადებებს (მაგ. "ნაბუქო"), ახალი ალტერნატივები გამოუჩნდა ("დიდი ნაბუქო", "ტრანსანატოლიის მილსადენი", "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მილსადენი" და სხვ.). ეს ახალი საპროექტო წინადადებები, რომელთა უკან სხვადასხვა კომპანიის ინტერესები დგას, ართულებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. სანამ ეს არ გაირკვევა, ვერც თურქმენეთიდან მომავალი ტრანსკასპიური გაზსადენის საკითხის დამუშავება დაჩქარდება. ამ ყველაფრით, ბუნებრივია, სარგებლობს "სამხრეთ კორიდორის" კონკურენტი პროექტები, რომელსაც რუსეთი ლობირებს (მაგ. "სამხრეთის ნაკადი").

დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოსთვის

ხსენებული ტენდენციები და სავარაუდო ცვლილებები გლობალურ და რეგიონულ დონეზე უეჭველად მოახდენს გავლენას საქართველოს უსაფრთხოებაზე. საფიქრებელია, რომ შექმნილ ვითარებაში და სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით, საქართველოს წინაშე საფრთხეების მთელი სპექტრი წარმოჩინდება. ის, თუ როგორ მოხერხდება აღნიშნული საფრთხეების განეიტრალება, განპირობებული იქნება როგორც მოვლენების საქართველოსგან დამოუკიდებელი განვითარებით, ისე ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის გონივრულობის ხარისხით.

მიუხედავად "გადატვირთვის" პოლიტიკის დასრულებისა, აშშ-რუსეთის ურთიერთობების მოწესრიგებამ, თუნდაც დროებითმა, საქართველოს მთავარი სარგებელი, მშვიდობა მოუტანა - რუსეთმა დაიოკა აგრესიულობა და 2008 წლის ომით მოპოვებულის შენარჩუნებას დაყაბულდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ დასუსტებული დასავლეთი უძლური აღმოჩნდა (და გარკვეულ ხანს, ასეთად დარჩება), აღედგინა ომამდელი **სტატუს კვო**. ამიტომაც გაჩნდა "სტრატეგიული მოთმინებისკენ" მოწოდება, რომელიც არავინ იცის, როდის და რითი უნდა დასრულდეს. ახალ ვითარებაში, ვარაუდობენ, რომ მთელ რიგ საკითხებში პოზიციათა შეუთავსებლობის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის აუცილებლობა ორივე მხარეს გაცნობიერებული აქვს და, შესაბამისად, ურთიერთობების მკვეთრ გაუარესებას არ უნდა ველოდოთ.

რეკომენდაცია: საქართველო დაინტერესებული უნდა იყოს აშშ-რუსეთის ურთიერთობების სტაბილიზაციით და ხელი არ უნდა შეუშალოს მას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსოცენტრული ინტეგრაციული პროცესის განვითარება საქართველოსთვის არასასურველი იქნება. ევრაზიული კავშირის იდეის ქვეშ რუსეთი ეცდება, ისარგებლოს ევროკავშირის სისტემური კრიზისით და ინტეგრაციული პროცესების შეფერხებით, რათა თავის ორბიტაში საიმედოდ მოიხელთოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები. უკრაინის "შეტყუების" შემთხვევაში, პროცესი საგანგაშო ხასიათს შეიძენს. ამის მიუხედავად, საქართველოს "ჩათრევა" ამ პროცესში მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იქნება, იმდენად ძლიერია ანტირუსული განწყობა საზოგადოებაში. თუმცა, რუსეთის ხელმძღვანელობას, შესაძლოა, ჰქონდეს საპირისპიროს ილუზია, რის გამოც იგი პერმანენტულად ეცდება, ღია თუ ფარული მეთოდებით ხელი შეუშალოს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოებას.

რეკომენდაცია: საქართველომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და გამომწვევად არ უნდა დაუპირისპირდეს ევრაზიული კავშირის იდეას, რათა არ გამოიწვიოს რუსეთის აგრესია. კრემლი, განსაკუთრებით 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, აქტიურად შეეცდება საქართველოს სახით "განტევების ვაცის" ძიებას. ამასობაში, საქართველომ მეთოდურად უნდა იაროს ევროინტეგრაციის გზით და მოახერხოს მასთან კრიტიკულ მანძილზე მიახლოება, რომლის მერეც საერთოდ გამოირიცხება რუსეთის ორბიტაზე დაბრუნება.

ევროკავშირში ეკონომიკური და საფინასო კრიზისის პოლიტიკური შედეგები მეტად არასახარბიელოდ გამოიყურება:

- სახეზეა ეროზია ერთიანი ევროპის იდეისა, მთელი თავისი ფასეულობებითა და ზნეობრივი ორიენტირებით. საბედნიეროდ, ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის შეუქცევადი. ამის მიუხედავად, მისი გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს მომენტი, როდესაც დემოკრატიულ და რეფორმატორულ ძალებს, ზოგადად საზოგადოებას, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გააკეთა სტრატეგიული არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ, გაუქრეს განვითარების ვექტორი აქედან გამომდინარე ყველა არასასურველი შედეგით;

- ევროკავშირი კარგავს მიმზიდველობას, "რბილ ძალას", რომლის საფუძველზეც მას შეეძლო ევროინტეგრაციული პროცესების წახალისება პარტნიორ ქვეყნებში. შედეგად, იგი პოსტსაბჭოთა სივრცეში ვეღარ უნევს ღირსეულ კონკურენციას რუსეთს. საქართველოში კი, სადაც ჯერაც არ არის დასრულებული ბრძოლა "ლიბერტარიანულ" და ევროპეიზაციის იდეოლოგიებს შორის, სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნათ პრო-ევროპულ რეფორმატორულ ძალებს;

- ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების ძირითადად არსებული კრიზისის დაძლევაზე მიმართვის პირობებში, შესაძლებელია, დროში გაიწელოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები. თუკი შიდა პრობლემების გამო, ევროკავშირი არ აღმოჩნდება მზად ხსენებული მოლაპარაკებების დროულად დასრულებისთვის, იგი ხელოვნურ დაბრკოლებებს შეუქმნის საქართველოს. ეს ისევ და ისევ ქვეყანაში პრო-ევროპული ძალების დასუსტებას შეუწყობს ხელს.

რეკომენდაცია: მიუხედავად ყველა სირთულისა, საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს რეფორმები და ეცადოს საკუთარი ინსტიტუტების მოდერნიზაციას. ჯერ კიდევ ბევრია ამ თვალსაზრისით გასაკეთებელი და, სანამ ევროკავშირს ძალა შესწევს, საქართველომ მაქსიმალურად უნდა ისარგებლოს ამით. როდესაც, იმედია, ევროკავშირი დაძლევს კრიზისს, საქართველოს კარგი პოზიციები ექნება პროცესის გასაგრძელებლად.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმდინარე ტრანსფორმაციის დინამიკა საქართველოსთვის სასურველი არ არის. აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების საკითხში რუსეთის ფაქტიური ვეტო და ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციის ზოგადი წარუმატებლობა სერიოზულ კითხვებს ბადებს ალიანსის მომავალთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ტრანსატლანტიკური კავშირების შესუსტებასთან ერთად, მცირდება ალიანსის წევრთა შორის ერთსულოვნების ხარისხიც, რაც ცნობილი მე-5 მუხლის

ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებით ასევე ეჭვებს ბადებს. ასეთ ფონზე შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ის თავდაცვის ახალ სტრატეგიაში ნატოს პირვანდელ ამოცანას - ევროპის უსაფრთხოების დაცვას - ნაკლები ყურადღება ეთმობა. საქართველოსთვის ეს ყურადსაღები ტენდენცია უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ კიდევ მეტად გაფერმკრთალდება, როდესაც იქ საქართველოდან სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა აღარ იქნება საჭირო.

რეკომენდაცია: ახლო მომავალში საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ნატოში გაწევრიანებაზე აღებული კურსი, რომელიც მას სამხედრო აღმშენებლობის კუთხით მნიშვნელოვნად ეხმარება. რაც შეეხება უსაფრთხოების გრძელვადიან გარანტირებას, ამისთვის ორიენტაცია აშშ-სთან ორმხრივ სამოკავშირეო ურთიერთობების გაღრმავებაზე უნდა აიღოს.

ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა, როგორც ჩანს, გარდუვალია. დღევანდელ პირობებში ნაკლებად სავარაუდოა საკმარისად ეფექტური სანქციების შემოღება, რათა ირანის ხელმძღვანელობამ უარი თქვას ბირთვულ პროგრამაზე. ასევე, საეჭვოა, სამხედრო ოპერაციის გზით სამუდამოდ აღმოიფხვრას ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის საფრთხე. შესაბამისად, დიდია რეგიონში ირანის სახით ჰეგემონის გამოჩენის ალბათობა, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის ადგილზე ძალთა ბალანსს. შორეულ პერსპექტივაში კი თურქეთის მხრიდანაც მოსალოდნელია ბირთვული იარაღის შექმნა.

რეკომენდაცია: საქართველომ აქედანვე უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე ირან-ისრაელის/აშშ-ის სავარაუდო დაპირისპირების კონტექსტში და არ მისცეს საბაბი ირანს საპასუხო ზომების მისაღებად. ზოგადად კი, საქართველო უნდა მოემზადოს ბირთვულ გარემოცვაში საარსებოდ და გონივრული პოლიტიკით იმგვარად დააბალანსოს გარე ძალები, რომ საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ არსებობას და განვითარებას. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, თუკი აშშ-მ ვერ მოახერხა ბირთვულ სახელმწიფოებთან შედარებით უფრო მაღალი ტექნოლოგიის იარაღის შექმნა, ქვეყანა, შესაძლოა, ახალი სტრატეგიული არჩევანის წინაშე დადგეს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არცნობის პოლიტიკას დროის გამოცდა ელის. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ არცნობის პოლიტიკის მდგრადობა საიმედოა, მომავალში რა იქნება, ვერავინ იტყვის. ევროპის არცთუ შორეული წარსულის მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, დღევანდელი სერბეთის შემთხვევაც საკმარისია ამისთვის. მას შემდეგ, რაც ქვეყანა "ჩაითრიეს" ევროინტეგრაციის პროცესში, მადა აღუძრეს ევროკავშირში გაწევრიანების რეალური პერპსპექტივის გახსნით და სერბული ელიტაც პრო-ევროპულად განაწყეს, შემდგომი პროგრესის წინაპირობად კოსოვოს სუვერენიტეტის ცნობა დააყენეს. მართალია, ჯერჯერობით გარიგების არსი სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების სანაცვლოდ კოსოვოს რეგიონალურ ფორუმებზე დაშვებაში მდგომარეობს, მომავალში, როდესაც თავად გაწევრიანებაზე მიდგება საქმე, კოსოვოს აღიარებასაც მოითხოვენ. ამით დასრულდება ბალკანეთის პაციფიკაციის პროცესი, რაც ევროპის აბსოლუტურ პრიორიტეტს წარმოადგენს. არ არის გამორიცხული, რომ როდესაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი მომწიფდება, იგივე დილემის წინაშე დააყენონ ჩვენი მთავრობა. იმ დროისთვის მართვის სადავეებთან მომავალი თაობა იქნება, რომლისთვისაც ევროპული არჩევანი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ღირებული შეიძლება აღმოჩნდეს. ამავე კონტექსტში, ყურადღებას იმსახურებს შოტლანდიის სუვერენიზაციის პროცესიც, რომელიც ფაქტობრივად დაწყებულია და მის 2014-2015 წლებში დასრულებაში ცოტა თუ ეჭვობს. ეს იქნება ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ლიბერალური დემოკრატიის წიაღიდან წარმოიშვება ახალი სახელმწიფო. მოელიან, რომ დიდი ბრიტანეთი აღიარებს შოტლანდიის დამოუკიდებლობას და საბოლოოდ გაეროც მიიღებს მას თავის რიგებში. საქართველოს პრობლემებით "დაღლილ" და სტრატეგიულად დასუსტებულ დასავლეთს შოტლანდიის შემთხვევამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეაცვლევინოს ცნობა-არცნობის საკითხისადმი დამოკიდებულება, მათ შორის საქართველოსთვის არასასურველი მიმართულებით.

რეკომენდაცია: საქართველოს მთავრობა და საზოგადოება მზად უნდა იყოს არცნობის პოლიტიკის შერბილებისთვის და შეიმუშაოს სათანადო პოზიცია. ეს პოზიცია არ უნდა გულისხმობდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აუცილებელ აღიარებას, მაგრამ

სხვების მხრიდან აღიარების შემთხვევაში, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, როგორ ასახვას ჰპოვებს ეს შესაბამის ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებზე.

საქართველოზე გამავალი ენერგოდერეფნის პოტენციალი ბოლომდე ათვისებული არ არის. დღეს არსებული მილსადენი ინფრასტრუქტურის ნაწილობრივ დაუტვირთაობის გამო, საქართველო წელიწადში დაახლოებით 80 მლნ დოლარს კარგავს. მაქსიმალური დატვირთვისთვის საკუთრივ საქართველოს ძალისხმევა საკმარისი არ არის. უფრო მეტიც, მასზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანაზე, ძალიან ცოტაა დამოკიდებული. ასევე, საქართველოს არ შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს ახალი მილსადენების აშენებაზე, ვინაიდან იგი მთელი დერეფნის მხოლოდ უმნიშვნელო მონაკვეთს ფლობს. აქ არსებითია ყაზახეთის და აზერბაიჯანის (პერსპექტივაში, თურქმენეთისაც), როგორც მწარმოებელი ქვეყნების, ასევე თურქეთის, როგორც მთავარი სატრანზიტო ქვეყნის და, რაც მთავარია, ევროკავშირის ძალისხმევა, რათა განისაზღვროს პრიორიტეტები, შეთანხმდეს ტარიფები და მოძიებულ იქნენ ინვესტორები. სადღეისოდ, "სამხრეთ კორიდორის" სტრუქტურა ამ მხრივ განსაზღვრული არ არის და, როგორც ჩანს, 2013 წლამდე ეს არ მოხდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ ხნის განმავლობაში არ მოხდეს რუსეთის მიერ შეთავაზებული "სამხრეთის ნაკადის" პროექტის დაჩქარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ მეტად გართულდება "სამხრეთის კორიდორის" რეალიზაცია.

რეკომენდაცია: საქართველომ სახელმწიფო დონეზე მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს აშშ-სთან და ევროკავშირთან. პარალელურად, საკუთარ ტერიტორიაზე მაქსიმალურად მიმზიდველი პირობები უნდა შესთავაზოს პოტენციურ ინვესტორებს.

ზემოაღნიშნული საფრთხეების ნაწილის ნეიტრალიზაცია საქართველოზე სხვადასხვა დოზით არის დამოკიდებული, ვინაიდან მათ ძირითადად საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების განვითარება განაპირობებს. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანი იქნება სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს მიმართ ევროკავშირის და აშშ-ის პოლიტიკის მდგრადობა. დანარჩენ გარე ფაქტორებს შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, თუმცა მათი უგულვებელყოფა არ შეიძლება.

გაბრიელ მაბლი (1709- 1785)
ფრანგი მოაზროვნე, მწერალი

„კარგი პოლიტიკა არ განსხვავდება ჯანსაღი ზნეობისგან“

ნაწილი II

- ადამიანის უფლებათა დაცვა
  არსებული და პოტენციური საფრთხეები

შესავალი

მოცემულ ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების ზოგადი ტენდენციები და მიმოხილულია ის საფრთხეები, რასაც უფლებების დარღვევის მასშტაბების გაზრდა, ლიბერალური კანონმდებლობის რეპრესიულით შეცვლა და ქვეყანაში უფლებების რეალიზაციის არსებული პრაქტიკა ქმნის. ეს საფრთხეები მთლიანობაში ქმნიან ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დამაბრკოლებელ გარემოს და ეჭვქვეშ აყენებენ თითოეული მოქალაქის უფლებას, თავისუფლად და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიერ უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. სწორედ ამ უფლებებისა და კანონის უზენაესობის რეალიზაცია და დაცვა წარმოადგენს საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენების წინაპირობას.

გამოცემა ეხება ქვეყნის დემოკრატიული ტრანზიციის დინამიკასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს და აჩვენებს, რომ ძალაუფლების ეფექტური აღსრულება ამჟამინდელი მთავრობის მიერ გამოიყენება არა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში შემაშფოთებელი ტენდენციების აღმოსაფხვრელად, არამედ, ხშირ შემთხვევებში, მმართველი ელიტის პოზიციების გასაძლიერებლად და საზოგადოებაზე კონტროლის გამკაცრების უზრუნველსაყოფად.

საკანონმდებლო ცვლილებების ტალღა კვლავ ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული პროცესებისთვის. 90-იან წლებში მიღებული შედარებით ლიბერალური კანონმდებლობის შესრულების პრობლემის მოგვარება ხდება არა შესრულების გაუმჯობესებით, არამედ ლიბერალური სამართლებრივი სტანდარტების შემცირებით.

საკანონმდებლო ცვლილებების შემაშფოთებელი ტენდენციები უკვე რამდენიმე წელია დომინირებს. აღნიშნული ტენდენცია გრძელდება 2010-2011 წლებშიც ოდნავ სხვა მიმართულებით: თუ 2009 წლის ცვლილებები უმეტესწილად დაკავშირებული იყო მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვასთან, პოლიციის უფლებამოსილების გაზრდასთან, სანქციების გამკაცრებასთან, რასაც საფუძვლად დაედო 2009 წლის გაზაფხულის პერმანენტული საპროტესტო გამოსვლები, 2010-2011 წლის ცვლილებები ღრმად შეიჭრა თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში და საფრთხე შეუქმნა მათ პირად ცხოვრებას.

კერძოდ, ესაა ე. წ. თავისუფლების ქარტია, რომელიც, საბჭოთა და ნაცისტური სიმბოლოების აკრძალვასა და პროპაგანდასთან ერთად, კომერციულ ბანკებს ავალდებულებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინონ ინფორმაცია ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ უცხოეთიდან განხორციელებულ მსხვილ ფულად გადარიცხვებზე; ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ახალი რეგულაციები გამომძიებლებს უფლებას აძლევენ, ხელი მიუწვდებოდეთ ქვეყნის ნებისმიერი ინტერნეტ-მომხმარებლის სერვერთან გაცვლილ ინფორმაციაზე, ასევე აკანონებს კომუნიკაციების არხების კოპირების უფლებას; შემოღებულია პერსონალური მონაცემების ინსპექტორის ახალი თანამდებობა და საზოგადოება, ისევე როგორც კერძო ორგანიზაციები, ვალდებულია, მონაცემები გადასცენ თანამშრომლების შესახებ ინსპექტორს. ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები, ასევე სექსუალური ცხოვრება ხელმისაწვდომი ხდება ინსპექტორისთვის კონფიდენციალურობის არავითარი გარანტიით; პოლიციას უკვე უფლება

აქვს, ნებისმიერი ადამიანი შეაჩეროს ქუჩაში „გონივრულ ეჭვზე“ დაყრდნობით და ჩაუტაროს გარეგანი შემოწმება, რაც შეიძლება გადაიზარდოს სრულ ჩხრეკაში მოსამართლისა და პროკურორის ნებართვის გარეშე; არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს სჭირდებათ სახელმწიფოს ნებართვა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებლად; გრანტით დაფინანსებულ საქმიანობაზე გადასახადი 12-დან 20%-მდე გაიზარდა. დაბოლოს, საქართველოს აქვს ახალი კონსტიტუცია, რომელიც აძლიერებს პრემიერ-მინისტრის როლს და ასუსტებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას. ეს ქართულ საზოგადოებაში შეშფოთებას იწვევს პრეზიდენტ სააკაშვილის “დასაქმების პერსპექტივასთან” დაკავშირებით.

უკვე 2011 წლის ბოლოდან დაწყებული საკანონმდებლო ცვლილებების კვლავ ერთი წყება და შესაბამისი შეზღუდვები 2012-2013 საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. ამომრჩევლის მაქსიმალური დაშინება, პოლიტიკური ოპოზიციის შესუსტება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესაძლებლობების გაზრდა-დაკანონება, ტოტალური ზეწოლა დამოუკიდებელ მედიაზე, მისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა, სამოქალაქო საზოგადოებაზე კონტროლის დამყარების იურიდიული ბერკეტების შექმნა უკვე საგანგაშო მასშტაბებს აღწევს. ქვეყანა კარგავს დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმალურ ნიშნებსაც კი.

სასამართლო სისტემა კვლავ აღმასრულებელი ხელისუფლების და განსაკუთრებით - პროკურატურის ნოტარიუსის როლშია. სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვები ფულის კეთების მანქანად გადაიქცა მას მერე, რაც 2010 წელს განხილული საქმეების 84% საპროცესო შეთანხმებებით დამთავრდა[1].

იმავე წელს საპროცესო შეთანხმებიდან და ჯარიმებიდან 112 მილიონ ლარზე მეტი იქნა აკუმულირებული სახელმწიფო ბიუჯეტში. სასამართლო პროცესებზე არ მომხდარა საქმეების სათანადო შესწავლა; იმავე პერიოდში გამამართლებელი განაჩენი დადგა მხოლოდ განხილული საქმეების 0.2 %-ზე; მოსამართლეები განიცდიან ზეწოლას, ვინაიდან მათ სამსახური შეიძლება დისციპლინარული დარღვევის გამო დაკარგონ; ასეთი ბრალდება კი ადვილი „გამოსაგონია“ თუ ისინი ბრძანებებს არ დაემორჩილებიან; ურჩი მოსამართლეები წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიძლება სხვა, შორეულ რეგიონში გადაიყვანონ სამუშაოდ; მოსამართლეთა 45 პროცენტი 2010 წელს ასევე იძულებით “გადასახლებული” იყო საკუთარი სასამართლო დაწესებულებიდან. ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების ავტორების უმეტესობა ზეწოლის მსხვერპლია. უფლებადამცველები მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების დაწყებული ბინძური ბრალდებების კამპანიის მსხვერპლი გახდნენ. საგამოძიებო ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ შვეიცარიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, რადგან მას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სიკვდილით ემუქრებოდნენ. მთავარი სატელევიზიო ტელეკომპანიები უკიდურესად მიკერძოებულები არიან; ისინი, ფაქტობრივად, მთავრობის ინტერესებს ემსახურებიან, ავრცელებენ ცალმხრივ ინფორმაციას და იშვიათად გადასცემენ საფუძვლიან კრიტიკულ განცხადებებს.

2008 წლის შეირაღებული კონფლიქტის ზეგავლენა ქვეყანაზე კვლავ გრძელდება. სავარაუდოდ, კონფლიქტის დროს ჩადენილი ომის დანაშაულებები კვლავ გამოუძიებელი რჩება ორივე მხარის მიერ და ამ კუთხით არ არსებობს საკმარისი საჯარო ინფორმაცია; დევნილების მდგომარეობა კვლავ მძიმეა განსაკუთრებით თბილისში მდებარე შენობებიდან მათი გამოსახლების შემდეგ. მართალია, გარკვეული ზომები გატარდა მათი საცხოვრებელი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ამ კუთხით კვლავ სერიოზული დარღვევებია. ზოგიერთი დევნილი სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება სტატუსის მიღების დროს და საკუთარი უფლებების დაცვის დროს. ხელისუფლება ხელოვნურად ცდილობს პოსტ-საომარი მდგომარეობის გაგრძელებას და იდეოლოგიური ფონის შენარჩუნებას ქვეყნის “შიდა მტრების” და “აგენტების” წინააღმდეგ ბრძოლაში.

უჩა ნანუაშვილი

1 http://tcc.gov.ge/index.php?m=556&newsid=258

მანანა კობახიძე

პენიტენციური სისტემა

2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა. აღნიშნულს ადასტურებს არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის, როგორიცაა "Human Rights Watch", „საერთაშორისო ამნისტია", „წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის" (CPT) ანგარიშები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები.

ფუნდამენტური უფლებების დარღვევების მხრივ განსაკუთრებით საგანგაშოა მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში. პატიმართა მდგომარეობას და, ზოგადად, საქართველოში სისხლის სამართლის სფეროში არსებულ ვითარებას საკმაოდ კრიტიკული შეფასება მისცა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, თომას ჰამერბერგმა თავისი ვიზიტისას 2011 წლის აპრილში, როდესაც მან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პერსონალურად მოინახულა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანები.

გადატვირთულობა

ლონდონის ციხეების შესწავლის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით, საქართველო დღეს 100.000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა[2].

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო მოხსენებაში ნათქვამია:

"...გადატვირთულობა მხოლოდ ახალი დაწესებულებების აშენებით არ მოგვარდება. პატიმრების რაოდენობამ ბოლო წლებში იმ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომელიც სხვა, უფრო გლობალური ზომების გატარებას მოითხოვს".

2011 წლის 01 იანვრისთვის საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 23,684 პატიმარი იყო განთავსებული. აქედან: 22,307 მამაკაცი; 1,171 ქალი; 93 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი; 171 ხანდაზმული; 199 არასრულწლოვანი ბიჭი და 2 არასრულწლოვანი გოგო. მაშინ, როცა 2010 წლის 01 იანვარს პატიმრების რაოდენობა შეადგენდა 21,098-ს. ერთი წლის განმავლობაში პატიმრების რაოდენობა 2,586-ით გაიზარდა, ხოლო 2004 წლიდან 2011 წლის 01 იანვრამდე 17,030-ით."[3]

ხელისუფლების წარმომადგენლები მედიასაშუალებებში ხშირად აპელირებენ, რომ საქართველოში იკლო დანაშაულთა საერთო რაოდენობამ, თუმცა ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს, რომ ყოველწლიურად პატიმართა რაოდენობა კი არ მცირდება, არამედ პირიქით, რაც ლოგიკურად გამორიცხავს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობას. პატიმართა რაოდენობის ზრდა, ძირითადად, განპირობებულია არა კრიმინალთან რეალური ბრძოლით, არამედ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობით ქვეყანაში. 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ოფიციალურად გამოცხადებულმა ე.წ. **"ნულოვანი ტოლერანტობის"**[4] პოლიტიკამ ხელი შეუწყო სასამართლოების მიერ აშკარად უკანონო, დაუსაბუთებელი

2 "ციხეების შესწავლის საერთაშორისო ცენტრი" (დიდი ბრიტანეთი)

3 www.ombudsman.ge

4 საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა, 2006 წლის 23 თებერვალს, მოსამართლეთა ფიცის დადების ცერემონიაზე; http://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2682&i=21

და რიგ შემთხვევებში პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების გამოტანას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმართა რაოდენობის ზრდა ქვეყანაში განპირობებულია არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების დარღვევით, არამედ 2006 წელს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კოდექსში შეტანილი რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლის თანახმადაც, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს გაუქმდა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი და დადგინდა მხოლოდ შეკრების წესი. ასევე მოსამართლეს წაერთვა უფლება ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, გამოიყენოს ე.წ. პირობითი მსჯავრი, აგრეთვე შეუფარდოს პირს თავისუფლების აღკვეთა კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ნაკლები ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორსა და ბრალდებულს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. შესაბამისად, სასამართლოს უკვე კანონის თანახმად წაერთვა შესაძლებლობა, მოახდინოს სასჯელის ინდივიდუალიზაცია და გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი სანქცია ან პირობითი მსჯავრი. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად დააკნინა თავად მოსამართლის როლი საქმის განხილვის პროცესში. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები და ზოგადად სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი ხშირად განაპირობებს ბრალდებულთა იძულებით დათანხმებას ე.წ. "საპროცესო შეთანხმებაზე."

თომას ჰამერბერგმა თავის ანგარიშში საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე მიუთითა: "პატიმრობის ძალზე მაღალ მაჩვენებელს, მკაცრი სასჯელების პოლიტიკასა და მართლმსაჯულების აღსრულების მიმართ მოსახლეობის დაბალ ნდობას ნამდვილად შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ბრალდებულზე და მან, უდანაშაულობის შემთხვევაშიც კი, ბრალი აღიაროს".[5]

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანოები სხვადასხვა უკანონო ხერხით, იძულებითა და მუქარით აღწევენ სწორედ ცრუ "აღიარებითი" ჩვენებების მიღებას, რასაც შედეგად მოსდევს არაერთი ადამიანის უკანონო მსჯავრდება არჩადენილი დანაშაულისთვის და პატიმართა საერთო რაოდენობის საგანგაშო ზრდა ქვეყანაში.

სწორედ ზემოაღნიშნული პოლიტიკის შედეგია გრძელვადიანი საპატიმრო სასჯელებიც. ასევე შემაშფოთებელია სასჯელის ვადების პროპორციულობის საკითხი. ევროკომისრის მიერ გაკრიტიკებული იქნა სს საქმეები იმ მიზეზით, რომ უმნიშვნელო ზიანის შემთხვევაშიც კი სასჯელის ზომად სასამართლოების მიერ გამოყენებული იყო ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

შემაშფოთებელია ოფიციალური სტატისტიკაც გამამართლებელ განაჩენებთან დაკავშირებით, კერძოდ: სასამართლოების მონაცემებით, გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 2010 წლისათვის იყო 0,2 %, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოსი კვლავ უფრო დაბალი - 0,04%. [6] აღნიშნულ ვითარებაში ცხადი ხდება, თუ რატომ აღმოვჩნდით ევროპაში პირველ ადგილზე პატიმართა რაოდენობის მხრივ.

პენიტენციურ სისტემაში შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე მეტყველებს პატიმრების წამების, ცემის, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის საგრძნობლად გახშირებული ფაქტები, ასევე არასათანადო მოპყრობასთან გათანაბრებული პატიმრობის პირობები, კარცერებში და ე.წ. კარანტინში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა[7].

პატიმართა სიკვდილიანობა

საგანგაშოა ვითარება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის მხრივაც. 2006-2010 წლებში, ოფიციალური სტატისტიკით, 513 პატიმარია გარდაცვლილი. სამწუხაროდ, მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება[8]. საქართველოს სახალხო დამცველის

5 https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1810677 ტომას ჰამერბერგი, 2011 წლის ივნისის ანგარიში.

6 https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1809789

7 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის, გ.ტუღუშის 2010 წლის ანგარიში, გვ. 11-119

8 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისადმი გაგზავნილი 05/03/2012 წლის №7/3-06/7 წერილის თანახმად საქართველოში 2011 წელს 140 პატიმარი გარდაიცვალა.

ანგარიშებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტებზე, როცა უკვე ლეტალურ სტადიაზე მყოფი პატიმრები გადაყავთ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან სხვადასხვა სპეციალიზირებულ სამოქალაქო კლინიკაში, სადაც პატიმრები მოკლე დროში იღუპებიან. შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ მათი გადაყვანა ემსახურება მხოლოდ ერთადერთ მიზანს: ხელოვნურად შემცირდეს სასჯელაღსრულების სისტემაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი. აღნიშნულს სახალხო დამცველმა უწოდა "სიკვდილის ექსპორტი", რაც ზუსტად ასახავს რეალობას და ადასტურებს, რომ დაავადებული პატიმრების გადაყვანა სპეციალიზირებულ სამოქალაქო კლინიკებში ხდება არა იმ მიზნით, რათა ისინი უზრუნველყონ დროული და ეფექტური სამედიცინო მკურნალობით, არამედ მხოლოდ ფორმალურად.

სამწუხაროდ, ძალზედ სერიოზულ პრობლემად რჩება პატიმართა ხელმისაწვდომობა დროულ და ხარისხიან ჯანდაცვაზე. როგორც წესი, დაგვიანებით, პრაქტიკულად კრიტიკულ სტადიაზე ხდება დაავადებული პატიმრების მოთავსება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაშიც. არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები იმყოფებიან ჩვეულებრივ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად, რაც ზრდის მათი დაინფიცირების რისკს. ხშირია ფაქტები, როდესაც მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს მიერ ე.წ. დროებითი ზომის მიღებისა და მთავრობისადმი მითითების შემდეგ ხერხდება პატიმრის მოთავსება სამკურნალო დაწესებულებაში ან სპეციალიზირებულ კლინიკაში. (მაგ. შალვა და ვლადიმერ დოლიძის საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ; ანზორ მიმინოშვილის საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ, ერმილე თორთლაძის საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ, დავით ჯაშის საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ და ა.შ.)

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებულია, რომ "სასჯელაღსრულების სისტემაში სულ, 2011 წლის პირველი ნახევრისათვის, 38 პაციენტი იმყოფებოდა ონკოლოგიური დიაგნოზით. ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმა დადგენილი ჰქონდა 120 პატიმარს. 39 პატიმარს ამპუტირებული ჰქონდა ზედა, ქვედა ან ერთზე მეტი რომელიმე კიდური. 107 პატიმარს აღენიშნებოდა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის შემდგომი ნარჩენი მოვლენები ან სხვა ტიპის ნევროლოგიური

უილიამ შექსპირი (1564-1616)
ინგლისელი მწერალი

„კანონის არსი კაცთმოყვარეობაა"



ემანუილ კანტი (1724-1804)
გერმანელი ფილოსოფოსი

„როდესაც სამართლიანობა ქრება, აღარაფერი რჩება რაც ღირებულებას შესძენდა ადამიანთა სიცოცხლეს"

დაავადების შედეგად განვითარებული დეფიციტი, რის გამოც კლინიკურად სახეზე იყო პლეგია ან პარეზი. 22 პატიმარი გადაადგილდებოდა ეტლით, 60-ს კი, გადაადგილებისათვის ესაჭიროებოდა ყავარჯნები. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (მონაცემში არ შედის სისტემის გარეთ გარდაცვლილი პაციენტები) სულ 56 პაციენტი გარდაიცვალა. გარდა ამისა, ერთი პაციენტი (ქალი) გარდაიცვალა სასამართლოს დარბაზში, 20 პაციენტი კი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ისინი გადაყვანილ იქნენ სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში."[9]

სახალხო დამცველი კრიტიკულად აფასებს იმ ფაქტს, რომ არ ხდება პატიმართა დროული გადაყვანა შესაბამის სამკურნალო დაწესებულებებში, რის გამოც, ისინი მიმართავენ უკიდურეს ფორმას, იყენებენ თვითდაზიანებებს, რათა ამ გზით მიაღწიონ საავადმყოფოში მოთავსებას.

არასათანადო მოპყრობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში დადასტურებულია, რომ მომჩივანი პატიმრების მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ და ღირსებისშემლახველ მოპყრობას, გამომდინარე სწორედ არასათანადო სამედიცინო მკურნალობიდან. აღნიშნულის გამო, სასამართლომ დაადგინა ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.[10]

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ვითარება, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობისა გამო იმატა პატიმართა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა. ციხეებში ადგილი აქვს საეჭვო ვითარებაში პატიმართა გარდაცვალების ფაქტებს, რასაც პროკურატურა "თვითმკვლელობად" ან უბედურ შემთხვევად აკვალიფიცირებს (რუსთავის №6 დაწესებულებაში 2011 წელს გარდაცვლილი კახაბერ თედლიაშვილისა და ივერი ზერეკიძის საქმეები), სამწუხაროდ არ ხდება აღნიშნულ საქმეთა სათანადო გამოძიება. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ 2011 წლის 8 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით ა.წ გარდაცვლილი, 26 წლის კახაბერ თედლიაშვილი, მისი ოჯახის წევრები და ადვოკატი თევდორე კობახიძე საჩივრებით მიმართავდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს, სახალხო დამცველს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და სხვა უწყებებს იმის თაობაზე, რომ პატიმრის სიცოცხლე იყო საფრთხეში და მას ციხის ადმინისტრაციიდან ემუქრებოდნენ მოკვლით, გაზეთ "ქრონიკაში" პატიმრის ღია წერილიც კი გამოქვეყნდა, რომელშიც ის ითხოვდა შველას და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან დაუყოვნებელ რეაგირებას, თუმცა 2011 წლის 29 აპრილს ის რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამარტოო საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. მისი ადვოკატისა და მშობლების არაერთი საჩივრის შემდეგ წინასწარი გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, თუმცა დღემდე გამოძიება რაიმე შედეგამდე არ მისულა. დღის წესრიგში არ დამდგარა დაწესებულების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც კი. გარდაცვლილის ოჯახის წევრებისთვის ხელმიუწვდომელია გამოძიების მიერ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შინაარსიც კი. აღნიშნული საქმეები ადვოკატების მიერ საჩივრდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ევროკონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევის გამო.

საქმეში "ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ" ევროსასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების დარღვევა, ვინაიდან ზურაბ ცინცაბაძე 2005 წლის 30 სექტემბერს ჩამომხრჩვალი იპოვეს ხონის №9 სასჯელაღსრულების დაწესებულების საკუჭნაოში, პროკურატურამ კი არ ჩაატარა სრულყოფილი გამოძიება სიკვდილის რეალური მიზეზების დასადგენად.[11]

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში

9 სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორ-ებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ 2011 წლის პირველ ნახევარში. www.ombudsman.ge

10 იხ. გადაწყვეტილებები "პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ"; "ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ"

11 იხ. გადაწყვეტილება "ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ"

მითითებულია, რომ "პრობლემად რჩება არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიებაც, რაც ყველაზე მეტად უშლის ხელს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღმოფხვრას, რადგან ქმნის დაუსჯელობის სინდრომს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებში და წარმოქმნის რისკს, რომ მსგავსი ქმედებები კვლავ განმეორდება. სწორედ ამის გამო, ევროსასამართლომ არაერთხელ განმარტა, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, რომ წამების არაეფექტური, გაჭიანურებული და არაადეკვატური გამოძიება უკვე თავისთავად წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დარღვევას, იმის მიუხედავად, წარმოადგინა თუ არა მოსარჩელემ საკმარისი არგუმენტები და მტკიცებულებები თავად წამების ფაქტის დასადასტურებლად.[12]

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სხვადასხვა მასალისა და ცალკეული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურატურა, ხშირ შემთხვევებში, ზერელედ ეკიდება დაკავებული პირების წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის შემცველი ქმედებების გამოძიების საკითხს და ამგვარი ქმედებების შემცველ სისხლის სამართლის საქმეებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში, ამგვარ ფაქტებს აკვალიფიცირებს არა როგორც წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებრივ ქმედებებად, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად ან ცემად. ამგვარი საქმეების გამოძიება თითქმის ყოველთვის ფორმალური ხასიათისაა."[13]

საკანონმდებლო ცვლილებები და პატიმართა უფლებების შეზღუდვები

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის შეფასებისთვის აუცილებელია შევეხოთ ბოლო პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსაც.

2010 წლიდან ამოქმედდა ახალი "პატიმრობის კოდექსი". მასში შეტანილი მთელი რიგი ნორმები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ზღუდავს პატიმართა უფლებებს. ამჯერად შევეხებით რამოდენიმე ძირითად პრობლემას:

კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად განისაზღვრა იმ პირთა ჩამონათვალი, ვისაც შეიძლება პატიმარმა შეუფერხებლად მიმართოს თავისი განცხადებით ან საჩივრით. ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული არასამთავრობო ორგანიზაციები მაშინ, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ძალიან ხშირად პატიმრები მიმართვებს აგზავნიდნენ სწორედ უფლებადაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებში და თხოვდნენ დახმარებას. სწორედ ამ მიმართვების საფუძველზე არა ერთი ათეული პატიმრისთვის აღმოუჩენიათ უფასო იურიდიული დახმარება საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა ახალი კოდექსით პატიმარი მოკლებულია ამ შესაძლებლობას. აღნიშნული საკანონმდებლო შეზღუდვა მნიშვნელოვნად აისახა პატიმართა უფლებებზე. მსჯავრდებულები ჩივიან დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მათი კორესპოდენციების შეზღუდვაზე ან საერთოდ აკრძალვაზე, რის გამოც ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მათი უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ კომპეტენტურ უფლებადაცვით ორგანიზაციებს. უფრო მეტიც, დამკვიდრებული უარყოფითი პრაქტიკის თანახმად, მსჯავრდებულებს ექმნებათ დაბრკოლებები და ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებენ საჩივრებისა და განცხადებების გადაცემას ადვოკატისთვისაც კი. მასთან ვიზიტამდე, როგორც წესი, პატიმარს საკანში ატოვებინებენ საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, ხოლო ადვოკატს, თავის მხრივ, უქმნიან პრობლემას კორესპოდენციის შეტანაზე, ვიდრე ადმინისტრაციის თანამშრომელი პირადად არ გაეცნობა მის შინაარსს. შესაბამისად უხეშად ირღვევა დაცვის უფლება და კონფიდენციალობის პრინციპი. აღნიშნულის თაობაზე არაერთი მწვავე განცხადება იქნა გაკეთებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ, ხოლო ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და იურიდიული საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტმა, 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საგანგებო

12 იხ. „დანელია საქართველოს წინააღმდეგ", "დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ", "ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" . http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=103

13 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2010წ. გვ.11 www.ombudsman.ge

წერილით მიმართა, სადაც ის შეშფოთებას გამოთქვამს ადვოკატთა უფლებების დარღვევების გამო.[14]

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ხშირია ზეწოლა და მიმოწერის უფლების შეზღუდვა იმ პატიმრების მიმართ, ვისაც საჩივრით აქვს მიმართული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის. მაგალითად, 2011 წელს დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ მძიმედ დაავადებულ პატიმარს - ტ.ა-ს დაწესებულების ადმინისტრაციამ არ მისცა უფლება ევროსასამართლოს წერილზე მომზადებული პასუხი გადაეცა მისი ადვოკატის - ბ.ქ-სთვის, რომელიც იძულებული გახდა აღნიშნული დარღვევის გამო, დამატებით მიემართა ევროსასამართლოსთვის.

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დასკვნაში მითითებულია შემდეგი: "ქსანის № 7 საპყრობლეში ოთხი დაკავებულის ცემის ფაქტი მათმა ადვოკატებმა შეგვატყობინეს. ეს პატიმრები სცემეს 2010 წლის 19 აგვისტოს, სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში, რადგან მათ კამერებში ჩატარებული ჩხრეკისას იპოვეს მათი ადვოკატების მიერ დაწერილი სტრასბურგის ევროპის სასამრთლოში წარსადგენი საჩივრის ასლები. როგორც კი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლებმა შეიტყვეს, რომ დაკავებულებს საჩივარი შეჰქონდათ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, ისინი საკუთარი ქვეყნის მოღალატეებად გამოაცხადეს, რომლის წინააღმდეგაც იყო საჩივარი მიმართული. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივრის შემტანი დაკავებულების წინააღმდეგ მიმართული ამგვარი ზეწოლა ხშირია, მაგრამ არანაირი ოფიციალური ზომები არ არის მიღებული მის აღსაკვეთად."[15]

ბოლო პერიოდში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც ადვოკატი რამდენიმე საათის განმავლობაში უკანონოდ დააკავეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მას უკრძალავდნენ პატიმრის საჩივრის გარეთ გამოტანას (ვლადიმერ ტაბაღუას შემთხვევა რუსთავის №2 დაწესებულებაში, თევდორე კობახიძის შემთხვევა რუსთავის №17 დაწესებულებაში).[16]

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებულია:

"2011 წლის 30 მაისს, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ილია მ.-ს. მისი განმარტებით, დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები მას აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ სასჯელის დამატებით. აღნიშნულის მიზეზად მსჯავრდებული ასახელებდა მის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეტანილ სარჩელს. მისი განცხადებით, მას უწოდებენ ,,ინტრიგანს" და ,,საქართველოს მოღალატეს". მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ იგი დასაჯეს. კერძოდ, არ აძლევდნენ მედიკამენტებს და უზღუდავდნენ ტელეფონით, გასეირნების და აბანოთი სარგებლობის უფლებას."[17]
საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დღემდე ძალზედ მწვავე პრობლემად რჩება პატიმრების უფლებების დარღვევა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებით, რაც მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების ნგრევის ტოლფასია და რაზეც ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) ანგარიშებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. ცნობილია, რომ ხანგრძლივი დროით ოჯახური თანაცხოვრების აკრძალვა იწვევს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ტრავმებს და ზოგჯერ, გამოუსწორებელ შედეგებსაც კი.

ზემოაღნიშნული ფუნდამენტური უფლების სერიოზული დარღვევის საფუძველს ქმნის "პატიმრობის კოდექსის" ის ნორმა, რომელიც დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს (გარდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისა) უკრძალავს ხანგრძილივი პაემნით სარგებლობის უფლებას. პრაქტიკულად ათასობით მსჯავრდებული, რომელიც

14 http://gba.ge/new/index.php?a=main&pid=509&lang=geo
15 ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის საქართველოში მისიის ანგარიში 2010 წლის დეკემბერი. http://www.observatoire-avocats.org/en/

16 http://gba.ge/new/indexphp?a=main&pid=509&lang=geo
http://www.presage.tv/?m=society&AID=6838
17 სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელაღსრულებ-ის დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორ-ებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ 2011 წლის პირველი ნახევარი. www.ombudsman.ge

სხვადასხვა დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია მოთავსებული და წლობით იხდის სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მოკლებულია შესაძლებლობას შეხვდეს უახლოეს ნათესავებსა და ოჯახის წევრებს თუნდაც წელიწადში 2-ჯერ 24 საათით. აღნიშნული ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების უფლებას. მსჯავრდებულთა ძირითადი ნაწილი კი, ვისაც კანონით მაინც ეკუთვნის ხანგძლივი პაემანი, ვერ სარგებლობს ამ უფლებით მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. აქვე საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონის თანახმად, ხანგრძლივი პაემნის ხარჯები ეკისრება თავად პატიმარს და მის ოჯახს.

ციხეების გადატვირთულობამ და პატიმართა რაოდენობის კატასტროფულმა ზრდამ, პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა პატიმართა პირადი ცხოვრების უფლების თუნდაც მინიმალურ დონეზე დაცვა, გარდა მცირედი გამონაკლისებისა.

რაც შეეხება ხანმოკლე პაემნებს, აღნიშნული ხორციელდება დამცავი შუშის მიღმა, რაც პატიმარს უსპობს მისი ოჯახის წევრებთან ახლო კონტაქტის შესაძლებლობას. განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან აღნიშნულს პატიმარი ქალები, როდესაც მათ მცირეწლოვან შვილებთან შუშის ბარიერის მიღმა უწევთ კონტაქტი. ასეთი შეზღუდვა არღვევს არამარტო ევროკონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების უფლებას, არამედ თავისი სისასტიკის ხარისხით არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია და არღვევს ევროკონვენციის მე-3 მუხლსაც.

პატიმრები და მათი ახლობლები ძალზედ ხშირად ჩივიან ინფორმაციის მიღების უფლების გაუმართლებლად და უკანონოდ შეზღუდვაზე ადმინისტრაციის მხრიდან.

“პატიმრობის კოდექსით” როგორც ბრალდებულებს, ასევე მსჯავრდებულ პირებსაც უფლება აქვთ ისარგებლონ რადიომიმღებებით, ასევე ტელევიზორით, რომელსაც იძენს პატიმარი ან მისი ოჯახი საკუთარი სახსრებით. თუმცა, დახურული ტიპის დაწესებულებებში პატიმრები საერთოდ მოკლებული არიან ტელემაუწყებლობით სარგებლობის უფლებას. რაც შეეხება რადიომიმღებს, ხშირად მისი გამოყენებაც ეზღუდებათ ადმინისტრაციის მიერ. ხოლო სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმრებს საერთოდ ეკრძალებათ მოქმედი კანონითაც.



ნილს ბორი (1885 -1962)
დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი

„დიქტატურის საუკეთესო იარაღი კონსპირაციაა, დემოკრატიის საუკეთესო იარაღი კი უნდა იყოს გახსნილობა"

ჯორჯ სოროსი (1930)
ამერიკელი ბიზნეს მაგნატი, ქველმოქმედი

„დემოკრატიისთვის უმნიშვნელოვანესია ყოვლისმომცველი და პატიოსანი დისკუსია"

ასეთ შემთხვევაში, პატიმარი ექცევა სრულ იზოლაციაში, რაც დაუშვებელია და არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. პატიმრები ასევე ჩივიან, რომ მათ შეზღუდული აქვთ პრესაც. ბოლო პერიოდში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი კონკრეტული პატიმრის დ.ჯ-ისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ პრესა საერთოდ აღარ შედის. როგორც წესი, სასჯელაღსრულების დაწესებულებების მაღაზიებში გაყიდვაში არ არის ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი გაზეთები და პრესის შეტანა ხდება შერჩევით.

ცალკე კრიტიკის საგანია "პატიმრობის კოდექსის" ის ნორმები, რომელიც ეხება პატიმართა დისციპლინურ პასუხისმგებლობას დისციპლინისა და სასჯელის აღსრულების წესის დარღვევისათვის.

კანონით გათვალისწინებული სახდელებიდან სრულიად გაუმართლებელია პატიმრისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულების მაღაზიით სარგებლობის უფლების აკრძალვა, ისევე როგორც ფულადი გზავნილის მიღების უფლების აკრძალვა. აღნიშნული პირდაპირ წარმოადგენს პატიმრისთვის საკვებისა და სითხის შეზღუდვის საფუძველს, რაც საერთაშორისო სტანდარტებით დაუშვებელია. სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლება პატიმრისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, ვინაიდან რიგ შემთხვევებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებების კვებითი რაციონი და საკვების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს პატიმრის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებს, რის გამოც მას ოჯახი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს და საბანკო ბარათზე თანხის ჩარიცხვით პატიმარს ეძლევა საშუალება თავად შეიძინოს აუცილებელი საკვები პროდუქტი და რიგ შემთხვევებში სასმელი წყალიც კი. ამ უფლების შეზღუდვა კი პირდაპირ იწვევს პატიმრისათვის საკვებისა და წყლის გაუმართლებელ შეზღუდვას 3 თვის ვადით, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. უფრო მძიმეა ვითარება, როდესაც აღნიშნული სახდელი გამოიყენება დაავადებული პატიმრების მიმართ, რაც პირდაპირ უტოლდება არაადამიანურ მოპყრობას, ხოლო მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნის სერიოზულ საფრთხეს.

ასევე სრულიად გაუმართლებლად და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიგვაჩნია დისციპლინური სახდელის სახით პირადი კორესპონდენციით სარგებლობის უფლების აკრძალვა. ისევე, როგორც სატელეფონო კომუნიკაციის აკრძალვა 3 თვის ვადით და ხანმოკლე პაემნის აკრძალვა წელიწადში მაქსიმუმ 6-ჯერ. ვინაიდან აღნიშნული მთლიანად კონტროლდება დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, უსაფრთხოების თვალსაზრისით რაიმე საშიშროების შემცველი არ შეიძლება იყოს, ხოლო პატიმრის შეზღუდვა აღნიშნული უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით პირდაპირ არღვევს ევროკონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების თავისუფლებას და უთანაბრდება არაადამიანურ მოპყრობას.

განსაკუთრებული საფრთხის შემცველია პირის ე.წ. სამარტოო საკანში მოთავსება 20 დღის ვადით, ვინაიდან აღნიშნული იწვევს პატიმრის სრულ იზოლაციას, ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებისთვის აღნიშნული სახდელი პირდაპირ წარმოადგენს პროვოცირებას თვითდაზიანებების მიყენებისა და თვითმკვლელობისთვისაც კი (2011 წლის 29 აპრილს კახაბერ თედლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს რუსთავის №6 დაწესებულებაში, სამარტოო საკანში).

კანონით გათვალისწინებული სახდელებიდან ყველაზე მკაცრია ადმინისტრაციული პატიმრობა, რასაც "პატიმრობის კოდექსის" თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის შუამდგომლობის საფუძველზე, პირს უფარდებს სასამართლო 60 დღე-ღამის, ხოლო წლის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღე-ღამის ვადით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები არ შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში, რითიც პრაქტიკულად ხდება პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ სს სასჯელის ვადის გაზრდა დისციპლინური გადაცდომისთვის. ამის გარდა, "პატიმრობის კოდექსი" არ აკეთებს რაიმე დათქმას ან გამონაკლისს დაავადებული პატიმრების მიმართ

დისციპლინური სახდელების და მათ შორის პატიმრობის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. შედეგად კი მივიღეთ ის ნეგატიური პრაქტიკა, როდესაც ბრალდებულთა და მსჯვარდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი, დაავადებული პატიმრების მიმართაც იქნა არაერთხელ გამოყენებული დისციპლინური სახდელები, როგორიცაა სამარტოო საკანში მოთავსება, ბარათით სარგებლობის შეზღუდვა, ადმინისტრაციული პატიმრობაც კი. ასეთ შემთხვევაში, პატიმრისთვის აუცილებელი მკურნალობა და სათანადო პირობები სრულიად ხელმიუწვდომელი ხდება, რაც ასევე იწვევს ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ახალი „პატიმრობის კოდექსი" სხვა მხრივაც არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, მასში არ არის გათვალისწინებული პატიმრის უფლება უმაღლესი განათლების მიღებაზე, რაც განსაკუთრებით პრობლემურია არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებაში, ვინაიდან ისინი, ცხადია დაპატიმრებამდე ვერ მოასწრებენ უმაღლესი განათლების მიღებას. კანონის თანახმად კი, აღნიშნულის შესაძლებლობა მათ აღარ ექნებათ, ვიდრე სასჯელს სრულად არ მოიხდიან. კანონი ითვალისწინებს, მხოლოდ საშუალო და სპეციალური განათლების მიღების უფლებას.

რაც შეეხება პატიმართა დასაქმებას, ასევე სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებს, აღნიშნულს კანონი ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში არ ხორციელდება ძალზედ მცირედი გამონაკლისის გარდა.

პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, პრობლემას ქმნის ასევე სასამართლოს ხელმიუწვდომლობა. მართალია, "პატიმრობის კოდექსი" და ასევე "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" პატიმარს უფლებას აძლევს გაასაჩივროს მის მიმართ გამოტანილი ციხის ადმინისტრაციის უკანონო აქტი ან მოითხოვოს გარკვეული ქმედების განხორციელება, (მაგ. აუცილებელი მკურნალობის გაწევა, სპეციალიზირებულ კლინიკაში გადაყვანა, კანონით დაშვებული ნივთებით უზრუნველყოფა და ა.შ). თუმცა, კანონით დაწესებულია სახელმწიფო ბაჟი, რაც უმუშევარ და მატერიალური შემოსავლების არქმონე პატიმარს უსპობს შესაძლებლობას სასამართლოს გზით დაიცვას საკუთარი უფლებები. სასამართლო კი, როგორც წესი, არსებული პრაქტიკით, არ ათავისუფლებს პატიმარს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში გასაჩივრების უფლება მხოლოდ ილუზორულია.

ადვოკატთა მდგომარეობა

ე.წ. "ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკა შეეხო ადვოკატის პროფესიასაც. ბოლო პერიოდში ადვოკატების, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატთა უფლებების უხეში დარღვევის არაერთი შემთხვევა იყო, რის გამოც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის მიმართვების შედეგად ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ 2010-2011 წლებში რამდენჯერმე მოავლინა სპეციალური მისია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მათ მიერ მომზადდა ანგარიშები, სადაც მითითებულია არა მხოლოდ ინდივიდუალური დარღვევების, არამედ ადვოკატის, როგორც პროფესიის ინსტიტუციური დევნის შესახებ.

"ადვოკატებზე ხორციელდება მთელი რიგი ზეწოლები, რაც წარმოადგენს ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპების № 16 პრინციპის დარღვევას, სადაც ნათქვამია, რომ "ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატებს (ა) შეუძლიათ, შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქციები დაშინების, დაბრკოლების, შევიწროების ან უადგილო ჩარევის გარეშე; (ბ) აქვთ შესაძლებლობა, შეხვდნენ და გაუწიონ კონსულტაცია თავის კლიენტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც; (გ) არ განიცდიან და არ ემუქრებათ სამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სანქციები აღიარებული პროფესიული მოვალეობების, სტანდარტების და ეთიკის შესაბამისად მოქმედებისას". ჩვენ მოგვახსენეს სხვადასხვა შემთხვევის შესახებ, როდესაც ადვოკატები გახდნენ სასამართლო პროცესის, დაპატიმრების და ჩხრეკის სამიზნეები, და აგრეთვე მიესაჯათ სისხლის სამართლის სასჯელი მას შემდეგ, რაც იცავდნენ კლიენტებს, რომელთა საქმეებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არის

მიჩნეული. ასეთი შემთხვევები წარმოადგენს ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპების № 18 პრინციპის დარღვევას, სადაც ნათქვამია, რომ "თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ადვოკატები არ უნდა იქნან გაიგივებულნი თავიანთ კლიენტებთან და მათ საქმეებთან".[18]

განსაკუთრებით ხშირია ადვოკატთა დევნა ისეთ საქმეებზე, სადაც ხელისუფლებას აქვს ბრალდებულის მიმართ გარკვეული ინტერესები, ხოლო ადვოკატი თავისი პრინციპულობით, დამოუკიდებლობითა და პროფესიონალიზმით ხელს უშლის ბრალდების მხარეს უკანონო ქმედებების განხორციელებაში, როგორიცაა იძულებისა და მუქარის ქვეშ აღიარებითი ჩვენების მოპოვება, საპროცესო შეთანხმებაზე დაყოლიება, მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და ა.შ. სტატისტიკის მხრივ, საგანგაშოა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული ადვოკატების რაოდენობა (123 ადვოკატი), რომლებიც თავისუფლების აღკვეთის სახით, სხვადასხვა ვადით იხდიან სასჯელს, ძირითადად თაღლითობის, ზეგავლენით ვაჭრობის, მოწმეზე ზეწოლის ბრალდებებით. თუმცა, როგორც საქმეთა ანალიზიდან ირკვევა, ხშირ შემთხვევაში, საქმე არ შეიძლება გასცდეს სამოქალაქო სამართლებრივი დავის ან დისციპლინური დევნის სფეროს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ადვოკატთა სრულიად უკანონო სს დევნას. (ამის სამწუხარო მაგალითია 22 წლის ადვოკატის მარიანა იველაშვილის საქმე, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით და ცხრა თვით კლიენტისაგან სავარაუდოდ აღებული ფულის (300 ლარი ანუ 170 ევრო) და სანაცვლოდ ადეკვატური მომსახურების არგაწევის გამო.) ადვოკატთა განცხადებით, იველაშვილი მის მიერ ხელისუფლების მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გამო დაისაჯა.

საერთაშორისო ობსერვატორიის მისიის წარმომადგენელთა დასკვნებით: "ზოგადად, საქართველოში სუფევს იურიდიული პროფესიის სრული დესტაბილიზაცია. ადვოკატთა ყოველდღიური პრაქტიკა (საუბარი კლიენტებთან, ვიზიტი ციხეებში, საქმეებზე ხელმისაწვდომობა) სულ უფრო და უფრო რთული ხდება, რაც კლიენტის თვალში მათ დისკრედიტაციას უწყობს ხელს. ადვოკატის როლის შესუსტებას ხელს უწყობს ბრალმდებლის მიერ მნიშვნელოვანი ძალუფლების ქონა და ბრალის აღიარების შესახებ გარიგების სისტემატური განზოგადება. ამგვარად, დაცვის სტრატეგიები, რომლებიც ადვოკატის მიერ უნდა იქნას განხორციელებული, ძლიერ შეზღუდულია და ნაკარნახევია ბრალმდებლის მიერ. ევროპის დონეზე გასაჩივრების შესაძლებლობაც კი შესაძლოა შეფერხდეს დაკავებულ კლიენტზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად. ამგვარად, თუ გამოვიყენებთ ადვოკატის როლის შესახებ ძირითადი პრინციპების ტერმინებს, დანაშაულებრივ სფეროში ადვოკატი აღარ ითვლება მართლმსაჯულების აღსრულების არსებით მონაწილედ. ადვოკატის როლის აბსოლუტური დესტაბილიზაციის შედეგია არა მხოლოდ მთლიანად პროფესიის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება, არამედ სასამართლო პროცესების სამართლიანობის და დაცვის უფლებების დასუსტება. ადვოკატები, რომლებიც წინააღმდეგობის უნარს ინარჩუნებენ და სურთ საკუთარი პროფესიით თავისუფლად და დამოუკიდებლად მუშაობა, ან ისინი, ვინც გახმაურებულ და მნიშვნელოვან საქმეებში არიან ჩართულები, ძლიერი წნეხის ქვეშ ექცევიან, რასაც შედეგად მოაქვს სისხლის სამართლის პროცესები და თავისუფლების აღკვეთა. "[19]

პენიტენციურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება, რადგან ამ სფეროში არც კანონმდებლობაა სრულყოფილი და არც პრაქტიკა, რამაც სერიოზული საფრთხეები შექმნა ქვეყანაში. კერძოდ, მოსახლეობის საკმაოდ დიდი, აქტიური, შრომისუნარიანი ნაწილი იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მათი იქ ყოფნა და მატერიალურად შენახვა მძიმე ტვირთად აწვება ისედაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს. ხშირ შემთხვევაში, თუკი პატიმრობაში მყოფი ადამიანები თავად წარმოადგენდნენ მარჩენალს, პრაქტიკულად მათ ოჯახებს ხანგრძლივი დროით ეკარგებათ ყოველგვარი პერსპექტივა. როგორც წესი, ხდება პატიმრობაში მყოფი პირების დაავადება სხვადასხვა მძიმე ინფექციური დაავადებით, როგორიცაა "ც"

18 ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის საქართ-ველოში მისიის ანგარიში 2010 წლის დეკემბერი www.gba.ge

19 ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის საქართ-ველოში მისიის ანგარიში 2010 წლის დეკემბერი www.gba.ge

ვირუსული ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, იზრდება სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რაც გენოფონდის განადგურებას მოასწავებს, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ათასობით პატიმარი ვერ სარგებლობს ოჯახური ცხოვრების უფლებით და არსებობს პატიმართა ოჯახების დანგრევის რეალური რისკი. საბოლოოდ კი ეს აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. სასჯელის აღსრულების დღევანდელი არაადამიანური და ღირსების შემლახველი პირობები ქმნის იმის რისკს, რომ პატიმრები სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებას ვერ დაუბრუნდებიან სრულყოფილ წევრებად, ვერ მოხდება მათი სათანადო რეაბილიტაცია და ადაპტაცია ახალ პირობებთან, ვერ დასაქმდებიან, რამაც შესაძლოა მათ უბიძგოს სხვა, ახალი დანაშაულის ჩადენისკენ, რაც, სავარაუდოდ, ქვეყანაში არსებულ ვითარებას კვლავ უფრო დაამძიმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია:

- შეიცვალოს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, როგორც გადატვირთულობის ერთ ერთი მიზეზი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შთანთქმის პრინციპით შეიცვალოს ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი და, აქედან გამომდინარე, გადაიხედოს უკიდურესად დიდი და არაჰუმანური სასჯელები;
- არასათანადო მოპყრობის ფაქტები იქნას გამოძიებული და დამნაშავეები დასჯილნი;
- გადაიდგას ნაბიჯები საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების დეკრიმინალიზაციისთვის და გამოცხადდეს ფართომასშტაბიანი ამნისტია (სასჯელის ლიბერალიზაცია);
- განისაზღვროს საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეების პრიორიტეტი;.
- მოხდეს მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოს აღდგენა;
- პატიმრობის კოდექსში შეიცვალოს ის ნორმები, რომლებიც არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და აუარესებს პატიმრების მდგომარეობას;



აბრაამ ლინკოლნი (1809-1865)
აშშ-ს მე-16 პრეზიდენტი 1861-1865 წლებში

„მე არ მსურს ვიყო მაცონ-პატრონი, ისევე, როგორც არ მსურს ვიყო მონა. ამაში გამოიხატება ჩემი გაგება დემოკრატიისა"

„არცერთი ადამიანი არ არის იმდენად სრულყოფილი, რომ მართოს მეორე ადამიანი მისი თანხმობის გარეშე"

„საარჩევნო მიუღლტენი ცეკვიაზე ძლიერია"

- დაიწყოს პატიმართა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნა, პატიმართა რესოციალიზაცია;

- განხორციელდეს ჯანმრთელობის უფლების დაცვა პენიტენციურ სისტემაში;

- აღმოიფხვრას სიკვდილიანობა სასჯელაღსრულების სისტემაში - ძალადობრივი სიკვდილის შემთხვევები ობიექტურად იქნას გამოძიებული;

- უზრუნველყოფილ იქნას ადვოკატის ხელმისაწვდომობა;

- შეწყდეს ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა.

იაკობ კვინიკაძე, ეკა ბესელია

პოლიტიკურად მოტივირებული „სამართალი“ და პოლიტიკური პატიმრები საქართველოში

ტერმინ „პოლიტიკური პატიმრის” განმარტება

ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ საკმაოდ რთული განსასაზღვრია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ამ დრომდე მისი ცალსახა და მკაფიო განსაზღვრება არ არსებობს. ძირითადი დავის საგანია, თუ ვინ შეიძლება აღიარებული იყოს პოლიტიკურ პატიმრად და რომელ ორგანიზაციას აქვს ამის განსაზღვრის უფლება, ან რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ასეთ დროს. მაგალითისთვის საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო ამნისტიას პოლიტიკური პატიმრის ტერმინში გაერთიანებული აქვს „სინდისის პატიმრის“ ცნებაც, თუმცა იქვე კეთდება მათი დეფინიციაც, რადგან ისინი არ თვლიან, რომ პოლიტიკური პატიმარი აუცილებლად უდანაშაულო უნდა იყოს, რაც სინდისის პატიმრის შემთხვევაში სხვაგვარადაა. იმისთვის, რომ საქმე პოლიტიკურად შეფასდეს, აუცილებელია დანაშაულის მოტივაცია იყოს პოლიტიკური. რა თქმა უნდა, მძიმე დანაშაულის ჩადენა, თუნდაც მას პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდეს, არ გამორიცხავს პატიმრობას. თუმცა საერთაშორისო ამნისტია თვლის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პატიმრის საქმე, თუნდაც მას ჩადენილი ჰქონდეს პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაული, უნდა იყოს განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ და მათი სასამართლო პროცესები ჩატარებული უნდა იყოს ღიად, სამართლიანად და ოპერატიულად. რაც შეეხება „სინდისის პატიმარს“, აქ საქმე სხვაგვარადაა. სინდისის პატიმარი არის პირი, რომელიც იდევნება ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მრწამსის ან პოლიტიკური შეხედულებების ან ამ შეხედულებების გამოხატვის გამო და მას არა აქვს ჩადენილი რაიმე დანაშაული, ამიტომ იგი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ განთავისუფლებული ყოველგვარი პირობების გარეშე.

საერთაშორისო ამნისტიის ასეთი განმარტების მიუხედავად, როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციები ნაკლებად იყენებენ სიტყვა „სინდისის პატიმარს“ და როდესაც ამა თუ იმ პირს მოიხსენიებენ პოლიტიკურ პატიმრად, ეს გულისხმობს მის უდანაშაულობას და მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით პატიმრობას.

2001 წელის 16 ივლისს, სტრასბურგში საერთაშორისო ექსპეტთა ჯგუფმა შეიმუშავა პოლიტიკური პატიმრის გარკვეული კრიტერიუმები. ესენია:

- თუკი დაპატიმრება მოხდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და მისი რომელიმე დამატებითი ოქმით გათვალისწინებული რომელიმე ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევით (კერძოდ, აღმსარებლობის თავისუფლება, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება);

- თუკი თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებული და არ არის დაკავშირებული რაიმე დანაშაულის ჩადენასთან;

- თუკი პოლიტიკური მოტივები, პატიმრობის ვადა ან მისი პირობები მკვეთრად არაპროპორციულია ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, რომლისთვისაც ის სასამართლო განაჩენით ცნობილია დამნაშავედ ან ეჭვმიტანილია;

- თუკი პოლიტიკური მოტივებით, პატიმარი დაკავებული იქნა დისკრიმინაციულ ვითარებაში, სხვა პირებთან შედარებით;

- თუკი დაკავება შედეგია უდავოდ უსამართლო პროცედურებისა და ეს ყველაფერი აშკარად უკავშირდება ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებს.

მტკიცება იმისა თაობაზე, რომ პირი პოლიტიკური პატიმარია, უნდა ემყარებოდეს prima facie მტკიცებულებებს, რის გამოც დამკავებელ ხელისუფლებაზე გადადის მტკიცების ტვირთი, დაამტკიცოს, რომ დაკავება სრულად შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, როგორც მას განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის პრეცედენტებში არსებით საკითხებთან დაკავშირებით, რომ პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნები დაცულია და რომ დაკავების პროცესში დაცული იქნა სამართლიანი პროცედურები.

ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის პროფესორ შტეფან ტრექსელის თაოსნობით შექმნილი ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმები გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში, რის გამოც ძნელი განსასაზღვრი ხდება, პირმა მართლა ჩაიდინა დანაშაული თუ მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით იდევნება. ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ შეიცავს როგორც პოლიტიკურ ხასიათს, ასევე სამართლებრივ ასპექტს, ხშირ შემთხვევაში ამ სიტყვის კლასიფიკაციის დროს ხდება ერთი ან მეორე მხრიდან მიდგომა, რაც, რა თქმა უნდა, სრულ სურათს ვერ გვაძლევს. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი სურათისთვის უნდა გავითვალისწინოდ ორივე მხარე - როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი.

პოლიტიკური პატიმრობის გარკვეული განსაზღვრება გვხდება ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის რეზოლუციაში №1359 აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე. ეს კრიტერიუმებია:

- დაპატიმრებამდე ადამიანი უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიური და მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კონკრეტული სარგებელი;

- ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ან შეუგნებლად შეურაცხყოფენ მაღალი თანამდებობის პირებს;

- ადამიანები, რომელთა დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულება და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოწმის ჩვენება, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა პატიმრობის გამოყენება, ყალბია;

- დაპატიმრებული ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება პირთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებდა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, თავად ტერმინი „პოლიტიკური პატიმარის“ კრიტერიუმები, სამწუხაროდ, დღემდე არაა ფორმულირებული და ერთიან სტანდარტში მოქცეული. მიუხედავად ამისა, ევროპის საბჭოს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, ასევე სხვა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებს არაერთხელ გამოუყენებიათ აღნიშნული სიტყვა მთელ რიგ ქვეყნებში დაკავებული პირების მიმართ. თუმცა, სანამ აღნიშნული საკითხი ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების განხილვის საგანი გახდება, საჭიროა ყველა კონკრეტულ ქვეყანაში მოხდეს კონსენსუსი სამოქალაქო საზოგადოებას და ძირითად არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, სასურველია პოლიტიკურ პარტიებს შორისაც (მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტია როგორც დაინტერესებულ სუბიექტად აღიქმება), თუ ვინ არის ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმარი და ამის შემდეგ უნდა მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ამ საკითხში.

ინფორმაცია საქართველოში პოლიტიკური დევნის შესახებ. ადგილობრივი ორგანიზაციების მტკიცებანი

„ვარდების რევოლუციის შემდეგ“, სულ მოკლე ხანში დაიწყო პოლიტიკურ ოპონენტთა პოლიტიკური დევნა. პირველი ტალღა შეეხო წინა მთავრობის გარკვეულ წევრებს. 2006 წელს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით აკავებენ ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ირაკლი ბათიაშვილს. რამდენიმე თვეში იგივე ბრალდებით ხდება ე.წ. „გიორგაძის

მომხრეების“ მასიური დაპატიმრება, ამას მოსდევს 2007 წლის შემოდგომის ცნობილი მოვლენები, რასაც მოყვა სხვადასხვა ბრალდებით ოპოზიციის მომხრეების დაკავება. 2009 წლის საპროტესტო აქციებისას განახლდა და ბოლო დიდი ტალღა ოპოზიციის წარმომადგენლების დაპატიმრებებისა დაიწყო 2011 წლის მაისის მოვლენების დროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შუალედებში მუდმივად ხდებოდა ცალკეული პირების პოლიტიკური მოტივით დევნა და დაპატიმრება, რაც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. აღნიშნული პრობლემის შესახებ აქტიურდება სამოქალაქო სექტორი, ამ პრობლემის ირგვლივ გაიმართა არა ერთი შეხვედრა როგორც არასამთავრობოების, ისე პოლიტიკური ორგანიზაციების, ხელი მოეწერა მემორანდუმებს, გამოიცა ანგარიშები თუ წიგნები[20], ყველა მრავალრიცხოვან თუ მცირერიცხოვან აქციაზე ისმება პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების საკითხი, 2008 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში ცალსახადაა აღნიშნული პოლიტიკური დევნისა და დაპატიმრების ფაქტები.

პოლიტპატიმრების საერთაშორისო აღიარება. საერთაშორისო დოკუმენტაცია

პოლიტიკური პატიმრების საერთაშორისო დონეზე აღიარების საკითხი, როგორც წესი, საკმაოდ რთულია, რადგან აღნიშნულის დასაბლოკად ძალისხმევას არ იშურებს ხელისუფლება და მის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიები, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც ხდება ამ რკალის გარღვევა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2009-2010 წლების ანგარიში, სადაც საუბარია სავარაუდო პოლიტიკურად დაპატიმრებულ პირებზე და ჩამოთვლილია რამდენიმე სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის გვარიც. 2010 წელს საქართველოში ჩამოსული იყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მევლუდ ჩავუშოღლუ. ვიზიტის დროს განხილული იქნა პოლიტპატიმრების საკითხიც. ამ საკითხთან დაკავშირებით ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა შეისწავლეს რამდენიმე საქმე პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის შესახებ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის თომას ჰამარბერგის 2011 წლის ანგარიშში ასევე საუბარია, რომ იგი ფლობს იფორმაციას საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნისა და დაპატიმრებების შესახებ და იძლევა მთელ რიგ რეკომენდაციებს.

2009 წელს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის“(FIDH) წარმომადგენლები, პოლიტიკური პატიმრების საქმეების შესასწავლად, ესტუმრნენ საქართველოს. მათ შეისწავლეს 8 საქმე და მოამზადეს სპეციალური დასკვნა „ეკლები ვარდების შემდეგ-პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, სადაც დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: 2008 წლის ნოემბერში„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ“ (FIDH) ყურადღება გაამახვილა საქართველოში ახალი პოლიტპატიმრების საკითხზე. საქართველოში FIDH-ის წევრმა ორგანიზაციამ „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ და სხვადასხვა პარტნიორმა ორგანიზაციებმა - მათ შორის, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტმა”, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ”, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის”, „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა”, - წარმოადგინეს სავარაუდო პოლიტპატიმრის შესახებ რამოდენიმე საქმე. ამავე დროს, ინფორმაციას ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობასთან დაკავშირებით დაეთანხმნენ ადგილობრივი ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს სახალხო დამცველი.

2009 წლის თებერვალში საქართველოში გაგზავნილმა მისიამ, რომელიც შეხვდა და ესაუბრა შესაძლო პოლიტპატიმრების

20 „დემოკრატიის შუქურა“, გამომცემელი არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ 2009 წ; „უუფლებობის ზონა“ გამომცემელი „ისტორიული მემკვიდრეობა“ 2009 წ.; „პოლიტიკური პატიმრები საქართველოში“ გამომცემელი “ადამიანის უფლებათა ცენტრი“ 2009 წ.; „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“ გამომცემელი - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, 2011 წ. და სხვ. ასევე ადამიანის უფლებების დამცველთაგან შექმნილია დამოუკიდებელო კომისია, სადაც განიხილება პოლიტიკური დევნისა თუ დაპატიმრების საკითხები, კომისიის ცნობით შესწავლილი საქმეებიდან შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის მარტისთვის საქართველოში არის 93 პოლიტიკური პატიმარი და 11 პოლიტიკური დევნილი. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დევნილებიდან ნაწილმა უკვე მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი ევროპულ ქვეყნებში, ნაწილის საქმეები კი განხილვის სტადიაშია, პოლიტპატიმრების სხვა მიმდინარე საქმეებს კი კომისია კვლავაც იხილავს.

19 ოჯახის წევრსა და ადვოკატს, ქართულ ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციების 18 წარმომადგენელს, საერთაშორისო ორგანიზაციების 2 წარმომადგენელს, საქართველოს ხელისუფლების 3 წარმომადგენელს, დაასკვნა, რომ ძირეულად შესწავლილი 8 საპილოტო საქმის საფუძველზე შეიძლება დადასტურდეს, რომ საქართველოში არიან პოლიტიკური პატიმრები."[21] აღნიშნული ორგანიზაცია, აგრეთვე, აძლევს რეკომენდაციას: ევროსაბჭოს, ევროკავშირს და ეუთოს, საქართველოს ხელისუფლებას ხელი შეუწყონ დამოუკიდებელი კომისიის შექმნას და საქართველოში პოლიტიკური დევნის საკითხების გამოკვლევას.

ინფორმაცია არასამართლიანი სასამართლო პროცესებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის არასაკმარისობის შესახებ

საქართველოში სამართლიანი სასამართლო პროცესები და სასამართლოს დამოუკიდებლობა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამაზე იწერება საქართველოს შესახებ არაერთ ანგარიშში. ამაზე მეტყველებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 იანვრის ანგარიშიც. მომხსენებლები კასტრიოტ ისლამი და მაიკლ იენსენი ყურადღებას რამდენიმე საკითხზე ამახვილებენ, მათ შორის, ერთ-ერთია გამამტყუნებელი განაჩენების „არაბუნებრივად" მაღალი მაჩვენებელი.

ანგარიშის მიხედვით, „გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა ისედაც არაბუნებრივად მაღალი მაჩვენებლიდან, 99.8%-დან 99.9%-მდე გაიზარდა... პრაქტიკულად, ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, რომლის წინააღმდეგაც პროკურატურა საქმეს აღძრავს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დამნაშავედ სცნობენ".[22] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1937 წლის ცნობილი რეპრესიების დროს სასამართლოებში გამამართლებელი განაჩენი 7%-ს შეადგენდა. საქართველოში სასამართლო პრობლემებზე საუბრობს ევროსაბჭოს კომისარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში თომას ჰამერბერგი 2011 წლის ანგარიშში, სადაც ასევე ყურადღებას ამახვილებს საპროცესო შეთანხმებების მაღალ ციფრზე, აღნიშნულს კი ხსნის იმით, რომ დასჯის მექანიზმები ძალიან მძიმეა, პროკურორი პრივილიგირებულ მდგომარეობაშია, ადვოკატებზე ხორციელდება სერიოზული ზეწოლა, ხელი ეშლება მათ საქმიანობას, დაბალია ნდობა სასამართლოს მიმართ და ამიტომ უდანაშაულო ადამიანსაც კი უწევს ბრალის აღიარება და საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმება.

იგივე თემას ეხმაურება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო წლების ანგარიშები. მაგალითად 2010 წლის ანგარიშში საუბარია იუსტიციის სამინისტროს მონაცემებზე: „იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკის თანახმად, წლის განმალობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების შემთხვევები. წლის მანძილზე საპროცესო შეთანხმებების რიცხვმა შეადგინა ყველა სასამართლო გადაწყვეტილების 80.8%(15,614 საქმე), მაშინ როცა 2009 წელს ეს რიცხვი შეადგენდა 58.8% (10,400), ხოლო 2008 წელს 52%(10,608)". იქვე ვკითხულობთ: „საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის თანახმად, საპროცესო შეთანხმებათა სისტემის მიმართ კრიტიკულად განწყობილთა აზრით, სისტემა გახდა სარგებლის მოპოვების წყარო და არა მართლმსაჯულების საშუალება. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებით, ხელისუფლება ბრალდებულს საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმებას აიძულებს". ასევე მოყვანილია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" შეფასება საპროცესო შეთანხმებებზე: „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" სერიოზული შეშფოთება გამოთქვა საპროცესო სისტემის სამართლიანობასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა ბრალდების მხარესა და სასამართლო სისტემის დისბალანსს და ჯარიმების გამოყენებისა და შეგროვების სისტემაში გამჭვირვალობის ნაკლებობას. ამასთანავე,

21 http://www.fidh.org/After-the-rose-the-thorns
22 http://assembly.coe.int/CommitteeDocs/2012/amondo-c24rev3_2011.pdf

ამავე ორგანიზაციის ცნობით, გამოკითხული ექსპერტები თანხმდებიან მასზედ, რომ მთავარ პრობლემას არა კანონი, არამედ სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემა წარმოადგენდა“[23].

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში სისტემატიურად ხვდება სასამართლო დასაბუთებულობის საკითხი. 2010 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სასამართლო გადაწყვეტილებათა არასაკმარისად დასაბუთებულობაზე საუბრისას აღვნიშნავდით, რომ ეს არ იყო ერთი რომელიმე სასამართლოს ან კონკრეტული სასამართლო ინსტანციის პრობლემა, არამედ დამახასიათებელი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოებისათვის. 2010 წელს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ საქმეთა ანალიზით დგინდება, რომ მართლმსაჯულების სისტემაში კვლავ პრობლემად რჩება შუალედური თუ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის საკითხი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სისტემური პრობლემის აღმოფხვრა არ მომხდარა”.[24] აქვე ვკითხულობთ: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2009 წლის მეორე ნახევრის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ სხვა ფაქტებთან ერთად წინამდებარე თავში განხილული შემთხვევების ანალიზიც ცხადყოფს, რომ საქართველოში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობის საკითხი კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს სასამართლოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების დარღვევის მიზეზს“.

ცალკე საკითხია ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხი, რომელსაც ხელისუფლება ხშირად იყენებს განსხვავებული აზრის მქონე პირების მიმართ. აღნიშნულ საკითხსა და ასეთ სასამართლო პროცესებზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის არარსებობაზე ყურადღებას ამახვილებს გაეროს სპეციალური მომხსენებელი მაინა კიაი თავის 2012 წლის თებერვლის წინასწარ დასკვნაში, სადაც ვკითხულობთ: „მე შეშფოთებული ვარ დაკავების აღნიშნული ფორმის ასეთი სიხშირით, ფაქტიურად მუდმივად გამოყენებით, განსაკუთრებით პროტესტის მონაწილეებთან მიმართებით....

23 http://georgia.usembassy.gov/officialreports/hrr2010_georgia.html
24 www.ombudsman.ge

ჯორჯ ვაშინგტონი (1732-1799)
აშშ-ს პირველი პრეზიდენტი

„განუკითხაობის ძალაუფლება ყველაზე მარცივად მკვიდრდება იმ თავისუფლების ნანგრევებზე, რომლითაც აღვირახსნილობამდე მოროცად სარგებლობენ"

ჩემში გაკვირვებას იწვევს განცხადებები, რომლებიც მიუთითებს სამართლებრივი გარანტიების არარსებობაზე და იმ ფაქტზე, რომ სასჯელის გამოტანა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზე დაყრდნობით. სასამართლო ხელისუფლებასთან რიგი საუბრების შემდეგ მე ერთობ შეშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია აშკარად არ არსებობს და უმთავრესად პოლიციისგან მიღებულ ჩვენებებს ეყრდნობიან".[25]

ქვეყანაში მნიშვნელოვან ამოცანად რჩება პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის შეჩერება და პოლიტიკური პატიმრების უპირობო და დაუყოვნებელი განთავისუფლება.

25 http://www.ohchr.org/EN/Issues/AssemblyAssociation/Pages/SRFreedomAssemblyAssociationIndex.aspx

ეკა ბესელია, ლილი გელაშვილი

პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისა და თვითნებური დაკავების ფაქტები. დაუსჯელობის სინდრომი

„ჩვენ დღეს პარლამენტში წვრილმანი დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობისა და ნულოვანი მოთმენის შესახებ კანონს განვიხილავთ, რაზეც ჩვენი ზოგიერთი ოპონენტი გაღიზიანდა... ადამიანები წვრილმანი დანაშაულისათვის ციხეში უნდა მოხვდნენ, თუმცა მცირეწლოვანებს და იმ ადამიანებს, ვინც გამოძიებასთან ითანამშრომლებს, შემამსუბუქებელი გარემოებებიც შეიძლება შეეხოთ; ყველა სხვამ სასჯელი კანონის ფარგლებში უნდა მოიხადოს და ყველანაირ პირობით სასჯელს ავკრძალავთ... ჩვენ ვაშენებთ ახალ ციხეებს... ახალი კანონის მიხედვით, პირობითი სასჯელი უქმდება და ყველა დამნაშავე ციხეში წავა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოძიება ჩათვლის საჭიროდ ადამიანისაგან ისეთი ინფორმაცია მიიღოს, რომელიც გამოძიებას ძალზე დიდი და სერიოზული საქმეების გახსნაში დაეხმარება... პოლიციელებს აქვთ მითითება, რომ ესროლონ პირდაპირ. იმიტომ, რომ ერთი პოლიციელის სიცოცხლე ღირს ბევრად უფრო მეტი, ვიდრე მთელი ამ დამნაშავეთა სამყაროს და მათი თანამზრახველების სიცოცხლე ყველა ერთად აღებული ჩემთვის და საზოგადოებისათვის. ამიტომ აქ ჩვენ უკვე შევქმენით პრეცენტენდები იარაღის გამოყენებისა და ვაპირებთ, რომ ასევე გავაგრძელოთ, როგორც ეს არის ამერიკაში, ევროპაში, ისრაელში და ყველა სხვა განვითარებულ ქვეყანაში“,[26] განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2006 წლის თებერვალში.

„თუ დაინახავთ, რომ ოდნავ მაინც საფრთხე ექმნება მოქალაქის, მითუმეტეს, პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხელი არ აგიკანკალდეთ და გამოიყენეთ იარაღი და მე ქედს ვიხრი იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად ჩაატარეს ოპერაციები და მოკლეს, კვლავ ერთხელ ვიტყვი, მოკლეს კრიმინალები, რადგანაც რომ არ მოეკლა კრიმინალი, კვლავ უფრო მეტი დანაშაული მოხდებოდა საქართველოში”, განაცხადა შსს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, 2005 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას.

„მოკლეს დამნაშავე ქუთაისში და ძალიან კარგი რომ მოკლეს! მან დაგვიჭრა პოლიციელი და ღმერთმა ქნას, რომ არ დაინვალიდდეს.... მე ვადასტურებ, რომ მექნება ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავის მიმართ“, განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2011 წლის 11 თებერვალს საპარლამენტო გამოსვლის დროს.

ამ გზავნილებმა ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის, ყველა სამართალდამცავი ორგანოს მიმართ ხელი შეუწყო ძალის გადამეტებულ გამოყენებას და დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნას ქვეყანაში.

წვრილმანი დანაშაულისათვის შემოღებული **ნულოვანი ტოლერანტობის** მკაცრი პოლიტიკა დღესაც მოქმედებს.

ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოაცხადა პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ, ყველა სახის დანაშაულზე ნულოვანი ტოლერანტობა და დამნაშავე პირების თანაბარი სიმკაცრით დასჯის აუცილებლობა, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა. ეს განცხადება ფაქტიურად ღია ტერორის დასაწყისი აღმოჩნდა.

დღეს საქართველო ერთ-ერთ პირველ ქვეყანას წარმოადგენს მსოფლიოს იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც მსჯავრდებულ პატიმართა განსაკუთრებით დიდი

26 http://president.gov.ge/ge/PressOffice/Documents?4951

პროცენტული ოდენობა ჰყავს მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში.

როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ე.წ. „სპეცოპერაციები," ხშირ შემთხვევაში ხასიათდება ძალის გადაჭარბებული გამოყენებით და სისასტიკით და სრულდება იმ პირთა ყოვლად გაუმართლებელი ლიკვიდაციით, რომელთა დაკავების მიზნითაც ტარდებოდა ოპერაცია. სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების მხარდაჭერით გათამამებული სამართალმწარმოებელი ორგანოების თანამდებობის პირები, სამსახურებრივ ძალაუფლებას პირადი ანგარიშსწორებისათვის იყენებენ და ხშირ შემთხვევაში, მათი მითითებებით, მძიმე დანაშაულები ხორციელდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაკავება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო იძულების ღონისძიებაა, რომლისთვისაც დადგენილია კონკრეტული საფუძვლები. ამ საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, ცალსახაა, რომ პირის დაკავება დაუშვებელია. მთელ რიგ შემთხვევებში კი, დაკავება პოლიციელების მხრიდან მიმდინარეობს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რაც უკანონოა და შესაბამისად პირი დაუყოვნებლივ უნდა იყოს გათავისუფლებული.

მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ ფარატინა ქაღალდად იქცა, რასაც სამართალდამცველები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ.

უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები

დღეს ნებისმიერი მოქალაქე სრულიად დაუცველია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ძალადობისაგან, მითუმეტეს, თუ საქმე ეხება ხელისუფლებისათვის მიუღებელ მოქალაქეს, რომელიც თავისი პოზიციის, აქტიურობის თუ კრიტიკული განწყობის გამო სამართალდამცველი ორგანოების სამიზნეს წარმოადგენს. ასეთ პიროვნებათა მიმართ ფართოდ გამოიყენება ნარკოტიკის ან ცეცხლსასროლი იარაღის ჩადების აპრობირებული მეთოდები. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ციხეში მყოფი ყველა პატიმარი უდანაშაულოა, მაგრამ ფაქტია, რომ უდანაშაულოთა ან ხელოვნურად ბრალის დამძიმებულთა რაოდენობა ძალიან დიდია, რადგან ასეთი სამართალწარმოებისა და მართლმსაჯულების პირობებში სხვანაირად ვერც იქნება. ზემოთ ხსენებულ ორ მეთოდს (იარაღისა და ნარკოტიკის ჩადებას) ბოლო ხანებში დაემატა კვლავ ერთი მარტივი, მაგრამ ეფექტური მუხლი - სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. უნდა ითქვას, რომ სამივე ეს მუხლი ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს: იარაღის ტარებისათვის ან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა (შესაბამისად, სსკ-ის 236-ე და 353-ე მუხლები) - თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე, ხოლო ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენისათვის - 11, 14 ან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას (ნარკოტიკის სახისა და რაოდენობის მიხედვით).

სამართალდამცველთა მხრიდან მიზანში ამოღებული ნებისმიერი პირის მიმართ ძალიან ადვილია დანაშაულის დამტკიცება: დავალებაზე წასული რამდენიმე პოლიციელი აკავებს პირს, მიჰყავთ პოლიციის განყოფილებაში, ჩხრეკისას „აღმოუჩენენ" აკრძალულ ნივთს (ან, სულაც არ „აღმოუჩენენ", პირდაპირ მაგიდაზე დაუდებენ და ეტყვიან, რომ ეს მისი ჯიბიდან, მანქანიდან ან ბინიდან ამოიღეს), შეადგენენ ოქმს, რომელშიც ჯერ ჩაწერენ, ხოლო შემდეგ ეს პოლიციელები მოწმის სახით დაკითხვისას სასამართლოზე ფიცის ქვეშ დაადასტურებენ, რომ სწორედ კანონის სრული დაცვით ჩატარდა ჩხრეკა, რომ ნამდვილად ამოუღეს მოქალაქეს აკრძალული ნივთი, რომელიც დალუქეს და ნივთმტკიცების სახით საქმეში დევს. კვლავ უფრო მარტივია მსხვერპლისათვის წინააღმდეგობის გაწევის დაბრალება, რადგან ამ შემთხვევაში არც ჩხრეკა და არც ნივთმტკიცების წარდგენა არაა საჭირო. უბრალოდ, ერთი ან რამდენიმე პოლიციელი იტყვის, რომ მოქალაქე არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხოვნას, წინააღმდეგობაც გაუწია და პოლიციელებიც

იძულებულნი იყვნენ დაეკავებინათ. ყველა შემთხვევაში პოლიციელებს გარანტირებული აქვთ მოსამართლის უსიტყვო და უპირობო დასტური, ხოლო მიზანში ამოღებულ მსხვერპლს - ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ეს განსაკუთრებით ადვილია ადმინისტრაციული სახდელის დაწესების დროს, როდესაც საქმის განხილვები, როგორც წესი, 10-15 წუთში თავდება, ხოლო ადრე არსებული ადმინისტრაციული პატიმრობის 15 დღიანი ვადა ამ ხელისუფლებამ ჯერ 30 დღემდე, ხოლო შემდეგ 90 დღემდე გაზარდა. ადმინისტრაციული დაკავების მავნე პრაქტიკას და დაკავების პირობებს მკაცრად აკრიტიკებს საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch[27].

დაკავების დროს ძალის გადამეტება

პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტებზე მეტყველებს არა მარტო დაკავებულების ჩვენებები, არამედ პირის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეყვანისას მათი გარეგნული დათვალიერების შესახებ გაკეთებული ჩანაწერებიც. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მარტო 2010 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებში სხეულის სხვადასხვა დაზიანებით შეყვანილი იყო 856 პატიმარი, მათგან 85 პატიმარმა განმარტა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში წლის მანძილზე შესული პირებიდან დაზიანება აღენიშნებოდა 466-ს; აქედან 71-ს ჰქონდა პრეტენზია სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს აღმოჩენილი იქნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დაკავებულები მიუთითებდნენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

განსაკუთრებით შესამჩნევია პოლიციელთა მხრიდან გააქტიურება საპროტესტო გამოსვლების დროს. მარტო 2007 წლის არასაპარლამენტო

27 http://www.hrw.org/news/2012/01/04/georgia-flawed-misdemeanor-system



ედუარდ სევრუსი (ბოროხოვი) (1948)
რუსი ლიტერატორი

„დემოკრატიისთვის მთავარი საფრთხე პოლიციის მიმართ ხალხის გულგრილობაა"

„არჩევნებზე რეგულარულად სიარული სჯობია მარიკადებზე ერთხელ მოხვედრას"

ოპოზიციის აქციების დროს სახალხო დამცველის აპარატიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან არაერთი საჩივარი გაკეთდა, რომ პოლიციელთა მხრიდან ხდებოდა მტკიცებულებების ჩადება, დაკავებულების მიმართ გადაჭარბებული ძალის გამოყენება, არაადამიანური და სასტიკი მოპყრობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადაჭარბება.

ხელისუფლების ეს ტაქტიკა მკაფიოდ გამოჩნდა 2009 წელს მასობრივი საპროტესტო აქციების დროს, როდესაც ამ აქციებში აქტიურად მონაწილე 200-მდე ახალგაზრდა სამართალდამცველების მიერ დაკავებული და გასამართლებული იყო სხვადასხვა ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის ბრალდებებით. 2009 წლის 15 ივნისს, აქციის დარბევის დროს პოლიციელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს აქციის მონაწილეებს. ვიდეო და ფოტომასალით დასტურდება, თუ როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ პოლიციელები მოქალაქეებს. დაკავებულ პირთა ცემა გაგრძელდა შს მთავარ სამმართველოშიც. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს ადასტურებს სახალხო დამცველის რწმუნებულიც, რომელიც თავად იქნა დაკავებული და ნაცემი. მსგავსი პრაქტიკა არაერთხელ დაფიქსირდა სხვა შემთხვევებშიც 2011 წელს.

სიცოცხლის უფლების დარღვევა

აღსანიშნავია, დაკავების დროს სამართალდამცველთა მხრიდან დაკავების დროს ძალის გადამეტების ფაქტები, რომლებიც მსხვერპლით დასრულდა. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ათობით ადამიანი ემსხვერპლა პოლიციელთა მხრიდან არაადამიანურ მოპყრობას, მიზანმიმართულ და ყოვლად გაუმართლებელ ოპერაციებს. ბევრ გაუხმაურებელ საქმესთან ერთად შეიძლება მივუთითოთ რამდენიმე საქმე, რომელმაც შეძრა საქართველო, საერთაშორისო ორგანიზაციები, ყველა უფლებადამცველი თუ საღად მოაზროვნე ადამიანი[28]:

- 2004 წლის 24 მარტს სვანეთში, სოფელ ეცერში შს მინისტრ გიორგი ბარამიძის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულ სპეცოპერაციას შეეწირა მამა-შვილის, ევგენი და ომეხ აფრასიძეების სიცოცხლე, დაიჭრნენ შმაგი და გოჩა აფრასიძეები. სპეცოპერაციისას გადაწვეს აფრასიძეების სახლ-კარი;

- 2004 წლის 24 დეკემბერს თბილისში, ხელებაწეულ მდგომარეობაში პატრულ-ინპექტორის მიერ მოკლულ იქნა ამირან (ბუტა) რობაქიძე;

- 2005 წლის 11 დეკემბერს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას მოკლულ იქნა ლევან გულუა;

- 2006 წლის იანვარში შს სამინისტროს თანამშრომლებმა გაიტაცეს და აწამეს სანდრო გირგვლიანი, რასაც მისი სიკვდილი მოყვა. საქმეზე გამოძიებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი თანამშრომელი დააკავა, რომლებსაც მხოლოდ 6-წლიანი პატიმრობა შეეფარდათ. მოგვიანებით პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე მათ სასჯელი გაუნახევრეს და 2009 წელს პატიმრობიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს;

- 2006 წლის 2 მაისს ჩოგბურთის კორტებთან სპეცოპერაციის დროს, რომელშიც 100-მდე პოლიციელი მონაწილეობდა, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი;

- 2008 წლის 8 მაისს მეტრო რუსთაველთან დაკავებისას პოლიციელმა იარაღის გასროლით მოკლა გიორგი გამცემლიძე;

- 2009 წლის 20 მაისს, გლდანში სპეცოპერაციის დროს მოკლულ იქნა გენერალი გია კრიალაშვილი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ე.წ. მუხროვანის „ამბოხის" ორგანიზებაში;

- 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის დროს, დაფიქსირდა 100-მდე პირის

28 http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/license-to-kill-bolo.pdf

დაკავების და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის 5 შემთხვევა: აქციის 4 მონაწილისა და 1 პოლიციელის.

როგორც საქმეების ანალიზი აჩვენებს, სიცოცხლის ხელყოფის თითოეული შემთხვევა პოლიციის მხრიდან აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და განხორციელების დროს გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგია. სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებით კი მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტები. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის შეფასებისას, ევროპული სასამართლო ადგენს საკითხს, იყო თუ არა ოპერაცია დაგეგმილი და კონტროლირებადი იმგვარად, რომ ხელისუფლებას მოეხდინა ლეტალური ძალის გამოყენების შესაძლებლობის მინიმიზაცია. ხელისუფლება ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა სიცოცხლის რისკების შესამცირებლად. წინააღმდეგ შემთხვევებში, პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების დროს, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც მას აახლოებს სიკვდილთან, შეიძლება მოექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონვენციის მე-2 მუხლის დაცვის ქვეშ.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პოლიციამ დემონსტრაციების დაშლის დროს არ უნდა გამოიყენოს არაპროპორციული და გადამეტებული ძალა. იგი ვალდებულია, ძალის გამოუყენებლად უზრუნველყოს აქციის ტერიტორიიდან დემონსტრანტების გაყვანა და მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში მიმართოს სხვა უფრო ეფექტიან საშუალებებს. აღნიშნული სტანდარტის საპირისპიროდ, პოლიციამ ერთდროულად გამოიყენა სხვადასხვა სპეციალური საშუალება, მასობრივად და განურჩევლად გამოიყენა რეზინის ტყვიები, მხუთავი გაზის კაფსულები, რეზინის ხელკეტები და ა. შ. უფრო მეტიც: პოლიცია რეზინის ტყვიებს იყენებდა იმ ადამიანებზე დამიზნებით, რომლებიც იმ მომენტში არ წარმოადგენდნენ საფრთხეს და არც რაიმე წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. მან არ დატოვა ღია გასასვლელები, რითაც გაზარდა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის ფიზიკური შეხებისა და პოლიციის მიერ ძალის გამოყენების რისკი. უკვე თითქმის დაშლილი აქციის შემდეგაც პოლიციელები აკავებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, გამოჰყავდათ რუსთაველის თეატრსა თუ სხვა შენობებს შეფარებული ადამიანები, ატარებდნენ ე. წ. „სირცხვილის კორიდორებში" და სასტიკად სცემდნენ. აღსანიშნავია, რომ სპეცდანიშნულების რაზმელთა და პოლიციელთა ფორმებს მასობრივად არ ჰქონდათ ნიშანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი იდენტიფიცირება. დემოკრატიული სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან ამ ფაქტების გამოძიების მოთხოვნა კვლავ უგულვებელყოფილია.

გამოძიების ვალდებულების შეუსრულებლობა

კვლავ არაჯეროვნად მიმდინარეობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება - საგამოძიებო მოქმედებები უმეტეს შემთხვევებში ტარდება ფორმალურად, ხშირად არ ინიშნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ან ინიშნება და ტარდება დაგვიანებით, როდესაც დაზარალებულს უკვე აღარ ემჩნევა დაზიანებები. არასათანადო მოპყრობა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღმოფხვრის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელმაც პირველად მოახდინა საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების სინქრონიზაცია.

სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან, სწორედ მათი არასწორი კვალიფიკაციაა - ხშირად გამოძიება იწყება არა წამების ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლით, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, რაც სამოხელეო

დანაშაულს წარმოადგენს და გაცილებით უფრო მსუბუქ სანქციას ითვალისწინებს. ამასვე ადასტურებს წამების აღკვეთის კომიტეტიც თავის ანგარიშში: წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიების დროს ირკვევა, რომ ხშირად გამოძიება წარიმართება თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების და არა წამების ან არასათანადო მოპყრობის მუხლით. ამის მიუხედავად, დაბალია ბრალის დადასტურების მაჩვენებელი. წამების აღკვეთის კომიტეტის ანგარიშში მაგალითისთვის მოყვანილია 2009 წლის მონაცემები. კერძოდ: 2009 წელს წამების (144/1) მუხლით გამოძიება დაიწყო 16 პოლიციელის წინააღმდეგ, ხოლო 144/3 მუხლით - 1 პოლიციელის წინააღმდეგ. 333-ე მუხლით (თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება) გამოძიება დაიწყო 66 შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ თითქოსდა ასეთი შთამბეჭდავი ციფრების ფონზე, ბრალი არცერთ შემთხვევაში არ დადასტურებულა და სასამართლოში არც ერთი საქმე არ გადაცემულა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, რომ წამების არაეფექტური, გაჭიანურებული და არაადეკვატური გამოძიება უკვე თავისთავად წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დარღვევას, იმის მიუხედავად, წარმოადგინა თუ არა მოსარჩელემ საკმარისი არგუმენტები და მტკიცებულებები თავად წამების ფაქტის დასადასტურებლად.

საქართველოში პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების შემთხვევებში არაეფექტური და მიკერძოებული გამოძიების არსებობაზე მეტყველებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 26 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ". სასამართლომ დაადგინა, რომ შსს-ის ოთხი თანამდებობის პირის მიერ გირგვლიანის მკვლელობა არასათანადოდ იქნა გამოძიებული და რომ არ არსებობს სათანადო მონდომება იმისა, რომ გამოძიებული იყოს და დაისაჯოს სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ ინსპირირებული სისხლისსამართლებრივი ქმედება. სასამართლო შეძრა ,,სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ერთობლივმა ქმედებებმა, რომლებიც მიმართული იყო მკვლელობის [ამ] შემაძრწუნებელ საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის შეშლისკენ": კერძოდ,

- შს სამინისტროს ქმედებებმა გამოძიების საწყის ეტაპზე;
- პროკურატურის გულგრილობამ გამოძიებისადმი;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გადაწყვეტილებამ, ბრალდებულთა ერთ საკანში მოთავსებაზე;
- ეროვნული სასამართლოების მიერ სასამართლო პროცესის არასათანადოდ ჩატარებამ და მსჯავრდებულთა ნაადრევმა გათავისუფლებამ;
- საქართველოს პრეზიდენტის არაგონივრულმა თანაგრძნობამ მსჯავრდებულთა მიმართ.

დაუსჯელობის სინდრომი

პროკურატურის მხრიდან პოლიციელთა დანაშაულებრივ ქმედებებზე ზერელე დამოკიდებულების შესახებ არაერთი მაგალითი მოყავს სახალხო დამცველს თავის ანგარიშებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში, ამგვარი ფაქტები კვალიფიცირდება არა როგორც წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებრივ ქმედებებად, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად ან ცემად. ამგვარი საქმეების გამოძიება თითქმის ყოველთვის ფორმალური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მთავრდება საქმის შეწყვეტით ან წლების განმავლობაში გამოძიების გაჭიანურებით. რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ამგვარ საქმეებზე გამოძიება წყდება თავად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით.

2010 წლის 21 სექტემბერს გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში, რომელიც ასახავს კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში პოზიტიურად არის შეფასებული საქართველოს ხელისუფლების მიერ პოლიციაში არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით ბოლო პერიოდში გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, აღნიშნულია, რომ ცალკეული განცხადებებისა და საჩივრების არსებობა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ყურადღება ამ მიმართულებით.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-14 ზოგად ანგარიშში მითითებულია, რომ გამოძიება უნდა იყოს ძალზე დეტალური და ვრცელი, უნდა ჩატარდეს სწრაფად და მის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი აღნიშნულ მოვლენებში ჩართულ პირებთან, თუმცა ხშირ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს, რაც ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების ეფექტურობას.

საზოგადოების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს სწორედ ის გარემოება, რომ 2007 წლის ნოემბერში, 2009 წლის გაზაფხულზე, 2011 წლის მაისში ოპოზიციური საპროტესტო გამოსვლების დროს, ძალადობის და პოლიციის მიერ ძალის გადამეტების შემთხვევები არ იყო სწრაფად და დროულად გამოძიებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ან საერთოდ არ იწყება გამოძიება, ან არ ხდება კონკრეტული პირების პასუხისმგებაში მიცემა, რაც თავისთავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების უგულებელყოფაა. უგულებელყოფაა ასევე საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნებისა, რომელთა მიხედვით იკრძალება უკანონო დაკავება. პოლიციელთა მხრიდან მოქალაქეების დაკავების რიცხვი ყოველ წელს მატულობს და, რაც უფრო საგანგაშოა, უმრავლეს შემთხვევაში სწორედ მათი მხრიდან ხდება დანაშაულის პროვოცირება, იარაღისა თუ ნარკოტიკული საშუალებების ჩადება, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ჩხრეკა-ამოღება და, რაც კვლავ უფრო აღმაშფოთებელია, სწორედ იგივე პოლიციელების მიერ მიცემულ ჩვენებებზე

ჯორჯ ჟან ნათანი (1882-1958)
ამერიკელი კრიტიკოსი და გამომცემელი

„ცუდ სახელმწიფო მოხელეებს ის კარგი მოქალაქეები ირჩევენ, რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში"



რალფ ნადერი (1934)
ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე

„ყოველდღიურად დემოკრატია ვერ იძნება მოქალაქეობის ყოველდღიური განცდის გარეშე“

დაყრდნობით სასამართლოს მიერ უკანონოდ დაპატიმრებული პირების მსჯავრდება.

პოლიციელები ცდილობენ გაამართლონ საკუთარი საქციელი, ბევრი მათგანი ვერც აცნობიერებს, რომ თვითონ სისტემატურად არღვევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და ჩადის მძიმე დანაშაულებს, რაც გამოიხატება ადამიანის წამებასა და არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1], 144[2] და 144[3] მუხლები), თუმცა, ამისათვის ხელისუფლებისაგან სასჯელის ნაცვლად წახალისებას იღებენ. ძალიან გახმაურებულ შემთხვევებში ზოგჯერ ადმინისტრაცია იძულებულია თავისი რომელიმე ყველაზე ოდიოზური თანამშრომელი სამსახურიდანაც გაათავისუფლოს, მაგრამ სიტუაციის ჩაწყნარების შემდეგ ხშირად მას ისევ ნიშნავს სხვა დაწესებეულებაში იმავე ან უფრო მაღალ თანამდებობაზე. ამიტომ ჯალათებად ქცეული თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველდღიურად ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხი არასოდეს მოეკითხებათ.

პოლიციის დეპოლიტიზაციის აუცილებლობა

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავი, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობა ანუ სამართალწარმოება საქართველოში, უკანასკნელ წლებში სადამსჯელო იარაღად გადაიქცა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში.

შსს - პოლიტიზირებული და ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სანდო დასაყრდენი დაწესებულებაა, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება ცდილობს მორჩილებაში იყოლიოს საზოგადოება, ბიზნესი, მედია და თვით სხვა სახელმწიფო სტრუქტურები.

შსს-ში კონცენტრირებულია სპეციალური გასამხედროებული ქვედანაყოფები, უშიშროების, საგანგებო სიტუაციების, საზღვრის დაცვის და უამრავი სხვა სამსახურები. შექმნილია თავისებური „მონსტრი“, რომელიც მკაცრად ვერტიკალურ მმართველობაზეა დაფუძნებული.

განსაკუთრებული შეშფოთების საგანია მმართველ გუნდზე მათი დაქვემდებარება და შესაბამისად, პოლიტიზირების მაღალი დონე საქართველოს კონსტიტუციის 26-ე, „პოლიციის შესახებ კანონის„ მე-4 და პოლიციის ეთიკის 3.16 მუხლის მოთხოვნების მიუხედავად.

სამინისტროს თანამშრომლების მიმართ აგრესიული აგიტაციისა და პარალელურად მატერიალური დაინტერესების პოლიტიკის წყალობით შექმნილია ხელისუფლების პოლიტიკისადმი უსიტყვოდ მორჩილი და თვით დანაშაულებრივი ბრძანებების შემსრულებელი ძალა.

ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, დამამცირებელი და პატივისა და ღირსების შემლახავი დამოკიდებულება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მასობრივი დარღვევა, ძალის არაპროპორციული გამოყენება, მუშაობის აბსოლუტურად გაუმჭვირვალე სტილი სამინისტროს მუშაობის ძირითადი მახასიათებლებია.

2012 წლის თებერვალში საქართველოში ვიზიტით მყოფი გაეროს სპეციალური მომხსენებელი მაინა კიაი თავის წინასწარ ანგარიშში აღნიშნავს, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციის მონაწილეებზე ხელისუფლების რეაქცია არაპროპორციული იყო და რომ არსებობს დამაჯერებელი დასაბუთება, რომ საპროტესტო აქციის დაშლის შემდეგაც ადგილი ჰქონდა ადამიანების ცემის ფაქტებს და რომ აქციის მონაწილეებს მისდევდნენ და უმოწყალოდ უსწორდებოდნენ. შესაბამისად, კიაი ითხოვს 26 მაისის აქციის დარბევის ხელახალ გამოძიებას. გამოძიება უნდა წარიმართოს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომელშიც ჩართულები იქნებიან როგორც მთავრობის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სპეციალური მომხსენებლის განმარტებით, ძალის აშკარა გადამეტებისთვის არსებობს ანგარიშვალდებულება და ამ ანგარიშვალდებულების გარეშე მთავრობის დაუსჯელობისა და მისდამი უკმაყოფილების განცდა გაბატონდება.

„ყოველივე ეს ბადებს ეჭვს, რომ მიზანი იყო არა საპროტესტო აქციის მონაწილეების დაშლა, არამედ მათი დასჯა და საზოგადოებაში შიშის დანერგვა“[29], - განაცხადა მაინა კიაიმ.

გადაუდებელ ამოცანად რჩება პოლიციის დეპოლიტიზაცია, დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა, ჩადენილ დანაშაულებათა ობიექტური გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

მარტინ ლუთერ კინგი (1929 - 1968)
“აშშ-ს აფრო-ამერიკული სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობის” ლიდერი, ნობელის პრემიის ლაურეატი

„მჩაგვრელი არასოდეს გიმოძღვრავს თავისუფლებას თავისი ნებით; იგი ჩაგრულის მიერ უნდა იყოს მოთხოვნილი“

„ნებისმიერ ადგილას უსამართლობა, ყველგან საფრთხეა სამართლიანობისთვის“

29 http://www.ohchr.org/EN/Issues/AssemblyAssociation/Pages/SR-FreedomAssemblyAssociationIndex.aspx

ალეკო ცქიტიშვილი

მედია და გამოხატვის თავისუფლება - ფაქტები და ტენდენციები

ქართული მედიის პრობლემებზე საუბრისას 2003 წელს ხშირად ერთგვარ წყალგამყოფად ახსენებენ. ერთმანეთს ადარებენ ქართული მედიის მდგომარეობას 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე და შემდგომ პერიოდში. ადგილობრივი თუ საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების ყოველწლიური ანგარიშების შეჯამებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული მედიის მდგომარეობა, განსაკუთრებით კი – თავისუფლების ხარისხი 2003 წლის შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა[30].

ეროვნული ტელევიზიები - აგიტაცია-პროპაგანდის მანქანა

განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ ტელევიზიების ობიექტურობისა და თავისუფლების დაბალი ხარისხი, რომელთა მაუწყებლობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. ვარდების რევოლუციამდე პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობა რამდენჯერმე შეეცადა იმ დროისთვის დამოუკიდებელი ტელევიზიის - „რუსთავი 2“-ის შეზღუდვას, მაგრამ ყოველ მცდელობას საზოგადოების მძაფრი პროტესტი ახლდა. ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ტელემაუწყებლობის ჩახშობის ერთ-ერთ ყველაზე უხეშ მცდელობას საზოგადოების ისეთი მძაფრი პროტესტი მოჰყვა, რომ ხელისუფლებამ განზრახვაზეც უარი თქვა და დემონსტრანტების მოთხოვნის შესაბამისად, მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძეც გადადგა მინისტრის თანამდებობიდან.

30 გამოყენებულია ვებ-პორტალის www.humanrights.ge -ის მასალები

შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, „რუსთავი 2“-ის კერძო მაუწყებლობით, ელექტრონულ მედიასივრცეში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იყო ბალანსი და პოლიტიკური პლურალიზმი.

ვარდების რევოლუციის შემდეგ „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეროსი კიწმარიშვილი ახალი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მხარდამჭერი გახდა. მან „რუსთავი 2“ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ გამოაცხადა, შემდეგ კი პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ გუნდში გადაინაცვლა. „რუსთავი 2“-მა კი რამდენჯერმე გამოიცვალა მმართველები, მაგრამ ზოგადად, 2003 წლიდან იგი კვლავ რჩება „ნაციონალური მოძრაობის” უშუალო ზეგავლენის ქვეშ. ამის კარგი მაგალითია შინაგან საქმეთა და თავდაცვის ექს-მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენის, ქიბარ ხალვაშის საქმიანობა „რუსთავი 2”-ის მმართველად. იგი ტელეკომპანიას მხოლოდ მას შემდეგ ჩამოაშორეს, როცა ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციაში გადავიდა. ხალვაშთან ერთად „რუსთავი 2“ დატოვეს ტელევიზიის ყველაზე აქტიურმა ჟურნალისტებმა - ნანა ლეჟავამ, თამარ რუხაძემ, თამარ ღვინიანიძემ, ნათია ლაზაშვილმა და სხვებმა. მათ გენერალური დირექტორის, ნიკა ტაბატაძის თანამდებობიდან გათავისუფლება გააპროტესტეს. „რუსთავი 2”-ის მართვა ახალმა ჯგუფმა – კომპანია „სარკემ” და მისმა ხელმძღვანელმა, კობა დავარაშვილმა გადაიბარა. ახალმა მმართველმა ხელისუფლების მხარდამჭერი პროპაგანდისტული პოლიტიკა ახალი ენთუზიაზმით გააგრძელა.

სახელმწიფო ტელევიზიის - პირველი არხის დამოუკიდებლობის საკითხი ბოლო ოცწლეულის განმავლობაში არაერთხელ დადგა დღის წესრიგში. პირველი არხის

ტენდენციურობას და ხელისუფლებისადმი ღია მხარდაჭერის პოლიტიკას საზოგადოება და ოპოზიცია ჯერ კვლავ საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წლებში და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში აპროტესტებდა. სახელმწიფო ტელევიზიის წინ არაერთი მღელვარე საპროტესტო აქცია მოეწყო პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც, როცა I არხი საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების პროპაგანდისტულ საინფორმაციო მანქანად - ფაქტობრივად, ისეთივე სახით, როგორითაც არსებობდა საბჭოთა პერიოდში. ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელად დაინიშნა პროსახელისუფლებო არასამთავრობო ორგანიზაციის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თამარ კინწურაშვილი. ამ დროს გამოცხადდა სახელმწიფო ტელევიზიის მორიგი რეფორმა, რომლის თანახმად, ეს ტელევიზია საზოგადოების მიერ კონტროლირებად „საზოგადოებრივ მაუწყებლად” უნდა ქცეულიყო. ამ გზით, გამართლებული იქნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოქალაქეთა გადასახადებით მისი დაფინანსების პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ არხს „საზოგადოებრივი მაუწყებელი” ეწოდა, რეალურად ამ ფუნქციის განხორციელებას დღემდე ვერ ახერხებს. ტელევიზიის მიკერძოებული საინფორმაციო პოლიტიკა განსაკუთრებით აშკარა ხდება მასშტაბური საპროტესტო აქციების დროს (2007 წ. 7 ნოემბერი, 2009 წ. ზაფხულის აქციები), რის გამოც ოპოზიცია მუდმივად მოითხოვს ტელევიზიის ხელმძღვანელობის დათხოვნას და ობიექტურ მაუწყებლობას. წინა წლებში საპროტესტო აქციების შედეგად, ჯერ თამარ კინწურაშვილი, შემდეგ კი მომდევნო დირექტორი - ლევან ყუბანეიშვილი გადადგა ტელევიზიის დირექტორის თანამდებობიდან. თუმცა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვების – „მოამბეს“ დღევანდელი სიუჟეტებიდან ჩანს, საზოგადოებრივ მაუწყებელს დღესაც არ გააჩნია დამოუკიდებელი საინფორმაციო პოლიტიკა. „მოამბე“ ემსახურება არა ქართული საზოგადოების, არამედ საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს, რაც ამ ტელეარხისთვის ჯერ კვლავ საბჭოთა პერიოდიდან იყო დამახასიათებელი. მრავალჯერ გამოცხადებული სატელევიზიო რეფორმის, ტელევიზიის ხელმძღვანელი ჯგუფის არაერთგზის შეცვლის, ეთიკის კოდექსისა და სხვა მარეგულირებელი აქტების ამოქმედების მიუხედავად, „პირველი არხი“ მაინც ვერ ჩამოყალიბდა ისეთ საზოგადოებრივ მაუწყებლად, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იქნებოდა საზოგადოების ინტერესების დამცველი და არა ხელისუფლების რუპორი. ამ პრობლემების გადაჭრა

ვენდელ უილკი (1892 - 1944)
ამერიკელი იურისტი

„პრესის თავისუფლება ნებისმიერი სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის საფუძველია"

საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებულმა სამეთვალყურეო საბჭომაც ვერ მოახერხა, რადგან სამოქალაქო საზოგადოებას ამ საბჭოზე რეალური გავლენა არა აქვს.

დამოუკიდებელი მედიის დამორჩილების მეთოდები

ვარდების რევოლუციის შემდეგ პირდაპირ გამოიკვეთა ხელისუფლების მხრიდან დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ხელში ჩაგდების, მათზე გავლენის დამყარებისა და დახურვის მცდელობის ტენდენცია. ხელისუფლება ამ მიზანს სხვადასხვა მეთოდით ახორციელებს - დაწყებული ტელევიზიების დარბევით, შესყიდვით, გაკოტრების მცდელობით, გადაბირებით დამთავრებული. ამ თვალსაზრისით, ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა ოპოზიციური ტელეკომპანია „იბერია", რომლის დამფუძნებელი იყო ასლან აბაშიძის პოლიტიკური გუნდის, „აღორძინების" წევრი დეპუტატი ზაზა ოქუაშვილი. 2004 წლის დასაწყისში პროკურატურის გამომძიებლებმა ერთდროულად გაჩხრიკეს ოქუაშვილის ფირმის, „ომეგას" ცენტრალურ ოფისსა და მის საკუთრებაში არსებულ ყველა კერძო კომპანია, რომელთა შორის იყო პოლიგრაფიული ფირმა „ომეგა თეგი", ლიტერატურული ჟურნალი „ომეგა", ყოველკვირეული გაზეთი „ახალი ეპოქა" და ტელეკომპანია „იბერია". ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა „ომეგა ჯგუფის" ცენტრალური და რეგიონული ოფისების ბლოკირება დილიდანვე დაიწყეს, ჩაატარეს ჩხრეკა და დალუქეს ფირმის ყველა ოფისი. სპეცოპერაციის გამართლება მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა იმით სცადა, რომ „ომეგა" თავს არიდებდა გადასახადების გადახდას და ამ დანაშაულის გამოსავლენად საჭირო იყო სპეცოპერაცია. ცოტა ხნის შემდეგ ტელეკომპანია „იბერია", ასევე - გაზეთები „ომეგა" და „ახალი ეპოქა" დაიხურა.

იმავე პერიოდში, 2004 წლის 1 აპრილს ტელეკომპანია „მეცხრე არხის" სამეთავალყურეო საბჭომ მაუწყებლობის შეწყვეტა გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილების მიზეზები საზოგადოებისთვის წლების განმავლობაში უცნობი იყო. თუმცა, არავის უფიქრია, რომ „მეცხრე არხს" ფინანსური პრობლემები ჰქონდა, რადგან ტელეკომპანიის მეპატრონე მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი გახლდათ. ამავე დროს, „მეცხრე არხს" სწორედ იმ დროს ჰქონდა მოგებული ტენდერი, რომლის თანახმად, მაუწყებლობა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა დაეწყო. „მეცხრე არხის" დახურვიდან 6 წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი იყო მისი შეცდომა, რადგან იმ პერიოდში იგი მხარს უჭერდა ახალი ხელისუფლების კურსს და თვლიდა, რომ „მეცხრე არხის" მაუწყებლობა ქვეყნისთვის საჭირო აღარ იყო.

ხელისუფლებამ შედარებით ადვილად მოახერხა 35-ე დეციმეტრული სიხშირის გადაცემა ტელეკომპანია „ალანიისათვის". 35-ე დეციმეტრული სიხშირის მფლობელებმა - „ობიექტივის" ჟურნალისტებმა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიისგან და სამართალდამცველი უწყებებისგან არაერთხელ მოითხოვეს „ალანიასთვის" სიხშირის გადაცემის ისტორიის შესწავლა. ტელეკომპანია „ობიექტივი" 2001 წელს შეიქმნა, №499-ე ლიცენზია მოიპოვა და 35-ე არხზე დაიწყო მაუწყებლობა. ეთერში ძირითადად მხატვრულ ფილმებს უშვებდა. სტუდია „მონიტორის" გამოძიების მიხედვით, „ობიექტივის" 100% მეწილე ქეთევან ასათიანი იყო, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს. მისი წარმომადგენელი საქართველოში და ტელევიზიის ტექნიკური დირექტორი მიშა აგლაძე ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წელს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაიბარეს და, როგორც თავად აცხადებს, უთხრეს - შეიძლება პრობლემები შეგექმნას და ლიცენზია გაგიუქმოთო. ამ დღიდან მოყოლებული, სხვადასხვა მაქინაციით ხელისუფლებამ საბოლოოდ მოახერხა 35-ე დეციმეტრული სიხშირის გადაცემა კონტროლირებად ჯგუფზე. „ობიექტივის" ხელმძღვანელის, ირმა ინაშვილის განაცხადებით, მას აქვს დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს „ალანიას" უკანონო გასხვისებას ნოდარ ჭარხალაშვილზე - ხელისუფლებასთან დაახლოებულ პიროვნებაზე. სტუდია „მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, ტელეკომპანია „ალანია" 2005 წლიდან მაუწყებლობდა ეთერში, ოღონდ ისე, რომ მას, როგორც ტელეკომპანიას,

არც ორგანიზაციული ფორმა ჰქონია და არც მაუწყებლობის ლიცენზია. „ალანია", როგორც შპს, დაფუძნდა 2007 წლის ივლისში, ხოლო მაუწყებლობის უფლება მოიპოვა 2008 წლის 16 მაისს, ანუ მაუწყებლობის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ. „ალანიას" ეთერში გაშვებიდან ორი წლის შემდეგ, 2007 წლის 14 დეკემბერს ვებ-პორტალის humanrights.ge -ის ჟურნალისტს ეკა ქევანიშვილს მარეგულირებელი კომისიის მაშინდელ თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილზე პასუხად კითხვაზე, თუ რომელ სიხშირეზე გადიოდა ტელეკომპანია „ალანია", კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ „კომისიისათვის უცნობია ამგვარი ტელეკომპანიის არსებობა". არადა, ამ განცხადებამდე თვითონ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი საღამოობით უყურებს „ალანიას", გაზეთებში კი ამ ტელევიზიის პროგრამები სისტემატიურად იბეჭდებოდა.

მედიის წინააღმდეგ ხელისუფლების კამპანიის უხეშ მეთოდებს ყველაზე უკეთ ასახავს 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის" დარბევისა და შემდეგ მისი ხელში ჩაგდების ისტორია. ამ დღეს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საბაბით, ხელისუფლებამ თბილისში ძალადობრივი გზით დაშალა მშვიდობიანი მანიფესტაცია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და აკრძალა კერძო ტელევიზიების მაუწყებლობა. თუმცა, ვიდრე ეს ბრძანებულება შესაბამისი ნორმების დაცვით ამოქმედდებოდა, შსს-ს სპეცრაზმმა იერიში მიიტანა ოპოზიციის ლიდერის, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მფლობელობაში მყოფ ტელეკომპანია „იმედზე". შეიარაღებული სპეცრაზმელები ძალადობრივი გზით შეიჭრნენ „იმედის" ტერიტორიაზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ტელევიზიის თანამშრომლებს, ჟურნალისტებს და გათიშეს პირდაპირი ეთერი, სადაც მიმდინარე პროცესები გადაიცემოდა.

2008 წ. 12 თებერვალს ლონდონში მოულოდნელად გარდაიცვალა „იმედის" მესაკუთრე, ბადრი პატარკაციშვილი, რის შემდეგაც „იმედი" სადავო გარემოებებში გადავიდა მისი ყოფილი პარტნიორის, ჯოზეფ ქეის საკუთრებაში. დაიწყო ხანგრძლივი დავა ჯოზეფ ქეისა და ბადრი ბატარკაციშვილის ოჯახს შორის „იმედთან" დაკავშირებით. გამოიკვეთა, რომ ქეიმ „იმედი", ფაქტობრივად, გადასცა ხელისუფლებას, რის შემდეგაც შეიცვალნენ ტელეკომპანიის დამფუძნებლები და მმართველი გუნდი. „იმედის" გენერალურ დირექტორად დაინიშნა „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი გენერალური მდივანი და ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, გიორგი არველაძე, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჟურნალისტთა კორპუსი და „იმედი" ხელისუფლების რიგით პროპაგანდისტულ არხად აქცია. არველაძის „შემოქმედებით ჯგუფს" უკავშირდება ყველაზე ბოროტი ექსპერიმენტი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში - „მოდელირებული ქრონიკა", რომელიც 2010 წლის 13 მარტს გავიდა „იმედის" ეთერში. მაყურებელს აცნობეს, რომ რუსეთთან ომი განახლდა. ეთერში გავიდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ამსახველი კადრები, რომლებსაც არ ჰქონდა გამაფრთხილებელი მინაწერი, რომ ისინი არქივიდან იყო ამოღებული. ამ გადაცემამ საზოგადოებაში არნახული პანიკა გამოიწვია. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით - კონფლიქტის ზონაში ხალხმა სახლები დატოვა, ნაწილი ტყეში გაიხიზნა, დაფიქსირდა ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და სასწრაფო დახმარების გამოძახების ფაქტები.

„მოდელირებული ქრონიკა" და ზოგადად „იმედის" საინფორმაციო პოლიტიკა ნათლად აჩვენებს, როგორი დეგრადაცია შეიძლება განიცადოს ტელევიზიამ, როცა იგი ადამიანებზე მანიპულირების საშუალებად არის გამოყენებული. სამწუხაროდ, მსგავსი მანიპულირების დაღი აზის ინფორმაციის მთავარი მიმწოდებლების - „პირველი არხისა" და „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო პოლიტიკას.

დამოუკიდებელ მედიაზე ხელისუფლების აგრესიულ იერიშს შეეწირა კვლავ ერთი ტელეკომპანია - „მზე". 2006 წელს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-მა „მზის" აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და ახალი ქართული მედიაჰოლდინგი შეიქმნა. „მზეს" ფორმატი შეუცვალეს, საინფორმაციო სამსახურიც გააუქმეს და პოლიტიკური თოქ-შოუებიც. ტელეკომპანიიდან ბევრი პროფესიონალი ჟურნალისტი წავიდა. „მზე", სადაც განსხვავებული პოლიტიკური პოზიციები აქტიურად შუქდებოდა, ე. წ. შემეცნებით-გასართობ არხად გადაკეთდა.

წლების მანძილზე სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია მუდმივად სვამდა კითხვას: ვინ დგას ამ ტელეკომპანიების უკან? ვინ არიან მათი მფლობელები? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემას ხელს უშლიდა კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიის დამფუძნებელთა ვინაობა კონფიდენციალური იყო. ამ პრობლემაზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებსა და მიმართვებში. მაგალითად, 2009 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში „სატელევიზიო სივრცე საქართველოში - მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო გარემო“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამაუწყებლო სფეროს რეგულირების მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს მედიის მფლობელთა გამჭვირვალობას და კონკურენტუნარიანი, პლურალისტური სატელევიზიო ბაზრის შექმნას; 2010 წელს საერთაშორისო ჟურნალისტურმა ორგანიზაციამ - „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ სხვადასხვა ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხის კვლევა გამოაქვეყნა. დოკუმენტში საქართველოს შეფასების ინდექსმა, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, 18 პუნქტით ჩამოიწია. სიაში საქართველომ მეასე ადგილი დაიკავა.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის შედეგად საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის აპრილში მიიღო მედიაგამჭვირვალობის გაძლიერების საკანონმდებლო პაკეტი, რითაც, ერთი მხრივ, აკრძალა სამაუწყებლო ლიცენზიის ფლობა ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ პირთათვის და მეორე მხრივ, ყველა მაუწყებელს დაევალა, 2012 წლის 1 იანვრამდე შეავსოს შესაბამისობის დეკლარაცია, კერძოდ - სამაუწყებლო კომპანიებმა დამფუძნებლების და მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია საჯარო უნდა გახადონ. ფაქტობრივად, ეს კანონი არის ერთადერთი დადებითი მოვლენა ქართული მედიის უკანასკნელი წლების ისტორიაში. წლის ბოლოს გამოქვეყნებული „შესაბამისობის დეკლარაციებიდან” გაირკვა, რომ ტელეკომპანიებს პრეზიდენტთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან” დაახლოებული ბიზნესმენები ფლობენ.

ხელისუფლების პირდაპირი გავლენის შედეგად, საზოგადობრივი მაუწყებლის, რუსთავი 2-ისა და „იმედის” საინფორმაციო გადაცემების სიუჟეტები ერთი-ერთზე მეორდება, რითაც სრულიად უგულვებელყოფილია მედიაპლურალიზმი. ამას ადასტურებს „მედიის განვითარების ფონდის“ მედიამონიტორინგი, რომლის შედეგები 2011 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა.

მედიასთან ხელისუფლების დამოკიდებულების შემაშფოთებელი ფაქტები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება თავდაცვის სამინისტროსა და შსს-ს ფაქტობრივ დაქვემდებარებაში მყოფი ტელევიზიების - „საქართველოსა” და „რეალ ტვ”-ს მაუწყებლობაში. ტელეკომპანია „საქართველოს” არც საკუთარი გადაცემები აქვს და არც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი რაიმე ფუნქცია აკისრია. მის ეთერს ძირითადად მილიტარისტული განწყობის ჰოლივუდური ფილმები იკავებს. ამავე დროს, „საქართველო” იკავებს იმ სიხშირეს, რომელსაც ერთ დროს „ტელეკომპანია 202” იკავებდა. „202”-ს პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც მისი მფლობელები შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე დააპატიმრეს, ხოლო კვლავ ერთმა მფლობელმა, ვაჟა კილაძემ ტელევიზიის გაყიდვა გადაწყვიტა. რაც შეეხება „რეალ ტვ”-ს, მისი საინფორმაციო გადაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში შსს, ფაქტობრივად, პოლიტიკური პოლიციის ფუნქციას ასრულებს. „რეალ ტვ”-ს სიუჟეტები ძირითადად ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების გამიზნულ დისკრედიტაციას ეთმობა.

ტელევიზიებზე დაწესებული კონტროლის პირობებში ქართული საგამოძიებო ჟურნალისტიკა ხმას ვერ აწვდენს საზოგადოებას. ჟურნალისტურმა გამოძიებებმა ძირითადად ბეჭდურ მედიაში და ინტერნეტ-გამოცემების

გვერდებზე გადაინაცვლა. გამომძიებელმა ტელეჟურნალისტებმა კი დამოუკიდებელი სტუდიები შექმნეს და სხვადასხვა გრანტით

მოპოვებული სახსრებით, გაჭირვებით იღებენ ფილმებს. ნანა ლეჟავას სტუდიის - „ჯი ენ ესის" ფილმებს აჩვენებს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მაესტრო". სტუდია „მონიტორი", რომელსაც გამომძიებელი ჟურნალისტი ნინო ზურიაშვილი ხელმძღვანელობს, ფილმებს ძირითადად ათავსებს საკუთარ ინტერნეტ საიტზე www.monitori.ge და ასევე აწვდის დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს, რომელთა მაუწყებლობის არეალი მცირეა. კვლავ ერთი სტუდიის - „რეპორტიორის" დამფუძნებელი, გამომძიებელი ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე 2010 წლიდან შვეიცარიაში პოლიტიკური დევნილის სტატუსით ცხოვრობს. მისი ინფორმაციით, 2009 წელს კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან და უფლებადამცველ მანანა მებუკესთან ერთად ცხინვალში ვიზიტის შემდეგ მან მიიღო მნიშვნელოვანი მასალა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ამის შემდეგ მასზე ზეწოლა დაიწყო სახელისუფლებო ტელევიზიების ღია კამპანიით, რასაც მოჰყვა ქუჩაში დახვედრა და ხელისუფლების სახელით მკაცრი მუქარა.

ხელისუფლების გავლენას მედიაზე კვლავ უფრო აძლიერებს სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მედიამკვლევარების შეფასებით, საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის ნაკლებობით და ბაზრის მძლავრი კონცენტრაციით ხასიათდება. ამავე დროს, იგი მონოპოლიზებულია. სარეკლამო ბაზრის მონოპოლისტი „ჯენერალ მედია" მხოლოდ იმ ტელეარხებთან თანამშრომლობს, რომლებიც ხელისუფლების მომხრეებად ითვლებიან: „რუსთავი 2"-თან, „იმედთან", „მზესთან" და „საზოგადოებრივ მაუწყებელთან". ხოლო ე.წ. პროოპოზიციურ არხებთან არ თანამშრომლობს. შესაბამისად, კრიტიკული პოზიციის მქონე ტელეარხებს მცირე სარეკლამო შემოსავლები აქვთ.

სარეკლამო ბაზარზე მსგავსი პრობლემები შეინიშნება ბეჭდურ მედიაში. რეკლამის პოტენციური დამკვეთები კრიტიკული პოზიციების მქონე ჟურნალ-გაზეთებთან არ თანამშრომლობენ, მაშინ, როცა ხელისუფლებასთან დაახლოებულ გამოცემებში უჩვეულოდ ბევრი რეკლამაა. ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ჟურნალი „ტაბულა", რომელსაც უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩერგოლეიშვილი რედაქტორობს. „ტაბულა" რეკლამის სიუხვით გამოირჩევა. მსგავსი ფორმატის, მაგრამ დამოუკიდებელ გამოცემა „ლიბერალში" კი რეკლამები, პრაქტიკულად, არ არის, რასაც მისი მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი

ფრანკლინ რუზველტი (1882 - 1945) აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი 1933-1945 წლებში

„არასოდეს დავივიწყოთ, რომ მთავრობა ჩვენ ვართ და არა ჩვენს ზემოთ მყოფი რაიმე უცხო ძალა. ჩვენი დემოკრატიის მმართველები უმთავრესად არა პრეზიდენტები, სენატორები, კონგრესმენები და მთავრობის მოხელეები არიან, არამედ - ამ ქვეყნის ამომრჩევლები"

„დემოკრატია იქამდე ვერ მიიღწევა, ვიდრე ის, ვინც არჩევანს აკეთებს, მზად არ იქნება აირჩიოს ჭკვიანურად. შესაბამისად, დემოკრატიის ნამდვილი გარანტია განათლებაა"

რეკლამის პოტენციურ დამკვეთებზე პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლით ხსნის. მათ ხელისუფლება აიძულებს, არ განათავსონ რეკლამა დამოუკიდებელ გამოცემაში.

დამოუკიდებელ მედიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია მედიამფლობელების შეცვლა „საკუთარი ხალხით", როგორც ეს მოხდა ინტერნეტ ტელევიზიის – www.itv.ge-სა და ინტერნეტ-გაზეთ www.presa.ge-ს შემთხვევაში. „presa.ge" 2007 წელს შეიქმნა და ერთი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად მუშაობდა. 2008 წელს კი „კავკასუს ონლაინის" დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის მამია სანადირაძის წინადადებით „ინტერნეტ მედია ჯგუფში" გაერთიანდა. 2010 წელს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა ჯერ „კავკასუს ონლაინის" საკონტროლო პაკეტი ჩაიგდეს ხელში, შემდეგ კი კომპანიის ხელმძღვანელობაც შეცვალეს. ეს ცვლილება „ინტერნეტ მედია ჯგუფსაც შეეხო" - „კავკასუს ონლაინის" ახალმა გენერალურმა დირექტორმა „მედია ჯგუფის" ხელმძღვანელად დანიშნა „რეალ ტივის" გადაცემის წამყვანი და პროსახელისუფლებო ინტერნეტ-გაზეთ www.droni.ge-ს დამფუძნებელი გიორგი კაპანაძე. ანალოგიური ცვლილება მოხდა www.itv.ge-ზეც. დღესდღეობით www.itv.ge და www.presa. ge-ს რედაქციები ზუსტად ისეთივე საინფორმაციო პოლიტიკას აწარმოებენ, როგორსაც რეალ.ტვ www.rtv.ge და www.droni.ge გამოირჩევიან ოპოზიციური აზრისადმი აგრესიული, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით.

სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ ხელისუფლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასაც არ ერიდება. ამის მაგალითია 2011 წლის შემოდგომაზე ქ. თბილისის მერიის მიერ ვითომდა „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით" გამოცხადებული ინტერნეტ-აუქციონი. მერიამ დედაქალაქის მასშტაბით მცირე ფართის სავაჭრო ჯიხურების იჯარით აღება შესთავაზა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ვინც აუქციონზე უფრო მეტ საიჯარო თანხის გადახდას ივალდებულებდა. შედეგად, აუქციონში გაიმარჯვეს საკვები პროდუქტების მწარმოებელმა ფირმებმა, რომლებმაც ზოგ ადგილზე მედიისთვის კოლოსალური საიჯარო თანხის გადახდა იკისრეს. პრესის გამავრცელებელი ჯიხურები კი სასწრაფო წესით აიღეს ქალაქიდან. შედეგად, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება შეფერხდა, იკლო გამოცემების ტირაჟებმა და შემოსავლებმა. დამოუკიდებელი პრესის ასოციაციის განცხადებით, მერიის პროექტს, „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა", სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნასთან. იგი მიმართულია ბეჭდური მედიის გავრცელების არსებული სისტემის ნგრევისკენ და რეალურ საფრთხეს უქმნის თავისუფალ სიტყვას.

არანაკლებ შემაშფოთებელი ფაქტია 2011 წელს მედია ჰოლდინგ „მედიაპალიტრის" წინააღმდეგ საშემოსავლო სამსახურის გამოყენება. სამოქალაქო საზოგადოება აღაშფოთა ე. წ. არაგეგმიურმა შემოწმებამ, რომელიც საშემოსავლო სამსახურმა 7 ივნისს მოულოდნელად დაიწყო და ერთდროულად მედიაჰოლდინგის 6 ობიექტი დალუქა. სამოქალაქო საზოგადოების სოლიდარული პროტესტის შედეგად, რამდენიმე შპს-ს ლუქი ახსნეს, თუმცა, ობიექტები დიდხანს მაინც შეფერხებით მუშაობდნენ. შემოწმება შეეხო „მედიაპალიტრის" ყველა მედიასაშუალებას, მათ შორის - რადიო „პალიტრას", „პალიტრა tv"-ს და „ინტერპრესნიუსს", რომლებიც 2011 წლის 26 მაისს ოპერატიულად და ობიექტურად აშუქებდნენ შსს-ს სპეცრაზმის მიერ „სახალხო კრების" საპროტესტო აქციის დარბევას. იმ ღამით ამ მედიასაშუალებების ჟურნალისტები ადგილზე იმყოფებოდნენ და საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად აგროვებდნენ ინფორმაციას საზოგადოებისთვის. სავარაუდოდ, სწორედ მათ ასეთ თავდადებულ საქმიანობას მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან მძაფრი რეაქცია.

26 მაისის აქციის დარბევა და ფოტორეპორტიორების საქმე

ჟურნალისტების მხრიდან 26 მაისის აქციის გაშუქებას უკავშირდება 2011 წლის ყველაზე გახმაურებული თავდასხმა მედიაზე - ფოტორეპორტიორების დაპატიმრება. 2011 წლის 7 ივლისს, გამთენიისას ერთდროულად დააკავეს ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი ფოტოკორესპონდენტები: „ასოშეიტედ პრესის" ფოტორეპორტიორი

შახ აივაზოვი, ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ქურციკიძე, საქართველოს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე, მისი მეუღლე, ასევე ფოტოგრაფი ნათია გედენიძე და გაზეთ "ალიას" ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე, რომელიც კონტრაქტით საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობდა. მათ ბრალად ჯაშუშობა წაუყენეს და საქმის გამოძიება გრიფით "საიდუმლო" დაიწყეს. აშშ-ს საელჩოს დაინტერესების შედეგად, შახ აივაზოვი პირველივე დღესვე გაათავისუფლეს და აღნიშნეს, რომ მასთან პრეტენზიები არ ჰქონდათ და მხოლოდ მოწმის სახით დაკითხეს. შემაშფოთებელია, რომ შსს "მოწმის სახით დაკითხვას" უწოდებს შუაღამისას კორესპონდენტის იძულებით, გაურკვეველი მიმართულებით სახლიდან გაყვანას და რამდენიმე საათით გაუჩინარებას. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მძაფრი პროტესტის, საერთაშორისო ორგანიზაციების მწვავე განცხადებების შემდეგ შსს იძულებული გახდა გამოექვეყნებინა ზოგიერთი მასალა, საიდანაც კვლავ უფრო გაუგებარი გახდა შსს-ს არგუმენტები და გასაგები გახდა ფოტორეპორტიორების დაკავების რეალური მიზეზები. ძირითადად, შსს დაკავებულთა ე. წ. აღიარებით ვიდეოჩვენებებს დაეყრდნო, რომლებიც ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოიპოვა და გაავრცელა. საბოლოოდ, ფოტორეპორტიორები - ირაკლი გედენიძე, გიორგი აბდალაძე და ზურაბ ქურციკიძე ორი კვირის შემდეგ - 22 ივლისს სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს ე. წ. საპროცესო გარიგებით, ისე, რომ მათთვის ბრალდება არ მოუხსნიათ და მეტიც - "ჯაშუშობისთვის" 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, სასჯელის პირობით მოხდით. 1,5 წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ნათია გედენიძესაც, რომელიც ფაქტობრივად მძევლის სახით იყო დატყვევებული და ზუსტად იმ დღეს გათავისუფლდა, როცა მისმა მეუღლემ, ირაკლი გედენიძემ პირველმა მისცა ე. წ. აღიარებითი ჩვენება.

ფოტორეპორტიორების დაპატიმრება რეალურად წარმოადგენდა ხელისუფლების მხრიდან შურისძიებას მათ მიერ 2011 წლის 26 მაისს, დემონსტრაციის დარბევისას გადაღებული ყველაზე მწვავე კადრების გამო. ეს მამხილებელი კადრები ოპერატიულად გაავრცელეს ყველაზე გავლენიანმა საერთაშორისო ფოტოსააგენტოებმა. ხელისუფლების მაღალჩინოსნების განსაკუთრებული აგრესია გამოიწვია პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფის, ირაკლი გედენიძის მიერ გავრცელებულმა კადრებმა, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა. გედენიძე საერთაშორისო ფოტოსააგენტოებთან 26 მაისამდეც თანამშრომლობდა, მაგრამ 26 მაისს დემონსტრაციის დარბევის კადრების გავრცელება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

2011 წლის 26 მაისს პარლამენტის შენობის წინ „სახალხო კრების" საპროტესტო აქციის დარბევისას სულ 18 ჟურნალისტი დაზარალდა. სპეცრაზმელებმა კორესპონდენტები მომიტინგეებთან ერთად ალყაში მოაქციეს და ხელკეტებით ცემეს. ზოგიერთმა რეზინის ტყვიებით სხეულის მრავლობითი დაზიანებები მიიღო. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტმა დარეჯან პაატაშვილმა სპეცრაზმის წევრებს პრესის წარმომადგენლის დამადასტურებელი მოწმობა აჩვენა, რის შემდეგაც ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა მოწმობა ყელიდან ჩამოგლიჯა, მეორემ კი ყელში ხელი წაუჭირა; ცემეს საინფორმაციო სააგენტო „პირველის" ორი ჟურნალისტი - თელარა გელანტია და ხათუნა გაგნიძე. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტს ზაირა მიქატაძეს. ცემეს „ნეტგაზეთის" ჟურნალისტი თამაზ კუპრეიშვილიც, რომელსაც ვიდეოკამერაც წაართვეს. ვიდეოკამერა დაუმტვრიეს „პალიტრა TV"-ს ოპერატორს ავთანდილ სურმავას. სააგენტო „ინტერპრესნიუსის" კვლავ ერთი კორესპონდენტი მალხაზ ჭკადუა ცემეს, საბუთები წაართვეს, რის შემდეგაც დააკავეს და დიღმის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ჟურნალისტი საათნახევრის განმავლობაში დაკავებული იყო და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასევე დააკავეს საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსის" ორი კორესპონდენტი: ანა გაბუნია და თენგო ოკუჯავა. ოკუჯავა მალევე, ანა გაბუნია კი მხოლოდ დილით გაათავისუფლეს. აქციის დაშლის შედეგად დაშავდნენ გაზეთ „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტები: ბექა სივსივაძე და გიორგი მამაცაშვილი. ბექა სივსივაძეს რეზინის ტყვიებით

სხეულის მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული. ცრემლსადენი გაზით მოიწამლა „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი ნინო კახიშვილი, რომელსაც სამედიცინო დახმარება სასწრაფო დახმარების მანქანაში გაუწიეს, რის შემდეგაც პოლიციაში გადაიყვანეს, სადაც დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ამყოფეს. „ნეტგაზეთის“ კვლავ ერთ ჟურნალისტს, ნესტან ცეცხლაძეს ვიდეოკამერა წაართვეს. ჟურნალისტმა კოტე სტალინსკიმ კი სხეულის დაზიანებები მიიღო. სპეცრაზმელებმა წიხლებით ცემეს და ფოტოკამერა წაართვეს გაზეთ „გურია ნიუსის” ჟურნალისტს ნატო გოგელიას. პოლიციის თანამშრომელი ჯორჯაძის ქუჩაზე ფიზიკურად გაუსწორდა და პროფესიული მოვალეობის შესრულების საშუალება არ მისცა მედია.გე-ს რედაქტორს დავით მჭედლიძეს. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტს დიანა ხოფერიას, რომელსაც თავზე რამდენიმე ნაკერის დადება დასჭირდა.

მას შემდეგ, რაც 26 მაისს დაზარალებული ჟურნალისტების ნაწილმა სარჩელით სასამართლოს მიმართა, შსს-მ ნაწილობრივ აღიარა 26 მაისს ჟურნალისტებისთვის ზიანის მიყენების ფაქტები და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იკისრა. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე შსს-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი აღიარებენ სარჩელს ჟურნალისტებისთვის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ნაწილში.

საპროტესტო აქციებზე პოლიციის მხრიდან ჟურნალისტებისათვის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას და დაკავებას სისტემატიური ხასიათი აქვს. 13 ჟურნალისტი დაზარალდა 2009 წლის 15 ივნისს თბილისის პოლიციის სამმართველოსთან ოპოზიციის საპროტესტო აქციის უმოწყალო დარბევისას. ძალოვნები მიზანმიმართულად დევნიდნენ მედიის წარმომადგენლებს და განსაკუთრებული სისასტიკით „ნადირობდნენ“ მათზე, რათა არ დარჩენილიყო დარბევის ამსახველი კადრები თუ ფოტომასალა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ შსს-ს მიერ მოგვიანებით დაბრუნებული ფოტო და ვიდეო კამერებიდან დარბევის ამსახველი კადრები წაშლილი იყო. რამდენიმე ფოტორეპორტიორი და ოპერატორი მცირე ხნით დააკავეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიადგილემ ეკა ზღულაძემ იმ დღესვე სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიული მოვალეობის შესრულებაში და შსს-ს სახელით ბოდიში მოიხადა.

გარდა ამისა, ბოლო წლებში ჟურნალისტებზე პირდაპირი ზეწოლის, ძალადობის და შანტაჟის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთა გამოძიებაც არ მომხდარა.

დასკვნა

2012 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. წინა წლების გამოცდილებისა და ჩვენს მიერ განხილული ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკური ბატალიების გამძაფრებასთან ერთად, მოსალოდნელია ხელისუფლების მხრიდან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები. განსაკუთრებული სამიზნე იქნება ის ტელევიზიები, სადაც ოპოზიციური აზრი არ იბლოკება. საარჩევნო ბრძოლისთვის ემზადება ქართული პოლიტიკის დებიუტანტი, ცნობილი მეცენატი ბიძინა ივანიშვილი. მისი მეუღლის განკარგულებაში მყოფ სატელევიზიო სიხშირეზე მალე „მე-9 არხი” განაახლებს მაუწყებლობას. შემაშფოთებელია, რომ 2012 წლის 9 თებერვალს ბათუმის პორტში საბაჟო კონტროლისას საეჭვო ვითარებაში დაზიანდა მოძრავი სატელევიზიო სატელიტური სადგური, რომელიც “მე-9 არხისთვის” იყო განკუთვნილი.

“სადგური შეგნებულად დააზიანეს, როცა ბათუმის პორტში 5 საათის განმავლობაში იყო დაკავებული, საბაჟო კონტროლის გავლის მიზნით. სატელევიზიო სატელიტური სადგურის მწყობრიდან გამოყვანა ხელისუფლების იმ ძალადობრივი პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც ის ქართული მედიის მიმართ ახორციელებს. შპს „იგრიკას“ კუთვნილი ტელეკომპანია “მე-9 არხის” 450 000 ევროდ ღირებული სატელევიზიო სატელიტური სადგური გამართულად მუშაობდა, როცა საქართველოში გამოგზავნამდე ლიტვურმა ტელესაკომუნიკაციო კომპანიამ და საერთაშორისო კომპანია SGS-მა ადგილზე დეტალურად შეამოწმეს. მოძრავი

სატელიტური სადგურის საბაჟო კონტროლის ზონიდან გამოყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქარხნის ლუქები ახსნილი იყო (ეს დასტურდება ვიდეომასალით). მოგვიანებით კი ექსპერტებმა დაადასტურეს ტვირთის დაზიანების ფაქტი," - ნათქვამია ივანიშვილის პრესსამდივნოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შემაშფოთებელ ტენდენციად უნდა შეფასდეს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების მაუწყებლობების შეწყვეტა საკაბელო კომპანია „გლობალ TV"-ს აბონენტებისათვის. 2012 წლის 15 მარტიდან ტელეკომპანია "იმედმა", 27 მარტიდან "რუსთავი 2"-მა, შემდეგ კი ხელისუფლების ქოლგის ქვეშ მყოფმა სხვა ტელეარხებმა სხვადასხვა მიზეზით „გლობალ TV"-ს სთხოვეს შეეწყვიტა მათი მაუწყებლობა. „გლობალ TV"-ის განვითარებისა და მარკეტინგის დირექტორის, ზურაბ ბაზლიძის ინფორმაციით, ნაციონალური არხების მხრიდან მაუწყებლობის შეწყვეტის თხოვნის ტენდენცია მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც 9 მარტს „გლობალ TV"-მ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას აცნობა, რომ ტელეკომპანია „მე-9 არხთან" მაუწყებლობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. „მე-9 არხის" მფლობელი ოპოზიციონერი მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის კუთვნილი კომპანია „აქცეპტია". „გლობალ TV" კი დღესდღეობით საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი საკაბელო ოპერატორია. მისი ქსელი თბილისსა და რეგიონებში ვრცელდება. კომპანიის მფლობელია ბიძინა ივანიშვილის ძმა, ალექსანდრე ივანიშვილი.

მსგავსი ინიციატივები აჩვენებს, რომ ხელისუფლება არ აპირებს კურსის შეცვლას და წინ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის კვლავ ბევრი მაგალითი გველის. იმედია, სამოქალაქო საზოგადოებას ეყოფა ძალა, წინ აღუდგეს დამოუკიდებელი მედიის დამორჩილების ნებისმიერ მცდელობას.

მედია ფაქტობრივად კვლავ რჩება ხელისუფლების სამიზნედ და მისი ზეწოლისაგან განთავისუფლება, განსაკუთრებით - ელექტრონულის, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია საგამოძიებო ჟურნალისტიკის წახალისება, ჟურნალისტებზე ზეწოლის შეწყვეტა და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა.

ჯილბერტ კ. ჩესტერტონი (1874 -1936) ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი

„არასოდეს არ არის საჭირო რევოლუცია დემოკრატიის დასამკვიდრებლად. დემოკრატიაა საჭირო იმისთვის, რომ მოხდეს რევოლუცია"

„ყველაზე დემოკრატიულ დოქტრინათა შორის პირველი გახლავთ ის, რომ ყოველი ადამიანი თავისთავად საინტერესოა"

ნინო ღვედაშვილი

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუცია შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების გარანტიას იძლევა, თუმცა, ბოლო წლებში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო ხელს არ უწყობს ამ უფლების განხორციელებას. 2007, 2009, 2011 წლებში მთავრობამ ძალადობრივად დაშალა არაერთი მშვიდობიანი დემონსტრაცია გადამეტებული ძალისა და უკანონო იარაღის გამოყენებით (მაგ: პლასტიკური ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და სხვ,), სერიოზულად დაშავდა ათობით მშვიდობიანი დემონსტრანტი, ჟურნალისტი თუ დამკვირვებელი. 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევას კი მსხვერპლიც მოჰყვა. ოფიციალური ინფორმაციით – 2, ხოლო არაოფიციალური ინფორმაციით 5 ადამიანია გარდაცვლილი აღნიშნული აქციის დაშლისას. აღნიშნულ ქმედებებზე პასუხი არავის უგია.

კანონმდებლობა

მშვიდობიანი შეკრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით და დამატებით რეგულირდება საქართველოს კანონით შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ. აღნიშნული კანონი 1997 წელს მიიღეს და მასში ცვლილებები რამდენიმეჯერ შევიდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები კი 2009 წელს განხორციელდა ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო ტალღისა და პოლიტიკური კრიზისის პასუხად. პარლამენტმა ისე დაუჭირა ცვლილებებს მხარი, რომ ევროპული კომისიის "დემოკრატია კანონის საშუალებით"(ვენეციის კომისია) აზრი არ გაითვალისწინა, თუმცა აიღო ვალდებულება, რომ კომისიის რეკომენდაციების მიხედვით კანონში მომავალში შეეტანა ცვლილებები.

2009 წლის ივლისში, პარლამენტმა დაჩქარებული ტემპით მიიღო ცვლილებები, რომლებიც ზღუდავს შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას. ამ ცვლილებების მიზანი იყო დემონსტრაციების საჯარო ორგანოების შენობების ტერიტორიისგან დაშორება. იგივე ცვლილებები იქნა წარმოდგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ ცვლილებებზე დაყრდნობით, შეკრებებისა და მანიფესტაციის კანონის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ჯარიმა და ადმინისტრაციული დაკავება 90 დღემდე. ამ ორი კანონის კომბინაციას უარყოფითი ეფექტი აქვს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაზე.

ცვლილებებიდან ჩანს, რომ მათი ავტორები მაისის საპროტესტო აქციებმა ააღელვა, რის შემდეგაც სახელდახელოდ მოიფიქრეს შეზღუდვები მომიტინგეებისთვის და მანიფესტანტებისთვის. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, ფართოვდება მანიფესტაციის გამართვის დროისა და ადგილის გადახედვის საფუძველი. 2011 წლის ცვლილებებით, ამ ჩამონათვალს ემატება ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვით, მანიფესტაციის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გადაიხედოს იმ შემთხვევაშიც, როცა იმავე ადგილზე სხვა ისეთი აქციის ჩატარებაა დაგეგმილი, რაზეც თვითმმართველობა უფრო ადრე იყო გაფრთხილებული. ამას გარდა, ადმინისტრაციული ორგანო, რომლის წინ იმართება აქცია, უფლებამოსილია დამოუკიდებლად დააწესოს შეზღუდვები. კერძოდ, ნებისმიერმა უწყებამ შეიძლება აკრძალოს მისი შენობიდან 20 მეტრის რადიუსში აქციის მოწყობა.

შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, შეტყობინების შეტანიდან 3 დღის ვადაში შეკრების ორგანიზატორებთან ერთად განიხილოს

ალტერნატიული ადგილის საკითხი. ალტერნატიული ადგილი შეიძლება განიხილონ, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის, საწარმოებისა და სხვადასხვა უწყების, ორგანიზაციისა და ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ალტერნატიული ადგილის საკითხი შეიძლება ასევე განიხილონ, თუ იმავე დროსა და ადგილას სხვა შეკრებაც არის დანიშნული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქამდე შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის რეგულირებაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანო იყო ჩართული, რაც საქართველოს დედაქალაქის შემთხვევაში, თბილისის მერიას გულისხმობს. ახალი კანონით კი ეს უფლებამოსილება თვითმმართველობაზე, კერძოდ კი საკრებულოზე გადადის. შესაბამისად, მანიფესტაციის გამართვის შესახებ შეტყობინება და შემდეგ მისი რეგულაცია უკვე არა მერიის, არამედ საკრებულოს პრეროგატივა ხდება.

აკრძალულია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცველი ორგანოები. ასევე, რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან და პორტებთან. ამას გარდა, აკრძალულია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესასვლელიდან 100 მეტრის რადიუსში. ამასთანავე, შემოდის ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვით, საერთოდ აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას ავტომაგისტრალების და რკინიგზის ბლოკირება.

საინტერესოა კვლავ ერთი ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს, შეკრებასა და მანიფესტაციებზე პასუხისმგებლობა, კვლავ ეკრძალებათ. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის ძველ რედაქციაში ნათქვამი იყო, რომ მანიფესტაციის პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება ყოფილიყვნენ მოქალაქეები, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 18 აპრილს გამოტანილი გადაწყვეტილებით, მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებით შეზღუდვა გააუქმა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებული პროექტის მიხედვით, კანონში შეზღუდვა და შესაბამისად, კანონის ძველი რედაქცია დაბრუნდა.

ამას გარდა, ცვლილებათა მეორე პაკეტი ძალაში შევიდა 2011 წლის ივლისში, 26 მაისის მოვლენებიდან დაახლოებით ერთ თვეში. ახალი რეგულაციით იკრძალება ალკოჰოლური სასმელების და პოტენციურად საშიში ნივთების აქციის ტერიტორიაზე შეტანა. ახალი ცვლილება ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კულტურული მნიშვნელობის მქონე მონუმენტების დაზიანების შემთხვევაში. ეს შეზღუდვები შეიძლება ჩაითვალოს გმირთა მემორიალის წინ ომის ვეტერანების საპროტესტო აქციისა და სახალხო კრების აქციების დროს შეფიცულების წევრთა ყოფნის საპასუხოდ მიღებულ ცვლილებებად.

ამასთანავე, კანონი ადგენს, რომ შესაბამისი ორგანო ვალდებულია, დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, ვინც ცხოვრობს, მუშაობს, ვაჭრობს და აქვს ბიზნესი იმ ადგილებში, სადაც შეკრება მიმდინარეობს.

თუ მანიფესტაცია არ შეწყდა, კანონში ცალსახად წერია, რომ „სამართალდამცავი ორგანოები შეკრების ან მანიფესტაციის მსვლელობის შესაწყვეტად და მის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს“. აქციის დაშლა იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ აქციის პასუხისმგებელმა პირებმა აქციის მონაწილეების მიერ დარღვევების აღმოფხვრა გაფრთხილებიდან 15 წუთში ვერ შეძლეს.

აღნიშნული გააკრიტიკა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში, მაინა კიაიმ, რომელიც საქართველოში 2012 წლის თებერვალში ოფიციალური ვიზიტით

იმყოფებოდა: „მე შეშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ 15 წუთიანი გაფრთხილების წესი შეკრების ძალისმიერი დაშლის შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისო სტანდარტებისაგან. დროის ასეთი მოკლე პერიოდი შეიძლება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შეუსაბამო ძალადობის საფუძველი გახდეს“.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის შესახებ ვკითხულობთ: „ქვეყანაში ამ საკანონმდებლო პროცესის კვლევამ აჩვენა, რომ შეკრების თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის ძირითადი მახასიათებელი არის მუდმივი ცვლილებები. ამ კუთხით მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ის, რომ ცვლილებათა დიდი ტალღა ემთხვევა ხოლმე განსაკუთრებით დიდ მოვლენებს და შესაძლოა იყოს სახელმწიფოს მხრიდან ამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების პასუხიც, რომლის მიზანია მომავალში მსგავსი სახის პროტესტის გამოხატვის პრევენცია.[31]”

შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის გარდა, აღნიშნულ უფლებაზე შეიძლება ასევე ზეგავლენა მოახდინოს სხვა კანონებმა, რომლებიც ირიბად არიან დაკავშირებულები ამ უფლების განხორციელებასთან. ასეთ კანონებს წარმოადგენენ „პოლიციის შესახებ კანონი“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონი.“ ზოგადად, აღნიშნული კანონები არ არიან პირდაპირ კავშირში შეკრებებთან, თუმცა პრაქტიკაში ადგილი ჰქონია მათ გამოყენებას მშვიდობიანი შეკრების უფლებასთან მიმართებით. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2009 წლის ცვლილებათა პაკეტი შეიცავდა ცვლილებებს როგორც შეკრებისა და მანიფესტაციების, ასევე პოლიციის შესახებ კანონებში.

2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში „პოლიციის შესახებ კანონით“ განისაზღვრა იმ სპეციალური საშუალებების სია, რომელთა გამოყენება შეიძლება საჯარო წესრიგის შესანარჩუნებლად: „კერძოდ, ეს არის არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი), რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა.“

შესწორებები შევიდა ასევე კანონში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.“ ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა 30 დღიდან 90 დღემდე გაიზარდა (ეს ვადა არაპროპორციული ჩანს, როდესაც წინასწარი დაკავების ვადა სსკ-ის თანახმად არის 60 დღე). შედარებით გრძელვადიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხე შეუქმნა მათი შეკრების უფლებას დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში. 2012 წლის თებერვალში საგანგებო ვიზიტისას, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში, მაინა კიაიმ საგანგებო ყურადღება დაუთმო საქართველოში ადმინისტრაციული დაკავებისა და 90 დღემდე პატიმრობის სასჯელების განზრახ გამოყენებას სათანადო სამართლებრივი პროცედურების გარეშე და აღნიშნა: “მე შეშფოთებული ვარ ამგვარი ფორმით დაკავებების გამოყენების სიხშირით, განსაკუთრებით საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ”.

საერთაშორისო ნორმების თანახმად, შეკრებაზე წარმოდგენილი საპოლიციო ძალა არ უნდა აღემატებოდეს იმ მინიმალურ რაოდენობას, რაც კონკრეტული მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი. ეუთოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები მოუწოდებენ სამართალდამცავებს, გამოიყენონ მედიაციისა და მოლაპარაკების საშუალებები, როცა შეკრების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით დავა წარმოიშობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტის თანახმად შეკრების დაშლასთან დაკავშირებით, ოპერაცია უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს ისეთი გზით, რომ ჯანმრთელობის მინიმალური რისკები წარმოშვას.

31 http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/English.pdf

დემონსტრაციის პირველი მასობრივი ძალადობრივი დარბევა 2007 წლის 7 ნოემბერს დაფიქსირდა. 2007 წლის 2 ნოემბერს დაწყებული დემონსტრაციები რამოდენიმე დღის განმავლობაში პარლამენტის წინ მიმდინარეობდა, სადაც დემონსტრანტების რიცხვი 100 000-ს აღწევდა. იმის შიშით, რომ სიტუაცია "შევარდნაძის დროინდელი სცენარით" არ განვითარებულიყო, რასაც მაშინდელი პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა, ხელისუფლებამ 7 ნოემბერს ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია დაარბია.

სპეცსამსახურების რაზმებმა გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და სხვა საშუალებები. მათ გარდა, დარბევაში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ნიღბიანი დაუდგენელი პირები. ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერები, ჟურნალისტები და სახალხო დამცველიც ამ თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ.[32]

მოგვიანებით, დემონსტრანტები პარლამენტის შენობიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მოშორებით რიყეზე შეიკრიბნენ. პოლიცია ისევ დაესხა თავს მათ ორივე მხრიდან. გავრცელდა ვარაუდები, რომ ამ დროს გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღიც.

შემდგომი პოლიტიკური კრიზისი ასევე მასობრივი საპროტესტო აქციებით გამოიხატა. თავდასხმის ათეულობით ფაქტებისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფაქტები 2009 წლის გაზაფხულ-ზაფხულის აქციების დროსაც იყო. ქვეყანაში არსებული შეზღუდული თავისუფლების გამოსახატად ზოგიერთი დემონსტრანტი თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე კარვებში შევიდა, რის გამოც მთელი ზაფხულის განმავლობაში თბილისის ცენტრალური ქუჩები გადაიკეტა. 2009 წლის აპრილიდან ივლისამდე დაუდგენელი პირები დროდადრო თავს ესხმოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ათეულობით აქციის მონაწილეს. მსგავსი ფაქტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ყველა ამ ფაქტს საერთო მახასიათებელი ჰქონდა - ღამით, ნიღბიანი მამაკაცების ჯგუფი თავს ესხმოდა აქციის მონაწილეებს არა იმ ტერიტორიაზე, სადაც დემონსტრაცია მიმდინარეობდა, არამედ ახლო მდებარე ქუჩებზე.[33]

32 http://www.hrw.org/news/2007/11/07/georgia-riot-police-violently-disperse-peaceful-protesters
33 http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Georgian.pdf

ჯორჯ ბერნანდ შოუ (1856 -1950) ირლანდიელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი

„თავისუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას. იმიტომაა რომ ასე უფრთხის მას ადამიანთა უმრავლესობა"

2009 წლის 6 მაისს, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით პოლიციამ გამოიყენა პლასტიკური და რეზინის ტყვიები დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლის გამოყენებაც იმ დროს აკრძალული იყო საქართველოს კანონმდებლობით. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციამ ასევე გამოიყენა ქვები, აგურის ნამტვრევები და ხელკეტები.

2009 წლის 15 ივნისს ახალგაზრდების ჯგუფმა დაახლოებით 14.00 საათზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციაზე 100-მდე მომიტინგე იმყოფებოდა. საპროტესტო აქციის დაწყებიდან დაახლოებით 10 წუთში, აქციის მონაწილეები სასტიკად დაარბიეს სამართალდამცავებმა, რომელთა ნაწილს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და ნიღაბი ეკეთა. აქციაზე მყოფ ყველა ჟურნალისტსა და ოპერატორს ჩამოართვეს აპარატურა, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. სამართალდამცველები ათეულობით მშვიდობიან მომიტინგეს სასტიკად გაუსწორდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ პოლიციისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევით და არც აგრესიულად იქცეოდნენ. აქციის დარბევისას დააკავეს 39 ადამიანი.

დოკუმენტირებულია არაიდენტიფიცირებული პირების მიერ დემონსტრანტებზე თავდასხმისა და ძალადობის უამრავი შემთხვევა. იყო შემთხვევები, როდესაც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ პოლიცია თვალს ხუჭავდა, როცა უცნობი ადამიანები უკანონოდ ხელს უშლიდნენ მათ დემონსტრაციის ჩატარებაში. აღნიშნული საქმეები დღემდე არ გამოძიებულა. არავის დაკისრებია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებებისათვის.

ვეტერანთა აქციის დარბევა 2011 წლის 3 იანვარს[34]

2011 წელი აქციის უხეში დარბევით დაიწყო. ქ. თბილისში, გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან რამდენიმე ვეტერანი შიმშილობდა. მათ გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 2010 წლის 27 დეკემბერს დაიწყეს. ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

2011 წლის 3 იანვარს, აქციის დაშლის მოთხოვნით, ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. ვეტერანთა განმარტებით, ანალოგიური მოთხოვნით მათთან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობი პირებიც მივიდნენ.

აქციის დაშლის დროს სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს აქციის მონაწილენი. დაკავების ოქმებში დაკავების საფუძვლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებია მითითებული. 2011 წლის 4 იანვარს დაკავებულები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით ცნობილ იქნენ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად და შეეფარდათ ადმინისტრაციული სახდელი 400 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ფაქტის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ დაირღვა აქციის მონაწილეთა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. სახალხო დამცველი ასევე ადგენს, რომ აქციის მიმდინარეობისას, ადგილზე სამართალდამცავებთან ერთად იმყოფებოდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები. აღსანიშნავია, რომ ისინი ფიზიკურად უსწორდებოდნენ და რიგ შემთხვევაში აკავებდნენ შეკრების მონაწილეებს. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა მიაყენა შეურაცხყოფა აქციის მონაწილე ქალბატონს, ეკა მათიაშვილს.

დაკავებულებიდან ორ პირს, მალხაზ თოფურიასა და შოთა იამანიძეს აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც დაფიქსირებულია შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმებშიც, თუმცა დაზიანებები არაა დაფიქსირებული ზემოაღნიშნულ პირთა ადმინისტრაციულ დაკავების ოქმებში.

34 http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/ktifezlljkytwm-wbpggc.pdf

აქციის მონაწილეთა დაკავება 2012 წლის 7 მაისს რუსთავში[35]

7 მაისს, ახალგაზრდა აქტივისტთა ჯგუფმა „არა“ შსს-ს ერთ-ერთი თანამშრომლის სახლთან ჩაატარა საპროტესტო აქცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა 2007 წლის ნოემბრის დარბევაში. ეს იყო ძალიან მცირემასშტაბიანი აქცია, რომელშიც მონაწილეობდა 50-100 ადამიანი. აქციის დასასრულისკენ, პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს მომიტინგეებს. მოულოდნელად, უცნობმა ადამიანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელებს და გაიქცა. მაშინვე, სამართალდამცველებმა დაიწყეს აქციის მონაწილეების დაკავება, მაგრამ რეალურ დამნაშავეს გაქცევის საშუალება მისცეს. მოგვიანებით, იმავე დღეს 12 დაკავებულს ხულიგნობისა და პოლიციელების მიმართ დაუმორჩილებლობის ბრალი წაუყენეს. 8 მათგანს პატიმრობა მიესაჯა, დანარჩენები ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. სამ აქტივისტს ორგანიზატორების ჩათვლით, ლევან ჩიტაძეს და ვასილ ბალახაძეს 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ; ორ დაკავებულს 15-დღიანი და სამს 7 დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თავდაპირველი სამართალდამრღვევის პიროვნების დადგენა დღემდე არ მომხდარა. აქტივისტები აცხადებენ, რომ აღნიშნული პირი მათი გუნდის წევრი არ იყო და ის პროვოკატორი იყო.

21 მაისის აქცია ბათუმში

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა დაფიქსირდა 21 მაისს ბათუმში, სახალხო კრების მიერ გამართული აქციის დროს. აქცია დაიწყო ეროპის მოედანზე, საიდანაც აქციის მონაწილეებმა ტელევიზიისკენ გადაინაცვლეს სატელევიზიო ეთერის მოთხოვნით. აქციის მონაწილეებმა ტელევიზიის ხელმძღვანელობას 15 წუთი მისცეს მათი მოთხოვნების წერილობით ფორმით მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შენობაში შესვლით იმუქრებოდნენ. როცა ჯგუფი დროს ითვლიდა, პოლიცია შეტევაზე გადავიდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, შემტევ სამართალდამცავ ძალას წარმოადგენდა პოლიცია და ე.წ. ჩვეულებრივ ტანსაცმელში ჩაცმული არაიდენტიფიცირებული პირები. პოლიციელების რაოდენობამ დაახლოებით 200-ს მიაღწია.

21 მაისს ბათუმში გამართული აქციის მონაწილეთაგან სულ 16 ადამიანი დააკავეს, მათ შორის, ნაწილი 21 მაისს პარტიის ოფისში სპეცდანიშნულების რაზმის შესვლის დროს, ნაწილი კი – მეორე დღეს, 22 მაისს. აღნიშნული პირების დაკავება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებაში მოხდა. მოგვიანებით, 7 ივნისს განხორციელდა აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ცოტნე ანანიძის დაკავება. 21 მაისს და შემდგომ დღეებში ბათუმში დაკავებული პირებიდან ნაწილს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა სხვადასხვა ვადით. ნაწილის წინააღმდეგ კი აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.[36]

26 მაისის აქციის დარბევა

რაც შეეხება 26 მაისს „სახალხო კრების“ აქციის დარბევას, აღნიშნულ ფაქტს არაერთი პუბლიკაცია და ანგარიში მიეძღვნა, ვინაიდან იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე უხეში და ბრუტალური აქტი, რასაც ფიზიკური დაზიანებებისა და დაკავებების გარდა, ადამიანური მსხვერპლიც მოჰყვა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) 26 მაისის ანგარიშის მიხედვით, 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში, დაფიქსირდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ხუთი შემთხვევა, რაც სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულების კუთხით შეფასებას მოითხოვს. კერძოდ, აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირდა აქციის 4 მონაწილის (ნოდარ ცხადაძის, ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანისა და თემურ კაპანაძის) და ერთი პოლიციელის (ვლადიმერ მასურაშვილის) სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეებზე ამ ეტაპზე გამოძიების პროცესი დასრულებულია. კერძოდ, ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის

35 http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Georgian.pdf

36 http://gyla.ge/attachments/1165_angarishi%2026%20maisi%20GEO.pdf

ხელყოფის საქმეებზე დამდგარია საბოლოო განაჩენები და ბრალდებულ პირებთან გაფორმებულია საპროცესო შეთანხმებები. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე, შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება შეწყვეტილია. როგორც საიას მიერ ამ საქმეების ანალიზი აჩვენებს, სიცოცხლის ხელყოფის თითოეული შემთხვევა პოლიციის მიერ აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და განხორციელების დროს დაშვებულ შეცდომებს ან პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებას უნდა უკავშირდებოდეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი კი თავის ანგარიშში გამოყოფს რამდენიმე ძირითად დარღვევას, რაც უკავშირდება შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებას: სპეცრაზმის მიერ მიმდებარე ტერიტორიების ბლოკირებას, სამართალდამცავების არაპროპორციულ რაოდენობას და აგრეთვე, გამოყენებული ძალის არაპროპორციულობას.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, პოლიციის ინტერვენცია წინასწარი შეტყობინების ფორმალური ვადის ამოწურვიდან 10-15 წუთის შემდეგ დაიწყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ დემონსტრანტებისთვის მიცემული დრო არ იყო საკმარისი. როცა სპეცრაზმმა აქციის მიმდინარეობის ადგილი ყველა მხრიდან ჩაკეტა, დემონსტრანტებისთვის შეუძლებელი გახდა აქციის დისლოკაციის ადგილის დატოვება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეცრაზმის რაოდენობა მკვეთრად აღემატებოდა დემონსტრანტთა რიცხვს. მონიტორინგის მიხედვით, დარბევა 00:15 საათზე დაწიყო. დემონსტრანტებს დაუშინეს გაზის ყუმბარები და წყლის ჭავლი, ისმოდა სირენის განუწყვეტელი ხმა, დემონსტრანტების პატარა, იზოლირებულმა ჯგუფმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მათი მცდელობები მალე აღიკვეთა. საერთო ჯამში, წინააღმდეგობა დემონსტრანტთა მხრიდან მასობრივი ხასიათის არ ყოფილა.

“პოლიციის წინსვლის შედეგად, მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა უკან დაიხიეს პარლამენტის შენობისაკენ, მაგრამ მათ არ მიეცათ გასაქცევი გზა. ისინი ყველა მხრიდან გარშემორტყმულები იყვნენ. პოლიციელები ყველას ცემდნენ, ისროდნენ რეზინის ტყვიებს ახლო მანძილიდან და ძალას იყენებდნენ ყველა დემონსტრანტის წინააღმდეგ იმის მიუხედავად, ეწინააღმდეგებოდნენ ისინი სამართალდამცავებს თუ არა. დემონსტრანტების ნაწილი კინოთეატრ „რუსთაველში“ შეცვივდა თავშესაფრის საპოვნელად. სპეცრაზმი მათ დაედევნა და დაუწყო ცემა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ სიტუაციას აქციის დაშლის შემდეგაც. სპეცრაზმმა დაკავებული პირები მიწაზე დააწვინა. მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.”[37]

ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს 2012 წლის 26 მაისის მოვლენების ობიექტური გამოძიების ჩატარების არაერთ მოთხოვნას და დასავლეთის სახელმწიფოების მაღალი თანამდებობის პირების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების რჩევებს.

აუცილებელია იმ საკანონმდებლო ინიციატივების გაუქმება, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე შეკრების თავისუფლების ფაქტების დარღვევის ყოველი შემთხვევის ობიექტური გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

37 http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Georgian.pdf

უჩა ნანუაშვილი

ახალი საკანონმდებლო ინიციატივები და ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ტენდენცია

დასავლეთისთვის თავის მოსანონებლად შექმნილი კანონები

საკანონმდებლო ცვლილებების ტალღა კვლავ ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული პროცესებისთვის. უკანასკნელ წლებში დაიწყო ლიბერალური სამართლებრივი სტანდარტების მასობრივი შემცირება.

საკანონმდებლო ცვლილებების შემაშფოთებელი ტენდენციები უკვე რამდენიმე წელია გრძელდება: თუ 2009 წლის ცვლილებები უმეტესწილად დაკავშირებული იყო მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვასთან, პოლიციის უფლებამოსილების გაზრდასთან, სანქციების გამკაცრებასთან, რასაც საფუძვლად დაედო 2009 წლის გაზაფხულის პერმანენტული საპროტესტო გამოსვლები, 2010-2011 წლის ცვლილებები ღრმად შეიჭრა თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში და საფრთხე შეუქმნა მათ პირად ცხოვრებას.

უკვე 2011 წლის ბოლოდან დაწყებული კვლავ ერთი წყება საკანონმდებლო ცვლილებებისა და შესაბამისი შეზღუდვები 2012-2013 საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. ამომრჩევლის მაქსიმალური დაშინება, პოლიტიკური ოპოზიციის შესუსტება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესაძლებლობების გაზრდა-დაკანონება, ტოტალური ზეწოლა დამოუკიდებელ მედიაზე, მისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა, სამოქალაქო საზოგადოებაზე კონტროლის დამყარების იურიდიული ბერკეტების შექმნა უკვე საგანგაშო მასშტაბებს აღწევს. ქვეყანა კარგავს დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმალურ ნიშნებსაც კი.

პარალელურად, ხელისუფლება წარმატებით ახორციელებს დასავლეთის მანიპულირებას სხვადასხვა ინიციატივით და მოსაჩვენებელი "კანონის" მიღებით. 2008 წლის ბოლოდან ე.წ. "დემოკრატიის მეორე ტალღის" ფარგლებში მიღებულ იქნა არაერთი კანონი, რაც ძირითადად პოლიტიკური მანიპულირებისთვის და დასავლეთის თვალში პოზიტიური იმიჯის შექმნის მიზნითაა განპირობებული, ქართულ რეალობაში კი მათი დიდი ნაწილი არ მოქმედებს. მსგავს ინიციატივებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ კანონები, რომლებიც თითქოსდა ხელს უწყობენ შემდეგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს:

დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის და მედიის ფუნქციონირება

- კერძოდ, პოლიტიკური თოკ-შოუების დაშვება;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში რამდენიმე დამოუკიდებელი წევრის მიღება (რომელთაც პრაქტიკულად არანაირი გავლენის შესაძლებლობა არ გააჩნიათ);
- საზოგადოებრივ მაუწყებლის მეორე არხის დათმობა ოპოზიციისთვის (თუმცა მას შეზღუდული სამაუწყებლო არეალი აქვს და მუშაობის ფორმაც საკმაოდ დაუხვეწავია);
- დამოუკიდებელი არხისთვის სატელიტური მაუწყებლობის სიგნალის მინიჭება (თუმცა მანამდე მედია-კომპანიას უკანონოდ ჩამოერთვა მაუწყებლობა, რისი აღდგენაც შემდგომ "პროგრესად" გამოცხადდა);

ამასთანავე, ოპოზიციურ პარტიებს აქვთ საშუალება, გამოიყენონ საზოგადოებრივი ტელევიზიის მეორე არხი, აგრეთვე, მათი აქტივობები, ძირითადად, შუქდება ტელეკომპანიების – "კავკასიისა" და "მაესტროს" მიერ, რომელთა გავრცელების არეალი შეზღუდულია; შესაბამისად, მათი აუდიტორია რამდენჯერმე ჩამოუვარდება საერთო ეროვნული მაუწყებლების აუდიტორიას. ფაქტობრივად, ყოველდღიურად, საერთო ეროვნულ მაუწყებლებზე გადის ოპოზიციის "მამხილებელი" სიუჟეტები. საკაბელო ტელევიზიების ქსელები და რეგიონული საკაბელო ქსელები უარს აცხადებენ დამოუკიდებელი ტელევიზიების ჩართვაზე მათი მომსახურების პაკეტში; პარლამენტი ამ დრომდე უარს ამბობს აღნიშნული პრობლემის საკანონმდებლო დარეგულირებაზე.

პოლიტიკური ოპოზიციის გაძლიერება

- კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შემადგენლობაში ხელისუფლების ფავორიტი ოპოზიციის წარმომადგენლების დანიშვნა;
- ანტიკრიზისული საბჭოს ასევე სანდო საპარლამენტო ოპოზიციის "წევრებით" დაკომპლექტება;
- ხელისუფლების ფავორიტი ოპოზიციის როლის გაზრდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სამოქალაქო კონტროლის დამყარების საფუძველზე და "ნდობის ჯგუფში" ამ ოპოზიციის წარმომადგენლის დაშვება;
- ოპოზიციის ლიდერების ბუტაფორიული ჩართვა ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობის პროცესში;
- ხელისუფლების ფავორიტი ოპოზიციის როლის გაძლიერება საპარლამენტო მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსების გაზრდა;
- ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის მინისტრების მოადგილეების თანამდებობების შეთავაზების გაჟღერება (უშედეგოდ).

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა

- რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის პროგრამების დაწყება, ძირითადად არასრულწლოვანთა მიმართ;
- პრობაციის სისტემის განვითარება (თუმცა 2012 წლის დასაწყისში უკიდურესად გაიზარდა პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა და მან 32,877 პირი შეადგინა; ეს ჯგუფი გასაგები მიზეზების გამო იძულებულია თავი შეიკავოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობისაგან, ან მხოლოდ მმართველი პარტიის მხარდამჭერ აქტივობებში იაქტიუროს);
- სახალხო დამცველის ოფისში ეროვნული პრევენციის მექანიზმის შექმნა, წამების აღკვეთის მიზნით (თუმცა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს კვლავ არ აქვთ უფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგი განახორციელონ);

საარჩევნო რეფორმა

- შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საარჩევნო კოდექსის გასაუმჯობესებლად (მოსალოდნელი შედეგი არ დამდგარა);
- შეიქმნა მოჩვენებითი "დიალოგის" ფორმატი რეალური გადაწყვეტილების და შედეგის გარეშე;
- დაინერგა მხოლოდ თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის სისტემა.

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გაძლიერება

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება (რომელიც პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს);
- წინასწარი პატიმრობის ვადის შემცირება;
- მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა (თუმცა ეს უკვე მაშინ, როდესაც თითქმის ყველა მეტნაკლებად დამოუკიდებელი მოსამართლე განთავისუფლებულია თანამდებობებიდან და ისინი შეცვლილნი არიან ხელისუფლების უსიტყვოდ მხარდამჭერი მოსამართლეებით);
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხელისუფლების ფავორიტი ოპოზიციის წარმომადგენლების დაშვება;
- პრეზიდენტი აღარ არის იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე/წევრი; პრეზიდენტი აღარ ნიშნავს მოსამართლეებს (თუმცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრსა და მთავარ პროკურორს კვლავ უდიდესი გავლენა აქვთ ამ სტრუქტურაზე).

ზემოთმოყვანილ ნორმათა უმრავლესობა რეალური შინაარსის გარეშეა შექმნილი და ფასადური დემოკრატიის სურათს ქმნის. მათი შეცვლა ან/და მათთვის რეალური შინაარსის მიცემის აუცილებლობა დღის წესრიგში დგება.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამოჩნდა ხელისუფლების სურვილი, რომ მმართველი ელიტისთვის სასარგებლო და ხელსაყრელი კანონმდებლობა იყოს მიღებული.

2011 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა ცვლილებები საარჩევნო კოდექსში და "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში.

"საარჩევნო კოდექსში" შეტანილი ცვლილებებით, მთავრობის წევრების მოადგილეებს, გუბერნატორებს და გამგებლებს მიეცათ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება;



რეინოლდ ნეიბორი (1892 -1971)
ამერიკელი თეოლოგი

„ადამიანის სწრაფვა სამართლიანობისკენ შესაძლებელს ხდის დემოკრატიას, ხოლო ადამიანის უსამართლობისკენ მიმსრობა კი, დემოკრატიის აუცილებლობას ქმნის"

საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მაგ: საჯარო ან სამოქლაქო რეესტრი; თვითმმართველობის ორგანოების მიერ შექმნილი საწარმოები და ა.შ.) ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე არ არის დაწესებული არანაირი შეზღუდვა;

აკრძალულია საარჩევნო კამპანიის ჩატარება მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დანესებულებაში. ანუ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ყველა სხვა დაწესებულებაში, სადაც რეალურად მხოლოდ მმართველ პარტიას ექნება ხელმისაწვდომობა, საარჩევნო კამპანიის ჩატარება დასაშვებია.

ახალი საარჩევნო კანონმდებლობა ქმნის არადემოკრატიულ საარჩევნო გარემოს, კერძოდ, ის:

- ზღუდავს გამოხატვის, საკუთრების და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას;
- მძიმე და გაუმართლებელ სანქციებს უწესებს თითოეულ ამომრჩეველს;
- ულიმიტო და არაკონსტიტუციურ უფლებამოსილებებს ანიჭებს პარტიების დაფინანსების მთავარ მაკონტროლებელს - კონტროლის პალატას;
- უფრო მეტად არათანასწორ საარჩევნო გარემოს ქმნის პოლიტიკური პარტიებისთვის.

შეზღუდვები იურიდიულ პირებზე

გაჩნდა ბუნდოვანი ცნება - **პარტიასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული იურიდიულ პირი**, რომელიც სხვაგვარად იმყოფება პარტიის კონტროლის ქვეშ ან აქვს განცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები;

გაჩნდა შეზღუდვები იურიდიულ პირზე, რომელიც წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისკენ ან მხარდაჭერისგან თავის შეკავებისკენ;

პოლიტიკური სიმპატიის/ანტიპატიის გამოხატვამ შესაძლოა მოქალაქეს შეუზღუდოს შემოსავლის წყარო, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციაზე გავრცელდეს პოლიტიკური პარტიებისთვის დაწესებული შეზღუდვები - ორგანიზაციას შეიძლება შეუწყდეს დაფინანსება დონორისგან, რადგანაც კანონი პარტიებს გრანტის მიღებას უკრძალავს.

ასეთი მოწოდება საკმარისია იმისთვის, რომ კომპანიას აეკრძალოს კრედიტების აღება, 60 ათასი ლარის ზემოთ შემოსავლის მიღება და ა. შ.

შეზღუდვები ფიზიკურ პირებზე

სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლის (ამომრჩევლის მოსყიდვა) თანახმად:

პოლიტიკური მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მოთხოვნა ან მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.

პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკურად აქტიური პირისგან დახმარების მიღების ან თუნდაც თხოვნის გამო, შესაძლოა, 3 წლით თავისუფლება აღეკვეთოს მოქალაქეს.

ახალი კანონის საფრთხე პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტებისთვის

პარტია შემოწირულობის მიღებიდან სამ დღეში ვალდებულია გაარკვიოს:

- სად მუშაობს შემომწირველი;

- ვინ და რამდენნი არიან შემომწირველის თანამშრომლები;
- წლის განმავლობაში რომელიმე მათგანს ხომ არ გადმოურიცხავს მათთვის თანხა;
- ამ თანხების ჯამი ხომ არ აღემატება 500 000 ლარს.

პარტიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულობის მიღება ან დამალვა გამოიწვევს აკრძალული შემოწირულობის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას და პარტიის დაჯარიმებას მიღებული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.

გარდა ამისა, თუკი აღნიშნული ქმედება განმეორდა, საარჩევნო სუბიექტი შეიძლება მოიხსნას არჩევნებიდან.

დაყადაღება

საქართველოს კონტროლის პალატა ყადაღას ადებს პარტიის, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), რომელიც შეიძლება სამართალდარღვევის თაობაზე მიღებულ დადგენილებასთან ერთად გასაჩივრდეს სასამართლოში. გასაჩივრება არ აჩერებს ყადაღის მოქმედებას.

პოლიტიკური პარტიისთვის მხარდაჭერის მოწოდება შესაძლოა გახდეს საფუძველი კონტროლის პალატის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონების დაყადაღებისა.

ასევე დასჯადია მოწოდება, რომ ამომრჩევლებმა მხარი არ დაუჭირონ ამათუიმ პოლიტიკურ პარტიას, კონტროლის პალატას შეუძლია მოქალაქეთა ქონების დაყადაღება.

კონტროლის პალატა ერთპიროვნულად ადებს ყადაღას პარტიის, ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქონებას. ამ კანონის მიღებამდე ყადაღის დადების შესაძლებლობა და პროცედურები განსაზღვრული იყო საქართველოს "საგადასახადო კოდექსით", საქართველოს "სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა" და საქართველოს კანონით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ".

ახალი რეგულაციებით დაწესდა **პარტიის საერთო ხარჯების და საერთო შემოსავლების ლიმიტი**. დადგინდა, რომ პარტიის და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წლის განმავლობაში მიღებული სახელმწიფო დაფინანსება, შემოწირულობებისა და სხვა კანონით დაშვებული ფორმით მიღებული შემოსავლის ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2 %-ს, ხოლო ხარჯის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ს. პარტია ვალდებულია ამ ზღვარს გადაჭარბებით მიღებული თანხები საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში დაუბრუნოს შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხები გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

რაც შეეხება პარტიის მიერ მისაღები შემოწირულობების დეტალებს, აქამდე, პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა წელიწადში არ უნდა ყოფილიყო თითოეული ფიზიკური პირისაგან - 30 000 ლარზე მეტი, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან - 100 000 ლარზე მეტი.

ახალი რეგულაციის მიხედვით კი დადგინდა, რომ პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს თითოეული მოქალაქისგან (იურიდიული პირებისგან დაფინანსების მიღება აიკრძალა). საწევროს წლიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს პარტიის თითოეული წევრისგან.

ცვლილებით პარტიას დაევალა, რომ შემოწირულობის შესახებ ინფორმაცია პარტიამ 3 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს საქართველოს კონტროლის პალატას. თუ შემოწირულობის მიღებით ირღვევა კანონით გათვალისწინებული რეგულირებები, პარტია ვალდებულია თანხის პარტიის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში უკან დაუბრუნოს შემოწირულობა შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სანქციები

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონს დაემეტა სანქციების ნაწილიც. შესაბამისი მუხლის - 34/2 მიხედვით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული შემოწირულობის მიღება ან დამალვა გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემოწირულობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას და დაჯარიმებას მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.

კონტროლის პალატა ადებს ყადაღას პოლიტიკური გაერთიანების, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის ქონებას (მათ შორის საბანკო ანგარიშებს), რომელიც შემდგომში შეიძლება გასაჩივრდეს სამართალდარღვევის თაობაზე გამოცემულ დადგენილებასთან ერთად სასამართლოში. გასაჩივრება არ აჩერებს ყადაღის მოქმედებას.

პარლამენტმა ასევე ცვლილება შეიტანა „სისხლის სამართლის კოდექში“ და „ამომრჩევლის მოსყიდვას“ მიკუთვნებული ქმედებები განავრცო და სასჯელიც გაამკაცრა.

ამომრჩევლის მოსყიდვისთვის კი სასჯელი ერთწლიანი პატიმრობის ნაცვლად, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე ან/და ჯარიმით. ასეთი სასჯელი ვრცელდება არა მხოლოდ პარტიებსა თუ პოლიტიკოსებზე, არამედ რიგით მოქალაქეებზეც, რომლებიც „პოლიტიკური მიზნით“, რაიმე საჩუქარს და ღირებულს მიიღებენ.

პატიმართა მონაწილეობა არჩევნებში

კვლავ ერთი ცვლილება შეეხება თავისუფლებააღკვეთილი პირების მონაწილეობას არჩევნებში. ახალი ცვლილებებით, 5 წლამდე ვადით სხვადასხვა დანაშაულისთვის მისჯილ პირებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. აღნიშნული კატეგორიის ამომრჩეველის რაოდენობის (ოჯახის წევრებთან ერთად) გათვალისწინებით, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომელი პარტიის მიმართულებით გადანაწილდება არც თუ ისე მცირე ელექტორატის ხმები. წინასაარჩევნო აგიტაცია და არჩევნების მონიტორინგი გასაგები მიზეზების გამო, არარეალურად გამოიყურება. ამდენად, ევროპული კომისიის “დემოკრატია კანონის საშუალებით” (ვენეციის კომისია) ასეთი გაუაზრებელი და ქართულ რეალობასთან სრულიად შეუსაბამო რეკომენდაცია ძალიან გულუბრყვილოდ და უცნაურად განიხილება და ეჭვქვეშ აყენებს ამ კომისიის პროფესიონალიზმს.

კომერციული ბანკების დამოკიდებულება პოლიტიკურად აქტიურ პირებთან

კომერციული ბანკების დამოკიდებულება პოლიტიკურად აქტიურ პირებთან უცვლელი რჩება. „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №4 ბრძანება „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა და უკვე ძალაშია.

დოკუმენტის მიხედვით, ბანკებს პოლიტიკურად აქტიურ პირებთან იგივე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ, რაც გასულ წელს. 2011 წელს ასეთ პირებთან ბანკების ურთიერთობის დეტალიზაცია 2010 წლის 27 მაისის ბრძანებით მოხდა.

კერძოდ, კომერციული ბანკები ვალდებულები არიან გამოარკვიონ, მიეკუთვნება თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას.

„თუ კლიენტი ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრე წარმოადგენს პოლიტიკურად აქტიურ პირს, გარდა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ დებულებით გათვალისწინებულისა, ბანკმა დამატებით უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: მიიღოს ბანკის ხელმძღვანელობისგან ასეთ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ნებართვა; მიიღოს გონივრული ზომები ასეთი პირის

ფულადი სახსრების, ქონების წარმომავლობის დასადგენად; განახორციელოს ასეთ პირთან თავისი საქმიანი ურთიერთობების გაძლიერებული მონიტორინგი“, - ნათქვამია ბრძანების მეშვიდე მუხლში.

ბრძანების მიხედვით, ბანკს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სათანადო პროცედურები, რომლის საფუძველზეც პოლიტიკურად აქტიური პირების დადგენისა და გადამოწმების მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას კლიენტისგან, ასევე საჯარო წყაროებიდან ან შესაბამის მონაცემთა ელექტრონული ბაზებიდან.

აუდიტორების ვალდებულება - პოლიტიკურად აქტიური პირების გამოვლენა

ბუღალტრებსა და აუდიტორებს 2012 წლის თებერვლიდან, კომერციული ბანკების მსგავსად, დაეკისრათ ვალდებულება, გამოარკვიონ, მათი კლიენტი მიეკუთვნება თუ არა პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი, ისინი ვალდებულნი არიან, ინფორმაცია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ.

აღნიშნული ვალდებულება აუდიტორებსა და ბუღალტრებს საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №12 ბრძანების საფუძველზე დაეკისრათ, რომელიც მიხეილ როინიშვილმა 2012 წლის 31 იანავრს გამოსცა. მიხეილ როინიშვილის მიერ გამოცემულ ბრძანებაში პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით ცალკე არის გამოყოფილი მე-6 მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, ბუღალტერი ან/და აუდიტორი ვალდებულია, გამოარკვიოს, მიეკუთვნება თუ არა კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას.

საბიუჯეტო სახსრების გამოყენება არჩევნებში

ხელისუფლებას მთელი წლის განმავლობაში აქვს საბიუჯეტო სახსრების შეუზღუდავად გამოყენების საშუალება. ცალკეული შეზღუდვები საბიუჯეტო თანხების გამოყენებაზე, საარჩევნო კოდექსით, დაწესებულია მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში (60 დღე).



ლუის ლამური (1908 -1988)
ამერიკელი მწერალი

„იმისათვის რომ შედგეს დემოკრატია, ჩვენ უნდა ვიყოთ მისი მონაწილენი და არა უმრალოდ დამკვირვებლენი. ვინც არჩევნებზე ხმის მიცემაში არ მონაწილეობს, არ აქვს საყვედურის უფლება“

ხელისუფლებას აქვს შეუზღუდავი შესაძლებლობა, წინასაარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო პროგრამების გაზრდის ხარჯზე, მოახდინოს გავლენა ამომრჩევლის ნებაზე. 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გვხვდება ისეთი ხარჯები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შესაძლოა ამომრჩევლის კმაყოფილების დონის გასაზრდელად იყოს მიჩნეული, რამაც, შესაძლოა, ხელსუფლებას დამატებით საარჩევნო ხმები მოუტანოს. მაგალითად:

- არჩევნების წინ - 2012 წლის 1 სექტემბრიდან იზრდება პენსიის მოცულობები სხვადასხვა ასაკის პენსიონრებზე და მისი მოცულობა გახდება 125 და 140 ლარი; ასევე, 1 სექტემბრიდან იწყება ახალი ინიციატივა - მოსწავლეების დაზღვევის პროგრამა;

- იზრდება მევენახეობა-მეღვინეობაზე გასაწევი ხარჯების მოცულობა, რაც, ძირითადად, წინასაარჩევნო პერიოდში შემოდგომაზე დაიხარჯება;

- 2012 წლისთვის საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდები, თითოეული 50 მლნ ლარით არის განსაზღვრული. მისი ხარჯვის მექანიზმები აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა;

- 2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან, გაზარდონ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს 1/12-ისა. წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ხარჯებიდან მოხდება წინაასაარჩევნოდ დამატებით დაქირავებული პერსონალის შრომის ანაზღაურება;

- საქართველოს 2012 წლის ბიუჯეტში, 2011 წელთან შედარებით, ხარჯების დეტალიზაცია ფორმალურ მხარედ არის ქცეული. თუ 2011 წლის ბიუჯეტში 3000-მდე სხვადასხვა სახის დეტალური ჩანაწერი იყო, 2012 წლის ბიუჯეტში ის 1500-მდეა შემცირებული. ბიუჯეტში არსებული ზოგადი ჩანაწერები, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის გაკონტროლდეს ის ხარჯები, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს საარჩევნო წელს. იმის გამო, რომ ბიუჯეტში გაწერილი არ არის წლის განმავლობაში ამა თუ იმ ხარჯების გაწევის ვადები, შეუძლებელია "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 49-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული შეზღუდვების გაკონტროლება: "არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე, იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში";

- თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2011 წელთან შედარებით გაზრდილია მომუშავეთა რიცხოვნობა, ხოლო შრომის ანაზღაურება საშუალოდ ასი ათასი ლარით;

- ადგილობრივ ბიუჯეტებში, აგრეთვე, გაზრდილია მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს მომსახურების ხარჯები, სარეზერვო ფონდები, ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება და სხვა;

- 2012 წლის ბიუჯეტში გვხვდება, ასევე, ისეთი გაურკვეველი ხარჯი, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა - 10 მლნ ლარი. მსგავსი ხარჯები წინა წელს არ იყო გათვალისწინებული;

- 500 ათასი ლარით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო

ჯილდოებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების ფონდის მოცულობა. არც ეს პროგრამა ფინანსდებოდა წინა წლებში;

- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დაფინანსება, რომელიც, 2011 წელთან შედარებით, თითქმის 6-ჯერ იზრდება და მათი 4/5 კრედიტებით ფინანსდება. ინფრასტრუქტურული პროექტები კარგი „კოზირია“ ხელისუფლების ხელში, რადგანაც სხვადასხვა ობიექტის გახსნას, რომელსაც მედია ფართოდ აშუქებს, ხშირად მმართველი პარტიის საარჩევნო კანდიდატები ესწრებიან;

- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა გასამმაგდა და 297 მლნ ლარს შეადგენს. ინფრასტრუქტურის გახსნა და სხვა ღონისძიებები მმართველი პარტიისთვის პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების საკმაოდ კარგი ინსტრუმენტია.

სანქციები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის

საყურადღებოა ისიც, რომ საარჩევნო კოდექსში არსად არ არის მუხლი, რომლის მიხედვითაც, მმართველი პარტიის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისათვის ისჯება მმართველი პარტია. ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ჩინოვნიკს და არა მმართველ პარტიას [38].

პოლიტიკურ პარტიათა შესახებ კანონის სადავო ნორმების ნაწილის ცვლილების პოლოდინი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის სადავო ნორმების ნაწილი, სავარაუდოდ, გადაიხედება - შეთანხმებას ამ საკითხზე მმართველი პარტიის დეპუტატებმა და კამპანიის „ეს შენ გეხება“ წარმომადგენელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა 19 მარტს გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს.

დანაპირები ცვლილებების თანახმად, აღარ იარსებებს პარტიასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირის დეფინიცია, რაც მნიშვნელოვნად აფართოვებდა იმ პირთა წრეს, ვისზეც პარტიებისთვის დაწესებული შეზღუდვები შეიძლებოდა გავრცელებულიყო კონტროლის პალატის მონიტორინგის ქვეშ.

ახალი ნორმის თანახმად, პარტიებისთვის დადგენილი შეზღუდვები უნდა გავრცელდეს იმ პირზე, რომელსაც აქვს გაცხადებული საარჩევნო მიზნები და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებს შესაბამის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს.

ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონში ნათლად ჩაიწერება ფრაზა - ”შეზღუდვები არ გავრცელდება იმ იურიდიულ პირებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომელთა მიზანიც არის პარტიების ინსტიტუციური განვითარება და მათი საქმიანობა არ უკავშირდება რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერას ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავებას”.

პარტიების მიმართ ამჟამად მოქმედი შეზღუდვა, რომ მისი საერთო წლიური შემოსავლები და ასევე ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს საქართველოს წინა წლის მშპ-ის 0.2%-ს, ალბათ, ნაწილობრივ შეიცვლება და ეს ზღვრული ოდენობა მხოლოდ ხარჯებზე გავრცელდება და მოიცავს პარტიის ან მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეულ ხარჯებს.

წესით, შემოწირულობად არ უნდა ჩაითვალოს მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაო.

დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, 3 დღიდან 5 სამუშაო დღემდე იზრდება ვადა, როცა პარტიამ შემოწირულობის მიღების შესახებ ინფორმაცია კონტროლის პალატას უნდა გადასცეს. ასევე 5 დღე გახდება ის ვადაც, როცა პარტია ვალდებულია, რომ დარღვევის შემთხვევაში უკან დააბრუნოს თანხა. იმ შემთხვევაში, თუ პარტიამ არ იცოდა შემოწირულობის უკანონობის შესახებ, მისთვის ფულის უკან დაბრუნების

38 მომზადებულია კოალიციის “არჩევნის თავისუფლებისათვის” წევრი-ორგანიზაციის - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ვალდებულება წამოიშვება იმ მომენტიდან, როცა მას ამას კონტროლის პალატა მოსთხოვს.

კონტროლის პალატა უფლებამოსილი იქნება პირისგან მოითხოვოს ფინანსური ანგარიში, თუ მას ექნება „დასაბუთებული ვარაუდი", რომ ეს პირი 261 მუხლით განსაზღვრულ პირთა წრეს მიეკუთვნება.

დაგეგმილი ცვლილებებით, დარღვევის შემთხვევაში დადგენილი ჯარიმის ათმაგი ოდენობა,სავარაუდოდ, განახევრდება და ხუთმაგზე დავა, თუმცა დარღვევის განმეორების შემთხვევაში კონტროლის პალატას უფლება ექნება კვლავაც ჯარიმის ათმაგი ოდენობა დააწესოს.

კონტროლის პალატა ვალდებული იქნება, რომ სამართალდარღვევის ოქმი დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს საქალაქო სასამართლოს განსახილველად. ანალოგიურად უნდა მოიქცეს კონტროლის პალატა იმ შემთხვევაში, თუ ყადაღას დაადებს პარტიის, ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს. ყადაღა შესაძლოა დაედოს არა მთლიან ქონებას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს.

პარტიების შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებების შედეგად, კონტროლის პალატას აღარ ექნება უფლება, რომ ამ კანონით დადგენილი ნორმების არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის შეჩერების თხოვნით მიმართოს.

არასამთავრობო ორგანიზაციები ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის დაწესებულ სადამსჯელო რეგულაციებში ცვლილებასაც ითხოვდნენ. მათი წინადადება, რომ ამ კუთხით 100 ლარს ქვევით არსებული გარიგება ადმინისტრაციული ჯარიმით დასჯილიყო, გათვალისწინებულია.

თუმცა მმართველი პარტიის დეპუტატებმა სრულად არ გაიზიარეს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ამომრჩევლები მოსყიდვის გამო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულიყვნენ. თუ, რომელიმე ამომრჩეველი პოლიტიკური პარტიისაგან მიიღებს ფინანსურ დახმარებას, ის 3 წლით თავისუფლების აღკვეთას კვლავაც დაექვემდებარება, თუმცა თუ მოითხოვს ამგვარ დახმარებას, ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, მასზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აღარ გავრცელდება. დღეს მოქმედი რეგულაციით ამომრჩევლების ორივე ეს ქმედება 3 წლიანი პატიმრობით ისჯება.

კანონში დაგეგმილ ცვლილებებს ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაციები (რომელთა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გარეშე ძნელად წარმოსადგენია, რომ გაჩენილიყო მოლოდინი კანონის ასეთი სახეცვლილებებისა), პოზიტიურად აფასებენ, მიუხედავად ზოგიერთი მათი მოთხოვნის გაუთვალისწინებლობისა.

სხვა საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებს და ამცირებენ საერთაშორისო სტანდარტებს

ახალი ცვლილებები კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ

2009 წლის ცვლილებებით, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში იკრძალება შენობების ბლოკირება, ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განზრახ დაბრკოლების შექმნა. ქუჩების სხვადასხვა კონსტრუქციით თუ სატრანსპორტო საშუალებით გადაკეტვა, ქუჩის გადაკეტვა კი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, თუ აქციაზე ამისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანები შეიკრიბებიან.

ამას გარდა, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან ბრძოლის მიზნით, პოლიციელს უფლება ეძლევა გამოიყენოს არალეტალური იარაღი, მათ შორის არალეტალური ჭურვიც.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ კოდექსს, სამთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობები ერთთვიანის ნაცვლად, უკვე 2009 წლის 18 აგვისტოს შემდეგ ჩადენილ რიგ დანაშაულებებზე გავრცელდება. კერძოდ, სამთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობით დაისჯება წვრილმანი ხულიგნობა - საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

ასევე, 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა იქნება ალტერნატიული სასჯელი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობისთვის. ასევე, სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საერთო სასამართლოში ანდა მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, კანონით განსაზღვრული იმ ორგანოებიდან ოცი მეტრის რადიუსში, სადაც მანიფესტაციის ჩატარება აკრძალულია, მანიფესტაციების დროს ქუჩის უკანონოდ გადაკეტვისთვის და ა.შ.

ამას გარდა, სამთვიანი პატიმრობით დაისჯება სატრანსპორტო საშუალების მართვის განმეორებითი შემთხვევა იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს დარღვევებისთვის. სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის ბოროტად შეუსრულებლობა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომელსაც საავარიო ვითარების შექმნა მოჰყვა, ასევე სამთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობით დაისჯება. ამავე კანონით, შესაძლებელი ხდება ადმინისტრაციული სასჯელის გასაჩივრება.

შედარებისთვის, ყოფილ სსრ კავშირში ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა იყო 15 დღე-ღამე (იგივეა დღევანდელ რუსეთშიც).

ედუარდ ფორსტერი (1879 - 1970)
ინგლისელი მწერალი

„დემოკრატიას ორი სიკეთე აქვს: ერთი - უშვებს მრავალფეროვნებას, მეორე - კრიტიციზმს“

ცვლილებები კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შესახებ

2009 წელს მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა შეკრება-მანიფესტაციების მარეგულირებელ აქტებში. ამის პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები დასკვნისთვის გადაუგზავნა ევროპულ კომისიას "დემოკრატია კანონის საშუალებით" (ვენეციის კომისია). შესაბამისად მომზადდა ვენეციის კომისიის კომენტარები აღნიშნულ ცვლილებებზე, რომელმაც დაადასტურა, რომ შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას გარკვეული ხარვეზები აქვს. ე.წ. „20 მეტრის" წესთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ აკრძალვა გადაჭარბებულია და ის ხშირ შემთხვევაში აზრს უკარგავდა აქციის გამართვას, რადგანაც მჭიდროდ ათვისებულ გარემოში, სახელმწიფო დაწესებულებებიდან 20 მეტრის დაშორებით მსგავსი უფლების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

2010 წლის მარტში კომისიას გადაეგზავნა კანონის ცვლილებების პროექტი, რომელიც მთელი რიგი ხარვეზების გამოსწორებას ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, კანონში დღემდე არაერთი ხარვეზი არსებობს. 2010 წელს სახალხო დამცველმა არსებული ყველა სადავო ნორმის შესახებ კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა კანონის ცალკეული ნორმები. მათ შორის დებულება, რომელიც შეიცავდა ბლანკეტურ აკრძალვას საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ აქციის ორგანიზებაზე და ჩანაწერი, რომელიც ერთ პირს ართმევდა უფლებას, ყოფილიყო აქციის ორგანიზატორი. თუმცა საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ 2011 წლის 13 ივნისს ინიცირებული იქნა კანონპროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მაინც ეწინააღმდეგება.

ექსპერტთა შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების სრულად ან ნაწილობრივ ხელახლა კანონმდებლობაში დაბრუნება წარმოადგენს კონსტიტუციური მართლმსაჯულების მნიშვნელობის უგულვებელყოფას, რაც ყოვლად დაუშვებლია.

პოლიციელს გონივრული ეჭვის საფუძველზე ქუჩაში პირის შეჩერების უფლება სასამართლოს ნებართვის გარეშე ეძლევა

პოლიციელს „გონივრული ეჭვის" საფუძველზე ქუჩაში პირის შეჩერების უფლება ეძლევა, რისთვისაც მას სასამართლოს და პროკურატურის ნება არ დასჭირდება.

2010 წელს ცვლილება „პოლიციის შესახებ" კანონში შედის, თუმცა ამ ცვლილებას საპარლამენტო უმრავლესობა ტექნიკურ ცვლილებად მიიჩნევს და მას ტექნიკური ცვლილების პროცედურის მიხედვით განიხილავს.

კანონპროექტის თანახმად, პოლიციელი უფლებამოსილია, შეაჩეროს პირი თუ არსებობს გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ. გონივრული ეჭვის დადასტურების ან გამორიცხვისთვის აუცილებელი ვადა ასევე გონივრული ვადა უნდა იყოს.

პროექტის თანახმადვე, მოქალაქის შეჩერებისას პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, შეჩერებულ პირს გააცნოს საკუთარი ვინაობა და წარუდგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება. ასევე, პოლიციელი უფლებამოსილია, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შეჩერებული პირის ტანსაცმელზე აწარმოოს ზედაპირული შემოწმება. თუ ზედაპირული შემოწმებისას წარმოიშვა ჩხრეკის საფუძველი, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ატარებს ჩხრეკას.

საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ პარლამენტმა 2011 წლის 28 დეკემბერს რიგგარეშე სესიაზე მე-3 მოსმენით დაამტკიცა. პარლამენტის მიერ ამ კანონპროექტის მიღება საკმაოდ მოულოდნელი იყო, რადგან მისი განხილვა პარლამენტის რიგგარეშე სესიების დღის წესრიგში გათვალისწინებული არ ყოფილა.

პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზრუნვა თავისთავად წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლებოდა, რომ არა კანონის ზოგიერთი სადავო დებულება. კერძოდ, კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას (მათ შორის გაცემას და გავრცელებას) როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების მიერ. ასეთ მონაცემებად კი ითვლება: „პერსონალური მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლეობასთან. ასევე, ბიომეტრული მონაცემები, რომლითაც შესაძლებელია ზემოაღნიშნული მახასიათებელი ნიშნებით პირის იდენტიფიკაცია“.

არსებული რედაქციის ზოგიერთი მუხლი ქმნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფის სერიოზულ საფრთხეს.

დაწესებულებას შეუძლია, დაამუშავოს და მათ შორის, გასცეს პირის სქესობრივ ცხოვრებასთან, რელიგიურ და პოლიტიკურ მრწამსთან ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე.

მსგავსი მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია და ამძიმებს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მდგომარეობას აქამდე არსებულ კანონმდებლობასთან შედარებით, რომლის თანახმადაც, საჯარო დაწესებულებას არათუ შეუძლია სხვა პირებზე გასცეს პირის შესახებ სენსიტიური ინფორმაცია, არამედ ეკრძალება მისი შეგროვება, დამუშავება და შენახვაც კი.

ინტერნეტ კონტროლი

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონში“ 2010 წლის სექტემბერში შესული ცვლილებებით, დაკანონდა მოსამართლის ბრძანებით კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა, ფიქსაცია და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია.

პირადი მეილები, ჩათები, ღია და დახურული საუბრები ინტერნეტში კანონის მიხედვით, საქართველოში უკვე ხელმისაწვდომია საგამოძიებო სტრუქტურებისთვის.

საქართველოში მოქმედი კავშირგაბმულობის კომპანიები, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში შესული ცვლილების მიხედვით, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ გამოძიებისთვის პირად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილება 2010 წლის 24 სექტემბერს შევიდა. ცვლილებების მიხედვით, საგამოძიებო სტრუქტურებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ წვდომა: კავშირგაბმულობის და კომუნიკაციების ფიზიკურ ხაზებთან და მათ შემაერთებლებთან, მაილსერვერებთან, ბაზებთან, კავშირგაბმულობის ქსელებთან.

„ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი - გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება“ - ეს ის უფლებაა, რომელიც საგამოძიებო სამსახურს კანონით მიენიჭა.

სასამართლოს ნებართვის საფუძველზე ან გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებული შემთხვევისას, როგორც ეს სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით ხდება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლებს და ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებს მინიჭებული აქვთ უფლება, გააკონტროლონ ელექტრონული ინფორმაცია.

აქამდე, მაგალითად, სკაიპის საუბრების

კონტროლი არ იყო ხელმისაწვდომი ოპერატიული მუშაკისთვის. ასევე, ამ კანონით არ იყო გათვალისწინებული ინტერნეტ რესურსში შეღწევა და იქ დანაშაულის გამოვლენა.

კანონით გათვალისწინებულია, რომ საგამოძიებო ორგანოებს აქვთ უფლება, კავშირგაბმულობის კომპანიებიდან მოითხოვონ:

„ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან. ამ მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა (გარდა დიპლომატიური ფოსტისა) კონტროლი“.

აღნიშნული მოქმედება არ ითვალისწინებს მოსამართლის ბრძანების ან გადაუდებელი აუცილებლობის საჭიროებას. იგი არღვევს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ პირადი ცხოვრების უფლებას.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტში შესული ცვლილება „ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი“ ითვალისწინებს ინტერნეტში მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვებასა და მათში მონაწილეობას. ჩვენს ყურადღებას იპყრობს „დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობები.“ აღნიშნულში მოიაზრება ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფშია შექმნილი და სადაც მიმდინარეობს ადამიანთა ვიწრო წრის, 2-3 ადამიანის ფარული საუბარი. სწორედ ასეთ საუბრებზე დაკვირვებისა და მათში მონაწილეობის უფლება ეძლევათ კონსპირაციული, ანუ ფარული წესების დაცვით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოს. აღნიშნული ნორმა არც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას ითვალისწინებს და არც მოსამართლის ბრძანებას.

აღნიშნული დებულება ძალიან ზოგადი და ფართოა და იძლევა შესაძლებლობას, კერძო პირების დახურული ინტერნეტსაუბარი გაკონტროლდეს საგამოძიებო ორგანოს მიერ მოსამართლის ბრძანების გარეშე.

კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ

2011 წლის დეკემბრის ბოლოს ახალი ცვლილებები შევიდა კანონში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, რომელიც ძალოვან უწყებებს კავშირგაბმულობის სისტემაში არსებულ მონაცემთა ბაზების კოპირების უფლებას ანიჭებს. ექსპერტთა განცხადებით, ეს ავტორიტარული რეჟიმის ტოტალიტარულ რეჟიმად გადაქცევის მაჩვენებელია. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტს დაემატა მუხლი, რომლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესასრულებლად უფლებამოსილ ორგანოებს უფლება მიეცათ, ტექნიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, განახორციელონ კავშირგაბმულობის არხში არსებული მონაცემთა ბანკების კოპირება.

ასეთ შემთხვევაში კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის ოპერატიული ღონისძიებები ხორციელდება აღნიშნული კოპირებული მონაცემთა ბანკიდან სასამართლოს ნებართვით. თუმცა, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მისი სასამართლოს გვერდის ავლით განხორციელებაც დაშვებულია. აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილება კანონპროექტში, რომელიც სულ სხვა ცვლილებებს ითვალისწინებდა, მესამე მოსმენის წინ ჩაემატა, რაც პარლამენტის რეგლამენტის უხეში დარღვევაა, რადგან მესამე მოსმენისთვის კანონპროექტში მხოლოდ სარედაქციო ცვლილებების შეტანა შეიძლება.

ექსპერტები ამ ცვლილებებს პოლიციისთვის საქმის გამარტივებას უკავშირებენ და აცხადებენ, რომ ამით ძალოვანი უწყებები უფრო მარტივად გააკეთებენ იმ უკანონობას, რომელსაც აქამდეც აკეთებდნენ. თანაც, უკვე იტყვიან, რომ ამით არანაირი კანონი არ ირღვევა.

თავისუფლების ქარტია

„თავისუფლების ქარტიის“ სახელით ცნობილი კანონი 2011 წლის ივნისში მიიღო პარლამენტმა.

„თავისუფლების ქარტიის“ მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფოს წინააღმდეგ

მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა, ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების რეგისტრაცია, ასევე კომუნისტური და ფაშისტური იდეოლოგიის და პროპაგანდის აკრძალვის მიზნით ღონისძიებების გატარება. მას შემოაქვს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა სტრატეგიულ შენობებსა და გადაზიდვებზე, ავალდებულებს ბანკებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინოს ორგანიზაციების თუ ინდივიდების მიმართ განხორციელებული მსხვილი საბანკო ტრანსფერების შესახებ.

ინიციატორთა აზრით, „თავისუფლების ქარტია“ არის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით შექმნილი დამატებითი დოკუმენტი, რომლის შექმნის მიზეზიც ქვეყანაში არსებული რეალობაა: აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ოკუპაცია, ასევე - ყოფილი საბჭოთა სპეციალური სამსახურებისა და მათი სამართალმემკვიდრეების ჯერ კვლავ ძლიერი გავლენა ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე.

ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

საბანკო ანგარიშების მონიტორინგი

2011 წლის ნოემბერში „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს“ ახალი მუხლი დაემატა, რომლის მიხედვითაც, პროკურატურას საბანკო ანგარიშის მონიტორინგის უფლება მიეცა.

კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, პროკურორს შეუძლია, შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს და საბანკო ანგარიშის მონიტორინგი მოითხოვოს. სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში კი, ბანკი ვალდებული იქნება, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მიაწოდოს მას ინფორმაცია საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ. ამგვარად, ბანკები ვალდებულნი არიან, პოლიციას მიაწოდონ ინფორმაცია კონკრეტული პირის ფინანსური გადარიცხვების შესახებ. საბანკო ანგარიშის მონიტორინგი შეიძლება მიმდინარეობდეს იმ ვადაში, რა ვადაც საკმარისია სისხლის სამართლის მტკიცებულების მოსაპოვებლად. შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან ზოგადი ჩანაწერია და, უფლებადამცველთა აზრით, ლახავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.



ვოლტერი (1694 - 1778)
ფრანგი მწერალი-განმანათლებელი, ფილოსოფოსი

“უსამართლობა, სამოლოდ, დამოუკიდებლობის დასამამია”

„მე შესაძლოა არ გავიზიარო თქვენი აზრი, მაგრამ მზად ვარ სიცოცხლე გავწირო თქვენ მიერ მისი გამოთქმის უფლებისათვის“

სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის კვლავ ერთ სიახლეს „განრიდებისა და მედიაციის პროგრამის“ შემოღება წარმოადგენს. პროგრამა გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას: მათ წინააღმდეგ საქმის არაღძვრას, ან დაწყებული პროცესის შეჩერებას. პროგრამაში ჩართულმა არარსულწლოვანმა ჩადენილი დანაშული უნდა აღიაროს და დაზარალებულისთვის ან სახელმწიფოსთვის ჩადენილი ქმედებით მიყენებული ზიანი აანაზღაუროს.

ანაზღაურების მინიმალურ თანხას 500 ლარი წარმოადგენს, მაქსიმალური არ არის განსაზღვრული. ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული პირობა, რომელიც ითვალისწინებს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას, აბსოლუტურად მიუღებელია, ვინაიდან ამით პროკურორს ეძლევა შესაძლებლობა, აუნაზღაურებელი დატოვოს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა არასრულწლოვან პირებთან მიმართებით უფრო მკაცრია, ვიდრე სრულწლოვანებთან მიმართებით. კერძოდ, არასრულწლოვანი პირისთვის განრიდება მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი, სრულწლოვნებთან მიმართებით კი კანონში ეს დათქმა არ არის. ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ განრიდება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ის პირველად ჩადის დანაშაულს. სრულწლოვნის მიმართ კი მსგავსი დათქმა არ არსებობს. ე.ი. სახელმწიფო არის არათანმიმდევრული. როგორც წესი, არასრულწლოვნის მიმართ უფრო ლიბერალური პოლიტიკა უნდა ტარდებოდეს.

სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები უკანონო ფორმირებებთან დაკავშირებით. ბოლო რედაქციით, „ფორმირება“ გულისხმობს ნებისმიერ ფორმირებას, რომელიც შეიარაღებულია „ცეცხლსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალით, ფეთქებადი ან ადვილად აალებადი ნივთებით, ასაფეთქებელი მოწყობილობით, ცრემლსადენი, რადიაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერებით, ცივი იარაღით ანდა ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ანდა გასანადგურებლად“. თუმცა „ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი“ ზოგადი ფორმულირებაა, რაც პრაქტიკაში ძალოვან სტრუქტურებს ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა, აქცენტი გაკეთებულიყო საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, ანუ შეუძლია თუ არა ასეთ ფორმირებას საზოგადოებას შეუქმნას საფრთხე. თუმცა ეს რეკომენდაცია პარლამენტმა არ გაიზიარა. შედეგად, პრაქტიკაში შეიძლება შეიქმნას ისეთი კომიკური სიტუაციაც, როცა უკანონო ფორმირებად შეიძლება ჩაითვალონ მეგობრები, რომლებსაც ხელში ჯოხები უჭირავთ.

ახალ კოდექსში სიტყვა „შეიარაღებული“ ჩაანაცვლა სიტყვამ „უკანონო“. ანუ, შესაძლებელია, ნებისმიერი ფორმირების შექმნა და მასში გაწევრიანება იყოს დასჯადი. პარტიული ან ნებისმიერი გაერთიანება, რომელსაც აქვს ორგანიზებული ხასიათი, ამ კანონის საფუძველზე, შეიძლება მიჩნეულ იქნეს უკანონო ფორმირებად, თუკი ეს ვიღაცას დასჭირდება. ადრინდელ კანონში ჩამოთვლილი იყო, რისი გამოყენება შეიძლებოდა ჩათვლილიყო კანონსაწინააღმდეგოდ. დღეს ამ ჩამონათვალს დაემატა „ცივი იარაღი და სხვა ნივთები, რომელსაც შეუძლია ადამიანისთვის ზიანის მიყენება.“ ეს შეიძლება იყოს მობილური ტელეფონიც, წიგნიც და სხვა ნებისმიერი ნივთი, რითაც შესაძლებელია ადამიანისთვის ტრავმის მიყენება.

სისხლის სამართლი კოდექსს დაემატა 353[1]-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს „პოლიციელზე, ან სახელმწიფოს სხვა წარმომაგდენელზე და საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმას“. მუხლი შედგება 2 ნაწილისგან. პირველ ნაწილში არის ხელისუფლების სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 7 წლამდე. ხოლო თავდასხმისას თუ მოხდა სიცოცხლის ხელყოფა, სასჯელად განისაზღვრება 16-დან 20 წლამდე, ან უვადო პატიმრობა.

ადრე მოქმედი კოდექსი ნებისმიერი პროფესიის ადამიანს დაცვის ერთნაირ გარანტიებს სთავაზობდა. ამ ცვლილებით კი მოხდა პოლიციელისა და „ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის“ გამოცალკევება დანარჩენი საზოგადოებისგან.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, პავლე კუბლაშვილის აზრით, „თუ ვინმეს ამ ქვეყანაში გაუჩნდება სურვილი, თავს დაესხას პოლიციას, პოლიციის შენობას - ეს არის გაცილებით უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე თუნდაც პარლამენტის წევრის მიმართ განხორციელებული დანაშაული“.

ეს განცხადება პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ 2011 წლის 21 ივნისს პარლამენტის სხდომაზე გააკეთა, როცა პირველი მოსმენით ცვლილებები უკვე მიიღეს.

2010 წლის სექტემბერში, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებულ რეჟიმში, დახურულ კარს მიღმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი პრინციპების დარღვევით მიიღო საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პაკეტი.

საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული საკითხების დარეგულირებასთან ერთად, აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, დაბლა წევს რა მტკიცების სტანდარტს პირის მსჯავრდებასთან და ცალკეული ხასიათის მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ ცვლილებების განხორციელებამდე ბრალდებულის აღიარება არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, პირის მსჯავრდება, აღიარებასთან ერთად, მხოლოდ ერთი მტკიცებულების საფუძველზე იქნება შესაძლებელი. განხორციელებული ცვლილებები, ასევე, ერთით ამცირებს ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებისათვის აუცილებელი ხმების რაოდენობას, რაც მსჯავრდების სტანდარტს დაბლა სწევს.

ცვლილებები და დამატებები პატიმრობის კოდექსში

2011 წელს პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს, როგორც წამახალისებელ, ასევე შემზღუდველ ნორმებს.

წამახალისებელ ნორმათაგან აღსანიშნავია პატიმრებისთვის ერთის მაგივრად წელიწადში ორი დამატებითი ხანგრძლივი პაემნისა და თვეში ერთი დამატებითი სატელეფონო საუბარის უფლების მინიჭება.

შემზღუდველი ნორმების თანახმად კი, დისციპლინური სახდელის სახით პატიმარს შეიძლება შეეზღუდოს სატელეფონო საუბარი და პირადი ხასიათის კორესპონდენციის წარმოების უფლება 3 თვემდე ვადით. პატიმარს ექნება კორესპონდენციის წარმოების შესაძლებლობა სახალხო დამცველთან. თუმცა, უფლებადაცვითი ორგანიზაციების მოთხოვნა იყო, რომ მათაც შესძლებოდათ კორესპონდენციის წარმოება, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

ასევე, პატიმარს შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლება 3 თვემდე ვადით. აღნიშნულმა, შესაძლოა, გააუარესოს კვების პირობები, განსაკუთრებით იმ პატიმრებისთვის, რომლებსაც აქვთ სპეციალური საჭიროებები, რაც გამოიწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას.

ციხის თანამშრომლის და მისი ოჯახის წევრისადმი მუქარა სისხლის სამართლის დანაშაული გახდა

ციხის თანამშრომლისა და მისი ოჯახის წევრისადმი მუქარა სისხლის სამართლის დანაშაული გახდა. პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილება უკვე ძალაში შევიდა.

აქამდე სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა: პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია.

ახალი რეგულაციით კი, სამ წლამდე პატიმრობით დაისჯება: პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების

თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, მის მიმართ ძალადობა, მისი ანდა მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების მუქარა. თუმცა, ეს მუქარა, თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს.

ასევე, ანალოგიური სასჯელით ისჯება პატიმრობის დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია.

შემთხვევისთვის ტერორისტული აქტის კვალიფიკაციის მინიჭება მარტივდება

შემთხვევისთვის ტერორისტული აქტის კვალიფიკაციის მინიჭება უფრო მარტივდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის 2012 წლიდან. კანონის მოქმედი რედაქციით, აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება ტერორისტულ აქტად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იქმნება ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროება და ხდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა.

ახალი კანონპროექტით კი, ტერორისტულ აქტად შეფასებისთვის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესის ხელყოფის დადასტურება აღარ იქნება აუცილებელი.

კერძოდ, ტერორისტული აქტი იქნება აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას. ეს ქმედებები ჩადენილი უნდა იყოს მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე, ან უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე ზემოქმედების მიზნით.

ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებთან დაკავშირებით რეგულაციები ამოქმედდება

ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეების რეფერალთან დაკავშირებით რეგულაციები 2012 წლის იანვარში ამოქმედდება.

პარლამენტის მიერ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები ძალაში უახლოეს დღეებში შევა. ახალი რეგულაციით, შესაძლებელი იქნება ძნელად აღსაზრდელი მოსწავლის სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა ან მის მიმართ სხვა ღონისძიებების გამოყენება, მისი სხვა სკოლაში გადაყვანა ან სკოლა-პანსიონში გაგზავნა.

ასეთი ღონისძიებები კანონის მიხედვით, „არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე“ უნდა განხორციელდეს ანტისოციალური ქცევის მქონე იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც შეუსრულდა 12 წელი და ექსპერტთა საბჭოსათვის მიმართვიდან 6 თვის განმავლობაში არ შეუსრულდება 18 წელი.

ანტისოციალური ქცევა კი, კანონის მიხედვით, არის ქცევა, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის ფსიქოსოციალურ განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და სისტემატურად ვლინდება არანაკლებ 6 თვის განმავლობაში, გარდა არასრულწლოვნის მიერ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში გადამისამართების მიზეზი შეიძლება გახდეს 10 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და რომლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში, დადგებოდა ამ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობის წესები

2010 წლის ოქტომბერში მიღებული საქმიანობის წესები ზღუდავს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე საქმიანობას. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობისათვის საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტროს ნებართვა ესაჭიროებათ.

საგადასახადო ორგანოებს ფარული თვალთვალი სასამართლოს თანხმობის გარეშეც შეეძლებათ

საგადასახადო ორგანოებს ფარული თვალთვალი სასამართლოს თანხმობის გარეშეც შეუძლიათ. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

როგორც საკანონმდებლო ორგანოში აღნიშნავენ, გადაწყვეტილების საფუძველი დანაშაულის აღმოფხვრაა, რადგან პრაქტიკაში მოსამართლისთვის მიმართვის დრო არ რჩება ხოლმე და ეს საქმეს აზარალებს.

საკანონმდებლო ცვლილების ავტორთა აზრით, მოსამართლის თანხმობის გარეშე ფარული კამერის დამონტაჟება მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციისა და გონივრული ეჭვის საფუძველზე უნდა იყოს შესაძლებელი.

სახელმწიფოს ფული სამთავრობო არასამთავრობოებს

„სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი“ ხელისუფლების დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღის ფარგლებში 2009 წელს შეიქმნა. ფონდი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება და მისი მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობაა. ჟურნალისტური გამოძიებით გაირკვა, რომ გრანტები ძირითადად იმ ორგანიზაციებს მისცეს, რომლის დამფუძნებლები და ხელმძღვანელები საჯარო მოხელეები, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები, ან ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი პირები არიან.

„სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ უშუალო დამფუძნებელია საქართველოს



ირვინ კრისტოლი (1920 -2009)
ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი

„დემოკრატია არ არის თანამარი პიროვნების გარანტია - იგი მხოლოდ თანამარი შესაძლებლობების გარანტიაა“

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.

დამატებით, 2012 წლის დასაწყისიდან სახელმწიფო ორგანოებს გრანტის გაცემის უფლებაც მიეცათ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 15 თვემდე გაიზარდა

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 15 თვემდე გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში 2012 წლის თებერვალში შევიდა.

კანონის მანადე მოქმედი რედაქციით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 12 თვე იყო.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, “სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად დღეს დადგენილი 12 თვე არ არის საკმარისი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირების შესაბამისად მომზადებისთვის”.

საქართველოს სამხედრო რეზერვი

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იწყებდა რეზერვისტების მომზადებას.

2008 წლის აგვისტოს ომამდე სავალდებულო რეზერვი გაიარა 28000-მდე მოქალაქემ. თუმცა ომმა ნათლად აჩვენა რეზერვის სისტემის არაეფექტურობა.

2010 წლის 28 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოს „ტოტალური თავდაცვა“ სჭირდებოდა, რომლის დროსაც ყველა სოფელს უნდა შეძლებოდა თავის დაცვა. „ყველა სოფელში, ყველა დასახლებულ პუნქტში უნდა იყოს შესაბამისი მომზადების პატარ-პატარა ჯგუფები მინიმალური ოდენობის იარაღით იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს თავის მიწის, თავის სოფლის, თავის ქუჩის, ქალაქის და რეგიონის დაცვა“, - განაცხადა შეხვედრისას პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ეს განცხადება მკვეთრად განსხვავდებოდა ეროვნული გვარდიის ახალი ხედვისგან, რომელიც ძირითადად არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე იყო ორიენტირებული. ცვლილებები რეზერვისტთა 45 დღიან მომზადებას ითვალისწინებს.

ნებაყოფლობითი რეზერვი

2011 წლის 31 ოქტომბერს თავდაცვის სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა, დაარეგისტრიროს და ეტაპობრივად გადაამზადოს ნებაყოფლობითი რეზერვის გავლის მსურველები.

საინტერესოა, რომ ნებაყოფლობითი რეზერვი, 2010 წლის კანონის მიღების შემდეგ მხოლოდ ახლა ამოქმედდა.

სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ვალდებულია რეზერვისტთა რეგისტრაცია აწარმოოს და ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ახალი რეგულაციები კი წინააღმდეგობაშია კანონთან და თავდაცვის სამინისტროს დამატებით უფლებებს აძლევს, დაარეგისტრიროს და გადაამზადოს ნებაყოფლობითი რეზერვის მსურველები.

საკითხავია, რატომ გაახსენდა და რატომ იწყებს თავდაცვის უწყება ნებაყოფლობითი რეზერვის მიღებას ახლა და რატომ არ დაიწყო იგივე 2 წლის წინ, თუნდაც კანონის ამოქმედებისთანავე? საზოგადოებაში დაისვა კითხვა, ხომ არ არის ეს გადაწყვეტილება კავშირში მოსალონდელ არჩევნებთან.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 24 ნოემბერს

ყოველგვარი კითხვების გარეშე დაამტკიცა თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კორექტირებული ბიუჯეტი. დამატებით თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილ იქნა 45 მილიონი ლარი, რომლის ასათვისებლად სამინისტროს რეალურად ერთ თვეზე ოდნავ მეტი ჰქონდა. ამ ხარჯის მიზნობრიობის შემოწმება კი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტში შექმნილ გაუმჭვირვალე ორგანოს ე.წ. "ნდობის ჯგუფს" აქვს.

კვლავ ერთი საყურადღებო ცვლილება ამავე კანონში:

სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონში ახალი ცვლილებები 2012 წლის მარტში მესამე მოსმენით დაამტკიცეს

რეზერვის შესახებ აქამდე მოქმედი კანონის „საქართველოს კანონი სამხედრო სარეზერვი სამსახურის შესახებ" თანახმად, ნებაყოფლობითი რეზერვის გავლა შეუძლიათ საქართველოს იმ მოქალაქეებს, ვისაც არ ეკუთვნის სავალდებულო რეზერვი.

ახალი კანონის მიხედვით, სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან გათავისუფლებული პირები რეზერვში ნებაყოფლობით წასვლას შეძლებენ.

კანონმდებლობით, სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან გათავისუფლებულები არიან ქალები, სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური შემადგენლობა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებიან გადაყვანა-გადაზიდვას ან პირები, რომლებიც მოძრავი შემადგენლობის და სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მომსახურებით და რემონტით არიან დაკავებულნი.

ჩამონათვალში არის: საზღვაო ფლოტის შემადგენლობა, სოფლად დასაქმებული პედაგოგები და ექიმები, **შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში მომუშავე პირები;** თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები; **მოსამართლეები;** პირები, რომლებმაც მოიხადეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური; საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ მყოფი პირები; დიპლომატიური თანამდებობის პირები; სასულიერო პირები; **ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირები და საქართველოს პარლამენტის წევრები.** ასევე პირი, რომელიც **სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის არის ნასამართლევი.**

ამიერიდან რეზერვი გახდა ღია ყველა პირისთვის.

აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საგადასახადო საიდუმლოებაზე წვდომა ექნება.

კანონით, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია (გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა და რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა) მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება. საგადასახადო ორგანო და მათი თანამშრომლები ვალდებულნი არიან, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება დაიცვან.

კანონის თანახმად, საგადასახო ორგანოს უფლება აქვს, ცალკეული გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ: ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს და სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს ამ პირთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით; სამართალდამცავ ორგანოებს - იმ პირთა შესახებ, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა; სასამართლოს - სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით; სხვა სახელმწიფოთა საგადასახადო ორგანოებს - საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად; აღსრულების ეროვნულ ბიუროს; სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს; კონტროლის პალატას - მოსამართლის

ბრძანების საფუძველზე; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს; მთავრობის მიერ განსაზღვრულ პირებს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით; ასევე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა კანონპროექტი, რომლის თანახმად, ზემოთაღნიშნულ ჩამონათვალს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები დაემატა.

ახალი კანონპროექტი სასამართლო სისტემაში

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მოსამართლის მიერ სასამართლო განხილვისას კანონის უხეში დარღვევა დისციპლინურ დარღვევად არ ჩაითვლება.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილ კანონპროექტში ამოღებულია ამჟამად მოქმედი კანონის მეორე მუხლის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტები.

კანონპროექტის მიხედვით, მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქნება უფლებამოსილი, განახორციელოს წინასწარი შემოწმება და დისციპლინური საქმის გამოკვლევა. კანონპროექტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეებიდან ხდება კანონის უხეში დარღვევისა და შრომის დისციპლინის დარღვევის ამოღება.

კანონპროექტი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ

2012 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრებმა მოამზადეს კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“. კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო იზრუნებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე. დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე კი, შესაძლოა, სახელმწიფოს მიეცეს უფლება, კერძო კომპანიების კომპიუტერულ სისტემებში დაცულ ინფორმაციაზე მიუწვდებოდეს ხელი.

კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ შესაძლებელს ხდის კერძო ორგანიზაციების კომპიუტერულ სისტემებში დაცული მრავალი სახის ინფორმაცია ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნა იქნება სავალდებულო. გარდა ამისა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტები ვალდებულნი იქნებიან, შექმნან ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრის პოსტი, სადაც მომუშავე ადამიანი ვალდებული იქნება უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაზე.

კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების უფლება მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ექნება და ამ მომსახურების საფასური კონტრაქტით იქნება შეთანხმებული.

კანონპროექტში, ასევე, წერია, რომ ნებისმიერ კიბერ-საფრთხეზე რეაგირების პასუხისმგებლობა ეკისრება იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს „სწრაფი რეაგირების ჯგუფს“.

სწრაფი რეაგირების ჯგუფს კი უფლება აქვს, მოითხოვოს წვდომა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის ინფორმაციულ აქტივზე, ინფორმაციულ სისტემაზე, თუ ამგვარი წვდომა აუცილებელია მიმდინარე ან მომხდარ კომპიუტერულ ინციდენტზე სათანადო რეაგირებისათვის.

კანონპროექტის მეორე მუხლში წერია, რომ „კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტად“ სახელმწიფო უწყების გარდა შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელთა ნუსხასაც განსაზღვრავს პრეზიდენტი კანონის მიღებიდან ექვს თვეში.

სამწუხაროდ, პოტენციური საფრთხეების ზრდა, რაც ზემოთაღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივების მიღებას უკავშირდება, უკვე შორსწასული პროცესია და მათი პრაქტიკაში ამოქმედების შედეგად სახეზეა ამ ნეგატიური ტენდენციის პირველი შედეგები.

კონტროლის პალატის მხრიდან დაწყებული ღია ტერორი

საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2012 წლის 12-15 მარტს საქართველოს რეგიონებში განხორციელდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის აქტივისტებისა და მოქალაქეთა მასობრივი დაკითხვები. სულ დაკითხულთა რაოდენობამ 260 მოქალაქეს გადააჭარბა.

ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცესში კონტროლის პალატის წარმომადგენელთა მხრიდან მოქალაქეებზე განხორციელებული იყო ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა, დაშინება და მუქარა. კონტროლის პალატის ქმედებები შეიცავდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოქალაქეთა დევნის ნიშნებს: უწყების თანამშრომლების მიერ მოქალაქეთათვის დასმული შეკითხვები ფინანსური ხასიათის საკითხების გარდა შეეხებოდა, აგრეთვე, მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობების დეტალებსა და კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან მათი თანამშრომლობის მიზეზებს.

დაბარებულ პირებს, ასევე, პრობლემები ექმნებოდათ ადვოკატის დასწრებასთან დაკავშირებით. იყო ადვოკატისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებიც, რის გამოც მას არ მიეცა დაკითხვის პროცესზე დასწრების საშუალება.

კონტროლის პალატის თანამშრომლები მოწვეულ მოქალაქეებს არ აწვდიდნენ სრულყოფილ ინფორმაციას, თუ რა სახის სამართალდარღვევის ფაქტზე და ვის მიმართ იყო დაწყებული სამართალწარმოება. ამასთან, ახსნა-განმარტების მიღების პროცესში მოქალაქეების მიმართ ხორციელდებოდა ღირსების შემლახველი ქმედებები.

დაკითხვის მანერა, ხანგრძლივობა, დასმული შეკითხვები, კონტროლის პალატის წარმომადგენელთა მხრიდან მოქალაქეებთან

ფრიდრიხ შილერი (1759-1805)
გერმანელი პოეტი, დრამატურგი

"სამართლიანობის საზღვი ვერ იქნება ხმათა უმრავლესობა"



ჟან ჟაკ რუსო (1712 - 1778)
ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი

"უყურო უსამართლობას და დუმდე - ეს ნიშნავს თავად მონაწილეობდე მასში"

ურთიერთობის ფორმები, მათზე მუქარისა და ზეწოლის ხერხების გამოყენება მოქალაქეთა დაშინებას უფრო ისახავდა მიზნად, ვიდრე პარტიების უკანონო ფინანსური საქმიანობის დადგენის ფაქტს.

აღნიშნული პროცესები თავისთავად ხელს შეუწყობს მოქალაქეებში შიშის დანერგვას და კვლავ უფრო დაამძიმებს საარჩევნო გარემოს ქვეყანაში. აღსანიშნვია, რომ კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურში დღეისათვის 14 ადამიანი მუშაობს, ხოლო სამასამდე ადამიანის დაკითხვას აწარმოებდა რამდენიმე ათეული პირი გაურკვეველი სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

ქვეყნის რეალური დემოკრატიზაციის მსურველ ხელისუფლებას არ უნდა გაუჭირდეს პოლიტიკური ნების გამოჩენა ქართული კანონმდებლობის გასაწმენდად ზემოთჩამოთვლილი და სხვა არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზებისგან.